საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ფასი 1,50 ლარი
26 იანვარი
№3(682)



გვ. 14

რა შეაქვს ირაკლი ალასანიას მეუღლეს ორი მინისტრის რაციონალურ ცხოვრებაში და რით არის ის შეყვარებული

გვ. 19

როდის გაიყო ლიკა ქორქიას ცხოვრების გზა ორად და ვისზე აპირებს ის დიდხნიან დაკვირვებას

გვ. 74

როგორ უმკლავდებოდა სერიოზულ სირთულეებს მარიამ ჩარხიანი დათო ფორჩხიძის დახმარებით და გაყიდა თუ არა მან კონკურსის მოსაგებად სახლი

გვ. 75

რომელმა ქვეყანამ მიანიჭა ჯაბა ქარსელაძეს მუდმივი რეზიდენტობა და რატომ არიან უცხოეთში მუდმივად გაკვირვებულები 27 წლის ქართველის სივით

რა აუკრძალა საკუთარ თავს მარიამ გიორგობიანმა და რაში ჩადო თავისი დიდი რესურსი და ენთუზიაზმი

გვ. 68

როგორ გააკეთა „ივ სენ ლორანისთვის" საინტერესო პროექტი ლაკო ბუკიამ

გვ. 22

რაზე თქვა უარი ირაკლი სირბილაძემ წარმატებული კარიერის გამო და როგორ გახდა ის ფინური ფეხბურთის ქართველი მარგალიტი

გვ. 23

გვ. 47

რატომ გადაიხადა მიშა სულუხიამ 25 წლის იუბილე ირლანდიურ „საგიჟეთში"

## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

# მის საქართველო · Miss Georgia

2013

www.missgeorgia.ge



ანა
გაროზაშვილი



ანა
ზუბაშვილი



ანი
ლეთოდიანი



ანი
ზარიძე



დარო
მურუსიძე



ელენა
მარიამიძე



ელენე
წიკლაური



ელენე
გაგნიძე



ელენე
გამყრელიძე



ქეთი
ნოზაძე



ქეთი
სვანიშვილი



ლიკა
როგავა



მაკა
გიგაური



მარი
არზამაზოვა



მარიამ
ბოჭორიშვილი



მარიამ
ილურიძე



მარიამ
მათიაშვილი



მარიამ
შერმაზანაშვილი



მარიამ
ცაგარეიშვილი



ნატა
დემეტრაშვილი



ნათია
როზმაშვილი



ნიკა
აბაიშვილი



ნინი
ბიბილაშვილი



თაკო
ნასყიდაშვილი



თამარ
უგრეხელიძე



თეა
ქარცივაძე



თამთა
რუხაძე



თიკა
ჯაბახანაშვილი

www.missgeorgia.ge

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რატომ მოქმედებს საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის განსხვავებული ტარიფები და რატომ არის ტარიფში მუდმივად ასახული ინვესტორების მიერ გაწეული ინვესტიცია ........................................... 6

რატომ იყვნენ ვალდებულნი სასტუმროს მეპატრონეები, მიეწოდებინათ ინფორმაცია უცხოელი ვიზიტორების შესახებ „კუდისთვის" პასპორტის ნომრების ჩათვლით .......... 7



როდიდან ჩაანაცვლებენ სომხეთ-საქართველოს საზღვარზე სომეხ მესაზღვრეებს რუსები და რატომ ჩაუკეტა საზღვარი აფხაზებს რუსეთის ფედერაციამ ოლიმპიადის დასრულებამდე ........................................... 8

რა უჯდება შვილების სწავლა სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილს და რამდენი მიწის ნაკვეთი აქვთ მის მშობლებს ................ 9

როგორ მოიპოვა პოპულარობა ევროპაში უგო ბაგრატიონმა .............. 10

ვისთვის გამოჰქონდა სამედიცინო ექსპერტს, ალექსანდრე გეჯაძეს ქალიშვილობის „ვერდიქტი" და რა აღმოაჩინა მან კანონიერი ქურდის კუჭში .....................12



როგორია 2014 წელს ქართული საზოგადოების ფსიქოემოციური მატრიცა და რა პროგნოზს აკეთებს მალხაზ გველუკაშვილი.........13

რა შეაქვს ირაკლი ალასანიას მეუღლეს ორი მინისტრის რაციონალურ ცხოვრებაში და რით არის ის შეპყრობილი ............................ 14

ადვოკატი გირჩევთ ................................ 16

რაზეა მიბმული ეკა კვესიტაძე და რას ვერ შეელია ის წარსულიდან ......... 18



როდის გაიყო ლიკა ქორქიას ცხოვრების გზა ორად და ვისზე აპირებს ის დიდხნიან დაკვირვებას ......... 19

რატომ შეიძლება იყოს უბედური ქალი, რომელიც ყველას ბედნიერი ჰგონია .................................................. 20

ვინ გააშვილა ჩვილი ლაგოდეხის სამშობიარო სახლიდან და როგორ ეძებს ნუკრიანში მცხოვრები ქალი თავის ბიოლოგიურ მშობლებს ............................21

როგორ გააკეთა „ივ სენ ლორანისთვის" საინტერესო პროექტი ლაკო ბუკიამ და როგორ აღმოაჩინა ფსიქოლოგთან სიარულის შემდეგ საკუთარ თავში ახალი თვისებები .................................................22

რატომ არ ნიშნავს ეკლესიაში სიარული ეკლესიურ ცხოვრებას და როგორ უკეტავენ მორწმუნეები საკუთარი ქცევით სხვა ადამიანებს ეკლესიისკენ მიმავალ გზას ...........................................................24

„ფორბსის" 2013 წლის დეკემბრის ყველაზე ტირაჟირებული მილიარდერები ...............................................27

ექიმის რჩევები ...............................................29

როგორ მოატყუა ელცინმა შევარდნაძე და რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა მან ..... 30

რატომ არ ვარგა ოჯახში გატეხილი ჭურჭლის შენახვა და მაგიდაზე მჭრელი საგნების ღამით დატოვება .............................32

კოსმეტოლოგის რჩევები ..........................34



რატომ გაასაიდუმლოვა სტალინმა საავიაციო საკონსტრუქტორო ბიუროები..........................35

რატომ უნდა შეუთავსოთ კვება თქვენს ზოდიაქოს ნიშანს.............................36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი..........45

როგორ იშორებდა „კაგება" თავის თანამშრომლებს, რომლებიც ბინძურ საქმეებში იყვნენ გარეულები ........................48



რატომ მოკლა ოქრომჭედელმა ყოფილი საყვარელი და რატომ დააგლიჯა მან ცხედარს ყურები ......................................49

ვეტერინარის რჩევები .... 50

ფლორის სამყაროში ....... 50



რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს.........................51

ქალური შურისძიება....58

ქურდული ცხოვრება....64

რა აუკრძალა საკუთარ თავს მარიამ გიორგობიანმა და რაში ჩადო თავისი დიდი რესურსი და ენთუზიაზმი ...........................................68



რატომ არ უყვარს შეზღუდვები და აკრძალვები ანი მამულაშვილს და რა ურთიერთობის შემდეგ მიიღო მან დიდი გამოცდილება ......70

წვერულვაშიანი ქალის სიყვარულის გამო ღვიძლმა ძმებმა ერთმანეთი დახოცეს ...............72

რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ ლაშა-გიორგის ობოლი ვაჟი მამიდამ – მეფე რუსუდანმა ..........73

როგორ უმკლავდებოდა სერიოზულ სირთულეებს მარიამ ჩაჩხიანი დათო ფორჩხიძის დახმარებით და გაყიდა თუ არა მან კონკურსში მოსაგებად სახლი ............................................... 74

რომელმა ქვეყანამ მიანიჭა ჯაბა ქარსელაძეს მუდმივი რეზიდენტობა და რატომ არიან უცხოეთში მუდმივად გაკვირვებული 27 წლის ქართველის სივით ...........................................75



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები"

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47






**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თებუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი"
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში"
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# უკანონოდ დამტაცებელი
## „წითელი კოჭი“

მართალია, **იგი** (ძველი პრეზიდენტი) **გვარწმუნებდა, ჩემი გულიც თქვენ გეკუთვნით და სასახლეცო,** თუმცა, **ისე დაგვტოვა, საპრეზიდენტო სასახლის მშენებლობაზე დახარჯული ზუსტი თანხის ოდენობა არ გაუმხელია** (ალბათ, ჩვენს ღარიბ გულებს მოერიდა). **წასულს ვინ ჩივის, ამ ინფოს გასაჯაროებით თავი არც ახლებს მოუკლავთ,** ოღონდ, არ **გამოვრიცხავ, რომ შესაბამისი დოკუმენტებისთვის ვერ მიეკვლიათ და** იმიტომაც არ მოეკლათ. **ვერ მიეკვლიათ, რადგან, ასეც ხდებოდა მაშინ, როცა „დემოკრატიის შუქურად“ გვიხმობდნენ.**

გვიხმობდნენ თუ ვუხმობდით, გასული კვირის დაისზე შევიტყვეთ, რომ **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, სავარაუდოდ, თვით შექმნის დღიდან, ბუნებრივ აირს უკანონოდ მოიხმარდა** („აი, მესმის ცხოვრება!“).



**ეს ამბავი** „ყაზტრანსგაზში“ გამართულ პრესკონფერენციაზე **თვით ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ, ბ-ნმა ელოშვილმა გვამცნო**. იმის გათვალისწინებით, რომ ის პრესკონფერენციას კომპანიის წარმომადგენლებით ესწრებოდა, მათ კი ხმა არ ამოუღიათ, როგორც ჩანს, ასეც იყო.

ერთი სიტყვით, **პრეზიდენტის** (ყოფილის) **ადმინისტრაცია**, როგორც იქ, ზემოთ, უბნობენ, **ბუნებრივ აირს უკანონოდ იტაცებდა** (მეორე მხრივ, ადამიანებს იტაცებდნენ უკანონოდ და, გაზი რა „წითელი კოჭი“ იყო?!). დატაცების ფაქტი კი შემდეგნაირად გახსნილა: **„შპს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ უსაფრთხოების სამსახურის მიერ გეგმური შემოწმების შედეგად გამოვლინდა მრიცხველის გვერდის ავლით შეყვანილი გაზის მილი.“**

ყოველ შემთხვევაში, ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ვარაუდით, ადმინისტრაციის შექმნის დღიდან **დატაცებული გაზი სასადილოსა და დამხმარე ნაგებობებს ხმარდებოდა,** რომლებიც, წინასწარი მონაცემებით, თვეში, დაახლოებით, **5 000-6 000 ლარის ბუნებრივ აირს მოიხმარდნენ**.

უფრო მეტიც, ის ეჭვიც გამოითქვა, რომ **თბილისის გარშემო მიმოფენილი ფეშენებელური ვილები და სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებიც უკანონოდ მოიხმარენ ბუნებრივ აირს**. თუ გავითვალისწინებთ, რომ **პრეზიდენტის სასახლის დავალიანება ახლანდელმა ბიუჯეტმა უნდა გაისტუმროს** (მეორე მხრივ, მაშინაც ბიუჯეტს უნდა გაესტუმრებინა, რაც სრულიად გაუგებარს ხდის დატაცებას), **ვითომ, ვილების მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურსაც ჩვენ გადაგვახდევინებენ**?!

# გამავლობაასამაღლებელი
## ანუ, „თხა თხაზე მეტი“

**რაკი სხვა გზა აღარ იყო, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ გააუქმა ტენდერი, რაც მას 83 000-იანი „ჯიპით“ მისცემდა სამშობლოსთვის სამსახურის გაწევის საშუალებას**, თუმცა, როგორც გაირკვა, ბ-ნი **ბერიძის კუთვნილი 2012 წლის ავტომანქანა** „ტოიოტა პრადო“ (ცნობისთვის: ახლა 2014 წლის იანვარია) **რემონტდება**.

უფრო მეტიც, **რემონტდება მეორე ავტომანქანაც** – „მერსედეს ბენცი“, **რომლითაც ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ სარგებლობს** (ვითომ, პრინციპით, **„თხა თხაზე ნაკლებიო“?!).**

„ბათუმელების“ ცნობით, აჭარის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ, **ავტომანქანა, რომლითაც თავმჯდომარე, ბ-ნი ბერიძე სარგებლობს, „დაბალი გამავლობისაა“.** აი, **„მერსედეს-ბენცს“ რა პრობლემები აქვს**, ის კი აღარ დაუზუსტებიათ, თუმცა, ცნობილია, რომ **ორივე ავტომანქანის შეკეთებისთვის ბიუჯეტიდან 15 ათასი ლარი დაიხარჯება.** მაგალითად, 2013 წლის განმავლობაში ბ-ნი ბერიძის ცინცხალი ავტოს რემონტისთვის 13 121 ლარი დახარჯულა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ **ახალი ავტ-**



**ომანქანების ხიბლი სწორედ ისაა, რომ კარგა ხანს რემონტი არ სჭირდება**, რთული სათქმელია, **რატომ გაუჭირდა ასე უმონყალოდ აჭარის უმაღლესი საბჭოს ავტოპარკის თავკაც ავტოს?!**

# ყუმისთავიდან ქუთაისურ რუსთაველამდე
## აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ

**თითქოს არაკები არ გვყოფნიდა** (ღრუბელ-ღრუბლით დაწყებული და ზვიგენებზე გამავალი), **გასულ კვირას** ხალხის რჩეულმა ბ-ნმა **ტყემალაძემ გვაუწყა, რომ, თუკი საჭირო ხმებს ვერ მოაგროვებენ, პარლამენტის თბილისში მდებარე შენობას ქუთაისს გადასცემენ.**

**რაკი ენის ქავილი ყველაზე მეტად გვსიამოვნებს,** ბუნებრივია, თემაც ავიტაცეთ, თუმცა, უკვე კვირის მიწურულს, **ჩვენს ანგლობა-ოხუნჯობას ცივი წყალი** ბ-ნი **ტყემალა-**



**ძის თანაგუნდელმა,** ქ-ნმა **ხიდაშელმა გადაასხა.**

**კერძოდ, ბრძანა** (მომყავს ციტატა): „მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ, **იმედი მაქვს, იხუმრა ბატონმა ზურამ**. რადგან, როგორც თავის დროზე ვფიქრობდი, რომ გუდაურის თბილისობა იყო სასაცილო და არასერიოზული, ასევე, **მგონია, რომ ამ ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, ჩვენც ძალიან სასაცილოები გავხდებით.“**

ლოგიკა **სავსებით მისაღებია,** თუმცა, თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, ბ-ნმა **ლევან ბერძენიშვილმა,** თავის დროზე, სასკოლო დაწესებულებებთან ბუსუსებიანი პრეზერვატივების გაყიდვის აკრძალვაზე მსჯელობისას, **განმარტა, რომ პრეზერვატივს ორი ფუნქცია აქვს: თავის დაცვის და სიამოვნების მიღების, ვფიქრობ,** ისიც არანაკლებ სასაცილო იყო (ერთი ისაა, თანაგუნდელთაგან არავის შეუნიშნავს).

ერთი სიტყვით, **თავის დაცვისა თუ მის გარეშე,** ქ-ნი **ხიდაშელი ბრძანებს**, რომ, ყოველგვარი ინიციატივების გარეშეც **არსებობს კანონიერი საფუძველი საიმისოდ, რომ საქართველოს პარლამენტმა თბილისში მუშაობა მოახერხოს.** თუმცა, იქვე დასძინა: „რა თქმა უნდა, გარდა სასესიო სხდომებისა“.

როგორც უნდა იყოს, **თბილისური პარლამენტი მივა ქუთაისთან თუ ქუთაისი მოვა თბილისურ პარლამენტთან,** საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ **მოქმედება განვითარდება სცენარით: „აქაც მე ვარ, იქაც მე ვარ“.**

**თუ,** რა თქმა უნდა, **კონსტიტუცია არ შეიცვალა,** სადაც, თავის დროზე, **მარად საკონსტიტუციო უმრავლესობის მქონე „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ჩაწერა, რომ პარლამენტის ადგილი მხოლოდ ქუთაისშია.**

მეორე მხრივ, თუ საზოგადოების **ერთი ნაწილის რეაქციას გავიხსენებთ, ეს რა არაადეკვატური ინიციატივა შემოგვთავაზა** ბ-ნმა **ტყემალაძემო** და დავამატებთ, რომ **იგივე ნაწილი დიდი სიამოვნებით ადევნებდა თვალს პრომეთეს მღვიმეში** (აი, ყუმისთავი რომ ერქვა და პრომეთესად გადანათლეს, რაკი უფრო ევროპულად ჟღერდა) **მთავრობის სხდომის მიმდინარეობას,** მათი გულისწყრომა მართლაც საფუძვლიანია: ბ-ნი **ტყემალაძის ინიციატივა,** იმასთან შედარებით, **რაც ჩვენს მრავალტანჯულ თვალებს უხილავს**, ბავშვური ანცობაა.

# ჩინელი ინსტრუქტორები

## „ვალები არის ჩემი გამხარებელი“

მაშინ, როდესაც **ჩვენ ჩვენს 8-მილიარდიან საგარეო ვალს დავტირით** და **გულიც გვითრთის, ვაითუ, გავკოტრდეთო**, ცნობილი გახდა, რომ **ჩვენი ოკეანისგაღმელი სულზე უტკბესი პარტნიორის სახელმწიფო ვალმა მხოლოდ ჩინეთთან მიმართებაში,**



2013 წლის ნოემბრის მდგომარეობით, **1,317 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა** (სულ **აშშ-ს ვალი 17 ტრილიონი დოლარია**).

იმავდროულად, **„ბლუმბერგის“ მონაცემებით,** დეკემბრის ბოლოსთვის **ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოქროს რეზერვების ღირებულებამ 3,82 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწია** და ბოლო წლების განმავლობაში **ჩინეთი მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მთავარი ლოკომოტივია** (ჩვენ კი კვლავაც დეპოში ვართ).

აშშ-ს **ნომერ მეორე უცხოური კრედიტორი იაპონიაა – 1,186 ტრილიონი აშშ დოლარი.** უფრო მეტიც, ამ ჩამონათვალში მეთერთმეტე ადგილზე რუსეთიცაა – ნოემბრისთვის **მოსკოვს ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებში 140 მილიარდ აშშ-ურ დოლარამდე აქვს ჩადებული**.

ერთი სიტყვით, ამ ჩვენს **აშშ-ს მსოფლიოს ეკონომიკურად ყველაზე თავისუფალი ქვეყნების ათეული დაუტოვებია** და **მეთორმეტე ადგილზე გადაუნაცვლებია.**

როგორც ამბობენ, **ვალის ზრდის მიზეზი, მათ შორის, გაზრდილი სამთავრობო ხარჯებია** (აი, ვის დავმსგავსებივართ – ჩვენ რა, ჩვენი მთავრობები ემსგავსებიან).

ერთი სიტყვით, ისევ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ვალს თუ დავუბრუნდებით, განსაკუთრებით, **ჩინეთთან მიმართებაში (1,317 ტრილიონი აშშ დოლარი**), ზედაც, **ჩინეთის ოქროს რეზერვებს დავუმტებთ** (3,82 ტრილიონი დოლარი) და გავიხსენებთ**, რომ საქართველოდან ჩინეთში გადარიცხული ფულადი გზავნილების ოდენობა ყოველწლიურად იზრდება** (მაგალითად, გასულ წელს მილიონი აშშ დოლარი შეადგინა), **გალიმებულიც დავრჩებით**!

# ტყვიაზე აცრილები

## და ვირით დანაყრებულები

მართალია, **სურსათის უვნებლობის საკითხმა, მაშინ, როცა „დემოკრატიის შუქურა“ ვიყავით, ჩრდილში გადაინაცვლა**: ოღონდ შემოსულიყო და ლამის **კანიბალიც კი აღმოაჩენდა სათავისო სასუსნავს ამ ჩვენს ბაზარზე** (საზღვარიც ღია იყო და შემოტანილ საქონელსაც არ ჰყავდა პატრონი).

თუმცა, **ეს მაშინ იყო, ხოლო, ახლა, როდესაც თვით „რუსთავი 2-მაც“ კი ააფრიალა უფლებადამცველის დროშა**, მის **მახვილ თვალს ვერ გამოეპარებოდა** და **არც გამოჰპარვია კუმისის ჭალაში აღმოჩენილი ვირებისა და ცხენების არალეგალური სასაკლაო**.

**მათ** მახვილ თვალს **არ გამოეპარა**, **მთავარმა პროკურატურამ საქმე აღძრა** (იმის გამოსავლენად, ვინ გაბედა), ხოლო, **სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 16 იანვრიდან ხორცპროდუქტებით მოვაჭრე ყველა დაწესებულების შემოწმება დაიწყო.**

ჯერჯერობით **უცნობია, რას გამოავლენს** (და **რით დაგვიხეთქავს გულებს**), თუმცა, **არა მხოლოდ ხორცით მოვაჭრე ხორცის გამომყენებელი ობიექტების შემოწმებაც არ გვაწყენდა** (ვინაიდან, **არავინ იცის დაზუსტებით, რისი ხორცი იმალება ხინკალსა თუ შაურმაში).**



ამის პარალელურად, ისიც გაირკვა, რომ **ირანიდან ტყვიის შემცველი მარილიც შემოჰქონდათ. თუმცა,** თუ გავიხსენებთ, რომ, **საქართველოს ბაზარზე არსებული საწვავი ტყვიით საფუძვლიანადაა გაჯერებული**, წესით, **უკვე საკმარისად უნდა ვიყოთ ტყვიაზე აცრილები.**



მეორე მხრივ, თუ ჩვენს უცხოელ პარტნიორებს ვერწმუნებით, **ვირისა და ცხენის ხორცი საკვებად ვარგისია**, ერთი ისაა, **უნდა ვიცოდეთ, რას გვაჭმევენ** (როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით).

ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ვირისა და ცხენის ხორცს** (იქნებ, ძაღლისაც) **არაერთი წელია, ვაგემოვნებთ** (შემმოწმებელს, ბ-ნი ბენდუქიძის ძალისხმევით, წამლად რომ გეძებნა, ვერ იპოვიდი), იქნებ, **ამიტომაც ვგავართ ვირისტვინნაჭამებს?!**

# მოითხოვეთ და მოგეცემათ

## ანუ, შეუტიეთ თქვენც!

**ვირისა და ცხენის ხორცი იქით იყოს, ზედაც, „რუსთავი 2-ის“ მოთქმა-გოდება** – ეს რას გვაჭმევენო (ცნობისთვის: **2012 წლიდან თვით სურსათის ეტიკეტირების დარღვევაზეც კი გაუქმებული იყო სასჯელი, თუმცა, ახლა მგოდებლებს მოწყენის მსგავსსაც კი ვერაფერს ვამჩნევდით**), 2014 წლის **1 იანვრიდან ჯარიმები ამოქმედდა**, არც მეტი, არც ნაკლები, **სურსათის ეტიკეტირების წესების დარღვევისთვის**.





**პირველ ჯერზე წესის დამრღვევი 400 ლარით დაჯარიმდება, მომდევნოზე – 1 200-ით. მოთხოვნები** კი **შემდეგნაირია: სურსათის** თითოეულ **ერთეულზე საფუძვლიანად უნდა იყოს მიმაგრებული ეტიკეტი ქართულენოვანი წარწერით;** სურსათის **დასახელება** და იქვე **შემადგენლობა**. რაც მთავარია, ეს უნდა ხდებოდეს **გამოსაჩენ ადგილას და არა**, ჩვეულებისამებრ, **მოფარებულში.**

აღნიშნული უნდა იყოს, **შეიცავს თუ არა პროდუქტი საკვებდანამატებს** და **იწვევს თუ არა ალერგიას,** ზედაც – **ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების, ვიტამინებ-მინერალური ნივთიერებების ოდენობა** და **ჩამონათვალი**.

ბუნებრივია, **დამზადების თარიღი, ვარგისიანობა, შენახვისა და მოხმარების პირობებიც.** მეტიც, **თუ შენახვის ვადა მცირეა, კონკრეტულად ის თარიღიც უნდა იყოს დაკონკრეტებული ეტიკეტზე**, **რა ვადამდეც იგულისხმება მისი ვარგისიანობა**.

რაც მთავარია, თუ **პროდუქტში 0,9 პროცენტზე მეტია გენმოდიფიცირებული შემადგენელი**, აუცილებლად უნდა მიეწეროს: **„გენეტიკურად მოდიფიცირებული სასურსათო პროდუქტი“.**

მეორე მხრივ, **რაკი უკვე შეიარაღებული ვართ**, სრულ მზადყოფნაში ვიმყოფებით, **შევუტიოთ იმპორტიორებსა თუ სავაჭრო ობიექტებს,** პრინციპით: **მოითხოვეთ და მოგეცემათ**!

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან
ზარი ფასიანია



**კომპანია „სოკარგაზმა“, რომელიც საქართველოს რეგიონებში ანაწილებს ბუნებრივ აირს, სემეკს თხოვნით მიმართა, რომ ამ უკანასკნელმა მას კუმშვადობის კოეფიციენტი დაუდგინოს, რათა კომპანიამ ზამთრის პერიოდში დანაკარგები თავიდან აიცილოს. საბოლოოდ, ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს გარკვეულ თვეებში გაზი გაუძვირდებათ. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საქართველოს საგაზო სექტორის აქილევსის ქუსლი: თვით დედაქალაქშიც კი, არათუ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში, გაზის ტარიფი განსხვავებულია და, ამას გარდა, მაინცდამაინც არც ისაა ცნობილი, რამდენად მსუყე, ანუ, კალორიულია ჩვენს სახლებში შემომავალი ბუნებრივი აირი. საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის წევრი პაატა ცინცაძე განგვიმარტავს, რას ნიშნავს კუმშვადობის კოეფიციენტი, როგორია ჩვენებური გაზის ხარისხი და რატომ არის ჩვენი მომხმარებელი ენერგოკომპანიების ბედნიერებისთვის გაჩენილი.**

# რატომ მოქმედებს საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის განსხვავებული ტარიფები და რატომ არის ტარიფში მუდმივად ასახული ინვესტორების მიერ გაწეული ინვესტიცია



**გაზს ვიღებთ სამი სხვადასხვა წყაროდან: შაჰდენიზის საბადოდან, საკუთრივ „სოკარიდან“ და რუსეთიდან. ბუნებრივია, ამ სამი სხვადასხვა საბადოდან სხვადასხვა კალორიულობის გაზი მოდის**

**– განვუმარტოთ მკითხველს, რას ნიშნავს „კუმშვადობის კოეფიციენტი“, რატომ გახდა მნიშვნელოვანი კომპანიისთვის მისი შემოღება და რით დააზარალებს ის მომხმარებელს?**

– კუმშვადობის კოეფიციენტი აღწერს იმ პროცესს, როდესაც სიცივის, ანუ, ტემპერატურული ცვლილების გამო, გაზი მოცულობაში მცირდება. საერთოდ, გაზის ტარიფი გარკვეული ტემპერატურისთვის დგინდება. ნომინალური ტემპერატურაა 20 გრადუსი. ზამთარში, როდესაც ტემპერატურა ქვემოთ იწევს, გაზი მოცულობას კარგავს და, მრიცხველი, რომელიც სახლში გვიყენია და რომელშიც შედის გაზი, აჩვენებს ნაკლებს, რითაც კომპანია შემოსავალს კარგავს.

**– მაგრამ, ზაფხულში ხომ მეტ შემოსავალს იღებს კომპანია?**

– დიახ, ზაფხულში გაზი ფართოვდება და ამ შემთხვევაში, ზაფხულის კოეფიციენტის შემოტანაა აუცილებელი.

**– ანუ, ზამთარში ნაკლებს აჩვენებს, ზაფხულში – მეტს.**

– რა თქმა უნდა. თითოეულ ასეთ მრიცხველს აქვს თავისი მუშაობის ტემპერატურული დიაპაზონი, როდესაც შეუძლია გაზის რაოდენობის სწორად გაზომვა. თუმცა, მე არ ვიცი, რა ტიპის მრიცხველები უყენია „სოკარგაზს“.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთან, ძირითადად, მზიანი დღეებია, უხეშად რომ ვთქვათ, წელიწადში ძალიან ცივი და ძალიან ცხელი დღეების რაოდენობა აბალანსებს ერთმანეთს და, ამდენად, კომპანიის დანაკარგი დიდი არ უნდა იყოს.**

– დიდი დანაკარგი არ უნდა იყოს, გეთანხმებით, იმიტომ, რომ საქართველო არ არის მაღალი ტემპერატურული რყევების რეგიონში, თუმცა, ზოგიერთ რაიონში, ყაზბეგსა თუ ბაკურიანში, ტემპერატურულმა ცვალებადობამ, შესაძლოა, საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს აღრიცხვაზე. მაგრამ, აქ სხვა რამეშია საქმე. არსებობს მრიცხველები, რომლებსაც უყენიათ ტემპერატურული კორექციის კომპენსატორები, რომლებსაც, თუკი ტემპერატურა შეიცვალა, თავად გადაჰყავთ აღრიცხვის მექანიზმის სხვა რეჟიმში და ზუსტად აღრიცხავენ გაზის რაოდენობას ნებისმიერი ტემპერატურის დროს. ყოველგვარი სუბიექტური მომენტი გამორიცხულია და დაყვანილია ტექნიკის დონეზე. ასე რომ, ყველაზე მართებული იქნება, იმ რაიონებში, სადაც კომპანიას მიაჩნია, რომ, ტემპერატურული რყევების გამო კარგავს შემოსავალს, დააყენოს ისეთი მრიცხველები, რომ, არც მათ იზარალონ და არც მომხმარებელმა. ჩვენთან ზამთარშიც კი არის დღეები, როდესაც ტემპერატურა პლუს 10 გრადუსია, ამ დროს კი არაფერიც არ იკარგება. ახლა რაღაც კორექტირების კოეფიციენტს გამოიყვანენ, რომელიც ან დაემთხვევა რეალობას, ან – არა და, შეიძლება, თვითონ კომპანიამაც იზარალოს, რადგან, საშუალო ტემპერატურაზე გადაანგარიშება საკმაოდ რთულია და საკმაოდ დიდ ცდომილებას მოგვცემს.

**– კუმშვადობის კოეფიციენტის ცვლილება იმოქმედებს ტარიფზე?**

– არა, ტარიფი ტარიფად დარჩება, ოღონდ, თქვენს მრიცხველზე გაზომილი გაზის რაოდენობა გამრავლდება რაღაც კოეფიციენტზე, რომელსაც დაადგენს სემეკი და თქვენ გეტყვიან, რომ მიიღეთ არა 100 კუბური მეტრი გაზი, რაც თქვენს მრიცხველზეა, არამედ – 120 და 120 გამრავლდება ტარიფზე.

**თქვენს მრიცხველზე გაზომილი გაზის რაოდენობა გამრავლდება რაღაც კოეფიციენტზე, რომელსაც დაადგენს სემეკი და გეტყვიან, რომ მიიღეთ არა 100 კუბური მეტრი გაზი, არამედ – 120 და, 120 გამრავლდება ტარიფზე**

**– ამას ვგულისხმობდი. ეს ნიშნავს, რომ მომხმარებელს ხარჯი გაეზრდება, რადგან, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ამას ტარიფის უშუალო ზრდას დავარქმევთ თუ კუმშვადობის კოეფიციენტის შემოტანას.**

– ხარჯი იზრდება, მაგრამ, ორი მომენტია გასათვალისწინებელი: თუ ზამთრის კოეფიციენტი შემოგაქვს, მაშინ, კეთილი ინებე და ზაფხულისაც შემოიტანე და, რაც ყველაზე მთავარია, „სოკარი“ ახალ რაიონებს ამრიცხველიანებს და იქ უნდა დაყენდეს თანამედროვე მრიცხველები, რომლებიც ამ პრობლემას თავად წყვეტენ და ჩვენ არანაირი შეხება და ეჭვი აღარ გვექნება. რაც დაგვეწერება მრიცხველზე, იმას გადავიხდით.

**– რატომ არ უნდა „სოკარს“ მრიცხველების გამოცვლა? მით უმეტეს, რომ მაინც მომხმარებელს ახდევინებს, რატომღაც, ყველა კომპანია მრიცხველის ფასს.**

– მე არ ვიცი, უნდა თუ არა.

**– ფაქტია, არ უნდა, თორემ, რატომ მიმართავდა სემეკს კუმშვადობის კოეფიციენტის შემოტანის თხოვნით?**

– ასეთი მრიცხველები ძვირი ღირს. ახლა მრიცხველში გახდევინებენ 125 ლარს, თანამედროვე ტიპის მრიცხველი კი, შეიძლება, 200 ლარი ან მეტი ღირდეს. ის, რომ ჩვენ გვახდევინებენ ამ მრიცხველის საფასურს, არ მიმაჩნია სწორად.

**– რატომ არის საქართველოს სხვადასხვა რაიონში გაზის ტარიფი განსხვავებული?**

– ეს, შესაძლებელია, იმიტომ, რომ ტარიფი ემყარება მომსახურების ღირებულებას და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ჯდება ამა თუ იმ რეგიონსა თუ რაიონში ამ ბუნებრივი აირის მიტანა.

**– იმდენად მცირე ტერიტორიაა საქართველო, რა დიდი განსხვავება უნდა მოგვცეს? ეს ხომ არ არის ათასობით კილომეტრებზე გადაჭიმული რუსეთი?**

– ეს ცოტა რთული საკითხია: თეორიულად, განსხვავება ტარიფში შეიძლება იყოს. იმ რეგიონებში, სადაც გაზი არ იყო და ახლა შეიყვანეს, კომპანიამ ჩადო ინვესტიცია, რომ გაზი მომხმარებლამდე მიეყვანა და ის ინვესტორმა უნდა დაიბრუნოს, ამაში ვერავის შეედავები.

**– არც ვედავები: რომ დაიბრუნებს ინვესტიციას, შემდეგ დააკლოს ტარიფი და ეს იყოს ასახული ხელშეკრულებაში.**

– ჯერ ერთი, უნდა აღირიცხოს ინვესტიციების გონივრულობა და სისწორე, რომ მაქსიმალურად სამართლიანი ტარიფი დადგინდეს, რათა არც კომპანიამ იზარალოს და არც მომხმარებელი დარჩეს მოტყუებული. ამდენად, სკურპულოზურად უნდა დადგინდეს ტარიფი და, ტარიფის დადგენა მხოლოდ არითმეტიკა არ გეგონოთ, საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ასე რომ, ტარიფებში, შესაძლოა, იყოს განსხვავება რეგიონების მიხედვით.

**– თბილისში ახალი და ძველი აბონენტების ტარიფებს შორის განსხვავებასაც ეს მიზეზი აქვს?**

– ახალ აბონენტად ითვლება ის, სადაც გაზი არ იყო და თავიდან გახდა შესაყვანი – გლდანი, მუხიანი... კომპანიამ ასე დასვა საკითხი: უნდა გავწიო დამატებითი ხარჯი და ეს უნდა ავსახო ტარიფში. თეორიულად, ეს მიდგომა სწორია.

**– ვინმე ითვლის, რამდენით გაზარდა ტარიფი ჩადებულმა ინვესტიციამ, როდის ამოიღებს მას ინვესტორი და როდიდან და რამდენით შეუმცირდება მომხმარებელს ტარიფი? თუ, შემდეგ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასჭირდება უკვე შეყვანილ სისტემას, ახლა იმაში ჩადებს ინვესტიციებს კომპანია და ტარიფი მაინც იგივე დარჩება?**

– 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიყავი მარეგულირებელი კომისიის წევრი. სწორედ იმ პერიოდში განხორციელდა „თელასის“, „გარდაბნის“ პრივატიზაცია. მაშინ მოითხოვეს ამერიკ-

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

**ყოფილი ხელისუფლების არქივებში აღმოჩენილი ვიდეოჩანაწერები უკვე უტყუარი ფაქტია იმის დასტურად, რომ საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება გადაშლილი წიგნივით იყო, ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანონო ფარული თვალთვალისა და მიყურადებისთვის ჯერჯერობით არავინ დასჯილა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ცხოვრება, თუ მთლად გადაშლილი წიგნიც არ არის, ის ჯერ არავის დაუხურავს და წიგნის თაროზე არ დაუდევს. მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ სახელმწიფო თავის მოქალაქეებზე ინფორმაციას ფლობს და უნდა ფლობდეს კიდეც. რამდენად არის დაცული ეს ინფორმაცია და რა ხარისხისა და მოცულობისაა ის? – ამ კითხვებზე პასუხების მიღებას პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელ კახა კახიშვილისგან შევეცდებით.**

# რატომ იყვნენ ვალდებულნი სასტუმროს მეპატრონეები, მიეწოდებინათ ინფორმაცია უცხოელი ვიზიტორების შესახებ „კუდისთვის" პასპორტის ნომრების ჩათვლით

**– ბუნებრივია, სახელმწიფო უნდა ფლობდეს ინფორმაციას მოქალაქეების შესახებ. რამდენად ღრმაა ეს ინფორმაცია?**

– „ნაციონალურ მოძრაობას" ძალიან კარგად ჰქონდა აწყობილი ეს სისტემა. ყველაფერს აკეთებდნენ, რომ თითოეულ ადამიანზე ჰქონოდათ შესაბამისი ფაილები, რომლებშიც ინახებოდა ინფორმაცია: დაწყებული პოლიტიკური ორიენტაციით და დასრულებული იმით, თუ რას საქმიანობდა. თითოეულს პასპორტის მონაცემებში, დაშტრიხულ ჩიპებში ჰქონდა ინფორმაცია საქმიანობის შესახებ და, საზღვრის გადაკვეთისას ეს ინფორმაცია პირდაპირ მიდიოდა საბაჟო სამსახურში. აღარაფერს ვამბობ „კუდისა" და სპეცსამსახურების საქმიანობაზე ადამიანების შესახებ მონაცემების შეგროვების თვალსაზრისით. იცით, რომ არ იყო არც ერთი სასტუმრო, სადაც არ ჰყავდათ შესაბამისი აგენტები და, ზოგ შემთხვევაში, ფარული კამერებიც იყო დამონტაჟებული ნომრებში. ამას ცხადყოფს ის ინფორმაცია, რომელიც დახვდა შს მინისტრს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ და სამხედრო პოლიციაში მოქალაქეების პირადი ცხოვრების ამსახველი ცნობები. ქმნიდნენ სისტემას, რომ თითოეულ ადამიანზე, დაბადების დღიდან დაწყებული დღევანდელობით დამთავრებული, ჰქონოდათ ინფორმაცია. ცნობილია, რომ ინფორმაცია არის ფული, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ამ ინფორმაციას სახელმწიფო აგროვებდა ადამიანებით მანიპულაციის მიზნით. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ტიპის ინფორმაცია გროვდებოდა არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებზე, არამედ, ნებისმიერ იმ ადამიანზე, რომელიც ჩამოდიოდა საქართველოში და, მათ შორის, დიპლომატიურ წარმომადგენლებზეც, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ.

რამდენიმე სასტუმროს მეპატრონეს ვესაუბრე, რომლებმაც მიამბეს, რომ კვირაში ერთხელ აიძულებდნენ, ასულიყვნენ „კუდის" სპეციალურ სამსახურში, სადაც უნდა მიეწოდებინათ ინფორმაცია, თუ ვინ ისარგებლა იმ კვირის განმავლობაში მათი სერვისით, რა მიზნით იყო ჩამოსული, რას ლაპარაკობდნენ დერეფნებში და ვინ მიდიოდა მათთან. მეორე მხრივ, ოცდამეერთე საუკუნეში ყველა ქვეყნის სპეცსამსახური ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოიპოვოს. ახლახან გაირკვა, რომ გერმანიის კანცლერს უსმენდნენ რუსეთიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც.

**– მაგრამ, ის არის გერმანიის კანცლერი და მის მოსმენას აქვს მოტივი, ჩვენს შემთხვევაში კი ლამის რიგითი მოქალაქეების ცხოვრების გაკონტროლებაზეა საუბარი.**

– მე მაინც მგონია, მთელი მსოფლიოა აწყობილი იმაზე, რომ, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ თითოეულ მოქალაქეზე. კონტროლდება ელფოსტები, სოციალური ქსელები და, თანამედროვე სისტემაში კონტროლის უფრო მეტი მექანიზმი აქვს სპეცსამსახურს, დაწყებული ადამიანის ფინანსური მდგომარეობით. იცით, რომ „ქეში" ნელ-ნელა ამოვარდა, ყველა ქვეყანა გადადის საბარათო სისტემაზე, რისი მეშვეობითაც, თუ ამოიღებ ინფორმაციას, სრულ სურათს შეიქმნი, რით სუნთქავს ადამიანი, სად დადის.

**– რას იძენს...**

– გარდა ამისა, სმარტფონების ეპოქამაც თავისი კვალი დაამჩნია ამას: სმარტფონი არის ეგრეთ წოდებული „ჟუჩოკი" ადამიანის ცხოვრებაში. რამდენადაც იაფდება ჩინეთის ბაზარზე სათვალთვალო სისტემები, მით უფრო მეტ ადგილას მონტაჟდება ფარული კამერები ჩვენთან. არ არის დასამალი, რომ ამას აქტიურად იყენებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა". იმავდროულად, ჯერჯერობით ცვლილება ვერ ვნახეთ: ვგულისხმობ ამ ხელისუფლების მიერ უკანონო მოსმენის პრევენციას.



**მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ის მასალა, რომელიც შეეხებოდა დღევანდელ ხელისუფლებას, ანუ, გუშინდელ ოპოზიციას, რომ ამ მასალებით შანტაჟის საშუალება ჰქონოდათ**

**– გასაგებია, რომ საბანკო ოპერაციები, სატელეფონო საუბრები, გადაადგილება ზუსტად აღირიცხებოდა. რამდენად ზუსტად ადგენდნენ, მე რას ვფიქრობდი ძილის წინ?**

– მთელი აგენტურული ქსელი ჰქონდათ: დაწყებული უბნის ინსპექტორით, სასტუმროს მეპატრონითა თუ პერსონალით. როდესაც ვამბობთ, რომ შსს-ში აღმოჩნდა 25 000-ზე მეტი ვიდეოფაილი, ეს მეტყველებს, რომ ძალიან სერიოზული აგენტურა ჰყავდათ სპეცსამსახურებს საქართველოში.

**– ჰყავდა და ჰყავს კიდეც, ალბათ.**

– აქეთ მივდივარ. ჰყავდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პერიოდში და, ბუნებრივია, ეს არქივი დარჩა ახალი ხელისუფლების პირობებშიც. როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ სათვალთვალოთი იყო აღჭურვილი საძინებლები, საძინებელში უცხო ადამიანი ხომ ვერ შევიდოდა?! გამოდის, საახლობლოში ცდილობდნენ, ჰყოლოდათ ისეთი ადამიანები, ვისი მეშვეობითაც შეიტანდნენ სათვალთვალო სისტემას ოჯახებში; ყველასთან არა, მაგრამ, მათთვის საინტერესო ადამიანების გარემოცვას შეისწავლიდნენ, რომ მათგან გამოეკვეთათ ადამიანები, რომელთა „დავერბოვკებაც" უფრო გაუადვილდებოდათ და, როგორც ჩანს, ამ ადამიანების დახმარებით ცდილობდნენ სპეციალური სათვალთვალო სისტემების დამონტაჟებას საძინებლებში. იმიტომ კი არა, რომ ვინმეს სექსუალური გემოვნება გაეგოთ, არამედ, იმისთვის, რომ ეს მასალა გამოეყენებინათ ამ ადამიანით პოლიტიკური მანიპულაციისთვის.

**– უკანონო ვიდეოფაილების ნაწილი განადგურდა...**

– მე მაშინაც ვაცხადებდი და განსხვავებული აზრიც გამოვაქვეყნე და ახლაც გავიმეორებ: მართალია, 25 00-ზე მეტი ფაილიდან 94 გაანადგურეს, მაგრამ, არც ერთი არ უნდა განადგურებულიყო, რადგან, ბოლო რომ მოეღოს თვალთვალს, საჭიროა გამოძიება. როდესაც შენ, ხელისუფალი, აცხადებ, რომ მემკვიდრეობით დაგხვდა 25 000-ზე მეტი ფაილი, რომელიც შეიცავს უკანონო ფარულ თვალთვალსა და მიყურადებას, ეს ნიშნავს, რომ ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს, რომლის გამოძიების ვალდებულება გაკისრია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ამდენად, ჩემი აზრით, არალოგიკური გადაწყვეტილება იყო დანაშაულის შემცველი კვალის განადგურება. კიდევ კარგი, გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეიცვალა და 25 000-ვე ფაილი არ განადგურდა. განადგურდა მხოლოდ ის მასალა, რომელიც შეიცავდა პიკანტურ სცენებს, დანარჩენი, რომელიც შეეხებოდა, თუნდაც, ჟურნალისტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკოსების საქმიანობის თვალთვალს, დარჩა.

**– იმის კითხვა მინდოდა, რატომ არ დაწყებულა გამოძიება, თუ, დაიწყო და ჩვენ არაფერი ვიცით?**

– არ მსმენია. მას შემდეგ, რაც 94 ფაილი განადგურდა, კომისიის სხდომა არ ჩატარებულა. მითხრეს, რომ ორ კვირაში შეიკრიბება და, როგორც კომისიის წევრი, მოვითხოვ ინფორმაციას, რა ღონისძიებები გაატარა შსს-მ დარჩენილ 25 000 ფაილის წარმოშობის გამოიძების მიმართულებით. როდესაც ხელისუფლება გვეუბნება, რომ ფარული ჩანაწერების დიდი ნაწილი გატანილია უცხოეთში, ადგილსამყოფლის დასადგენად, მინიმუმ, საჭიროა, გამოძიებამ გამოავლინოს, ვის ჰქონდა შეხება ამ მასალებთან. თუ გახსოვთ, იყო გადაბარების ერთთვიანი პერიოდი და, არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში ძალიან დიდი მასალა გაიტანეს. ამ მასალასთან, ბუნებრივია, უბნის რიგით ინსპექტორს შეხება ვერ ექნებოდა. ამიტომ, გამოძიების მიერ უნდა დადგინდეს პირთა წრე, რომლებსაც შეხება ჰქონდათ ამ არქივთან; რომ მათი დაკითხვის შემდეგ დაადგინო, სად შეიძლება იყოს გატანილი; ხომ არ მოხდა ამ მასალის გამოქვეყნების მუქარით რომელიმე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შანტაჟი და იძულება, რომ კონკრეტული გადაწყვეტილება მიეღოთ ან არ მიეღოთ. როდესაც ადამიანი გარბის, მას თან მიაქვს ყველაზე მნიშვნელოვანი. ვინაიდან „ნაცმოძრაობა" გაქცევის რეჟიმში იყო, ეჭვი მაქვს, რომ სწორედ ღირებული მასალა გაიტანეს. უბრალოდ, ყველაფერი ველარ გაიტანეს და, შსს-ში, გატანილთან შედარებით ნაკლებად ღირებული მასალა დარჩა. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ბუნებრივია, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა ის მასალა, რომელიც შეეხებოდა დღევანდელ ხელისუფლებას, ანუ, გუშინდელ ოპოზიციას, რომ ამ მასალებით შანტაჟის საშუალება ჰქონოდათ.

**(გაგრძელება მე-11 გვერდზე)**

**სოჭის ოლიმპიადის წინ რუსეთმა აფხაზეთიდან გადაადგილებაც შეზღუდა და საავტომობილო ტრანსპორტსაც კვოტები დაუწესა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის გამიზნული უსიამოვნო სიურპრიზები გამორიცხულია, რადგან ადამიანის, მით უფრო, იმპერიული ბუნების სახელმწიფოს ფანტაზია უსაზღვროა. უსაფრთხოების რა ზომებს იღებს რუსეთის ფედერაცია ოლიმპიადის ეშხით და რატომ შეავიწროვა ამ კონტექსტში თავის მიერ მხოლოდაღიარებული ჩვენი სეპარატისტული რეგიონები, – თემას მამუკა არეშიძე განგვიმარტავს.**

# როდიდან ჩაანაცვლებენ სომხეთ-საქართველოს საზღვარზე სომეხ მესაზღვრეებს რუსები და რატომ ჩაუკეტა საზღვარი აფხაზებს რუსეთის ფედერაციამ ოლიმპიადის დასრულებამდე

**– ფსოუზე გადაადგილების შეზღუდვის მოტივი მხოლოდ ოლიმპიადის უსაფრთხოებაა, თუ კიდევ რა უთხრა ამ ჟესტით რუსეთმა აფხაზეთს?**

– ფაქტია, რომ, უსაფრთხოების თვალსაზრისით, რუსეთს პრობლემები აქვს აფხაზეთში. ნუ დაგვავიწყდება, რომ შარშანწინ ზაფხულში დააპატიმრეს რუსლან ხინთბა, ცნობილი ხამზათ ხინთბას ძმა. მართალია, ანქვაბზე უშედეგო თავდასხმის ავტორად დაასახელეს, მაგრამ მისი დაპატიმრების შემდეგ იპოვეს იარაღის ძალიან დიდი საწყობი, რომელსაც ვერანაირი კავშირი ვერ ექნებოდა ანქვაბზე თავდასხმასთან. მაშინვე ითქვა ვერსია, რომ ეს იარაღი ეკუთვნოდა კავკასიური ისლამური იატაკქვეშეთის, კავკასიის იმარატის აფხაზეთის ფილიალს. მაშინ უკვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ისლამურ იატაკქვეშეთს აქვს დასაყრდენი აფხაზეთში და ისინი სოჭის ოლიმპიადის ჩასაშლელად ემზადებიან. შემდგომში, მოგეხსენებათ, რამდენიმე ისეთი ფაქტი მოხდა აფხაზეთში, რაც ნამდვილად ვერ შეუწყობდა ხელს რუსულ-აფხაზური ურთიერთობების გაჯანსაღებას. განსაკუთრებით ეს ეხება რუსეთის საელჩოს პირველი მდივნის მკვლელობას. თუმცა ობიექტურად უნდა ითქვას, რომ რუსეთს ზოგადად ახასიათებს პერიოდულად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასჯის მცდელობა.

**– ცხინვალელების დასჯის შესახებ ნაკლებად მსმენია.**

– მათაც სჯის ხოლმე. მაგრამ განსაკუთრებით აფხაზებს: ხან საზღვარს დაუკეტავს მანდარინების სეზონის დროს, ხან შეუზღუდავს გადაადგილებას. ახლაც ასეა. საერთოდ, იმ აფხაზების რუსული პასპორტები, რომლებშიც წერია აფხაზეთი, ხშირად რუსეთის რეგიონების მილიციელებისთვის ფარატინა ქაღალდია და ამას აფხაზები ჩივიან. ეს კომბინირებული თემაა: უსაფრთხოებისაც და ერთგვარი გეოპოლიტიკურისაც. რუსეთმა იმდენი ქნა, რომ სოჭის ოლიმპიური თამაშები გეოპოლიტიკურ ფაქტორად აქცია. მოდი, ვთქვათ, ეს შეზღუდვა დაწესებულია მხოლოდ აფხაზეთისთვის თუ სხვებისთვისაც? შეზღუდვები არ არის დაწესებული მხოლოდ აფხაზეთისთვის და ხშირად ქართული მედია ამ აქცენტს მთლად ბოლომდე სწორად ვერ აკეთებს. იგივე მიდგომაა რუსეთის სხვა რეგიონების მიმართ.



**რუსეთისთვის კავკასიაში მთავარი გამაღიზიანებელი არის აზერბაიჯანი და საქართველო სჭირდება იმისთვის, რომ აზერბაიჯანი ჰყავდეს ანკესზე. თუ დაეკეტა საქართველოს გზა, დამთავრებულია აზერბაიჯანის საქმე**

**– მხოლოდ ჩრდილოკავკასიური თუ ყველა რეგიონის მიმართ?**

– უპირველესად, ჩრდილოკავკასიური რეგიონებისადმი. არის სიმკაცრის განსაკუთრებული და ჩვეულებრივი ზომები. მაგალითად, როსტოვის ოლქზე მოქმედებს სიმკაცრის ჩვეულებრივი ზომები. განსაკუთრებული ზომები კი მოქმედებს მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ სამხრეთ ფედერალურ ოლქის, რომელსაც განეკუთვნება კრასნოდარის მხარე, ანუ სოჭი და ჩრდილოეთ კავკასიის ოლქის პირობით საზღვარზე დგას 49 არმია. თუ ჰორიზონტალურად, კავკასიის მთავარი ქედის გასწვრივ დგას 58-ე არმია, მის პერპენდიკულარულად 49-ე არმიაა განლაგებული. რუსეთის თითოეული არმია კი, საშტატო განრიგით, მოიცავს 50 000 კაცს.

**– ანუ ჩვენს ყურის ძირში 100 000 რუსი სამხედრო მოსამსახურეა განლაგებული?**

– მართალია, 58-ე არმიის 50 000-იანი შემადგენლობა გაფანტულია მთელი ჩრდილოეთ კავკასიის გასწვრივ, მაგრამ 49-ე არმია ლოკალურადაა განლაგებული ჩრდილოკავკასიურ და სამხრეთის ფედერალურ ოლქებს შორის.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ოლიმპიადის დროს სოჭში იმოძრავებს 500 მანქანა აფხაზური დროშებით.**

– რუსეთის ყველა რეგიონმა, რომელიც კრასნოდარის მხარეს აკრავს, მიიღო მანქანების კვოტა, მათ შორის, აფხაზეთმაც, 500 მანქანის. ამაში შედის საბარგო მანქანებიც, რომლებმაც წინასწარ შეიტანეს განაცხადი და მსუბუქი ავტომანქანებიც.

**– სატვირთო ავტომანქანებს აფხაზეთიდან რამე გადააქვთ თუ ოლიმპიადის დროს სამუშაოდ მიდიან?**

– ვინ მისცემს სამუშაოს მათ სოჭში?! ამ 500-იანი კვოტის ფარგლებში აფხაზეთის ხელისუფლებამ წინასწარ შეიტანა განაცხადი რამდენიმე ავტომანქანაზე. ეს ეხებოდა ზოგიერთ სამთავრობო მანქანას და რაც მთავარია, სატვირთო მანქანებს, რომლებიც სურსათით ამარაგებენ აფხაზეთს.

**– სოჭიდან აფხაზეთისკენ სამოძრაოდ?**

– რასაკვირველია. მაგრამ, მაგალითად, რუსეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა აფხაზებს ამ კვოტაში „სასწრაფოს“ მანქანების შეყვანაზე.

**– ამ პერიოდში, ოლიმპიადის დამთავრებამდე რომ დასჭირდეთ, აფხაზეთში ვერ შემოვა რუსული „სასწრაფო“?**

– ვერა და სწორედ ამიტომაა, რომ წელიწად-ნახევრის ინტერვალის შემდეგ, ერთი კვირის წინათ, პირველად ჩავიდა ქართული სასწრაფო დახმარების მანქანა სოხუმში და ავარიაში მოხვედრილი გვარად არძინბა ჩამოიყვანა, რომელიც ახლა თბილისის კლინიკაში მკურნალობს. აფხაზებმა დარეკეს, ჩამოდითო, მაგრამ ამას ხმამაღლა ხომ არ იტყვიან აფხაზეთის ოფიციალური წრეების წარმომადგენლები?! რაც შეეხება დროშებს: ყველა მანქანას, რომელიც სოჭის ქუჩებში მოძრაობს, გარდა განმასხვავებელი ნიშნებისა – რუსეთის ყველა ტერიტორიულ წარმონაქმნს აქვს თავისი სამანქანო ნომერი, მათ შორის, აფხაზეთსაც – ბოტზე აწერია, რომელი რეგიონიდანაა. თუ არის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მანქანა, ბორტზე აწერია: „ყარაჩაი-ჩერქეზეთი“, თუ არის აფხაზეთიდან, გვერდზე აწერია – „აფხაზეთი“. აი, ამაზე ატეხეს ერთი ამბავი ქართველმა ჟურნალისტებმა, როგორც წესი, ისე, რომ ბოლომდე არ ჩასწვდნენ ინფორმაციას. რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტებმაც კი აღნიშნეს, რომ სოჭელ ჩინოვნიკებს აფხაზების გაგონებაც არ უნდათ.

**– რა დაუშავეს?**

– მუდმივი კონფლიქტი აქვთ. აფხაზეთსა და რუსეთს შორის არ არის მოგვარებული საკანონმდებლო სივრცე, თუნდაც, პასპორტის ხმარების წესი. აფხაზებს მიაჩნიათ, რომ აქვთ რუსეთის მოქალაქეების სრულყოფილი პასპორტი. სოჭელ ჩინოვნიკებს კი სხვანაირი ცირკულარი აქვთ: რომ ეს არ არის სრულყოფილი პასპორტი და ამ წლების განმავლობაში სულ იყო დავა, ახლა, მით უმეტეს, უფრო გაძლიერდა უსაფრხოების კონტექსტში.

**– იმ 500 მანქანაში ვინც იჯდება, ესეც წინასწარაა დადგენილი?**

– მაგას უკვე მესაზღვრეები ამოწმებენ. არგუმენტაცია უნდა იყოს სერიოზული. ამ პერიოდში სოჭში ტურისტულად ჩასვლა შეზღუდულია. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საქმე უნდა გქონდეს, რომ გაგატარონ. რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, რაზეც აკეთებს აქცენტს ქართული მედია: შესაძლოა, აფხაზებს მისცენ საშუალება, ჩაატარონ კულტურული ღონისძიებები. თითქოს არის ჩანაფიქრი, რომ აფხაზ და ოს ჟურნალისტებს ექნებათ ცალკე ლოჟა.

**– მაგრამ ხომ ითქვა უკვე, არაო?**

– ჩვენ ხომ არ ვიცით, სინამდვილეში რა ხდება?! არადა, ძალიან სასაცილო რამ მოხდა, კრასნოდარის მხარეში ტურნირზე არ დაუშვეს აფხაზი მოჭიდავეები.

**– და ისინი როსტოვის გუნდის სახელით გამოვიდნენ.**

– დიახ, მაგრამ ეს ქართველმა საზოგადოებამ არ იცის. ჩვენთან ჰგონიათ, რომ რუსები ყველანაირად უწყობენ ხელს აფხაზებს. მაგრამ რუსები მასხრად იგდებენ აფხაზებს და ეს არა მარტო აფხაზებისადმი დამოკიდებულების დემონსტრირებაა, არამედ, მესიჯებიცაა ქართული მხარისთვის. ასე რომ, შესაძლოა, მართლაც ჩატარდეს აფხაზური კონცერტი, მაგრამ, თუ ეს გაკეთდა, გაკეთდება ჩერქეზების წინააღმდეგ. იმიტომ რომ, ჩერქეზებისთვის ეს იგივე იქნება, რაც ხარისთვის წითელი ნაჭრის აფრიალება. მიაქციეთ ყურადღება, როგორი დავაა ფორუმებზე ჩერქეზებსა და აფხაზებს შორის, ვის ეკუთვნის სოჭი და როგორ იბევებენ ირივენი ჯიქების უძველეს ტომს. ორივე ამბობს, ჩვენიაო. ეს დავა ძალიან აძლევს ხელს მოსკოვს და, თუ ჩატარდა აფხაზური კონცერტი, ეს ქართველების წინააღმდეგ კი არ იქნება მიმართული, არამედ – ჩერქეზების, რადგან ჩერქეზებს, ფაქტობრივად, არც ერთი სურვილი არ შეუსრულეს რუსებმა ოლიმპიადასთან დაკავშირებით. ყველაზე ზომიერი ჩერქეზული ორგანიზაციები ითხოვდნენ, რომ ოლიმპიადაზე მომხდარიყო მათი სიმბოლიკის პრეზენტირება. ესეც კი არ შეუსრულეს. მთავარი ის არის, რომ, როგორც ყოველთვის, ოლიმპიადის გარშემო ქართული მედია ვერ არის მოწოდების სიმაღლეზე, რომ ზუსტად გააშუქოს ის ამბავი, რაზეც მე ვლაპარაკობ.

**– შეზღუდვები ოლიმპიადის დამთავრებისთანავე მოიხსნება?**

– 21 მარტამდე გაგრძელდება. ოლიმპიადა 14 თებერვალს დაიწყება და სამ კვირაში დამთავრდება. მაგრამ შეზღუდვა ცოტა უფრო დიდხანს გაგრძელდება, სანამ ბოლომდე არ მოასუფთავებენ ყველაფერს.

**– თუკი აფხაზეთის მიმართ რუსეთი მათრახისა და თაფლაკვერის პოლიტიკას იყენებს, ჩვენ მიმართ რაღაც მხოლოდ მათრახი აქვს მომარჯვებული.**

– თაფლაკვერიც არის. ჩვენ ისიც არ

# რა უჯდება შვილების სწავლა სახელმწიფო მინისტრ ალექსი პეტრიაშვილს და რამდენი მიწის ნაკვეთი აქვთ მის მშობლებს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილი 1970 წელსაა დაბადებული თბილისში. თავდაპირველი განათლება (1987-1992 – წლებში) თსუში მიიღო, სპეციალობით, ეკონომიური და სოციალური გეოგრაფია. 2000 წელს კი „ნატოს" თავდაცვის კოლეჯში გაიღრმავა ცოდნა, თუმცა არ არის მითითებული, სახელდობრ, რა მიმართულებით.

მისი შრომითი ბიოგრაფია 1994 წელს დაიწყო სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის საგარეო ურთიერთობათა განყოფილებაში, სადაც ის მთავარ სპეციალისტად 1995 წლამდე მუშაობდა; 1995-1998 წლებში საქართველოს პრეზიდენტის აპარატში გადაინაცვლა, საგარეო პოლიტიკის ანალიზის სამსახურში და სახელმწიფო მრჩეველიც გახლდათ. 1998 წლის მაის-სექტემბერში საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ორმხრივი ურთიერთობების სამსახურის უფროსი გახდა, საიდანაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ გადაიყვანეს (ამ თანამდებობაზე 2001 წლამდე იმუშავა). 2001-2002 წლებში იყო მთავარი მრჩეველი: ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს, ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისა და ვენაში საერთაშორისო ორგანიზაციების, გაეროს ორგანიზაციებში. 2002-2004-წლებში აშშ-ში, მექსიკასა და კანადაში საქართველოს საელჩოს მთავარი მრჩეველი გახდა. 2004-დან 2009 წლამდე კი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იყო თურქმენეთსა და ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში. 2009 წელს პოლიტიკური პარტია „თავისუფალი დემოკრატების" პოლიტიკურ მდივნად აირჩიეს, 2012-ში – უკვე კოალიცია „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს წევრად. 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებით პარლამენტის წევრი გახდა, თუმცა თანამდებობა ოქტომბერშივე დატოვა და ზემოხსენებულ სამინისტროს ჩაუდგა სათავეში.



იმ მარტივი მიზეზით, რომ ხანგრძლივი სტაჟის მქონე ჩინოვნიკია, მის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 1999 წლით თარიღდება, ის ბ-ნმა პეტრიაშვილმა შეავსო, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ. მაშინ ოჯახის საკუთრებაში იყო საცხოვრებელი ბინა თბილისში, ამაღლების ქუჩაზე, 50 000 ლარად ღირებული; კიდევ ერთი საცხოვრებელი ბინის ნაწილი, თბილისში, გლდანის მასივში, ეკუთვნოდა ბ-ნი პეტრიაშვილის მეუღლეს.

იმხანად პეტრიაშვილების ოჯახში დასაქმებულები იყვნენ: თავად ბ-ნი ალექსი; მამა – შოთა პეტრიაშვილი, თბილისის მეოთხე საავადმყოფოს მთავარ ექიმად და დედა – ალინა პეტრიაშვილი, კარდიოლოგიური ინსტიტუტის კარდიოლოგად. შესაბამისად, ბ-ნმა ალექსიმ, როგორც სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილემ, წლიური ხელფასის სახით: 1 055 ლარი აიღო; შოთა პეტრიაშვილმა – 480 ლარი, ხოლო ალინა პეტრიაშვილმა – 240 ლარი.

სულ ბოლო დეკლარაცია ალექსი პეტრიაშვილმა 2013 წლის დეკემბერში შეავსო და ოჯახის წევრებად მიუთითა: მეუღლე, ქეთევან კავთელაძე, შვილები: სალომე (1991 წელს დაბადებული), ნატალი (1996 წელს დაბადებული) და შოთა (2005 წელს დაბადებული), დედა – ალინა პეტრიაშვილი და მამა – შოთა პეტრიაშვილი.

შოთა პეტრიაშვილის საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა ამაღლების ქუჩაზე (143 კვადრატული მეტრი ფართობის); საცხოვრებელი სახლი თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ტბისში (143 კვადრატული მეტრი ფართობის) და იქვე მდებარე მიწის ფართობი – 602 კვადრატული მეტრი ფართობის. ალინა პეტრიაშვილის საკუთრებაა მიწის ნაკვეთი სოფელ ორბეთში (600 კვადრატული მეტრი ფართობის).

ამჯერად პეტრიაშვილების ოჯახში დასაქმებული მხოლოდ ალექსი პეტრიაშვილი და ალინა პეტრიაშვილია. ქ-ნმა ალინამ, როგორც თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა, 2012 წლის განმავლობაში 1 590 ლარი აიღო; ხოლო ალექსი პეტრიაშვილმა, როგორც სახელმწიფო მინისტრმა ორ თვეზე ოდნავ მეტი ხნის განმავლობაში – 19 219 ლარი.

გასულ, 2012 წელს ალექსი პეტრიაშვილმა სწავლის საფასურად, სავარაუდოდ, შვილებისთვის, 14 000 ევრო და 3 000 ლარი გადაიხადა.

**ნინო ხაჩიძე**

---

ვიცით, რომ მოლდავურ ღვინოს ჩაეკეტა რუსეთის საზღვარი, ისევე, როგორც უკრაინულ პროდუქციას.

– **როგორ არ ვიცი, ბალტიისპირულიც მიაყოლეს.**

– თქვენ კი იცით, მაგრამ საზოგადოებამ არ იცის, ამ დროს კი საქართველოს პროდუქცია შედის გრიალით. ეს არის ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმა. გარდა ამისა, აქ უამრავ ბიზნესმენს აგზავნის მოსკოვი სხვადასხვა ფორმით: ზოგს, როგორც მართლმადიდებელ ბიზნესმენს, ზოგს – პირადი კავშირებით, მაგრამ ეს ყველაფერი კრემლის პროექტის ნაწილია, რომ როგორმე თავი მოუქონოს ქართველ საზოგადოებას. ახლა ვიზებზე დაიწყო ლაპარაკი, ილია ჭავჭავაძეც გაახსენდა უცებ პუტინს. თან, პუტინი ისეა მომზადებული, რომ იცის, ვინ არის ილია ჭავჭავაძე. აი, თინა კანდელაკმა არ იცის და ამბობს ნინა ჭავჭავაძე-გრიბოედოვას მამააო.

ილია ჭავჭავაძის გახსენების ჩათვლით, ერთი ხელით ეს კეთდება, მეორე ხელით ივლება მავთულხლართები. ეს რუსეთის კლასიკაა. ფონდ „რუსსკიი მირის" მიერ გამოიყო ფული, რომ საქართველოზე შეიქმნას 5 დოკუმენტური ფილმი. ისინი მიეძღვნება საქართველოს კულტურას, ისტორიას და რუსეთის როლს საქართველოს კულტურაში. ჩვენ პირდაღებულებმა არ უნდა ვუყუროთ არც ერთ ამ ქმედებას: არც ავს და არც კარგს. საქმე ის არის, რომ ერთნაირი მეთოდებით გვიდგებიან ჩვენც და სხვა კავკასიელებსაც. რაც სომხეთს გაუკეთეს, ამას თავმოყვარე ერი არ უნდა იტანდეს. ყველაფერი წაართვეს. აუკრძალეს ევროკავშირში შესვლა და 3 სექტემბერს ხელი მოაწერინეს საბაჟო კავშირში შესვლაზე. მაგრამ ეს არ არის ყველაზე დიდი უბედურება სომხეთისთვის. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ სომხეთის ეკონომიკა მთლიანად გადაიბარა რუსეთმა. რის გაყიდვაც მოასწრეს სომხებმა თავის დროზე, კონიაკის ქარხნების არ იყოს, გაყიდეს, დანარჩენი ყველაფერი ღირებული, რკინიგზა თუ ენერგოსისტემა, რუსეთის ხელშია.

– **ფაქტობრივად, გაანულეს სომხეთის სახელმწიფოებრიობა.**

– მალე საქართველო-სომხეთის საზღვარზე რუსი მესაზღვრეები დადგებიან. თურქეთთან ხომ უკვე დგანან და დგანან. ასე ერთნაირად ექცევიან რუსები ყველა კავკასიელს.

– **მაგრამ აზერბაიჯანი ყველაზე მყარად დგას, თავის დაძვრენას ახერხებს ხოლმე.**

– ასეც არ არის საქმე, უბრალოდ ეკონომიკური სიმდიდრე აძლევს თავის დაძვრენის საშუალებას. გარდა ამისა, აზერბაიჯანის გვერდზე მონოლითურად დგას თურქეთი. თუმცა, როდესაც მოინდომა რუსეთმა, ერთ კვირაში ჩაძირა აზერბაიჯანის მთელი ხილის ბიზნესი. შემდეგ ერთ დღეს ყველა აზერბაიჯანელი გამოყარეს ბაზრებიდან, თუმცა ცოტა ხანში უკან დააბრუნეს. ანუ, თუ დასჭირდათ, ერთ დღეში შეუძლიათ აზერბაიჯანის ეკონომიკის გაჩერება. უბრალოდ აზერბაიჯანის ხელისუფლება უკან იხევს ხოლმე. მართალია, გაუთავებლად ლაპარაკობს ყარაბაღის იარაღით დაბრუნებაზე, მაგრამ ვერაფერსაც გააკეთებს. ასე რომ, რუსეთი აზერბაიჯანსაც აკონტროლებს იმდენად, რამდენადაც სჭირდება. თურქეთი რომ არ იყოს, ბოლომდე გააკონტროლებდა. რუსეთისთვის კავკასიაში მთავარი გამაღიზიანებელი არის აზერბაიჯანი და საქართველო სჭირდება იმისთვის, რომ აზერბაიჯანი ჰყავდეს ანკესზე. თუ დაეკეტა საქართველოს გზა, დამთავრებულია აზერბაიჯანის საქმე.

– **ეყოფა რუსეთს რაციონალიზმი, ოპტიმალური პოზიცია დაიჭიროს საქართველოს მიმართ? თავის დროზე მოწინააღმდეგედ ჩვენ რომ არ ავერჩიეთ და აერჩიათ სეპარატისტები, ნაკლები სისხლი დაიღვრებოდა, სხვა რომ არაფერი. რატომ არ გვენდობა?**

– რუსული პოლიტიკური და დიპლომატიური ტრადიციაა, რომ საქართველოს არ უნდა ენდოს, თორემ თვითონ ქართველები უამრავჯერ გამოუყენებია. და ეს უნდობლობა 1801 წლიდან მოდის, ეს ნაღმი თვითონ რუსეთმა ჩადო, როდესაც პირველად მოიტყუა. ამდენად, მას შემდეგ ქართულ-რუსული ურთიერთობები სულ სიცრუეზეა აგებული. ყველაფერი იყო ფსევდო, თუმცა ადამიანურ დონეზე დაახლოება ხდებოდა და ოჯახებიც იქმნებოდა. მაგრამ მაღალ დონეზე პოლიტიკა ყოველთვის ტყუილზე იყო აგებული, მაშინაც კი, როდესაც რუსეთს ქართველები მართავდნენ. ჩვენ არ ვიყენებთ ისტორიულ გამოცდილებას და ხელისუფლებაში მოდიან ადამიანები, რომლებმაც არ იციან თავიანთი ქვეყნის 10 წლის წინანდელი ისტორიაც კი. აი, ეს არის ჩვენი უბედურება.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0902200200
SMS – 93094
დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან
ზარი ფასიანია



# როგორ მოიპოვა პოპულარობა ევროპაში უგო ბაგრატიონმა

1985 წლის 14 თებერვალს გიორგი (ხორხე) ბაგრატიონ-მუხრანბატონს შეეძინა მეოთხე შვილი, რომელსაც დაარქვეს ბაგრატიონების დიდი წინაპრის – გუარამ ერისმთავრის სახელი – გურამი, ხოლო მეორე სახელად მამამ შეურჩია



თავისი პაპის, იტალიელი გრაფის სახელი – უგო.

ბაგრატიონების ქართლის (მუხრანული) შტოს მეთაური ოჯახი იძულებით ემიგრაციაშიც არ არღვევდა ტრადიციას და ბავშვებს ჩვილობის ასაკში ნათლავდა.

გვარამ (გუარამ) ერისმთავარი ისტორიული პიროვნებაა, სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთას“ მიხედვით, იგი ბაგრატიონია:

„ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე ქართლისა ბაგრატონიანნი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი...

...მას ჟამსა კათალიკოზი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩივეს გუარამ, დავითის ნათესავისაგან“...



575 წელს ქართლის დიდებულები შეიკრიბნენ და გუარამ ბაგრატიონი აირჩიეს ერისმთავრად. ამ დროს მეფობა ქართლში გაუქმებული იყო სპარსელების მიერ (ზოგი ვარაუდით, ერთ ნაწილში არ იყო გაუქმებული).



ქართლის ერისმთავრებს თუმცა მეფე არ ეწოდებოდათ, მაგრამ, ისინი მეფეთა ტახტზე ისხდნენ. წყაროებშიც ხელმწიფეებად, ხანდახან მეფეებად მოიხსენებიან. 888 წელს ადარნასე მეორემ, სუმბატ დავითის ძის მიხედვით, გვარამის შთამომავალმა, თავი ქართველთა მეფედ გამოაცხადა. დღევანდელი ბაგრატიონები არიან ამ ადარნასე მეფის შთამომავლები.





ბაგრატიონებს ჰქონდათ ტრადიცია – შვილებს ძირითადად ქრისტიანულ, ქართულ, ტრადიციულ სახელებს არქმევდნენ და ეს ტრადიცია დღემდე შეინარჩუნეს. განსაკუთრებით პოპულარული იყო სახელები: გიორგი, ბაგრატი, დავითი... სახელი გურამიც (გუარამიც) გვხვდება წყაროებში. გიორგი ბაგრატიონმა თავის შვილებს სწორედ ტრადიციულად შეურჩია სახელები: უფროს შვილს დაარქვა მარიამ ანტუანეტა – თავისი დედის, იტალიელი გრაფინია მარია ანტუანეტა პასკუინის პატივსაცემად, რომელიც მასზე მშობიარობას გადაჰყვა. გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონის ასული მონათლულია როგორც მარიამი; უფროს ვაჟს სათაყვანებელი მამის სახელი – ირაკლი უწოდა (ირაკლი მათ შტოში და, საერთოდ, ბაგრატიონებში გავრცელებული სახელია); მეორე ვაჟს – დავითი, უდიდესი ქართველი მეფისა და ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის სახელი, რომლის შთამომავლებადაც მიიჩნევენ თავს ბაგრატიონები; ნაბოლარა შვილს კი, როგორც ვთქვით,



გურამი დაარქვეს, მეორე სახელი კი მარია ანტუანეტას მამის, გრაფ უგო პასკუინის პატივსაცემად უწოდეს.

გიორგი ბაგრატიონ-მუხრანბატონი შვილებს ქართული სულისკვეთებით ზრდიდა: აცმევდა ჩოხას, ასმენინებდა ქართულ სიმღერებს; სახლში, რა თქმა უნდა, ჰქონდათ სამფეროვანი დროშა საქართველოსი...

გიორგი ბაგრატიონს სამი შვილი პირველ მეუღლესთან, მარია დე ლას მერსედეს დე ზორნოზა ი პომსე დე ლეონთან შეეძინა. შემდეგ იქორწინა ნურია ლოპეს ი ოლიარტზე, რომელთანაც შეეძინა გურამი (უგო). ბაგრატიონთა ქართლის შტოს მეთაური თავის შვილებს ერთმანეთის სიყვარულს ასწავლიდა, როგორც შეეფერება ქართულ ტრადიციებს.




უფლისწული უგო სწავლობდა ევროპის ბიზნესუნივერსიტეტში, მადრიდსა და ლონდონში... სამი წელი მუშაობდა სახელმწიფო პიარმენეჯერის თანამდებობაზე (ეს სააგენტო ემსახურება დომენიკის რესპუბლიკის, ფილიპინების, მალაიზიის, კუვეიტის, საუდის არაბეთის სამეფოს, ნიგერიის, ჩილეს, ბრაზილიის, ინდონეზიის მთავრობებს); თანამშრომლობდა სხვადასხვა გაზეთებთან: The Daily Telegraf (დიდი ბრიტანეთი), Usa Todey (აშშ), The Times of London (დიდი ბრიტანეთი), El Pais (ესპანეთი), Finansial Times (მთავარი რედაქციის ოფისი ლონდონში, გამოდის 24 ქვეყანაში).



მასაც, მამასა და ძმასავით, იტაცებს სპორტული რბოლა; მანაც, მამასა და ძმასავით მოტოციკლეტით დაიწყო...



ვინც იცნობს უგოს, დაგვეთანხმება, რომ ის თავმდაბალი, უბრალო და ხალასი ახალგაზრდაა; გამარჯობასა და მოკითხვას ვერ დაასწრებს კაცი; არის გალანტური და აქვს დახვეწილი მანერები; ძალიან უყვარს ბავშვები და მათთანაც ადვილად ახერხებს საერთო ენის გამონახვას.



ევროპაში და მსოფლიოში საკმაოდ პოპულარულია – მისით არაერთი გამოცემა დაინტერესდა. მშვიდი, დინჯი, მეგობრული და გულგახსნილია, დასამალი არაფერი აქვს. „მე ვარ გადაშლილი წიგნი“, – უთხრა ერთ-ერთ ჟურნალისტს სანტა დომინგოში, როცა მისი სურათი ჟურნალის გარეკანზე უნდა გამოექვეყნებინათ.

საერთოდ, უფლისწულები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულები არიან, და, არა მარტო მოქმედი სამეფო ოჯახების პრინცები, არამედ, რესპუბლიკური წყობის ქვეყნების ყოფილი დინასტიების წევრებიც – მათ ყოველ ნაბიჯს აკვირდება ხალხი და მედია.



ქართულს კარგად რომ ისწავლის, უგო არც ქართულ მედიას დასწყვეტს გულს, მანამდე კი თავს იკავებს... ესპანეთში დაიბადა, გაიზარდა და, ამიტომ, იცის ესპანური, ფრანგული, ინგლისური.

ახლა ქართულს სწავლობს თბილისში, ქართული ენის ცენტრში.

უყვარს მუსიკა და ლიტერატურა.

უფროს ძმას, უფლისწულ დავითს, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ ბაგრატიონთა ქართლის შტოს მეთაურობა ჩაიბარა, უგო საქართველოში ჩამოჰყვა და აქ აპირებს ცხოვრებას. სამშობლოში მამასთან ერთადაც ხშირად ჩამოდიოდა. როგორც ყველა ქართველს, თავის მოვალეობად სამშობლოს სამსახური მიაჩნია.

იგი მხარში უდგას დავით მუხრანბატონს ოჯახისა თუ დინასტიის საქმეებში; განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს თავის ძმისწულთან – უფლისწულ გიორგისთან.

მისი იდეალია დავით აღმაშენებელი. თვითონ დავით აღმაშენებლის 28-ე შთამომავალია, თავისი დიდი სეხნია წინაპრის, გუარამ ერისმთავრის კი – 50-ე შთამომავალი.

**გიორგი მახობეშვილი**

# რატომ მოქმედებს საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის განსხვავებული ტარიფები და რატომ არის ტარიფში მუდმივად ასახული ინვესტორების მიერ გაწეული ინვესტიცია

(მე-6 გვერდიდან)

ელებმა ძალიან მაღალი ტარიფები ელექტროენერგიაზე. რა თქმა უნდა, ყველაფრის დათვლა შეიძლება ზუსტად: რა ინვესტიციებია ჩადებული, რა ვადით. მაგალითად, „ეი ი ესს“ ჩადებული ინვესტიციები უნდა დაებრუნებინა 8 წელიწადში და ამის შემდეგ ტარიფი უნდა შემცირებულიყო. არავინ უპირებდა მათ ამ ვადის გაგრძელებას. ჩვენ დროს ისინი ითხოვდნენ 22 თეთრს და 7 თეთრი მიიღეს, რის გამოც ამერიკის იმდროინდელმა ელჩმა კინაღამ გადაგვდგა, მაგრამ, ეს ჩვეულებრივი პროცესი იყო. ასეა თუ ისე, 2008 წლის ოქტომბრიდან ელექტროენერგიის ტარიფი უნდა გადასინჯულიყო.

**– არადა, პირიქით, მოიმატა.**

– იგივე დარჩა, უბრალოდ, საფეხურეობრივი ტარიფი დაწესდა.

**– რაც მაინც მომატებაა.**

– და დაემატა ის, რომ 2025 წლამდე ეს ტარიფი ექნება, რაც სწორი არ არის.

**– ის მაინც თუ იცის ვინმემ, ამოიღო „რაომ“ ინვესტიციები?**

– ამას არ აქვს მნიშვნელობა, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ 2008 წლიდან ტარიფი უნდა გადახედულიყო, რაც ნიშნავდა შემცირებას?! ბოლოს და ბოლოს, „თელასს“ ვალებულება ჰქონდა, აეშენებინა ჰიდროელექტროსადგური არაჩვეულებრივი პირობებით: ჩვენ ვიხდიდით იმ ელექტროსადგურის ფულს, იმიტომ რომ, ეს თანხა დევს ტარიფში. მაგრამ, „თელასმა“ არ ააშენა და ამის ხარჯზე 400 მილიონი ლარი უკვე მიიღო, შეიძლება, მეტიც. მათ 2008 წელს დადეს პირობა: არ შემიმციროთ ელექტროენერგიის ტარიფი და ამის ხარჯზე ავაშენებ ჰიდროელექტროსადგურსო. სხვა თემაა, იყო თუ არა გონივრული გადაწყვეტილება ჩვენი მხრიდან ამაზე დათანხმება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ახალი 100-მეგავატიანი ჰიდროელექტროსადგური არ გვაწყენდა; მაგრამ, რომ არ აშენდა?! რას ველოდებით?! რატომ არ დგება საკითხი, რომ ტარიფი შემცირდეს და დაგვიბრუნდეს ის 400 მილიონი, რაც მე და თქვენ გადავიხადეთ?!

> **„თელასმა“ არ შეასრულა ვალდებულება, არ ააშენა ჰიდროელექტროსადგური და ამის ხარჯზე 400 მილიონი ლარი უკვე მიიღო, შეიძლება, მეტიც**

**– თუ მომხმარებელი არ გადაიხდის ელექტროენერგიის საფასურს, უჭრიან სადენებს. „თელასის“ მიმართ არ არის გათვალისწინებული სანქციები შეუსრულებელი ვალდებულებების გამო?**

– არის ეს მექანიზმები, ძირითადად, ტარიფის საშუალებით. ერთი თეთრითაც რომ შეამციროს ტარიფი, წელიწადში ეს არის 17 მილიონი და 25 წელი უნდა ველოდოთ ჩვენი ფულის დაბრუნებას, ხოლო, თუ ამ ფულის რეალურ ღირებულებას გავითვალისწინებთ, არც კი ვიცი, რას მივიღებთ 20 წლის შემდეგ. ასე რომ, სერიოზული თემაა, რა ვადებში უნდა დააბრუნოს და როგორ. ბოლო 10 წელია, სემეკი, ფაქტობრივად, არ არსებობდა. თუ ახლანდელი ხელმძღვანელობა, როგორც ქვეყნის, ისე რეგულატორის, გადაწყვეტს, რომ რეგულატორი იყოს დამოუკიდებელი და ამას რეგულატორი შეძლებს, ეს ძალიან კარგი იქნება ქვეყნისთვისაც, მომხმარებლისთვისაც და ინვესტორისთვისაც.

**– ისევ გაზის თემას დავუბრუნდეთ: სემეკმა უნდა გასცეს ნებართვა კუმშვადობის კოეფიციენტის დადგენაზე. რატომ უნდა გასცეს, თუ ზაფხულისთვის არ იქნება დადგენილი კუმშვადობის კოეფიციენტი?**

– ეს შესაძლებელია მხოლოდ სემეკის ნებართვით და გარკვეული ვადით. როგორც ვიცი, ეს მოხდება რამდენიმე ქალაქში და ყველაზე ხანგრძლივი ვადა ამ კოეფიციენტის გამოსაყენებლად მიცემული აქვთ 2014 წლის ბოლომდე. ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში ეს იქნება უფრო ნაკლები ვადით – 3-4 თვით. რაც მთავარია, კუმშვადობის კოფიციენტი იმოქმედებს მხოლოდ წლის ბოლომდე. ჟურნალისტების მონიტორინგი სწორედ ამისთვის გვჭირდება, შეასრულებს თუ არა ამ პირობას კომპანია.

**ნინო ხაჩიძე**

# რატომ იყვნენ ვალდებულნი სასტუმროს მეპატრონეები, მიეწოდებინათ ინფორმაცია უცხოელი ვიზიტორების შესახებ „კუდისთვის“ პასპორტის ნომრების ჩათვლით

(მე-7 გვერდიდან)

მათ კარგად იციან ინფორმაციის ფასი, ამიტომ, ბუნებრივია, მაინტერესებს, დაიწყო თუ არა ამ თემაზე გამოძიება.

**– ამბობთ, რომ გამოძიებით უნდა გამოვლინდეს პირთა ჯგუფი, მაგრამ, გამომვლენი თუ არის გამოსავლენი?**

– სახელმწიფო სტრუქტურებში იყვნენ მოხელეები, რომლებიც თავიანთი საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, მაგრამ, იმავდროულად, ყველა უწყებაში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ინიშნებოდნენ თანამშრომლების პოლიტიკური ნების კონტროლისთვის. ისინი უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. ასეთი ადამიანების დიდი ნაწილი დღეს უმაღლეს თანამდებობებზეა. ამდენად, შესაძლებელია, ამან გარკვეული პრობლემა წარმოქმნას. სკანდალური განცხადება გააკეთეს გადამდგარმა პროკურორებმა, რომ უშუალო უფროსი არ აძლევდა საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას. ბუნებრივია, შესაძლებელია, ვიღაც ამ კუთხითაც უშლიდეს ხელს ობიექტური გამოიძების ჩატარებას, რათა, ობიექტური გამოძიების ჩატარების შემთხვევაში, მათივე ბრალეულობის საკითხი არ დადგეს.

**– ერთია ჩანაწერები და უკანონოდ მოპოვებული ინფორმაცია, მაგრამ, მეორე – მოქალაქეების პერსონალური ინფორმაცია.**

– ჩვენ არ ვიცით, რა ინფორმაცია ინახება ახალი პირადობის მოწმობების ჩიპებში ჩვენ შესახებ; შესაძლოა, ძალიან ბევრი ისეთი ინფორმაციაა ჩაწერილი, რაც არ უნდა იყოს და, შეიძლება, აღმოჩნდეთ სიტუაციაში, როდესაც საზღვრის გადაკვეთისას პასპორტის შემოწმების დროს, თქვენი არა მხოლოდ ვინაობა და დაბადების წელი შეამოწმოს მებაჟემ, არამედ, სხვა ინფორმაციაც იცოდეს თქვენ შესახებ, რომელიც, წესით, საიდუმლო უნდა იყოს.

**– იმის კითხვა მინდოდა, შეიძლება, რომ, მათაც, ვინც აღარ არის ხელისუფლებაში, მიუწვდებოდეს ხელი ჩვენს საიდუმლო პერსონალურ ინფორმაციაზე?**

– ძალიან საინტერესო კითხვაა. ბოლო პერიოდში „ნაცმოძრაობა“ იმდენად იყო დარწმუნებული, რომ ხელისუფლებაში 30 წელი იქნებოდნენ, ძირითადად, ურთიერთკონტროლით იყვნენ დაკავებულნი. მოგეხსენებათ, პროკურატურას პირდაპირი წვდომა ჰქონდა სასამართლოს არქივთან. სულ ახლახან პარლამენტის საინფორმაციო უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პარლამენტის ქსელის მართვის პულტი ადეიშვილმა ძალით დაამონტაჟებინა და, ბუნებრივია, პროკურატურას წვდომა ჰქონდა პარლამენტარების ელექტრონულ ფოსტაზე. დღეს ეს სისტემები ისევ დარჩა; პროკურატურაში ელექტრონული წარმოების სისტემაა, რომელიც ადეიშვილის დროს დაინერგა. „აი ტი“ თანამშრომლები კი არიან ადამიანები, რომლებიც ადრე „კუდში” მუშაობდნენ, ხოლო დღეს ემსახურებიან პროკურატურას. ამდენად, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ, შესაძლოა, ვინმეს ჰქონდეს წვდომა თუნდაც იმ ელექტრონულ ინფორმაციასთან, რომელიც დღეს ივსება პროკურატურაში და, სულაც არ გამიკვირდება, თუ კონკრეტული საქმეების ჩვენებებს ადვილად კითხულობს ვიღაც უცხოეთში, იმიტომ რომ, შესაბამისი კოდი და პაროლი იცის.

> **თითოეულ ადამიანს პასპორტის მონაცემებში, დაშტრიხულ ჩიპებში ჰქონდა ინფორმაცია საქმიანობის შესახებ და საზღვრის გადაკვეთისას ეს ინფორმაცია პირდაპირ მიდიოდა საგაჟო სამსახურში**

**– და, შემდეგ ეს ინფორმაცია უკან ბრუნდება არეულობის შემოსატანად.**

– ინფორმაციული ტექნოლოგიები იმ უპირატესობას აძლევს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ გვაკონტროლონ.

**– ახლა გამოდის, რომ ყველას აქვს ჩვენი კონტროლის საშუალება – წასულებსაც.**

– რა თქმა უნდა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რაღაც აპარატურა „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ გატანილი ექნება. არ ვარ სპეციალისტი, მაგრამ, ბევრი სიურპრიზი გველოდება, როდესაც ხელისუფლება შეძლებს და გააკონტროლებს ყველაფერს. მე ჯერჯერობით ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ბოლომდე თვითონ ხელისუფლებაც არ არის გარკვეული, რა ტექნოლოგიები იყო ჩანერგილი ამა თუ იმ უწყებაში.

**– გაარკვევს?**

– ეს დამოკიდებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მათ კვალიფიკაციაზე.

**ნინო ხაჩიძე**

**32 წელია, რაც ალექსანდრე გეჯაძე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაში მუშაობს, მის პროფესიულ „ანგარიშზე" ბოლო პერიოდის ბევრი რეზონანსული და გახმაურებული საქმეა. თუმცა, ის დროც ახსოვს, როცა ეგრეთ წოდებულ „არამიანცის" მორგში კოლეგებთან ერთად, გაკვეთის რეკორდულ მაჩვენებელს აღწევდა, და ისიც, თუ როგორ უწევდა ახალდაქორწინებულ წყვილებთან „ქალწულობის ინსტიტუტის" დაცვა. დღეს ალექსანდრე გეჯაძე დამოუკიდებელ სასამართლო-ექსპერტიზის ცენტრს „ვექტორს" ხელმძღვანელობს, სადაც დღეს თანამედროვე მეთოდიკით ისეთი ექსპერტიზის ჩატარებაც კი ხდება, რაც ერთი შეხედვით ფანტასტიკის სფეროს შეიძლება მიაკუთვნოთ.**

# ვისთვის გამოჰქონდა სამედიცინო ექსპერტს, ალექსანდრე გეჯაძეს ქალიშვილობის „ვერდიქტი" და რა აღმოაჩინა მან კანონიერი ქურდის კუჭში

**ალექსანდრე გეჯაძე**: დამოუკიდებელი სასამართლო-ექსპერტიზის ცენტრი „ვექტორი" 2005 წელს დაარსდა. მე თავად პროფესიით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი გახლავართ. 2004 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის უფროსის მოადგილედ. ჩვენი ცენტრის საქმიანობის მთავარი მიმართულება თავიდანვე იყო სამედიცინო-საექსპერტო საქმიანობა. ჩვენ დავიწყეთ მუშაობა პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საექიმო დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით. ვატარებდით გვამების ექსპერტიზას იმ შემთხვევებში, როცა სახელმწიფო სექტორის მიერ გაცემული დასკვნები ეჭვსა და უნდობლობას იწვევდა. ჩვენს საქმიანობას მალევე დაემატა და დღემდე ვმუშაობთ ცოცხალ პირთა ექსპერტიზაზე – თუ რა ხარისხის დაზიანება მიიღო ადამიანმა ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, შეეძლო თუ არა საკუთარი ხელით მიეყენებინა ესა თუ ის დაზიანება, ხომ არ არის ცდომილება ამ დაზიანებების ხანდაზმულობაში და ასე შემდეგ. ვმუშაობთ სქესობრივ სფეროში ჩადენილ ფაქტებზე: ვადგენთ, აქვს თუ არა ადგილი გაუპატიურების მცდელობას, საქალწულე აპკის დარღვევის ხანდაზმულობას, სქესობრივი შეუღლების უნარს, ანუ აქვს თუ არა მამაკაცს ფიზიკური შესაძლებლობა და პოტენციალი სქესობრივი აქტის დამყარებისთვის, ასეთი შემთხვევები ძალიან ხშირია, როცა სქესობრივ ძალადობაში ხანდაზმულ მამაკაცებს ამხელენ. ჩვენთან ხდება კომპლექსური გამოკვლევები. ჩვენს ცენტრთან თანამშრომლობენ მედიცინის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: კარდიოლოგი, უროლოგი, მეან-გინეკოლოგი. ჩვენი ექსპერტები არიან ისეთი ცნობილი ექიმები, როგორებიც არიან: ჩაჩავას სახელობის ინსტიტუტის დირექტორი პალიკო კინტრაია, ქირურგიის ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტი გიორგი შარაშიძე, ევროპის კარდიოლოგთა ასოციაციის წევრი თამაზ არეშიძე, ანგიოლოგი მერაბ ბოხუა და ასე შემდეგ. გარდა სამედიცინო პროფილისა, ცენტრი მუშაობს სხვა მიმართულებითაც. ცენტრის დაფუძნებიდან საკმაოდ მალე, შეიქმნა საჭიროება, რომ გაგვეფართოებინა ჩვენი რესურსი და დავიწყეთ მუშაობა საფინანსო-საბუღალტრო, საინჟინრო და ყველა სახის სასაქონლო ექსპერტიზაზე, მოძრავი და უძრავი კვლევის ობიექტებზე, ავტოტექნიკურ, კრიმინალისტიკურ და გრაფიკულ ექსპერტიზაზე. ეს უკანასკნელი მოიცავს კვლევას ესა თუ ის ხელმოწერა კონკრეტულ პიროვნებას ეკუთვნის თუ არა. გრაფიკული ექსპერტიზის დროს უკვე იმის დადგენაც კი ხდება, მარცხენა ხელითაა დაწერილი თუ მარჯვენათი, ფეხზე მდგომმა მოაწერა ხელი თუ მჯდომიარემ. დაკვეთის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ეკოლოგიური და ქიმიური ექსპერტიზის ჩატარების გამოცდილება. ვმუშაობთ ფონოსკოპიურ ექსპერტიზაზე – არის თუ არა აუდიო ან ვიდეომასალაში მონტაჟი. ჩვენი მიმართულებაა ასევე ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზებიც – რეალურად ვინ არის გამოსახული ამა თუ იმ მასალაზე. მაგალითად, ჩვენ დაგვიკვეთეს ვიდეოფონოსკოპიური ექსპერტიზა, რომელიც ლევან გაჩეჩილაძის შვილთან იყო დაკავშირებული. ჩვენ გადმოგვეცა ფარული კამერით გადაღებული ვიდეომასალა, რომლის მიხედვითაც უნდა გამოგვეკვლია, რა ეჭირა ხელში პატარა „გრეჩიხას" რესტორანთან მომხდარი გახმაურებული ინციდენტის დროს. ჩვენ დავდეთ დასკვნა, რომ მას ხელში არ სჭერია დანის მსგავსი ობიექტი. ამ დასკვნამ არსებითად შეცვალა გამოძიების პოზიცია. 2005 წლიდან ხელისუფლების ცვლილებამდე ყველაზე მასიურად დაკვეთები იყო პატიმრების ჯანმრთელობის ექსპერტიზაზე. ჩვენი ცენტრის მიერ გაკეთებული დასკვნები მიდიოდა სტრასბურგის სასამართლოში, რადგან დაკვეთების უმეტესობა იმ პერიოდის ცნობილ ადვოკატებს ეკუთვნოდა, რომელთა ერთი ნაწილი დღეს პოლიტიკაშია. ისინი ძირითადად გახმაურებულ საქმეებზე მუშაობდნენ, შესაბამისად, ჩვენი ცენტრის მიერ გაცემული დასკვნები ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანი იყო რეზონანსულ თემებზე.



ვადგენთ, აქვს თუ არა ადგილი გაუპატიურების მცდელობას, საქალწულე აპკის დარღვევის ხანდაზმულობას, სქესობრივი შეუღლების უნარს

**– თქვენ მუშაობდით ძალიან ბევრ გახმაურებულ საქმეზე, მათ შორისაა, გარდაცვლილი სერგო თეთრაძის საქმეც. თქვენმა ცენტრმა სახელმწიფო ექსერტიზისგან განსხვავებული დასკვნა დადო. გარდაცვალებიდან რამდენ ხანშია შესაძლებელი, გვამის ექსჰუმაციის შედეგად, გარდაცვალების რეალური მიზეზის დადგენა?**

– ექსჰუმაცია ეფექტურია და თითქმის ყოველთვის იძლევა შედეგს, როცა დაზიანებულია ძვლოვანი სხეული. რა დროც არ უნდა იყოს გასული გარდაცვალებიდან, თუნდაც ათი წელი, ძვლის დაზიანების შემთხვევაში, ექსპერტიზის დასკვნას წყალი არ გაუვა. როცა აფრასიძეების საქმეზე ამბობდნენ, რომ ერთ-ერთ აფრასიძეს თითი მოაჭრეს და ისე მოხსნეს ბეჭედი, მე ვამბობდი, ჩატარებულიყო ექსჰუმაცია და იმის მიუხედავად, რომ დრო იყო გასული, მაღალი ალბათობით კვალი უნდა ყოფილიყო დარჩენილი. იგივეს ვამბობდი ზურაბ ჟვანიას საქმეზეც. როცა ითქვა, რომ მას თავში ჩაარტყეს საფერფლე. ექსჰუმაცია აუცილებლად დადებდა ამ ვერსიის „პასუხს". ექსჰუმაციის შედეგი საეჭვოა მაშინ, როცა პრობლემა დგას რბილ ქსოვილებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევებში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გარდაცვალების ვადას – დროის პერიოდს, როცა გარდაიცვალა ობიექტი და ნიადაგს, სადაც დასაფლავებულია გვამი. ნესტიან ნიადაგში ლპობის პროცესი სწრაფად მიდის, არის შემთხვევები, როცა გვამის გამოშრობა ხდება ჩირივით და ცხედარი უფრო შენახულია. ჩვენ რომ სერგო თეთრაძის გარდაცვალების საქმეზე ვმუშაობდით, ძალიან შეგვიშალა ხელი დრომ, რომელიც მისი გარდაცვალებიდან იყო გასული. მოგეხსენებათ, ამ საქმეში ძალიან ბევრი გაურკვევლობა და კითხვის ნიშნები იყო. სასჯელაღსრულების მერვე დაწესებულებაში შეყვანიდან მესამე თუ მეოთხე დღეს გარდაიცვალა. სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებამ დადო დასკვნა, რომ სიკვდილი განაპირობა გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობამ. ჩვენ გამოვითხოვეთ გარდაცვლილის დოკუმენტაცია თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი პოლიკლინიკიდან. ძალიან საინტერესო ფოტო წარმოადგინა ჭირისუფალმა, რომელიც გადაუღეს გარდაცვლს. თუმცა, მისი გამოჩენა გარკვეული მიზეზების გამო, ოჯახმა უფრო ადრე ვერ შეძლო. ფოტოზე გარდაცვლილს სახის მიდამოში აღენიშნებოდა დაზიანებები. ჩვენ ჩავატარეთ გვამის ექსჰუმაცია. ეს მოხდა გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ და დავადგინეთ ცხვირის ძვლების მოტეხილობა, რაც არ იყო აღნიშნული სახელმწიფოს მიერ ჩატარებულ ექსპერტიზაში. ჩვენ დავდეთ დასკვნა, რომ სიკვდილი, მაღალი ალბათობით, განპირობებული იყო ტრავმული გენეზით, თუმცა, გვამის ხანდაზმულობის გამო ამის კატეგორიული მტკიცება ვერ მოხერხდა.

ყველასთვის კარგადაა ცნობილი, 26 მაისის მოვლენების დროს აღმოჩენილი ორი ცხედ-

(გაგრძელება 69-ე გვერდზე)

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"**
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

**მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი, რომელიც პატიმრობიდან შარშან ამ დროს გათავისუფლდა, საზოგადოებაში აქტიურად აღარ ჩანს. პოლიტიკური რეალობით იმედგაცრუებული, მთლიანად პროფესიონალურ საქმეებში გადაერთო. ქართული პოლიტიკური რეალობის, პოლიტიკური ელიტისა და ჩვენი საზოგადოების ძირითად მახასიათებლებს ის მეტაფიზიკის კანონებით ხსნის, რომლის მიხედვითაც, აქტიურ და წინააღმდეგობებით სავსე 2014 წელს გვპირდება.**

# როგორია 2014 წელს ქართული საზოგადოების ფსიქოემოციური მატრიცა და რა პროგნოზს აკეთებს მალხაზ გველუკაშვილი

**მალხაზ გველუკაშვილი**: ბოლო პერიოდში საზოგადოებაში აქტიურად არ ვჩნდები, უფრო პროფესიონალურ საქმიანობას ვეწევი, ვწერ მასალებს და აქტიურად ვაქვეყნებ სოციალურ ქსელებში. მეცნიერება დღეს ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოქალაქეობრივი აქტივობა. რა აზრი აქვს? ვისთან ერთად ვიყო აქტიური? იმისთვის, რომ ხელისუფლება შეცვლილიყო, ციხეშიც კი ვიჯექი. არ მესმის, რატომ გამომიშვეს. უარს არ ვიტყვი, უკან რომ შემაბრუნონ, რადგან, გარეთ უკეთესს ვერაფერს ვხედავ. გარეთ უფრო მძაფრად ხედავ, როგორ დეპრესიულ მდგომარეობაშია საზოგადოება, რომელიც უკვე „გაიჭედა”. როცა არ არსებობს მიზანი ხალხში და ქვეყანაში, არც არაფერი გამოდის. დავიღალეთ ამდენი საუბრებით სამართლიანობის აღდგენაზე. რაც არ ყოფილა, რა უნდა აღდგეს? სამართლიანობა უნდა დამკვიდრდეს, რომ წინ წავიდეთ და ერთი და იგივე შეცდომები არ დავუშვათ. ვინ მართავს ქვეყანას, ვის რისი უნარი აქვს და რა იცის? ადამიანების დიდი ნაწილი უკვე გარკვეულია და აზრზე მოვიდა, რომ არ შეიძლება ასე ბრმად ცხოვრება, უმიზნოდ სიარული, არჩევნის გაკეთება გარკვეული მომენტიდან გამომდინარე და არა გააზრებულად. ვერ ვხედავთ, რომ იმავე შედეგს ვიღებთ მუდმივად? ის, რომ არაფრის მაქნისი და უუნარო პარლამენტი გვყავს, არაა ჩვენი შეცდომა?! იქ არის ხალხი, ვისთვისაც ხმა არავის მიუცია, არადა, რომ ჰკითხოთ, მათ შეცვალეს ხელისუფლება. სინამდვილეში, ეს ხელისუფლება არავის შეუცვლია, არც „გრეჩიხას” დროინდელ გამოსვლებს და არც ამათ; რომ არ ყოფილიყო ციხის ამბები, არც არაფერი შეიცვლებოდა ამ ქვეყანაში.

**– რა ეტაპზეა დღეს ჩვენი საზოგადოება?**

– ქვეყანა არ უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, როგორც ცალკე სისტემა. ჩვენ ვართ გლობალური სისტემის ნაწილი და ყველაფერი განისაზღვრება იმით, თუ საით მიდის სამყარო, სად არის ჩვენი ადგილი ამ სამყაროში და რა არჩევანი გვაქვს გაკეთებული ამ სამყაროში. ნებისმიერი დღევანდელი ფაქტი არის იმ წინა პერიოდების გაგრძელება, რაც, ხშირ შემთხვევაში, დაფარულია ხოლმე. ის, რაც ხდება ჩვენთან, არის რეზონანსი იმ მუდმივი პროცესის, რაც ხდება მთელ სამყაროში. ჩვენ ვერ ამოვვარდებით იმ საერთო კონტექსტიდან და, გეტყვით, რომ, არა მარტო ჩვენთან, დღეს ყველგან რთული სიტუაციაა. რაც შეეხება ჩვენი საზოგადოების ფსიქოემოციურ პორტრეტს, ის ყოველწლიურად იცვლება განწყობების მიხედვით. ჩვენი საზოგადოება არის დეპრესიული და „გაჭედილი”; ხვდება, რომ მისთვის არაფერი შეცვლილა. 2014 წელი ანტაგონისტური, წინააღმდეგობრივი წელია, როდესაც იწყება შინაგანი დაპირისპირებები. ჩვენს საზოგადოებას წინა წელი ჰქონდა ერთიანზე, რაც 19-ის პოზიციაზე „მეს” მოტივაციითა და ნათელში გასვლის იმედით მოდიოდა. 2014 წელს ჩვენს საზოგადოებას მატრიცის ძირითადი ხაზი აქვს 2-ზე, და ზის 20-ის პოზიციაზე. ოკულტური მეცნიერებების მიხედვით, 20-ის პოზიცია ნიშნავს უმაღლეს სამართალს. წელს ჩვენი საზოგადოება მოითხოვს უმაღლეს სამართალს, შესაბამისად, ეს იქნება უაღრესად დაძაბული წელი. ხალხს ექნება უფრო დიდი ენერგია, რადგან, მძლავრობს ციფრი 2, რომელიც წინააღმდეგობათა ერთობლიობაც გახლავთ. ეს არის ბინერულ-ანტაგონისტური ციფრი, რომელიც დაკავშირებულია მოძრაობასთან; შესაბამისად, წელს ჩვენი საზოგადოება იქნება მოძრავი პოზიტიური მხრიდან, მაგრამ, თუ ამ ციფრს საზოგადოებასთან კავშირში ნეგატიური კუთხით განვიხილავთ, მაშინ, აუცილებლად ღმერთის მფარველობა დაგვჭირდება. საზოგადოების ძირითადი მოთხოვნები გაივლის მატერიალურ ასპექტებზე, სამართალიც მატერიალურია. შუა, 4-5-6-ის დიაგონალი არის იმდენად მძლავრი, რაც არ ყოფილა ბოლო წლების განმავლობაში არც ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ საზოგადოების ძირეული მოთხოვნები დაკავშირებული იქნება წმინდა მატერიალურ-სოციალურ საკითხებთან. 2014 წელს საზოგადოებამ, შესაძლოა, ფეხზე დაიკიდოს კანონი და გახდეს შურისმაძიებელი, რაც არ იყო გასულ წელს, რადგან, წელს მატრიცაში არ გვაქვს 8 – კანონის ციფრი. რადგან მთელი წყობა, როგორც უკვე გითხარით, ზის მეოცე არკანზე, ეს იმის ნიშანია, რომ უნდა აღსრულდეს უმაღლესი სამართალი. ძველად მეოცე არკანს, იცით, როგორ ხატავდნენ? ამ პოზიციაზე მიცვალებულებიც კი დგებიან საფლავებიდან და ღმერთს შესთხოვენ შველას; ყველა პასუხს აგებს – ცოცხალიც და მკვდარიც. მეოცე არკანით ხატავდნენ მეორედ მოსვლის, საყოველთაო განკითხვის პოზიციას. საზოგადოებაში აუცილებლად გაჩნდება წინააღმდეგობრივი პოზიცია, თუმცა, ეს არის მშვიდ სიტუაციაში განხილული სურათი. ექსტრემალურ ვითარებაში წლის ციფრი იქნება სამი ორიანი, რაც გააძლიერებს ექსტრემალურ გამოვლინებებს, შვიდიანების გაძლიერება კი მიუთითებს, რომ საზოგადოება თვითონ იფიქრებს საკუთარი თავის დაცვას სიტუაციის გაცნობიერების შემდეგ. არის შანსი, საზოგადოებამ თქვას თავისი სიტყვა, რაც არ იქნება სასიამოვნო ახალი ქართული პოლიტიკური ელიტისთვის.



**ასტრონომიული თვალსაზრისით ახალი წელიწადი იწყება 21 მარტს, ჩვენ ჯერ კიდევ წინა წლის გარდამავალ პროცესებში ვართ**

**– როგორია იმ ადამიანების ფსიქო-ემოციური მატრიცა, რომლებიც ჩვენს ქვეყანას მართავენ?**

– მე მაინც პრეზიდენტით დავიწყებ ამ დახასიათებას, თუმცა, მისი პრეზიდენტობის მე ნაკლებად მჯერა. გიორგი მარგველაშვილი ბუნებით მშვიდობისმოყვარეა, მგრძნობიარეა და მსუბუქად მშიშარა და, ეს ყველაფერი, მისი ძალაცაა და სისუსტეც. მას შეუძლია, ინტუიტიურად იგრძნოს, რას ფიქრობენ და რას გრძნობენ სხვები, რის გამოც ის საკმაოდ ტაქტიანი, დიპლომატიური და მომთმენია. კარგად მუშაობს კოლექტივში, შეუძლია, ჰარმონიულად შეეწყოს წინააღმდეგობრივ პოზიციებს. მისი ჰიპერმგრძნობელობა, შესაძლებელია, გახდეს მისი ჩავარდნის მიზეზი. ამიტომ, ის ხშირად ინტუიციურად ცდილობს, დამალოს საკუთარი აზრები და გრძნობები. გაურბის კონფრონტაციას და საკმაოდ დელიკატურია. დიპლომატიური ოსტატობა და ორგანიზატორული ნიჭი საშუალებას აძლევს, გადაწყვიტოს რთული ამოცანები. აქვს დაცულობისა და კომფორტის ძლიერი მოთხოვნილება. უყვარს მშვიდი გარემო. მისი ძირეული მახასიათებლებია: შრომისმოყვარეობა, სიფრთხილე, ინიციატივა; მისი მოტყუება არ შეიძლება, რადგან, ის ამას ცუდად იმახსოვრებს, მაგრამ, თვადაც უნდა მოერიდოს თავის მოტყუებას – მას აქვს ასეთი მიდრეკილება. მას არ უყვარს იმის გამომზეურება, რაც სულის სიღრმეში აქვს დამალული და, ამიტომ, ხშირად იყენებს ფარად იუმორსა და არაფრისმთქმელ სიტყვებს. ზედმეტად მგრძნობიარე და დამოკიდებულია სხვათა შეხედულებებზე, რის გამოც ხშირად იმყოფება დამუხრუჭებულ მდგომარეობაში. უყვარს სწავლა. აქვს ანალიზისა და აბსტრაგირების უნარი, თუკი, რა თქმა უნდა, ცოდნის სიღრმე შეუწყობს ხელს. პრაგმატული და რეალისტია. შორსაა ტრადიციული ღირებულებებისგან. ამჯობინებს თავისუფლებას, რომელზეც თავისი შეხედულებები აქვს. ურჩევნია, იმსჯელოს ხელშესახები ფაქტის გარშემო. უჭირს ცხოვრების ემოციური ასპექტების სიღრმეებში გარკვევა. რაციონალისტია. აქვს მიდრეკილება ეგოცენტრიზმისკენ. მშვიდი და კომუნიკაბელურია. ახასიათებს სიზუსტე, კონკრეტულობა და ორგანიზებულობა. აკურატული და პუნქტუალურია. ხშირად ცდება, რადგან, სიღრმულად ვერ აღიქვამს არსებულ გარემოს, საზოგადოებას.

2014 წელი ძალიან მკაცრი იქნება პრემიერ-მინისტრისთვის. მისი ძირითადი ციფრი არის 5, რაც ადამიანს გარკვეული გამოცდების ჩაბარების წინაშე აყენებს. ძირითადი პოზიცია, რომელზეც ის დგას, მთავრდება აპრილში და მაისიდან ეწყება მკაცრი პოზიცია, ამიტომ, მისი მომავალი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს მაისამდე. ირაკლი ღარიბაშვილის ბედისწერის პოზიცია მთლიანად გადის ცხრიანზე – არც ისეთი ამბიციურია, როგორც ჩანს ერთი შეხედვით; ყოველთვის სჭირდება ბიძგი, დიდი მხარდაჭერა და, შესაბამისად, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოიპოვებს ის ამ მხარდაჭერას. პრემიერი წელს ძალიან მნიშვნელოვანი არჩევნის პოზიციაზე დგას, იმის მიუხედავად, რომ მას აქვს დიდი შინაგანი ენერგია, რასაც გვიჩვენებს მისი სამი ორიანი; აქვს საკმაოდ სუსტი „მე”. ის არ უჩივის ინტუიციას, არის სამართლიანი, სკურპულოზური, ყურადღებას აქცევს დეტალებს, თუმცა, დიდი მათემატიკური ლოგიკით არ გამოირჩევა. შინაგანი ბუნებით არის შემოქმედებითი ტიპის ადამიანი, მთლიანად გახსნილი აქვს ციფრები 3, 6, 9, რაც იმის ნიშანია, რომ ყველა პრობლემას შემოქმედებითად უდგება. არის ნიჭიერი კაცი, კარგი მეხსიერებით, მაგრამ, ორი 9-იანი მიანიშნებს, რომ ახსოვს ყველაფერი, მათ შორის – წყენა და ბოღმა. მისი ჯიუტი ხასიათი მას მებრძოლ თვისებებს უყალიბებს, თუმცა, მასზე გავლენის მოხდენა არაა რთული. ბუნებით ლიდერი არაა. ფსიქოემოციური მატრიცის მაჩვენებლებით, ის არაა უარყოფითი ტიპი, მაგრამ, მასში დამოუკიდებელი ძალა არ არის მძლავრი. აქვს კარგი ადამიანური თვისებები, თუმცა, პოლიტიკური ლიდერისთვის ეს საკმარისი არ არის. ექსტრემალურ სიტუაციებში თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რადგან, მას წლევანდელ წელს აქვს სამი ერთიანი, რაც საკუთარი „მეს” გამოვლინების გაძლიერებას ნიშნავს, თუმცა, პრემიერ-მინისტრს სიტუაციების ბოლომდე მიყვანა საკმაოდ გაუჭირდება. გარკვეულ მომენტებში, მას შეიძლება მოუწიოს უკან დახევა იმ ტრადიციულ ღირებულებებზე, რაც აქვს და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებები, რაც არ მოსწონს და „მისი” არაა. ვინაიდან ახალი წელიწადი ასტრონომიული თვალსაზრისით იწყება 21 მარტს, ჩვენ ჯერ კიდევ წინა წლის გარდამავალ პროცესებში ვართ, ასე რომ, მარტიდან, შესაძლოა, დიდი ამბები გველოდეს წინ.

**თამუნა ნიჟარაძე**

**თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას მეუღლე ნათია ფანჯიკიძე საზოგადოების ყურადღების ცენტრში საკმაოდ ხშირად ხვდება. გახსნილი და კომუნიკაბელური ხასიათის წყალობით, ჩინოვნიკთა „სტანდარტულ" მეორე ნახევრებს სრულებით არ ჰგავს. უფრო მეტიც, არ ცნობს იმ „რაღაც" კლიშეებს, რასაც ორი მინისტრის ოჯახის წევრის სტატუსი უწესებს. თავად ამ მინისტრების დაგეგმილ და რაციონალურ ცხოვრებაში ბევრი პოზიტივი შეაქვს, რაც პროფესიით ხელოვნებათმცოდნესა და ფსიქოლოგს, არა მხოლოდ ახლობლებთან, მათთანაც კარგად გამოსდის, ვინც მის ცხოვრებაში სხვადასხვა სტატუსით ხვდება.**

# რა შეაქვს ირაკლი ალასანიას მეუღლეს ორი მინისტრის რაციონალურ ცხოვრებაში და რით არის ის შეპყრობილი

**ნათია ფანჯიკიძე**: მე ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია. ყველა ადამიანი მეცოდება, ვინც მუშაობს იმ პროფესიით, რომელიც არ უყვარს. გარკვეული ასაკის შემდეგ, ადამიანისთვის სამსახური ხდება ცხოვრების უდიდესი ნაწილი. დასაქმებული ადამიანი მეტ დროს ატარებს სამსახურში, ვიდრე მეგობრებთან და სხვა ადგილებში. აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ თუ შენი საქმე არ გიყვარს, შენი ცხოვრების უდიდესი ნაწილი გძულს. მე ხშირად ვამბობ ხოლმე, რომ შეპყრობილი ვარ ჩემი პროფესიით ***(იცინის).*** ძალიან სიცოცხლის მოყვარული ადამიანი ვარ, ყველაფერში შემიძლია დავინახო აღტაცების საგანი და უბრალო რამემაც კი მომგვაროს აღფრთოვანება. ეს ჩემი ხასიათის თვისებაა. თუმცა, იმდენად ვცხოვრობ ჩემი საქმით, ხშირად ვგრძნობ, რომ ჩემი პროფესიის მიღმა, ბევრ რამეს, იქნება ეს სტუმრად წასვლა თუ სხვა, სოციალური მდგომარეობის გამო ვაკეთებ. ყველაზე ბედნიერი მაინც მაშინ ვარ, როცა ვმუშაობ.

**– ცხოვრების ძალიან აქტიური რეჟიმი გექნებათ, ორ ადგილზე მუშაობთ.**

– ორ ადგილას მუშაობა ჩემთვის დიდი ფუფუნებაა. „მენტალვიტა" არის საერთაშორისო დონის კლასიკური ფსიქიატრიული კლინიკა, სადაც არაჩვეულებრივი სპეციალისტები ძალიან მაღალი დონის ფსიქიატრები მუშაობენ. ჩვენი ხელმძღვანელია პროფესორი გოგი ნანეიშვილი. ამ ადამიანებთან პროფესიული ურთიერთობა ჩემთვის დიდი სიამოვნებაა. რაც შეეხება ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო ცენტრ „კამარას", ეს ცენტრი ჩემი დაფუძნებულია სამი წლის წინ და შესაბამისად, აქაურობა ძალიან მიყვარს. კომპლექსური ფსიქოთერაპიის მეთოდის განხორციელება, რომლითაც არის გამორჩეული „კამარა," პაციენტებთან ურთიერთობის სხვა პროფესიულ სიამოვნებას მანიჭებს. ჩვენთან აქცენტი კეთდება პაციენტების ფსიქორეაბილიტაციაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რვა სხვადასხვა სახის თერაპიით, დაჩქარებული მეთოდით, საკმაოდ რთული დიაგნოზების პაციენტების მოვლა იოლი არ არის. ეს ცენტრი არ არის საბჭოთა ფსიქიატრიის პროდუქტი. ასეთი დასავლური ტიპის ცენტრი აქამდე არ არსებობდა. შესაბამისად აქ მიდგომები და დამოკიდებულებები აბსოლუტურად სხვაა, რაც ძალიან საინტერესოა და ძალიან მეძვირფასება. ბევრჯერ მეკითხებიან ხოლმე: რთული არაა შენი საქმე? მე ვერ ვიმუშავებდი ამ სფეროშიო. ეს ძალიან მიკვირს. ალბათ, ძალიან ბევრი საქმეა ისეთი, სადაც ვერ წარმომიდგენია მუშაობა და რაც ალბათ, უფრო რთულად მიმაჩნია, ვიდრე ჩემი საქმე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ მთავრდება სამსახურში, განსაკუთრებით მაშინ, როცა რთულ შემთხვევასთან მაქვს საქმე. ჩემს გონებაში მუდმივად ხდება ამა თუ იმ კონკრეტული მოცემულობის ანალიზი. რაღაც პერიოდი, შესაძლოა, სხვა რამეზე ვიყო გადართული, მაგრამ უცებ რაღაც აინთება, გადაატრიალებ ფირს და რაღაცას დაინახავ, უფრო სწორად, იმას რისი გააზრებაც იქ, სამსახურში ვერ მოასწარი.

**– ოჯახში პროფესიულად მძიმე თემები გაქვთ: ჯარი და ფსიქიატრია. მეუღლე როგორ ეკიდება თქვენს ასეთ აქტიურ ჩართვას პროფესიულად მძიმე თემებში?**



**დიდად ტრაგიკული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია იმისთვის, თუ როგორ გავაწკრიალე ის ადგილი, სადაც მტვერი დავინახე**

– ძალიან ბუნებრივად, ისევე, როგორც მე ვხვდები მის მუდმივ ჩართულობას თავის საქმეში. ჩვენ ორივეს გვესმის, რომ მნიშვნელოვანია აკეთო შენი საქმე. ირაკლის ძალიან იშვიათად, შეიძლება გაკვრით ვუთხრა რამე. ჩვენი საქმეები საიდუმლოებებთან არის დაკავშირებული. მისი სახელმწიფო საიდუმლოებებთან, ჩემი – პირადულთან. შესაბამისად, ჩვენ არასდროს გვაქვს უფლება ბევრი რამ ვუთხრათ ერთმანეთს. ამასთან ერთად, ჩვენი რეჟიმის გამო, ერთმანეთთან ყოფნა ლამის ფუფუნებად გვექცა. ამიტომ, უფრო ერთმანეთზე ვსაუბრობთ, ვიდრე – საქმეზე.

**– ასე ლიმიტირებული გაქვთ დრო მეუღლესთან?**

– ასე ვერ ვიტყოდი, ალბათ, საკმარისი. მთავარია, ღამე ხომ ერთად ვართ. რჩება დრო იმისთვის, რომ ერთმანეთი კიდეც გვენატრებოდეს და კიდეც ერთად ვიყოთ.

**– ოჯახის ერთი წევრი, თქვენი უფროსი შვილი ამერიკაში სწავლობს. იოლად შეელიეთ მას ასე შორს?**

– ნიკო უკვე 21 წლისაა, დიდი ბიჭია. იმის გამო, რომ შვილი ასე შორსაა, პასიური შფოთვა მუდმივად მაქვს, როგორც დედას. ფიქრი იმაზე, ნეტავ როგორაა, როგორ ართმევს თავს ცხოვრებას, არასდროს მტოვებს. მაგრამ, ძალიან კარგად მესმის, რომ თუ გინდა, შენი შვილი რეალური ცხოვრებისთვის მზად იყოს, მშობლებისგან დისტანცირება გარკვეულ ასაკში, სასარგებლო უფროა, ვიდრე – ცუდი. აბსოლუტურად წინააღმდეგი ვარ, სრულწლოვანების ასაკამდე ბავშვი მშობლებისგან დისტანცირებული იყოს, მაგრამ, ვისურვებდი, რომ ყველა ქართველ მშობელს ჰქონდეს იმის საშუალება, შვილის სრულწლოვანების დადგომიდან, ის ოდნავ გვერდით გაწიოს. ჩემი შვილი ნამეტანი შორს, ოკეანის გაღმაა, მაგრამ ის თავად უძლვება საკუთარ თავს. სწავლობს დამოუკიდებლობას, რაც უპირველესად, მისთვის არის მნიშვნელოვანი. ნიკო ნიუ-იორკში ცხოვრობს, ერთ პაწაწკუნტელა ოთახში. შესაბამისად, კანალიზაციის გახეთქილი მილის შეკეთებაც უწევს ხოლმე და თავისი ტანსაცმლის მოწესრიგებაც. ჩვენ ვერ ვახერხებთ ხშირად მასთან ჩასვლას, მაგრამ მე ახლახანს ვიყავი და მივხვდი, რომ შეთვისებული აქვს მარტოხელა კაცის უხასიათობები ***(იცინის).*** მაგალითად, როცა მაგიდის გადაწმენდა შევთავაზე, მიპასუხა, რომ ეს მისი მაგიდაა და მას ასე მოსწონს. ძალიან მკაცრად დაიცვა თავისი სივრცე.

**– თავდაცვის მინისტრი აქტიურადაა ჩართული შვილების ცხოვრებაში?**

– ვერ ვიტყოდი, რომ მე და ირაკლი, ისე ვართ ჩართული შვილების ცხოვრებაში, რომ მათ ყოველ ფეხის ნაბიჯს ვუკონტროლებთ-მეთქი. ჩვენ საკმარისად აქტიურად ვმონაწილეობთ შვილების ცხოვრებაში, რამდენადაც ეს საჭიროა. ზოგჯერ კი პასიურად, რადგან ეს მათი პიროვნული განვითარებისთვისაა საჭირო. ჩვენ ვზრუნავთ მათი აბსტრაქტული აზროვნების, ღირებულებების ჩამოყალიბებაში, რასაც ბავშვი ისედაც ითვისებს ოჯახიდან, მშობლის პირადი მაგალითიდან. თუ ნაძირალა ხარ, არ უნდა გქონდეს იმედი, რომ შენი შვილი ანგელოზი გაიზრდება. მგონია, რომ ჩემი შვილები არიან კეთილები, ადამიანების მოყვარულები, აქვთ სწორი აზროვნება, რაც ჩემთვის ყველაზე მთავარია.

**– გასულ წელს რამდენჯერმე მოექეცით საზოგადოების ყურადღების ცენტრში. პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ თქვენზე უფრო მეტს ლაპარაკობდნენ ვიდრე გიორგი მარგველაშვილზე.**

– ამოდენა მნიშვნელობის მოვლენა ხდებოდა და ძალიან მრცხვენია, რომ, როგორც აღმოჩნდა, მე ფეხსაცმელზე ვიყავი კონცენტრირებული. ყველაზე უხერხული მომენტი ის იყო, ჩემი ფეხსაცმლის ამბავი ისე აქტიურად რომ გაშუქდა, ლამის ინაუგურაციის მნიშვნელობა გადაფარა. ის, თუ როგორ გავაწკრიალე ის ადგილი, სადაც მტვერი დავინახე, რა თქმა უნდა, იყო ძალიან კომიკური და ასეთ კადრს ყველა ქვეყნის ტელევიზია ინატრებდა. მე მაქვს ნანახი სურათი, სადაც ელიზაბეთ მეორეს ცხვირში თითი ბოლომდე აქვს შეყოფილი. ასევე, ნანახი მაქვს, როგორ ძვრება ფეხსაცმელი ჰილარი კლინტონს. დევს ეს კადრები „იუთუბიზე." ასეთ კადრებს ინატრებს ნებისმიერი ტელევიზია. მერე ბევრს ვიცინოდი, რომ მცოდნოდა, ასეთ კადრს ასე ოსტატურად დაიჭერდა კამერა, უფრო სასაცილო იქნებოდა ორი ირაკლის შუაში მჯდომი მათ ფეხსაცმელებზე გადავსულიყავი-მეთქი ***(იცინის).***

**– ამის გამო მეუღლის საყვედური ხომ არ დაგიმსახურებიათ?**

– არა, მე მგონი, ეს არ იყო დიდი დანაშაული და ადამიანურ ფორმატში იჯდა. მე შეიძლება, აღმოვჩნდი ნაკლებად თავშეკავებული ადამიანი, მაგრამ, საერთოდ არ მჯერა იდეალური სამყაროსი და ყველაფერს ჯანსაღად ვუყურებ. როგორც სხვებს ვაპატიებ წვრილმანებს, ასევე ვაპატიებ საკუთარ თავსაც, დიდად ტრაგიკული მნიშვნელობა არ მიმინიჭებია.

**– მაღალჩინოსანთა მეორე ნახევრებისგან განსხვავებით, თავისუფალი ადამიანი ხართ. არ ზღუდავთ თავს სოციალურ ქსელში და ძალიან გახსნილი ურთიერთობა გაქვთ საზოგადოებასთან. მეუღლის რეგალია რაღაც კლიშეებს არ გიწესებთ?**

– თქვენ მიერ ნახსენები „რაღაც კლიშე" ისეთი ირაციონალურია, სინამდვილეში რა არის არავინ იცის. მე არ მიმაჩნია, რომ რამე ნეგატიურს ვაკეთებ, ან კანონსაწინააღმდეგოს. ის, რომ ადამიანი ვარ, მაქვს გრძნობები, მეცინება ან მეტირება, ეს ძალიან ჩვეულებრივია. ყველა ადამიანს თვითგამოხატვის რაღაც ფორმა გვაქვს. ზოგს ჰგონია, რომ სერიოზულობა სერიოზული სახის მიღებაა და იუმორი არასერიოზული შტრიხია. ეს ასე არაა. სინამდვილეში, მე ვარ ძალიან სერიოზული დედა, ძალიან სერიოზული პროფესიონალი, ძალიან სერიოზული მეგობარი და ვერავინ იტყვის ფაქტს, როცა ზერელე ვიყავი საქმეში ან ცხოვრებისეულ ღირებულებებში, ან მათთან დამოკიდებულებაში. ეს არ ყოფილა არასდროს. რაც შეეხება იმას, რომ შესაძლოა, სხვა ადამიანებზე მეტს ვიღიმები, ვისაც ეს ღიმილი აკრთობს, მისთვის ვიტყვი, ასეთია ჩემი გარეგნული სახე. მიხარია ბევრი რამ და ვერც

მეუღლის სტატუსი შემიცვლის ამას და ვერც ვერაფერი. მე არ მიმაჩნია, რომ ბევრი რამ მქონდა ჩარჩოებში მოსაქცევი ირაკლის სტატუსის გამო. ჩემი ცხოვრების სტილი რეალურად აუტისტურია. პრაქტიკულად, ჩემი ყოველდღიური მარშრუტი არის სახლი – სამსახური. ვიძინებ ადრე, როგორც ამის საშუალებას ჩემი თინეიჯერი შვილი მაძლევს. ვუვლი ჩემს ულამაზეს ყვავილებს. მომაქვს ყვავილი, ვზრდი ქოქაში, გადამაქვს ქოთნებში. ისინი იზიარებენ ჩემს განცდებს. მე ძალიან მიყვარს ფერები და ეს მაძლევს ყველა ფერს. მე არ მაქვს განსაკუთრებული აქტიური ცხოვრება. აღარც იმ ასაკში ვარ, დისკოთეკაზე რომ ეცეკვებათ და მოთოკვა სჭირდებათ. ასე რომ, ვერ ვიტყოდი, ჩარჩოდან ამომხტარი ვცხოვრობ-მეთქი. ჩემი თავისუფლებავლინდება ბევრ ღიმილში, დადებით დამოკიდებულებაში ადამიანების მიმართ. რეალურად, სხვა არც არაფერია. ძალიან ვწუხვარ, თუ ვინმეს ღიმილი თავისუფალი წესის დეკლარაციად ეჩვენება.

**– ოჯახში ორი მინისტრი გყავთ, მათ არეალში ფსიქიატრი ხომ არ „იჩაგრებით"?**

– იმის გამო, რომ მეც არ ვარ მინისტრი? ***(იცინის).*** ის, რომ ოჯახის ორი წევრი – და და მეუღლე, მაღალ თანამდებობებზე მუშაობს, გარკვეულწილად, წარმოშობს მძიმე განცდას, რადგან ორივეს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია. ჩემი თანაგრძნობა კი იმ პასუხისმგებლობის ნაწილია, რაც ჩემმა ოჯახმა ბოლო ერთ წელიწადში აიღო. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის შედეგი, რაც მათ ქმედებებთან არის დაკავშირებული ქვეყნის სასიკეთოდ. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა დამ მოაწერა ხელი პარაფირების ხელშეკრულებას იმის შემდეგ, რა მდგომარეობაშიც მას უწევდა მუშაობა. მას შვიდ ქვეყანაში არ ჰყავდა ელჩი, რადგან კოჰაბიტაცია ყველაზე მძიმე შედეგით ამ სამინისტროს შეეხო. მე ვღელავ იმ პასუხისმგებლობის გამო, რაც აკისრია ირაკლის. მისი სამინისტრო ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი სამინისტროა, მისი მოვალეობები ძალიან ღრმაა, მნიშვნელოვანია იგივე მაპის ბედი. ამიტომაც, ირაკლის პასუხისმგებლობა აბსოლუტურად გაცნობიერებული მაქვს.

**– რომელს უფრო მეტად გულშემატკივრობთ?**

– ეს იმას ჰგავს, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო ***(იცინის)?*** რომელიმეს რომ არ ვაწყენინო, გეტყვით, ორივეს ვგულშემატკივრობ ერთნაირად. დიპლომატის დას და დიპლომატის მეუღლეს ეგ როგორ შემეშლება? თუმცა, იქიდან

## მაია და ირაკლი უფრო ხშირად ხვდებიან ერთმანეთს მთავრობის სხდომებზე, ვიდრე – მე ვნახულობ ჩემს დას

გამომდინარე, რომ ირაკლის უფრო აღიქვამენ კონკურენტად პოლიტიკური თვალსაზრისით, ამიტომ მასზე უფრო მეტი თავდასხმაა, ვიდრე ჩემს დაზე. მეც შემოვუძახებ ხოლმე ირაკლის: „მუმლი მუხასაო, ჩემო ირაკლი"!

**– ალბათ, ოჯახურ გარემოში მინისტრების პოლიტიკურ საუბრებს ხშირად ისმენთ.**

– არა, ეს ნაკლებად ხდება. ისინი მთავრობის სხდომაზე უფრო ხშირად ნახულობენ ერთმანეთს, ვიდრე ოჯახურ გარემოცვაში. მაია სამსახურის გარეთ ძალიან ქალურია თავისი ინტერესებით. ის არაჩვეულებრივი კულინარია და თუ არ შეუქებ იმას, რაც მოამზადა, ძალიან გაანაწყენებ. ბოლო ერთი წელია, სახლში გერმანული ნაგაზი ჰყავთ, რომელიც მაიას ოჯახის მთავარი საზრუნავი გახდა. ასე რომ, ორი მინისტრის შეხვედრისას, ოჯახურ გარემოში იმდენი თემაა სასაუბრო – ძაღლი რიჩოთი დაწყებული სხვა საინტერესო თემით დამთავრებული, პოლიტიკამდე ველარ ჩავდივართ ხოლმე. ბოლო დროს დას უფრო და უფრო იშვიათად ვნახულობ, რადგან მეტი მოგზაურობა უწევს. ხანდახან, რომ ვფიქრობ, რამდენი საათის გატარება უწევს ჰაერში, ეს რომ ვინმემ მომისაჯოს, არ ვიცი, რა დამემართებოდა.

**– ჰგავხართ დები ერთმანეთს?**

– ბევრი რამით კი, ბევრით – არა. მაია გერმანული დისციპლინირებული დამოკიდებულებით გამოირჩევა დროის მიმართ. ყოველი წუთი გათვლილი აქვს და სულ მიმტკიცებს, რომ როგორ შეიძლება, დაგვიანება წვეულებაზეც კი. მე დროის მიმართ უფრო ფილოსოფიური დამოკიდებულება მაქვს, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე და ვამბობ: დრო იმისთვისაა, რომ მასში ყველაფერი მოასწრო და არ აქვს მნიშვნელობა, თუ სადმე 10 წუთით დაგაგვიანდება. ასეთ მიდგომას დიპლომატი და და მეუღლე მაპატიებენ, რადგან მათ მკაცრად დალაგებულ რაციონალურ სამყაროში მე ირაციონალური და იუმორის ელემენტები შემაქვს. მათ მე ჩემი სიცოცხლისმოყვარული ხასიათით ძალიან ვჭირდები ***(იცინის).***

**– ერთად დასვენებას და მოგზაურობას ახერხებთ?**

– ჩვენ ძალიან დიდი ოჯახი გვაქვს. ყველგან ერთად რომ ვიაროთ, არ გამოგვივა. ერთადერთი ადგილი, სადაც ზაფხულობით ყველა ერთად ვიკრიბებით, ჩვენი სოფელია ამბროლაურში. ჩვენთან ერთად ყოველთვის არის დედა. ერთობლიობისა და პირველყოფილი თემური წყობილების ჯგროდ ყოფნის აურა, ბევრი სტუმრითა და მხიარულებით, ძალიან დადებითი ემოციებით გვავსებს ყველას. ამ ზაფხულს სამი დღით მაიაც შემოგვიერთდა. ირაკლი დღენახევარი იყო ჩვენთან, მაგრამ ეს დათქმული ტრადიცია მაინც არ დავარღვიეთ.

**თამუნა სამადაშვილი**

# აზა დავითაშვილი - ნათელმხილველი, ვისზეც თბილისში ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა

## ნათელმხილველი, რომელიც თქვენს ცხოვრებას უკეთესობისკენ შეცვლის

***აზა დავითაშვილი** თბილისში ცნობილი ნათელმხილველია. მისი ფენომენალური უნარის შესახებ ქართულ პრესაში არაერთხელ დაწერილა. მის ამოუცნობ ფენომენზე ლეგენდები ათეული წლების წინ შეიქმნა, ერთ-ერთმა ცნობილმა რეჟისორმა კი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა აზა დავითაშვილის ნათელხილვის უნარი, მასზე ფილმიც კი გადაიღო. წლების განმავლობაში ქალბატონი აზა აბანოთუბანში ცხოვრობდა, რის გამოც მას „აბანოთუბნელი აზა" შეარქვეს. მოგვიანებით მას ჰქონდა კერძო მიწვევები რუსეთში, ისრაელში, უკრაინაში, თუმცა, თბილისისთვის მაინც „აბანოთუბნელ აზად" დარჩა. ის ერთადერთი ნათელმხილველია, ვისაც თქვენი მომავლის განჭვრეტა და „დახატვა" შეუძლია. თავად არ უყვარს საკუთარ თავზე საუბარი – არც იმას ამბობს ხშირად, რომ ნათელხილვის უნარი ბებიისგან გადაეცა, რომელიც ყარსში ცნობილი ნათელმხილველი იყო. სწორედ მისგან გადმოცემული უნარით ამზადებს უნიკალურ თილისმებს მათთვის, ვისაც პირადი, ინტიმური თუ ფინანსური პრობლემები აქვს. აზა დავითაშვილის მიერ ჩატარებული სეანსებით შეძლებთ უკეთესობისკენ შეცვალოთ თქვენი ცხოვრება – გაიხსნათ ჩაკეტილი პირადი ცხოვრება, მოიზიდოთ ბარაქა, დაძლიოთ წარუმატებლობა და მიაღწიოთ ფინანსურ წარმატებებს.*

**აზა დავითაშვილი**: „40 წელია, ამ საქმეს ვემსახურები. ბოლო პერიოდში ბევრი ადამიანი მოდის ჩემთან პირადი და ფინანსური პრობლემებით. ზოგი უმიზეზოდ გარბის ოჯახიდან, უამრავ ადამიანს კი გაუსაძლისი ფინანსური პრობლემები აწუხებს. შესაბამისად, ყველაზე ხშირად მოდიან ადამიანები ოჯახის აღდგენასა და დაკარგული პიროვნების დაბრუნებაზე, ჯადოს მოხსნაზე, ბედის გახსნაზე, ფინანსურ პრობლემებზე და ასე შემდეგ. ბევრს არ სჯერა ჯადოს არსებობის და ზუსტად ასეთ ადამიანებზე ხდება ბოროტი ძალების ზემოქმედება. იცით, რამდენი ოჯახი ინგრევა სწორედ ამ გზით? რამდენ წარმატებულ ადამიანს მოეცარა ხელი საქმეში?! ჯადო ძალიან რთული ფენომენია, მაგრამ, არა დაუძლეველი. ზოგიერთი ძალიან იოლად იღებს თვალს. დღეს ესეც დიდი პრობლემაა, თუმცა, მისი მოგვარება სხვადასხვა პროცედურით იოლად შესაძლებელია."



***აზა დავითაშვილთან უამრავ ადამიანს შეხვდებით, ისინი ქალბატონი აზას შესახებ საოცარ ისტორიებს ყვებიან. ზოგი აქ მადლიერების გამოსახატავად არის მოსული, ზოგიც იმისთვის, რომ ქალბატონი აზას დახმარებით ცხოვრების მორიგი რთული ეტაპი გადალახოს.***

**ლამზირა ლუაშვილი** ***(68 წლის, თბილისი):*** „ქალბატონ აზასთან შვილის მეგობრის წყალობით მოვხვდი. ღმერთმა დალოცოს ის გოგონა, რომ ეს ქალი გამაცნო. 44 წლის ბიჭი მყავს, ორი დიპლომი აქვს, მაგრამ, ვერაფერი გააწყო – უცოლოდ დამრჩა, სამასხურშიც არ გაუმართლა მაინცდამაინც. ქალბატონმა აზამ ჩემი გულისტკივილი გულთან მიიტანა. ერთი თვე მოვდიოდი სეანსებზე და ჩვენს ცხოვრებაში სასწაული მოხდა: ჩემმა ბიჭმა ერთ-ერთ მეზობელთან მისი ნათესავი გაიცნო, მოეწონა და ორ თვეში დაქორწინდა. ისეთი რძალი შემომივიდა სახლში, მოყვარეს და მოკეთეს რომ ვუსურვებ. მადლობა, ქალბატონო აზა!"

**მალხაზ კეპულაძე** ***(50 წლის, ბათუმი):*** „ქალბატონ აზას პირველად ისრაელში, საერთო ნაცნობის ოჯახში შევხვდი. ჩემი ბიზნესი გაკოტრების პირას იყო და იქ პარტნიორებთან ვიყავი ჩასული. მოგეხსენებათ, მამაკაცებს ასეთი რამეების არ გვჯერა, მაგრამ, ქალბატონ აზაზე ისეთი საოცარი ისტორიები მითხრეს, ბოლო იმედს ჩავებღაუჭე. რამდენიმე სეანსის შემდეგ, ჯერ დეპრესია დავძლიე, მერე საქმეებიც ნელ-ნელა წავიდა წინ, ვალებიც მოვიშორე და თბილისში დავბრუნდი. ახლა ქალბატონ აზასთან ხშირად მოვდივარ – ის ჩემი წარმატების თილისმაა!"

**მარინა ხომერიკი** ***(54 წლის, თბილისი):*** „ჩვენი ოჯახი ბოლო წლებში ძალიან დაუძლურდა. ქალბატონი აზას შესახებ ერთ-ერთი გადაცემიდან შევიტყვე და მასთან მოვედი. როგორც მითხრა, ყველაფრის მიზეზი საგვარეულო ჯადო იყო. აზამ თილისმები მომცა ოჯახის ყველა წევრისთვის. რამდენიმე თვეში ყველაფერი ისე აგვისრულდა, როგორც მითხრა – მეც მუშაობა დავიწყე, ჩემმა შვილმაც; მეორე შვილმა კი იყიდა სახლი, რომელიც ოცნებად ჰქონდა გადაქცეული. ყველას ვურჩევ, დროულად მოაკითხონ ქალბატონ აზას, რადგან, მას თქვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა ნამდვილად შეუძლია."

***გსურთ, დაამარცხოთ ბოროტი ძალა, გაიხსნათ ჩაკეტილი ბედი და მოიზიდოთ ბარაქა?***

***ქალბატონ აზასთან დასაკავშირებლად დარეკეთ ტელეფონებზე: 2 74-63-08, 593 56-10-39. მისამართი: მეტროს სადგური „სამასი არაგველი", გუთნის ქუჩა № 42.***

**თამარ ჩხენკელი**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, სხეულის დაზიანება რა შემთხვევაში შეიძლება, ჩაითვალოს მძიმედ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, რა სახის სასჯელია გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად ჩაითვლება სხეულის იმგვარი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, ანდა რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველების ან რომელიმე ორგანოს, მისი ფუნქციის დაკარგვა; ასევე, ფსიქიკური ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა, სახის წარუშლელი დამახინჯება ან ჯანმრთელობის სხვაგვარი ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისთვის და დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ ერთი მესამედით დაკარგვასთან, ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, კანონი აკისრებს თუ არა ადამიანს ვალდებულებას დახმარება აღმოუჩინოს სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში მყოფ სხვა, თუნდაც მისთვის უცნობ ადამიანს?**

პასუხი: დიახ, ადამიანს არა მარტო მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება, დახმარება აღმოუჩინოს სიცოცხლისათვის სახიფათო მდგომარეობაში მყოფ მეორე ადამიანს, არამედ ამგვარი უმოქმედობა იწვევს სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას და კვალიფიცირდება როგორც დაუხმარებლობა. კერძოდ, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დახმარების გაუწევლობა, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისთვის ან სხვისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე, აგრეთვე დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობა სათანადო დაწესებულებისთვის ან პირისათვის, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში ჩაითვლება მოხელე თანამდებობის პირის მოქმედება სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად, რომელიც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს?**

პასუხი: განგიმარტავთ, რომ მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საჯარო ინტერესის საწინააღმდეგო ქმედება, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, დაეკისრება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობა ექიმს, რომელიც იმ მიზეზით, რომ ავადმყოფს არ აქვს მატერიალური შესაძლებლობა მისთვის საჭირო გადაუდებელი ოპერაციის დაფინანსებისთვის, არ გაუკეთებს ოპერაციას, რის გამოც პაციენტი გარდაიცვლება?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ ექიმის ამგვარი მოქმედება ჩაითვლება ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებად და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. კერძოდ, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა – ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით თხუთმეტ თვემდე; თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ. იგივე ქმედება კი, რამაც ავადმყოფის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, შეიძლება თუ არა, დაისაჯოს ნაფიცი მსაჯული როგორც მოხელე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის, ნაფიცი მსაჯულის უფლებამოსილების განხორციელების დროს?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სამოხელეო დანაშაულთა სუბიექტები, ასევე არიან ნაფიცი მსაჯულები და ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ აღნიშნულ უფლებამოსილებას. შესაბამისად, ჩვეულებრივი მოქალაქე ნაფიცი მსაჯული, ნაფიცი მსაჯულობის უფლებამოსილების განხორციელებისას, თუ ამ უფლებამოსილებას ბოროტად გამოიყენებს, პასუხს აგებს როგორც საჯარო მოხელე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რა კატეგორიის სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ მაგისტრატი მოსამართლეები?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ქონებრივ დავებს, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 2000 ლარს; უდავო და გამარტივებული წარმოების საქმეებს, გარდა შვილად აყვანის, აგრეთვე, გამარტივებული წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, გადახდისა და ქონების უპატრონოდ ცნობის საქმეებს, თუ მოთხოვნის ან ქონების ღირებულება აღემატება 2000 ლარს; საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დავებს, გარდა შვილად აყვანის, მშობლის უფლების ჩამორთმევის, მამობის დადგენისა და განქორწინების საქმეებისა, თუ მეუღლეებს შორის არსებობს დავა ბავშვის მიკუთვნების თაობაზე.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია სახელმწიფო ბაჟის ოდენობა იმ კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე, რომლებსაც განიხილავენ მაგისტრატი მოსამართლეები?**



რუბრიკას უძღვება ადვოკატი
ირაკლი გაბრიჭიძე

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
ანატოლ ფრანსი

პასუხი: გაცნობებთ, რომ მაგისტრატი მოსამართლის განსჯად საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ყველა ინსტანციის სასამართლოში შეადგენს კანონით დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის ნახევარს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, რამდენია სამოქალაქო საქმეებზე დადგენილი სახელმწიფო ბაჟის ოდენობის მაქსიმალური ზღვარი?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ სახელმწიფო ბაჟის ოდენობა პირველი ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისთვის – 3 000 ლარს, იურიდიული პირისთვის – 5 000 ლარს; სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისთვის – 5 000 ლარს, იურიდიული პირისთვის – 7 000 ლარს; საკასაციო ინსტანციის სასამართლოში არ უნდა აღემატებოდეს: ფიზიკური პირისათვის – 6 000 ლარს, იურიდიული პირისათვის – 8 000 ლარს.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება მოსარჩელე მხარის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის საკითხი, საქმის განხილვის ამა თუ იმ სტადიაზე საქმის მორიგებით დასრულების შემთხვევაში?**

პასუხი: გაცნობებთ, რომ თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება. თუ სასამართლოს მთავარ სხდომამდე მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, მოპასუხე ცნობს სარჩელს ან მხარეები მორიგდებიან, მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან. სასამართლო მედიაციის პროცესში, დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში, მოსარჩელეს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70 პროცენტი, ხოლო თუ სარჩელზე უარის თქმა ან სარჩელის ცნობა, დავის საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის შესაბამისად.

## მაპატიე, ბებო!

ამ წერილს გწერთ ციხიდან. თქვენც გილოცავთ შობა-ახალ წელს და, მინდა, მივულოცო ჩემს მოხუც ბებიასაც, რომელმაც გამზარდა ადრე დაობლებული ბიჭი და შეძლებისდაგვარად არაფერი მომაკლო, მაგრამ, მე ვერ დავუფასე ამაგი და, შეიძლება ითქვას, ის სითბო, სიყვარული და მზრუნველობა, რაც მან ჩემ მიმართ გამოიჩინა, წყალში ჩავუყარე, რადგან, მეცხრე კლასიდან თავი დავანებე სკოლას, ვიღაც ქუჩის ბიჭებს დავუმეგობრდი, ცუდ წრეში აღმოვჩნდი და მთლად წავედი ხელიდან: აღარც ქურდობა და ძარცვა იყო ჩემთვის უცხო ხილი, აღარც ნარკოტიკები და აღარც თაღლითობა. ამიტომ, უკვე მეორედ აღმოვჩნდი ციხეში, ამჟამად 5 წლით. სამი წელი უკვე მოვიხადე, თუ რაღაც სასწაული მოხდა და ვადაზე ადრე გამოვედი, უკვე ზუსტად ვიცი, როგორც მოვიქცევი და როგორც ვიცხოვრებ, რადგან აქ ძალიან ბევრი დრო მაქვს საფიქრელად. ერთადერთი ოცნება მაქვს – ბებიაჩემს მოვუსწრო ცოცხალს, რომ მუხლებზე დაჩოქილმა ვთხოვო პატიება და სიცოცხლის დარჩენილი წლები ახლა მე მოვუარო, ვიზრუნო მასზე და ასე მაინც გადავუხადო ამ დიდი ამაგის ნაწილი.

ბებო, ჩემო უსაყვარლესო და უერთგულესო ადამიანო! ცოტა დაგვიანებით გილოცავ შობა-ახალ წელს. თუ შეგიძლია, მაპატიე, რაც კი შენთვის ტკივილი მომიყენებია, მაგრამ გპირდები, როცა გამოვალ, ისე მოგივლი, ყველა წყენას დაგავიწყებ, ოღონდ კი ცოცხალი დამხვდი. ვიცი, ყველაფრის მიუხედავად, გულში მაინც მაპატიე ჩემი ცოდვები და მაინც ისევ ისე გიყვარვარ და, სწორედ ეს სიყვარული მაძლებინებს აქ, სწორედ შენმა სიყვარულმა გამომაფხიზლა და სხვანაირად დამაწყებინა აზროვნება. ამიტომ, ვალდებული ხარ, თავს გაუფრთხილდე და, როცა სახლში დავბრუნდები, კარი შენ თვითონ გამიღო. დანარჩენს როცა გნახავ, მაშინ გეტყვი. გკოცნი ბევრს.

**შენი გზააბნეული შვილიშვილი გურიკო, 32 წლის.**

# ინტიმური საუბრები

## მულთან ერთად ცხოვრება აღარ შემიძლია

ძალიან მერიდება, საახალწლო დღეების შემდეგ ასეთ წერილს რომ გწერთ, მაგრამ, ჩემმა მულმა ისე ჩამიმწარა სადღესასწაულო განწყობა, რომ, შემიძლია, ვთქვა, არანაირი სიხარული არ მიგრძნია.

ერთი წელიც არ არის, რაც გათხოვილი ვარ, ჯერ შვილიც არ გვყავს და, ამიტომ, მე და ჩემი ქმარი ისევ შეყვარებულებივით ვცხოვრობთ: ყველგან ერთად დავდივართ, ერთმანეთს თვალებში შევციცინებთ და სასიამოვნო სიურპრიზებს ვუკეთებთ, ერთი სიტყვით, ერთმანეთისთვის ვარსებობთ, თუმცა, ვცდილობთ, არც ოჯახის წევრები დაგვრჩნენ ყურადღების გარეშე, მაგრამ, ეს ყველაფერი ჩემს მულს გულზე ეკლად ესობა, რადგან, თვითონ ძალიან დაძაბული ურთიერთობა აქვს ქმართან – სულ ჩხუბი და გაწევ-გამოწევა აქვთ. გარდა იმისა, რომ შურს ჩვენი ასეთი დამოკიდებულება, სულ იმას ჩალიჩობს, ყველას რაღაცას გამორჩეს: დედამისს პენსიას თითქმის მთლიანად ართმევს, მამამისი ხელფასივით აძლევს ყოველთვე 300 ლარს) ეს, რაც მე ვიცი), ჩემი ქმარი თვეში 100-100 ლარს ჩუქნის თავის ორ დისშვილს, თან, მარიკა (ჩემი მული) თვითონაც მუშაობს და ქმარსაც კარგი სამსახური აქვს, მაგრამ, არაფერი არ ჰყოფნის. მარიკა რომ გათხოვდა, მის ქმარს პატარა ბინა ჰქონდა (ოროთახიანი „ხრუშჩოვკა") და ჩემმა მამამთილმა საკმაოდ დიდი თანხა მისცა. ის ბინა გაყიდეს, ნაჩუქარი ფული დაუმატეს და საბურთალოს ცენტრში გარემონტებული ოთხოთახიანი იყიდეს, დარჩენილი თანხით კი – კარგი მანქანა. იმ ბინაში მარტო თვითონ ცხოვრობენ, ჩვენ კი სამოთახიანში ვართ გიოს მშობლებთან ერთად, თან, როცა იქნება, შვილიც ხომ გაგვიჩნდება. მარიკამ კი უკვე გამოაჩინა კლანჭები და ჯერჯერობით ვითომ ხუმრობით „მინამიოკებს", ამ ბინიდან წილი მეც მეკუთვნისო. თავისი უფლებები უფრო რომ „განემტკიცებინა" მშობლების ბინაზე, ჩემი გათხოვებიდან ორი თვის შემდეგ შვილებიანად მოვიდა ჩვენთან, ვითომდა, რამდენიმე დღით (ქმარს ვეჩხუბე და იმის დანახვა აღარ მინდა; თან, უნდა ვახვეწნინო, რომ სახლში დავბრუნდეო), მაგრამ, ეს „რამდენიმე დღე", აგერ უკვე რვა-ცხრა თვეა, გრძელდება. თან, მშობლებზე და ძმაზე „შეწერილ" ფულებს ისევ იღებს, სახლში კი პურსაც არ ყიდულობს, ასე რომ, სამი სულის რჩენა (კი არ ვამადლი ბავშვებს, ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ, ორ მოზარდ ბიჭს რამდენი სჭირდება, წარმოიდგინეთ) ძირითადად ჩემს ქმარს დააწვა კისერზე. ამ ყველაფერთან ერთად, მე და ჩემს ქმარს აგვკიდა ბავშვების წაყვან-წამოყვანა და მეცადინეობა, თვითონ კი ან სძინავს, ან სალონში ზის, ან შოპინგობს და ან დაქალებთან ერთობა; თან, სულ პრეტენზიები აქვს, რომ მისი დავალებები კარგად ვერ შევასრულეთ.

დეკემბრის ბოლო დღეებში მე და გიომ უამრავი პროდუქტი მოვიტანეთ სახლში – საახალწლოდ გიოს თანამშრომლებს ველოდით სტუმრად და, გვინდოდა, კარგი სუფრა გვქონოდა. მარიკამ კი, როგორც კი უკვე გამზადებული კერძები დაიგულა, ყველაფერი (გოჭიან-ინდაურიან-ნამცხვრებიან-სასმელებიანად) ყუთებში ჩაილაგა; გამოაცხადა, ქმარს შევურიგდი და ახალ წელს ჩემს სახლში უნდა შევხვდეო და წავიდა ჩვენი პურმარილიანად, ჩვენ კი ყველაფრის ხელახლა ყიდვა და გაკეთება მოგვიწია. გამოგიტყდებით, გულში კი ვიფიქრე, ოღონდ თავი დაგვანებოს და კიდევ ერთ ამდენს მე თვითონ მივუტან-მეთქი. მთელი ერთი კვირა ჩვენს ოჯახში სიმშვიდე და სიხარული სუფევდა, მაგრამ შობის მეორე დღეს ისევ შვილებიანად დაგვადგა თავზე – ისევ ვეჩხუბე ქმარს და იმასთან აღარ დავბრუნდებიო. თავის საკუთარ მშობლებსაც კი კინაღამ გული შეუღონდათ მის დანახვაზე, იმიტომ, რომ მათაც ყელში ამოუვიდათ შვილის უთავბოლო პრეტენზიები და ხუშტურები. მე ერთ-ორ თვეს ვაცლი და შევხედავ, როგორ მოიქცევა, მერე კი ჩემს ქმარს კატეგორიულად დავუსვამ საკითხს, რომ ცალკე ვიცხოვროთ, თორემ, ჩემს ოჯახს აშკარად დანგრევა ემუქრება. ვისაც უნდა, გამამტყუნოს, მე კი ასე ცხოვრება აღარ შემიძლია.

**ირმა, 25 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**ჟურნალისტ ეკა კვესიტაძეს სატელევიზიო ტაიმაუტი აქვს. საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მისი ხმაურიანი გათავისუფლების შემდეგ ძველ და საყვარელ საქმეს, წერას დაუბრუნდა, რასაც წლები ვერ შეელია. ცხოვრების პასიურ რეჟიმში იმისთვისაც ბევრი დრო აქვს, რომ ბოლო პერიოდის საკუთარ სატელევიზიო იმიჯზე მეტი იფიქროს, ამბობს, საკუთარი თავი გვერდიდან „სხვანაირად" დაინახა, თუმცა არც ამ სკანდალურ იმიჯს ნანობს და არც იმას, 21 წლის ასაკში დამწყებმა ჟურნალისტმა ქვეყნის გავლენიან ლიტერატორთან ჭიდილში რომ მოიგო. როგორ გაჰყავს ეკა კვესიტაძეს ტაიმაუტი და რას უკავშირდება მისი მომავალი გეგმები ამას თავად ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ.**

# რაზეა მიბმული ეკა კვესიტაძე და რას ვერ შეელია ის წარსულიდან

**ეკა კვესიტაძე**: მგონი, უკვე მეხუთე თვეა, რაც ჩემი სატელევიზიო ტაიმაუტი გრძელდება. ხანდახან ვხუმრობ კიდეც, რომ უმუშევრობა გამიტკბა. ცოტა უცნაური და გაორებული განცდა მაქვს. იყო პოლიტიკური ჟურნალისტი და მიგყავდეს პოლიტიკური თოქ-შოუ ძალიან აქტიურ პერიოდში, ეს საკმაოდ სტრესულია. ყველა გადაცემა დაკავშირებულია დიდ სტრესთან და რაღაც მომენტში, იმაზე ფიქრსაც კი იწყებ, რომ ეს სტრესი აღარაფრად აღარ გილირს. ზოგჯერ სტრესი უფრო მეტია, ვიდრე – პროფესიული სიამოვნება. როცა, ამას ემატება ისიც, რომ ყველა გადაცემის შემდეგ იწყებ ფიქრს, შეიძლებოდა უკეთესად წაგეყვანა გადაცემა, უკეთესი შეკითხვები დაგესვა, ეს კიდევ უფრო სტრესულს ხდის სიტუაციას. სიმართლე გითხრათ, ბოლო პერიოდში ძალიან დავიღალე, იმასაც ვფიქრობდი, რომ ტაიმაუტი ჩემთვის კარგი იქნებოდა. როცა ეს ტაიმაუტი ჩემგან დამოუკიდებლად დადგა, ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა, პოზიტიურადაც შემეხედა ამ მოცემულობისთვის. არის პერიოდი, როდესაც თვითონ ყველაზე მეტად გჭირდება, გვერდიდან შეხედო შენს თავს, მოვლენებს. მაგრამ, განსაკუთრებით მწვავე სიტუაციებში, როცა ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება, ვგრძნობ, რომ ხელები მეფხანება ***(იცინის)***. ჩემი სტატიები იბეჭდება „24 საათში", დაინტერესებული მკითხველისთვის „ფეისბუქის" მეშვეობითაც „ვაშეარებ". ეს, გარკვეულწილად, მივსებს იმას, რაც მაკლია. წერა ძალიან მიყვარს, მე ხომ თავიდან მწერალი ჟურნალისტი ვიყავი, მერე გადავედი სატელევიზიო ჟურნალისტიკაში. თუმცა, წერა დიდი ხნის განმავლობაში არ შემიწყვეტია. წერის პროცესში შენს შეხედულებებს, შენს ანალიზს უფრო მეტი გასაქანი აქვს. მაგრამ, წერა ვერ ცვლის იმას, რომ იჯდე პირდაპირ ეთერში და სვამდე შეკითხვებს, რაც ყველაზე ძალიან მიყვარს. არ მინდა, სუბიექტური ვიყო, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ მეჩვენება, რომ მწვავე შეკითხვებს ტელეეთერში აღარ სვამენ. თუმცა, ეს იმითაც შემიძლია ავხსნა, რომ მე მაინცდამაინც აღარ ვუყურებ ტელევიზორს. ესეც ჩემი დასვენების ერთგვარი ფორმაა. ინფორმაციის მიღების იმდენი საშუალება არსებობს, არ ვარ დამოკიდებული იმაზე, რომ მაინცდამაინც სამსაათიანი საინფორმაციო იწყება და უნდა ვუყურო.

**– გვერდიდან საკუთარი თავის ყურების საშუალება მომეცაო, თქვით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ის იმიჯი, რაც შეგექმნათ ტელესივრცეში ზედმეტად „ხმაურიანი" იყო?**

– ერთადერთი, რასაც კრიტიკულად ვუყურებ, ჩემ მიერ გადაცემის წაყვანის მანერაა. შესაძლოა, ზედმეტად შემტევი და აგრესიული ვიყავი ჩემი ტონალობით, სახის გამომეტყველებით. მერე ბევრი ვიმუშავე ჩემს თავზე, რომ ნაკლები ემოცია დამტყობოდა, უფრო მეტად გამეღიმა. მე ძალიან ემოციური ადამიანი ვარ. მართალი გითხრათ, როცა ვბრაზდები, ასეთი ვარ ცხოვრებაშიც. თავისთავად, ასე ჩამოყალიბდა ჩემი სატელევიზიო იმიჯი. ჟურნალისტიკაში ვარ 1998 წლიდან. პოლიტიკა თავიდან სულ არ მაინტერესებდა, არც ვიყავი გარკვეული პოლიტიკაში. გერმანიიდან ჩამოსულმა დავიწყე მუშაობა, როგორც ლიტერატურის მიმომხილველმა. ლიტერატურა დღემდე ჩემი ყველაზე დიდი ვნებაა და ყველაზე დიდი სიყვარულით ლიტერატურაზე ვსაუბრობ. რატომღაც, ისე მოხდა, რომ ლიტერატურაზე წერიდან პოლიტიკაში ჩავერთე, იმიტომ რომ, ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკა ხომ ყველაფერშია, მისგან თავისუფალი არც მაშინდელი ლიტერატურა იყო. ჩემი ხმაურიანი იმიჯის შექმნა ჩემი და თამაზ წივწივაძის დაპირისპირებას მოჰყვა. თუმცა, ამ ისტორიაში სასაცილო ის იყო, რომ წივწივაძე თვალით არ მენახა, ისევე როგორც მოხდა ახლა, თამაზ ტყემალაძე, რომელმაც საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამომიშვა, მხოლოდ კორიდორში მყავდა თვალმოკრული ***(იცინის).*** ჩემზე საუბარი დაიწყო მაშინ, როცა 21 წლის გამოუცდელმა გოგომ დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი. კარგად მახსოვს, როდესაც კობა ახალბედაშვილს, რომელიც „შვიდ დღეში" ჩემი რედაქტორი იყო და დიდ პატივს ვცემ დღემდე, ვუთხარი, რომ უნდა დამეწერა წერილი თამაზ წივწივაძეზე მან მიპასუხა: შენ პატარა ბავშვი ხარ, როგორ შეგიძლია წივწივაძეს შეერკინოო? მე დავწერე სტატია. კობა აღფრთოვანებული დარჩა ამ სტატიით და დაიბეჭდა, რასაც მოჰყვა ის, რაც მოჰყვა. იმ დროს თამაზ წივწივაძეს ამას ვერავინ გაუბედავდა. მისი იარაღი ოპონენტებთან იყო შანტაჟი. რაღაცას აუცილებლად გამოუჩხრეკდა ხოლმე იმას, ვინც მასზე სადმე რამეს წერდა. რა უნდა მოეჩხრიკა ჩემზე? 21 წლის გოგოს აბსოლუტურად სუფთა ფურცელი მქონდა ბიოგრაფიის სახით. წივწივაძე თავიდან საერთოდ ვერ მიხვდა რა ხდებოდა, ვინ ვიყავი, რა მინდოდა ***(იცინის).*** მერე თქვეს: ეკა კვესიტაძე ნაირა გელაშვილის ფსევდონიმიაო. როცა აღმოაჩინეს, რომ ნამდვილად ვარსებობდი, ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი დაპირისპირება და მეც ბუნებრივია, ლიტერატურაზე კი აღარ ვწერდი, უკვე ვწერდი იმ პრობლემებზე, რაც მწერალთა კავშირს ჰქონდა.



**ახლა, როცა რამე ხდება, ხელები მექავება ხოლმე**

**– ამჯერად, წარსულისგან განსხვავებით, ძალიან ბევრჯერ „შეგახსენეს" შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანი მეუღლე, მეგობრები ყოფილი ხელისუფლებიდან.**

– ითქვა მხოლოდ ის, რომ ჩემი მეუღლე შსს-ს მაღალჩინოსანი იყო. სხვა რამე გაგიგიათ? გაგიგიათ, რომ ჩემმა ქმარმა, რომელიც ცხრაწლიანი „რეჟიმის" პირობებში იყო მაღალჩინოსანი, რამე გააკეთა? გადაავლეთ თვალი ჩვენს ქონებრივ დეკლარაციებს, და მიხვდებით, რომ მის გამო მხოლოდ იმას თუ შემახსენებდნენ, მაღალჩინოსანი იყოო. ჩემი ჟურნალისტური საქმიანობა არანაირად არ იყო დაკავშირებული ჩემი მეუღლის სტატუსთან. უფრო მეტსაც გეტყვით, სანამ შოთიკოს გავიცნობდი, იქამდეც ვიყავი ძალიან აქტიური და „ხმაურიანი". ჩვენი ურთიერთობა დაიწყო 2001 წელს, ჩვენ ერთად ვმუშაობდით გაზეთში. მერე ეროსი კიწმარიშვილმა ერთად გადაგვიყვანა „რუსთავი 2-ში", სადაც შოთიკო ერთ-ერთი მთავარი პროდიუსერი იყო და ეროსი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა. რაც არ უნდა უცნაური იყოს, შოთიკომ პოლიტიკური წრეები ჩემგან გაიცნო. მას მე გავაცანი ზურა ადეიშვილი, რომელიც ორი თვის განმავლობაში არწმუნებდა შოთიკოს, რომ ხელისუფლებაში გადასულიყო, შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის უფროსად. იმ პერიოდში მე და შოთიკო უკვე ერთად ვცხოვრობდით, თუმცა ოფიციალური ცოლ-ქმრის სტატუსი არ გვქონდა. მაშინ მე „რუსთავი 2-ში" დავრჩი. როცა მეძახიან პროხელისუფლების ჟურნალისტს, მე იმ ხელისუფკლებასაც ვაკრიტიკებდი და 2004 წელს ისე გამომიშვეს „რუსთავი 2-დან" არაფერი მითხრეს. ბუღალტერ ნინელისგან გავიგე, რომ იქ აღარ ვმუშაობდი, რაც ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო. მაშინ ყველაზე დიდი ტაიმაუტი მქონდა, ორი წელი დეპრესიაში ვიყავი. მაშინდელი ხელისუფლების პირობებში ჩემთვის ყველა ტელევიზიის კარი დაკეტილი აღმოჩნდა.

**– ახლაც ასეა?**

– ასე აღმოჩნდა. ან სად უნდა მეცადა? საზოგადოებრივი მაუწყებლის მაგალითზე, კარგად ჩანს, რა ხდება სატელევიზიო სივრცეში. ამას ემატება „მაესტროდან" პოლიტიკური თოქ-შოუების გაქრობა. თავის დროზე ასე თქვეს „რუსთავი 2-შიც," ხალხს პოლიტიკა არ აინტერესებსო. თუმცა, სულ სხვა რამ იყო მაშინ რეალური მიზეზი. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა მეცადა, იყო „რუსთავი 2," მაგრამ იქიდან უარი მივიღე, რაზედაც პასუხიც ნინო შუბლაძეს აქვს.

**– დღეს როგორი ურთიერთობა გაქვთ ძველ მეგობრებთან ძველი სახელისუფლებო გუნდიდან?**

– წლებია, არ მინახავს ზურა ადეიშვილი, რომელიც ჩემი ძალიან ახლო მეგობარი იყო. აღარც სატელეფონო საუბრები გვაქვს და არც არაფერი. ბოლო წლებში მიშა სააკაშვილიც არ მელაპარაკებოდა, ჟურნალისტებთან მის არც ერთ შეხვედრაზე არ ვყოფილვარ მიწვეული. ჩემს მეგობრებს ძალიან ეცინებოდათ ხოლმე, როცა ვამბობდი: ჩინოვნიკები არ მიყვარს-მეთქი და ჩინოვნიკი სახლში მეჯდა. ერთადერთი ჩინოვნიკი, ვინც მიყვარს, ჩემი ქმარია ***(იცინის).***

**– ორი უმუშევარი ერთ ჭერქვეშ ძნელი ასატანი იქნება. სადმე ხომ არ აპირებთ სამუშაოდ გადასვლას?**

– სხვა ქვეყანაში? – არა, ამას ჯერ არც ერთი არ ვფიქრობთ. ახლა მე აღარ ვარ იმ ასაკში, სადმე დიდხანს ვიცხოვრო. როცა მიჩვეული ხარ აქტიურ სოციალურ როლს, რაც არ უნდა კომფორტულად იცხოვრო სხვაგან, გქონდეს დიდი შემოსავალი, მაინც ძნელია. ჩვენი სამომავლო გეგმები აქაურობასთან არის დაკავშირებული. ზოგადად, შოთიკოს უფრო უჭირს, ვიდრე მე, რადგან ის მუშაობის საო-

**(გაგრძელება 69-ე გვერდზე)**

**მშვენიერ ლიკა ქორქიასათვის 2014 წელი არაჩვეულებრივი სიახლით დაიწყო – ის 25 დეკემბერს პატარა გიორგის დეიდა გახდა. მის ცხოვრებაში საქმიანობის მხრივაც, საინტერესო სიახლეებია. ლიკას სჯერა, რომ, თუ ყველაფერს რეალისტურად, პოზიტიურად შევხედავთ, წინ ბევრი კარგი წელი გვექნება.**

# როდის გაიყო ლიკა ქორქიას ცხოვრების გზა ორად და ვისზე აპირებს ის დიდხნიან დაკვირვებას

**ლიკა ქორქია**: ჩვენს ოჯახში ძალიან ბედნიერი 2014 წელი მოვიდა. ყველანი ველოდებოდით ამ წლის დადგომას, რადგან, ოჯახში ახალი სიცოცხლე უნდა დაბადებულიყო. ბოლო დღეებში აღარც ახალი წელი მახსოვდა, არც საახალწლო განწყობას აღარ მიქმნიდა არაფერი, ველოდებოდი იმ დღეს, როცა ჩემი დისშვილი დაიბადებოდა.

**– მე რომ ჩემი ახალდაბადებული დისშვილი, ვაჩე დავინახე, სიხარულისა და ბედნიერებისგან, შეიძლება ითქვას, შოკში ვიყავი. იმ წამიდანვე ვიგრძენი, როგორ ძალიან მიყვარდა. როგორი იყო შენი ემოციები გიორგის დანახვისას?**

– პირველად რომ შევხედე, ვერ აღვიქვი სიტუაცია, რადგან, მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც სამშობიაროში ვიყავით, ყველაზე მეტად ანის მდგომარეობას განვიცდიდი: როგორ არის ანი, მუცელი ხომ არ სტკივა, რა თქვა, წყალი ხომ არ უნდა, ხომ არ შია... ბავშვი რომ დავინახე, ვერ გეტყვი, ეს რა განცდა იყო, მაგრამ, მაშინვე გამოვვარდი და ვიყვირე: ანი მაჩვენეთ-მეთქი. გაგიჟებული სახით რომ შევვარდი, ანიმ მითხრა: ნუ გეშინია, რა დაგემართაო. ზოგადად, ანი სულ ჩემზეა გადმორთული: რას ვშვრები, როგორ ვარ, რას ვაკეთებ, რამე ხომ არ მჭირდება, კარგად ეძინა თუ არაო. მეც ზუსტად ასე ვარ ანის მიმართ. „როგორ გეძინა?" – ასე იწყება ჩვენი დღე და მთელი დღის განმავლობაში ვკონტაქტობთ.

**– ხომ არ ეჭვიანობ პატარაზე?**

– არა, ვგიჟდები მასზე. ერთად რომ ვსხედვართ და ვუყურებთ, ვამბობთ: „ხვდები, ვისთან გვაქვს კონტაქტი?" ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღვიქვით სიტუაცია. ანი ფანტასტიკური, იმდენად კარგი დედაა, დღეს და ღამეს ასწორებს. ისე უვლის, ცოტა მიკვირს კიდეც, რადგან, მთელი ბავშვობის განმავლობაში არასდროს უთამაშია სათამაშოებით, დედობის „ამბავი" არასდროს ჰქონია. ახლა რომ ვუყურებ, როგორ უვლის, ვფიქრობ, ეს ყველაფერი საიდან იცის-მეთქი. მეც, როცა ვეხმარები ბავშვის მოვლაში, უდიდეს სიამოვნებას ვიღებ, თუმცა, ძალიან პატარაა და ჩემს თავს რაღაცეების უფლებას არ ვაძლევ – ჯერჯერობით, მეშინია. რამდენიმე დღე დავრჩი მასთან და ისეთი ბედნიერი ვიყავი: გვერდით მეწვა, ჩემი ხელი ეჭირა და თვალებში მიყურებდა.

**– მომიყევი, რა ხდება ამ ეტაპზე შენს საქმიანობაში?**

– მინდა, განვავითარო ის საქმე, რაშიც ვარ ჩართული, ამისთვის ძალიან ბევრს ვშრომობ და ვსწავლობ, თავიდან ბოლომდე ამაზე ვარ გადართული – ჟურნალისტიკას ვგულისხმობ. სასიამოვნოდ ვიღლები და ეს მომწონს. „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან" წამოვედი, რადგან, ჩემი გადაცემა – „აღმოაჩინე საქართველო" – აღარ გადის. ახლა ამ კუთხით რაღაც ახალს ვაკეთებ. ჯერჯერობით ბოლომდე ვერ დავკონკრეტდები, მაგრამ, მერე გეტყვი. დიდი იმედი მაქვს, რომ, ის, რასაც ვაკეთებ, ძალიან კარგი გამოვა, რადგან, ძალიან კარგ გუნდთან ერთად ვმუშაობ და მოტივაციაა დიდი. სადაც უფრო დიდხანს ხარ, ალბათ, იმ გარემოებას ძალიან ეჩვევი. ხომ იცი, სამედიცინო მაქვს დამთავრებული და, როცა ვსწავლობდი, ეს სფერო ძალიან მიყვარდა. მაგრამ, როგორც კი ტელევიზიაში მოვხვდი, მივხვდი, ჩემი გზები გაიყო: ან უნდა გავმხდარიყავი კარგი ექიმი, ან ჟურნალისტიკას უნდა გავყოლოდი, რადგან, ორივე საქმე ერთად არ გამოვიდოდა. საბოლოოდ, ჟურნალისტიკამ, ტელევიზიაში მუშაობამ გადაწონა.

**– შენ, ზოგადად, ყველაფერს პროფესიონალურად უდგები, დიდ შრომას დებ.**

– რაც უფრო დიდ შორმას დებ რაღაცაში, მერე, შედეგს რომ იღებ, უფრო კმაყოფილი ხარ, უფრო ხვდები შედეგის მნიშვნელობას. „პოდნოსზე დადებული" როგორც მოვა, ისე წავა და ვერასდროს ვერ დააფასებ. ამიტომ, რაც უფრო მეტს იშრომებ რაღაც კონკრეტულისთვის, მით უფრო ტკბილი იქნება მიღებული შედეგი.



**– რომელ ეტაპს გამოყოფდი შენი ცხოვრებიდან, ანუ, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი, რამაც აქამდე მოგიყვანა?**

– ამ წლებმა ძალიან სწრაფად გაიარა. ყველაფერი მიება, ერთმანეთს დაუკავშირდა, შეერწყა და ერთმანეთზე მოახდინა გავლენა... ისე, ალბათ, ბავშვობას გამოვყოფდი, რადგან პატარობიდან, როგორი საფუძველიც ჩაიყარა ჩემში, მერე ისეთი განვვითარდი. სულ იმას ვამბობ, რომ, რასაც ბავშვობაში ჩაგიდებენ, მერე დიდობაში, ის განვითარება, ის კულტურა, რაღაცეებისადმი სწრაფვა, კეთილშობილება გექნება. ამიტომაც, ალბათ, ჩემზე გავლენა ჩემმა ოჯახმა მოახდინა, სადაც ძალიან თბილი, კარგი გარემო იყო; სადაც მიხსნიდნენ: ამის გაკეთება არ შეიძლება ამა და ამ მიზეზის გამო. ყოველთვის ვიცოდი, რომ თეთრზე არ უნდა მეთქვა, რომ შავია. მშობლებს ჩვენთან არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა როგორც პატარა ბავშვებთან, ყველაფერს გვიხსნიდნენ როგორც ზრდასრულ, დიდ გოგონებს. ამიტომაც, ალბათ, ძალიან ბევრი რამ სწორად გავიგეთ და, მერე, რომ გავიზარდეთ, რეალურად მოხდა ამის გადაფასება. ახლა, რაღაცეებს რომ ვაკეთებ, ყოველთვის ვხვდები, რომ ეს არის თავიდან ბოლომდე ჩემი ოჯახის დამსახურება. როცა პატარა გოგონების ქცევა ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, ვიცი, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ დროს თავისი მოაქვს და ახლა ბავშვები სხვანაირად იზრდებიან, არამედ, მიმაჩნია, რომ ოჯახი მათში არ დებს შესაფერის საფუძველს, ეს კი ხელს უშლის მათ განვითარებაში. ცხოვრებაში მთავარია, ადამიანური ღირებულებები გქონდეს და, როცა ადამიანური ღირებულებები გაქვს, როცა კონკრეტულ საკითხებს ადამიანურად უდგები, უკვე შეგიძლია ადამიანებთან კონტაქტი და ბევრი რამის მარტივად გადაწყვეტა. ბავშვობიდან, კიდევ, ბაბუა მახსოვს ძალიან კარგად, რომელიც მეუბნებოდა, ჩემი პირადი შვილშვილი ხარო. სულ მასზე ვიყავი მიჯაჭვული – მას მივყავდი ყოველ დილით სკოლაში, ის მამეცადინებდა, მასეირნებდა... რომ ვეტყოდი, არ წამიყვანო სკოლაში, არ ვარ კარგად მომზადებული-მეთქი, არც მეკითხებოდა, ისე მივყავდი მუშტაიდში, თან მეუბნებოდა, არ თქვა სახლშიო. ეს პერიოდი ძალიან კარგად მახსენდება და, რომ შემეძლოს, აუცილებლად დავაბრუნებდი.

**ერთად რომ ვსხედვართ და ვუყურებთ, ვამბობთ: ხვდები, ვისთან გვაქვს კონტაქტი? ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ აღვიქვით სიტუაცია. ანი ფანტასტიკური, იმდენად კარგი დედაა, დღეს და ღამეს ასწორებს**

**– როგორ იქცევი მაშინ, როდესაც შენს ცხოვრებაში გარკვეული სირთულეები, წინააღმდეგობები წარმოიქმნება?**

– როცა შენ ირგვლივ რაღაც ხდება, რას ჰქვია, არ განიცადო! უნდა განიცადო – ეს ადამიანური და ბუნებრივია, მაგრამ, რაღაცეებს რეალისტურად უნდა შეხედო. თუ ხვდები, რომ გამოსწორება არ შეიძლება, მაშინ, თავი უნდა დაანებო. შეიძლება, ხანდახან ვთქვა, რა ცუდი წელი იყო-მეთქი, მერე კი, რომ ვხედავ, რა ხდება ქვეყანაში, ხალხს რა პრობლემები აქვს, სულ ვამბობ: ღმერთს ვცოდავ, როცა ვამბობ, რატომ მოხდა ასე-მეთქი. რადგან, რეალურად, ჩემთან ყველაფერი კარგად არის, თავის ადგილზე დგას. ამიტომ, მერე საკუთარი თავის მრცხვენია.

**– რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში – ეს თემა ყოველთვის აქტუალურია საზოგადოებაში. თუმცა, შენ შესახებ ხშირად არ ჩნდება ჭორები.**

– ჩემს პირად ცხოვრებაში არაფერიც არ ხდება. კი, მეუბნებიან, კონკრეტული ჭორი შენზე არ გამიგიაო, მაგრამ, ალბათ, ჩემთან არ ამბობენ. თუმცა, ხანდახან ხდება „დაწყვილებები" და ესეც ჟურნალისტების ბრალია. მაგრამ, ყოველთვის „მირჩევენ" წარმოსადეგს, ანუ, ცუდს არ შემირჩევენ ხოლმე. რომ ვეუბნები, რა შუაში იყო-მეთქი, მპასუხობენ – ცუდი ხომ არ აგვირჩევიაო. მადლობა ღმერთს, რომ, უმეტეს შემთხვევაში, წერდნენ: „გავიგეთ" და არა „ნამდვილად ხდება". მინდა, რომ, ის პერიოდი, სანამ ჩემს საქმეს გავაკეთებ, თავიდან ბოლომდე ამაზე ვიყო გადართული.

**– თუმცა, ასეთ დროს პირადი ცხოვრებისთვისაც შეიძლება დროის გამონახვა.**

– ზოგადად, ურთიერთობებიდან გამომდინარე, ადამიანს უჩნდება ხოლმე კონკრეტული ადამიანის მიმართ გრძნობა და აქაც ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ადამიანებს კარგად შეუძლიათ თამაში და შეიძლება, უცებ დაგემართოს: „ვაი, რა გააკეთა!" მომხრე ვარ იმის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვაწარმოო დაკვირვება. ამიტომ, ვინც იქნება ჩემი რჩეული, მას დიდხანს დავაკვირდები – მანამდე, სანამ მივხვდები, რომ თამაში მობეზრდა და ახლა ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ვგიჟდები პირდაპირ, სამართლიან, კეთილ, მართალ ადამიანებზე, რომლებიც საკუთარ თავთან არიან მართლები და არა ჩემთან, შენთან, სხვასთან. მეც, ზოგადად, ასეთი პოლიტიკა მაქვს: ღამით, რომ დავწვები, ვფიქრობ, რა გავაკეთე კარგი. საბოლოო ჯამში, როცა ვხვდები, რომ საკუთარ თავთან ვარ მართალი, მეორე დღეს ძალიან ბედნიერი და გახარებული ვიღვიძებ. ამიტომაც, ვცდილობ, ყოველდღე ვიცხოვრო „პეპლის პრინციპით": ერთი დღე ხარ და ამ ერთ დღეში ბევრი კარგი რამ უნდა მოასწრო.

**ნათია უტიაშვილი**



# რატომ შეიძლება იყოს უბედური ქალი, რომელიც ყველას ბედნიერი ჰგონია

**სიყვარული სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ბედნიერი იყო. უფრო პირიქით – ზოგჯერ სწორედ სიყვარულია პრობლემების შემქმნელი და ჩიხში შემყვანი. ძალიან ბევრი ქალი ფიქრობს, რომ სიყვარულის გარეშე გაცილებით მშვენიერია ცხოვრება. რომანტიზმს პრაგმატიზმი ცვლის, ცივი გონებით მიღებული გადაწყვეტილება კი ბევრად ამართლებს. მაგრამ, რა მოვუხერხოთ გულს? ნუთუ ყოველთვის შეიძლება მისი გაკონტროლება? ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ საკუთარ თავზე მუშაობით ყველაფერს მიაღწევ, მით უფრო, როცა ამის სურვილი და აუცილებლობა რეალურად არსებობს.**

**დიკო** ***(29 წლის):*** ქორწინებამდე ჩემი ქმარი აბსოლუტურად სხვანაირი იყო, რადიკალურად სხვა. გეტყვით, რასაც ვგულისხმობ: როცა გავიცანი, ყველას მოსწონდა, აღმერთებდნენ და პატივს სცემდნენ. იცით, როგორ გამაცნეს? – ეს ისეთი ადამიანია, შეუძლებელია, არ შეგიყვარდესო. ანუ, რეკლამა, პიარი, უკვე გაკეთებული ჰქონდა.

**– თქვენც ამ პიარმა მოგხიბლათ?**

– არა, რა თქმა უნდა. თუმცა, ვაღიარებ, რომ პოზიტიურად განვეწყვე. ხომ იცით, ამას რამხელა მნიშვნელობა აქვს. ვერ ვიტყვი, დანახვისთანავე შემიყვარდა-მეთქი, მაგრამ, მოვიხიბლე რაინდით. აი, კაცი – როგორც არ უნდა მიჭირდეს, მაშინვე მოვარდება და მიშველის-მეთქი. ასეთი კაცი ყველა ქალისთვის სასურველია. ქალებს ხომ მოთხოვნილება გვაქვს, რომ კაცი ზრუნავდეს ჩვენზე. რეალურად კი სულ პირიქით არის ყველაფერი, მაგრამ, ილუზიების ტყვეობაში მაინც ვექცევით. ყველა კაცი საკმარისზე მეტად ძლიერია, საკუთარ თავს ყველა მიხედავს. მიუხედავად ამისა, მაინც ვეძებთ მზრუნველს და მისი პოვნით საზრუნავს ვიკიდებთ. სხვათა შორის, დავაკვირდი – კაცები, რომლებიც გარეთ ყველას ეხმარებიან და „მაშველ რგოლებად" ევლინებიან, სახლში ბავშვივით უმწეონი არიან. სამწუხაროდ, ეს ჭეშმარიტება საკმაოდ გვიან გავიგე და ახლა რადიკალური ცვლილებები ძალიან გვიანაა. ჩემი ქმარი დღესაც თვალს ჭრის სუსტი სქესის წარმომადგენლებს. ფიზიკურად ადამის ღირსეული შთამომავალია. შეხედავ და იტყვი, ამას ვერავინ და ვერაფერი დაუდგება წინო. რეალურად კი უმძიმესი სიტუაციაა.

**– თქვენ არ გიყვართ ქმარი?**

– უკვე მიჭირს ერთგვაროვანი პასუხი გაგცეთ. სიყვარული ზოგჯერ გვახრჩობს და ნორმალურ ცხოვრებაში ხელს ძალიან გვიშლის, ისევე, როგორც საკუთარი წარმოსახვის უნარი.

**– რას გულისხმობთ?**

– იმას, რომ ჩვენ თვითონ ვაფუჭებთ ქმრებს იმით, რომ მათ ისეთ თვისებებს მივაწერთ, რეალურად საერთოდ რომ არ აქვთ. მერე ვიყვარებთ ჩვენივე წარმოსახვით შექმნილ გმირებს და თავსაც ვიღუპავთ. როგორც გითხარით, ჩემი ქმარი დღესაც ძალიან მოსწონთ ქალებს. საერთოდ არ იცნობენ და იმიტომ. ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არისო, ხომ გაგიგიათ. გარეთ „ბრწყინვა" კი ნამდვილად, შეუძლია, ვერაფერს იტყვი. ისე გიყურებს, შეუძლებელია, ამ მზერამ არ მოგნუსხოს და მოგაჯადოვოს. საკუთარ თავზე მაქვს ეს გამოცდილი. მომნუსხა, მომაჯადოვა და ეგ იყო, სხვა არაფერში ივარგა. გეგონება, შეცვალეს. ხმას ვერ ამოაღებინებ. რამდენიც არ უნდა ელაპარაკო, რამდენი შეკითხვაც არ უნდა დაუსვა, დუმს. თითქოს საერთოდ არაფერი ესმოდეს. ჭკუიდან გადავყავარ. არადა, სანამ ჩემი მოხიბვლის მცდელობები ჰქონდა (სპეციალურად არ ვამბობ, შეყვარებული იყო-მეთქი იმიტომ, რომ ეს სიყვარული არ არის) სულ სხვანაირი იყო.

**– რატომ ფიქრობთ ასე?**

– სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობაა – ეს არის რეალობა და ეს არის სწორი. როგორ შეიძლება, გაიძახოდე – მიყვარს, მიყვარსო და საერთოდ არ ზრუნავდე მასზე, მისი ცხოვრებით არ ცხოვრობდე?! სხვათა შორის, შორიდან, უცხო თვალით, მე ძალიან ბედნიერი ადამიანის შთაბეჭდილებას ვტოვებ, ისეთის, ყველაფრით კმაყოფილი რომ არის და ოჯახურ ცხოვრებაში ძალიან გაუმართლა. ხალხში ჩემი ქმარი შემომცინცინებს, თვალს არ მაცილებს და ისეთი პოზა უჭირავს, თითქოს ჩემი ყველა სურვილის შესასრულებლად მზად არის. ასეთ დროს ვფიქრობ, ნეტავი, ვინმემ იცოდეს, სინამდვილეში როგორი უბედური ვარ-მეთქი.

> **ვეძებთ კაცს, ვინც ჩვენზე იზრუნებს, რეალურად კი ახალ საზრუნავს ვიკიდებთ**

**– კონკრეტულად რა გიქმნით უბედურების განცდას?**

– გეტყვით: ჩემი მოთამაშე ქმარი – ამ სიტყვის არაპირდაპირი გაგებით, ანუ, აზარტულ თამაშს არ ვგულისხმობ. მსახიობია და თავის ნიჭს იყენებს. ეტყობა, ეს მის ხასიათში ზის და ამას უკვე აღარაფერი ეშველება. უნდა მოგესმინათ, რა სიტყვებს მეუბნებოდა, სანამ მისი ცოლი გავხდებოდი. შეუძლებელი იყო, არ დამეჯერებინა – მაშინ ხომ კარგად არ ვიცნობდი. ზუსტად ისეთი ქალი მჭირდება, როგორიც შენ ხარ და, გპირდები, ცხოვრების ბოლომდე არაფერს მოგაკლებ, ყურადღებითა და სიყვარულით გაგანებივრებო. სასიამოვნო ჰიპნოზში მამყოფა კარგა ხანს. საკუთარ თავზე კონტროლი მქონდა დაკარგული. შეიძლება, ამიტომაც ველარ ჩავწვდი მის ჭეშმარიტ ბუნებას. სალი აზრი ბოლომდე უნდა შეინარჩუნოს ქალმა. ამიტომაც არ არის საჭირო ეს მახრჩობელა სიყვარული. ერთ კვირაში როგორ უნდა მიმელო გადაწყვეტილება, ჭკუა სად მქონდა? თავიდანვე მივეცი საშუალება, მართვის სადავეები მთლიანად იმას აელო ხელში. ყველაფერი გამოარკვია ჩემ შესახებ. სულში ჩამიძვრა, რომ იტყვიან და, ბოლომდე გამშიფრა. დილიდან ის მიგეგმავდა დღეს და თავის ნება-სურვილზე დავყავდი.

**– ეს ცუდია? ანუ, კაცი რომ გეგმავს ოჯახში ყველაფერს, პასუხისმგებლობებიც მასზე არ გადადის?**

– ნურას უკაცრავად. რომელი პასუხისმგებლობები, რას ამბობთ? საერთოდ არანაირი პასუხისმგებლობა არ გააჩნია. წარმოდგენაც არა აქვს, ეს რა არის. მანამდე იყო პრინციპული, ყურადღებიანი და თავაზიანი, სანამ საქორწინო ბეჭედს წამომაცვამდა თითზე და თავისად დამიგულებდა.

**– იმის თქმა გინდათ, რომ არ უყვარხართ?**

– არ ვიცი და უბედურებაც სწორედ მაგაშია. მგუდავს მაგისი ეგრეთ წოდებული სიყვარული. მე არ უნდა მყავდეს მეგობრები, არ უნდა ვიარო ნათესავებში... მე ხომ გყავარ, სხვები რაღაში გჭირდებაო. იმაზეც კი „ჭედავს", როცა ჩემს დასთან ან მშობლებთან მივდივარ. თუ შენი ნახვა უნდათ, ჩვენთან მოვიდნენო. თავიდან, სანამ ახალი ოჯახი გვქონდა, ვეთანხმებოდი, ვეგუებოდი და ისე არ ვბრაზდებოდი, მაგრამ, ოთხი წელია, უკვე სულს მიხუთავს ჩემი ქმრის იდიოტური „ოფოფები". მისთვის ყველაფერი დასაშვებია – ის ხომ კაცია, ოჯახის თავი. მე კი ვინ ვარ? ვიღაც უუფლებო „დანამატი" და ბედნიერი უნდა ვიყო იმით, რომ ვუყვარვარ. სადაც არ უნდა წავიდე, თუნდაც ჩემი საცვლების საყიდლად, უკან მომყვება. იმიტომ კი არა, რომ ეჭვიანობს, უბრალოდ, მისი სურვილი ჩემი ცხოვრების კონტროლია. ტყუილი არ ვიცოდი და მასწავლა. ხასიათი შემიცვალა. სულ მეტირება და მოწყენილი ვარ. აღარაფერი მახარებს, თანაკურსელების შეკრებაზე ვიყავი და სული ამომხადა. ჯერ, სანამ წავიდოდი, შეკითხვებით გამაგიჟა: ვინ იქნებიან, რამდენ ხანს დარჩები, რას გააკეთებთ... ლამის საერთოდ აღარ წავედი. ხმას ამოვიღებ, გავბრაზდები და – მე ხომ მიყვარხარო, მეუბნება. იქ ყოფნისას ყოველ ოც წუთში მირეკავდა და ძალიან მალე მომაკითხა. მარტო მე კი არა, ვინც იქ იყო, ყველა შეწუხდა. ახლა ჩემი მეგობრები აღარც კი მეპატიჟებიან სადმე – მიაჩნიათ, რომ ასე პრობლემას არ შემიქმნიან. იცით, რა საშინელ დღეში ვარ? ის უნდა ვჭამო, რაც ქმარს ჯანსაღ და სასარგებლო

# ვინ გააშვილა ჩვილი ლაგოდეხის სამშობიარო სახლიდან და როგორ ეძებს ნუკრიანში მცხოვრები ქალი თავის ბიოლოგიურ მშობლებს

*34 წლის მანანა ზაურის ასული ხუციშვილი (აღმზრდელების გვარი) ეძებს ბიოლოგიურ მშობლებს.*

**ისტორია**: ვეძებ ბიოლოგიურ მშობლებს. ვიცი, რომ დავიბადე ლაგოდეხის სამშობიარო სახლში 1979 წლის 17 აგვისტოს (შესაძლებელია, თვე და რიცხვი გადაკეთებული იყოს). ბიოლოგიური მშობლების ვინაობა ჩემთვის უცნობია. სამწუხაროდ, ჩემი აღმზრდელი მშობლები გარდაცვლილები არიან და მათგან უკვე ვერაფერს გავიგებ. ძალიან მინდა, ბიოლოგიური მშობლები მოვძებნო და გავიცნო. მაინტერესებს, რა მიზეზით გამაშვილეს და საერთოდ, ვინ არიან ისინი, მყავს თუ არა დაძმა. მე ნუკრიანში ვცხოვრობ და ვიმედოვნებ, ჩემი ბიოლოგიური მშობლები სადმე, საქართველოში უნდა იყვნენ.

**– როდის ან როგორ გაიგე, რომ ნაშვილები ხარ და როგორი რეაქცია გქონდა ამაზე?**

– საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ნაშვილები ვიყავი, რადგან ჩემი აღმზრდელები ამას არასდროს მაგრძნობინებდნენ. პატარა ვიყავი, დაახლოებით 12-13 წლის, როცა სახლში, სრულიად შემთხვევით, გადავაწყდი ჩემი შვილად აყვანის საბუთებს. ბუნებრივია, კითხვა ვიცოდი, ყველაფერს მაშინვე მივხვდი და გაოგნებული დავრჩი. გავბრაზდი და მთელი საბუთები დავწვი. იმ საბუთებში ჩემს ბიოლოგიურ მშობლებზეც იყო მწირი ინფორმაცია, მაგრამ მაშინ ამაზე სულ არ მიფიქრია. შემდგომ უკვე გავარკვიე, რომ ჩემს აღმზრდელებს ლაგოდეხის სამშობიარო სახლიდან წამოვუყვანივარ, სადაც იმ დროს მამიდაჩემი (ანუ, აღმზრდელი მამის და მუშაობდა). სამწუხაროდ, ჩემ შესახებ მეტი არაფერი ვიცი.

**– როდის გადაწყვიტე ბიოლოგიური მშობლების მოძებნა და სიმართლის გარკვევა?**



– ყოველთვის მაინტერესებდა, ვინ იყვნენ ჩემი ნამდვილი მშობლები. მაგრამ, სანამ ჩემი აღმზრდელები ცოცხლები იყვნენ, არ მინდოდა, მათ ენერვიულათ. საკმაოდ დიდი ხანია, რაც ბიოლოგიური მშობლების მოძებნა მინდა. ჩემი ახლობლისგან (რომელსაც დედის მოძებნაში ეხმარებით) გავიგე თქვენ შესახებ და გადავწყვიტე, მომემართა. ამჟამად მე თვითონაც დაოჯახებული ვარ და მართლა გულით მინდა, ბიოლოგიური მშობლების მოძებნა და სიმართლის გარკვევა.

**– მამიდაშენისთვის, რომელიც სამშობიარო სახლში მუშაობდა, თუ გკითხავს შენი ამბავი, იქნებ მან რაიმე იცის, ან ახსოვს...**

– სამწუხაროდ, ის არაფერს მეუბნება და სხვა გამოსავალი არ მაქვს, დამოუკიდებლად, იმ მწირი ინფორმაციითა და თქვენი დახმარებით, უნდა ვცადო ბიოლოგიური მშობლების მოძებნა. იქნებ კახეთში ცხოვრობენ ან, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში. შეიძლება, მათ სულაც სხვა რამ უთხრეს სამშობიარო სახლში (ეს სავარაუდოა), ყველაფერი შეიძლება.

**– მათი პოვნის შემთხვევაში, რას ფიქრობ, როგორ აეწყობა თქვენი ურთიერთობა? თუკი აღმოჩნდება, რომ გაგაშვილეს, ამას თუ აპატიებ მათ?**

– მთავარია, ვიპოვო ისინი და ყველაფერში გავერკვევით. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. თუ მე ნამდვილად გაშვილებული ვარ, მაშინ ისლა მრჩება, ვიფიქრო, რომ მათ ამგვარი საქციელის მიზეზი ჰქონდათ. რა თქმა უნდა, მინდა მათი ნახვა და გაცნობა, მით უმეტეს, თუ დედმამიშვილებიც მყავს. ამაზე დიდი სიხარული და ბედნიერება რა უნდა იყოს?! იმედი მაქვს, ფიზიკურად ჩემს რომელიმე ბიოლოგიურ მშობელს ვგავარ და სურათით მიხვდებიან, რომ მათ შვილი ეძებს.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით, ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ სალამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

პროდუქტად მიაჩნია; ის უნდა ჩავიცვა, რაც მას მოსწონს. წიგნი ვერ წამიკითხავს სახლში – ამას იმიტომ აკეთებ, რომ ჩემთან ლაპარაკი არ გინდაო. ციყვივით მის გარშემო როგორ უნდა ვიტრიალო მუდმივად? მობილური დამირეკავს და – პირველი თვითონ ეცემა, რომ ნახოს, ვინ რეკავს და რა საქმეზე. აბა, გავბედო და არ მოვახსენო სიტყვასიტყვით, რა ხდება და რატომ – მაშინვე საშინელ სკანდალს აწყობს. მშვენიერი სამსახური მქონდა. იმდენი ქნა, სადაც თვითონ მუშაობს, იმ ოფისში გადამიყვანა. ტუალეტში ვერ შევსუ-

**სანამ მისი ცოლი გავხდებოდი, ისეთ სიტყვებს მეუბნებოდა, შეუძლებელი იყო, არ დამეჯერებინა – მაშინ ხომ კარგად არ ვიცნობდი**

ლვარ მის გარეშე. რანაირად არის ეს სიყვარული, ამიხსენით. მე ქმარი ვარ და მე უფრო ვიცი, რა და როგორო. ნეტავი, ნორმალურია საერთოდ? თვითონ თავისუფალი პირადი სივრცე სჭირდება თურმე და მე მხოლოდ მისი სიყვარულით უნდა ვისაზრდოო.

**– გაძლევთ ეჭვიანობის საფუძველს?**

– რომ არაფერი ვიცი მის შესახებ, როგორ გიპასუხოთ? ამიტომაც ვარ უბედური. ახლა ხვდებით? შემშალა ჭკუიდან. რომ გავეყარო, ისეთი პიარი აქვს საკუთარი თავისთვის გაკეთებული, ყველა მე გამამტყუნებს – ასეთი ქმარი როგორ ვერ შეიფერა ამ დებილმაო. ვის შევჩივლო, რა მჭირს? ვერავინ გამიგებს, დარწმუნებული ვარ.

**– თვითონ ქმარს რომ დაელაპარაკოთ?**

– ელაპარაკე, რამდენიც გინდა. არ უნდა და არ იგებს. თავისი მყარი პრინციპები აქვს: თუ მიყვარს ქმარი, ასეთი ცხოვრება სამოთხედ უნდა მესახებოდეს. მიხვდით, რაშია ჩემი პრობლემა?! ფაქტობრივად, გამოუვალი სიტუაცია მაქვს. იცით, როგორი დიდი სიხარულით და სიამოვნებით გავიჩენდი საყვარელს და მერე ვეტყოდი ჩემს იდიოტ ქმარს – გილალატე-მეთქი?! უბრალოდ, ვერ შევძლებ – მეც ხომ მაქვს ჩემი პრინციპები. მორალი არ მომცემს ამის უფლებას, თორემ, მართლა მინდა, გეფიცებით. სული მეხუთება და ვიხრჩობი.

**– თქვენმა ქმარმა რომ გაიჩინოს საყვარელი?**

– ვაიმე, ნეტავი გაიჩინოს და მომშორდეს. ჩემი ხელით ჩავულაგებ ტანსაცმელს და გავუშვებ. გამიხარდება კიდეც. მაგრამ, მეეჭვება, ამ მონსტრისგან თავი დავიხსნა. სამწუხაროდ, თამაში მეც მიწევს, იმიტომ, რომ ყველას ვერ ავუხსნი, რა მჭირს. არც არის საჭირო... უმრავლესობას შენი უბედურება უხარია და თავს გაჩვენებს, ვითომ ძალიან წუხს, რეალურად კი სეირს უყურებენ. მე ცირკის სპილო არ ვარ, რომ ვიღაც ჩემი უბედურების ხარჯზე გაერთოს. როგორმე თავად უნდა მივხედო ამ პრობლემას, მაგრამ, როგორ, ჯერ არ ვიცი.

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**ერთი თვეა, ჩემს ქმარს დავშორდი. ვილაპარაკეთ, ავუხსენი, რომ ჩვენი ერთად ცხოვრება შეუძლებელია, დამეთანხმა კიდეც. მაგრამ, ახლა თითქმის ყოველდღე მირეკავს და მეკითხება, როდის შეწყვეტ ჭირვეულობას და როდის შემირიგდები. დროა, ამ ბავშვურ კინკლაობას მოვრჩეთო. მგონი, ამას იმიტომ აკეთებს, რომ ხვდება, როგორ ვღიზიანდები და ამით სიამოვნებას იღებს. როგორ მოვიქცე?**

გამოხმაურება: მას აშკარად უნდა შერიგება. ეს ფაქტია. მაგრამ, აინტერესებს თქვენი რეაქციაც. თუ შერიგებას არ აპირებთ, საერთოდ ნუ უპასუხებთ მის ზარებს. თუ გინდათ მასთან ურთიერთობა, მაშინ, შეეცადეთ, დამალოთ თქვენი გაღიზიანება და ნახეთ, როგორ მოიქცევა.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როგაქიძე**

**ნიუ-იორკში განსხვავებული და აჩქარებული ცხოვრების შემდეგ, ლაკო ბუკია საახალწლოდ თბილისში ჩამოვიდა. თუმცა, როგორც წესი, არც აქ გაჩერებულა უსაქმოდ, მაგრამ ცოტა ხნით დასვენება მაინც მოახერხა. ლაკო გაზაფხულზე „პარსონსში" მაგისტრატურას ამთავრებს და სადიპლომო ნამუშევრისთვის ძალიან საინტერესო თემა აქვს შერჩეული, რომელსაც ის ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე" გაიტანს.**

# როგორ გააკეთა „ივ სენ ლორანისთვის" საინტერესო პროექტი ლაკო ბუკიამ და როგორ აღმოაჩინა ფსიქოლოგთან სიარულის შემდეგ საკუთარ თავში ახალი თვისებები

**ლაკო ბუკია**: ჩემთვის ორი სხვადასხვა ცხოვრებაა: ერთი ამერიკაში და ერთი საქართველოში. თბილისში რომ ჩამოვდივარ, იქაური ცხოვრება მავიწყდება და ასეა ნიუ-იორკშიც. იმდენად განსხვავებულია ორივე ცხოვრების წესი, დრო... ისე შორია ამერიკა, რომ წარმოუდგენელია, ორივე ცხოვრებით იცხოვრო. ერთი კვირა მაინც მჭირდება, რომ დრო დავარეგულირო, აკლიმატიზაცია გავიარო. მიყვარს თბილისში, ჩემს ოჯახთან, მეგობრებთან ერთად ყოფნა. ერთადერთი, რაც მაწუხებდა, ეს იყო ის, რომ აქ ბევრი საქმე მექნებოდა. მე კი ძალიან დაღლილი ვიყავი და ვერ დავისვენებდი. თუმცა, შევათავსე დასვენება და მუშაობა ერთმანეთთან.

**– არ შემიძლია, არ აღვნიშნო შენი ახალი იმიჯი – არაჩვეულებრივად გამოიყურები, ძალიან გახდი და გიხდება.**

– ბავშვობაში ძალიან აქტიური ვიყავი: ვცეკვავდი, ჩოგბურთზე დავდიოდი, თხილამურებით ვსრიალებდი და უცებ ეს ყველაფერი შევწყვიტე. თან, იმ დროს გარდატეხის ასაკში ვიყავი და შესაბამის ენერგიას რომ არ ვხარჯავდი, მაგრამ იგივე რაოდენობის საკვებს ვიღებდი, ეს ყველაფერი წონაზე აისახა. ზედმეტი კილოგრამების წინააღმდეგ თავიდანვე არასწორად დავიწყე ბრძოლა: შიმშილი, დიეტები და იმ ასაკში ეს ბავშვის ფსიქოლოგიისთვისაც ძალიან ცუდი და არასწორი იყო. შემდეგ უკვე ვალდებულების ამბავი გახდა: სხვებისთვის უნდა დამემტკიცებინა, რომ შემეძლო გავმხდარიყავი. ახლა ჩემს თავში შეიცვალა რაღაც: ამ ყველაფერს ჩემთვის ვაკეთებ. როგორც კი საკუთარ ტვინში გადაწყვეტ, ფსიქოლოგიურად განეწყობი, რომ უნდა შეიცვალო, მაშინ ყველაფერი უფრო მარტივი ხდება. თუ ეს ყველაფერი შეგნებული არ გაქვს, არ მიუდგები, როგორც შენი ცხოვრების წესს, მაშინ არ აქვს აზრი. ადრეც ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, რადგან წონაში არ ვიკლებდი, ეს არავის შეუმჩნევია. უბრალოდ, კვებას არ ვაქცევდი ყურადღებას. ახლა ყველაფერში სიამოვნება ვიპოვე: საკუთარ თავს არაფერს ვაძალებ. მაგალითად, სარბენ ბილიკზე, რომ დავრბივარ, თან წიგნს ვკითხულობ. ისე გადის დრო, ვერაფერს ვიგებ. პლუს ამას, ვხტუნაობ სახტუნაოთი და ვაკეთებ პრესის ვარჯიშებს.



**ზედმეტი კილოგრამების წინააღმდეგ თავიდანვე არასწორად დავიწყე ბრძოლა: შიმშილი, დიეტები და იმ ასაკში ეს ბავშვის ფსიქოლოგიისთვისაც ძალიან ცუდი და არასწორი იყო**

**– როცა კომპლიმენტებს იღებ, ყველა აღნიშნავს, რომ ძალიან კარგად გამოიყურები, ეს ხომ დიდი სტიმულია.**

– ძალიან დიდი სტიმულია. ჩემი მეგობრები, ის ადამიანები, რომლებიც მეუბნებოდნენ: როგორ გიხდება, რა კარგია – დიდ სტიმულს მაძლევდნენ, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ. რაც უნდა გამჯდარი გქონდეს თავში, რომ უნდა გახდე, ეს უნდა გააკეთო, მაინც ამისთვის ნერვებია საჭირო. თან, როცა ძალიან ბევრი გაქვს სასწავლი, ენერგია გჭირდება, ამ ყველაფრის შეთავსება რთულია. აქამდე ეს არ გამომდიოდა, სულ კარიერას ვამჯობინებდი, მაგრამ ახლა შევძელი ორივეს შეთავსება. სხვათა შორის, რაც უფრო ბედნიერად და კარგად ვგრძნობ თავს, მით უფრო კარგად გამომდის საქმე.

**– ახლა შენს საქმეებზე გადავიდეთ. მომიყევი, ამ მხრივ რა ხდება?**

– ამჟამად დიპლომზე ვმუშაობ, მაგისტრატურას ვამთავრებ. გარდა ამისა, დიდ კომპანიასთან, PPR-თან ერთად გავაკეთე პროექტი. ეს კომპანია მოიცავს ისეთ ბრენდებს, როგორიც არის: „მაქქვინი", „ივ სენ ლორანი", „სტელა მაკარტნი" და ასე შემდეგ. მე ვიმუშავე „ივ სენ ლორანისთვის," ანუ ლოტოტრონის პრინციპით უნდა ამოგვეღო ფურცელი, სადაც ბრენდის სახელი ეწერა და შემდეგ ამოღებულ ფურცელზე კი – სხვადასხვა გამონათქვამი, რომელზეც უნდა აგვეგო ჩვენი პროექტი. მე ამომივიდა ასეთი რამ: „როგორ აღიქვამენ ჩვილი ბავშვები ფიგურებს. როგორ არჩევენ ისინი დედას სხვებისგან". თან, ჩემი რაღაც უნდა შემეთავსებინა. რატომღაც, მთელი ზაფხულის განმავლობაში ამოვიჩემე „ფანტანი", რომელიც ლიკანში იყო – დიდი, მოზაიკებით გაკეთებული, მაგრამ არ ფუნქციონირებდა. მახსოვს, ბავშვობაში რომ ჩავდიოდი, მივდიოდი ამ „ფანტანთან", დამტვრეულ მოზაიკებს ვიღებდი და ფერების მიხედვით ვაწყობდი. ჩემს ლექტორს ვუთხარი: მაინტერესებს მოზაიკის ხელოვნება, ამ პატარა დეტალებისგან ასეთი ფიგურები, როგორ იწყობა-მეთქი. მოკლედ, ნელ-ნელა ამით დავიწყე, ბიბლიოთეკებში ვიჯექი, ვეძებდი რაღაცეებს. აღმოვაჩინე, რომ ერთ-ერთმა ინგლისელმა ქალმა შექმნა მოზაიკის ტესტი, რომლის დახმარებითაც აუტისტ ბავშვებს ეკონტაქტებოდნენ, ფსიქოლოგიური ტესტია. მოკლედ, ეს ყველაფერი შევისწავლე და გავაკეთე პროექტი. საინტერესო გამოვიდა და ძალიან მოეწონათ. ამის მერე ერთკვირიანი ინტენსიური პროექტი გვქონდა, რომელიც უფრო საკუთარი თავის აღმოჩენა იყო. ამ ერთ კვირაში უფრო ღრმად შევისწავლე საკუთარი თავი: რა მაინტერესებს ყველაზე მეტად. მივხვდი, რომ ყველაზე მეტად მაინტერესებს ადამიანები, ხალხთან ურთიერთობა, ფსიქოლოგია. ამიტომაც, ჩემი დიპლომიც ამაზე გავაკეთე – ეს არის პროექტი ჩემს თავზე. ჩემთან ერთად მუშაობს ფსიქოლოგი, კვირაში სამჯერ გვაქვს სესია, ტესტის მიხედვით ვცდილობ, საკუთარი თავი უკეთ დავინახო. შემდეგ ამ ყველაფერს ავსახავ კოლექციაში, რომელიც ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქზე" იქნება წარმოდგენილი. ლონდონში უკვე ბევრჯერ ვაჩვენე კოლექცია, ამიტომ მინდოდა, რაღაც ახალი მეჩვენებინა. შესაბამისად, ავიღე ის, რაც ყველაზე მეტად მაინტერესებდა: ფსიქოლოგია, ადამიანებთან ურთიერთობა, მოზაიკა, ოღონდ, ამ შემთხვევაში ბავშვებზე არ ვაკეთებ ტესტს, არამედ საკუთარ თავზე, რომელიც გადმოვა ფოტოზე, ანუ პრინტზე. თავიდან, ფსიქოლოგთან ურთიერთობა რომ დავიწყე, სერიოზული დეპრესია მქონდა. თან, გამაფრთხილა – აქ იტირებ, ცუდ ხასიათზე იქნები, იცინებ, უფრო ემოციური სიზმრები დაგესიზმრება, მაგრამ ეს პროცესია და აუცილებელიაო. მართლაც, პირველი რამდენიმე მისვლა ჩემთვის ტრაგედია იყო. თუნდაც იმას, რომ საკუთარ თავში აღმოაჩენ უარყოფით თვისებებს, მიხვდები რისი გეშინია, გააანალიზებ შენს მშობლებთან, ბიჭებთან ურთიერთობას, – ისეთ ცუდ ხასიათზე ვიყავი ხოლმე. მაგრამ, ეს ყველაფერი უნდა გადალახო. ამ ერთ თვეში გავიზარდე და ძალიან კმაყოფილი ვარ.

**– ასეთი კოლექციის ჩვენება, სადაც შენი ის ემოციებიც იქნება გამოტანილი, რომელსაც საკუთარ თავს უმალავდი, საკმაოდ დიდი რისკია.**

– დიდი რისკია. მაგრამ, ჩემთვის მთავარია, ხალხმა ყველა ჩემი პროექტი ისე გაიგოს, როგორც თავად მივუდექი მას. ეს პროექტი არ არის მხოლოდ ჩემს თავზე, ასე დავარქვი: „ვინ ხარ შენ" – ყველამ უნდა იპოვოს საკუთარი თავი, რადგან ძალიან ბევრ რამეს ვუმალავთ, თუნდაც საკუთარ თავს. ფოტოში ჩემი ბევრი პორტრეტია, ამიტომ არ მინდა, ყველას ეგონოს, რომ განდიდების მანია დამემართა. ჩემი ლექტორი მეუბნებოდა: ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ შენ ასეთ პროექტს გააკეთებდი – შენს ფოტოს დაბეჭდავდიო. საერთოდ, არ მიყვარს საკუთარი თავის აფიშირება. რა თქმა უნდა, კოლექციაში არ იქნება ისე, რომ შეხედავ და მხოლოდ სახეს დაინახავ, აბსტრაქცია და „სიმბოლიკები" იქნება ბევრი. მაისშია გამოფენა, ხოლო სექტემბერში – ნიუ-იორკის „ფეშენ-ვიქი". ჩემი ლექტორიც კარგად შეხვდა ამ წამოწყებას, დაინტერესდა. ეს ჩემთვისაც ექსპერიმენტი იყო, არ ვიცოდი, როგორი გამოვიდოდა. შეიძლება, ფსიქოლოგთან იარო და ვერაფერი აღმოაჩინო. მაგრამ, მეც ბოლომდე დავიხარჯე, ვუთხარი: ნებისმიერ თემაზე ვისაუბრებ-მეთქი. ნელ-ნელა გავიხსენი. ძალიან კარგი ფსიქოლოგი აღმოჩნდა, არ მაძლევს იმედებს – მაძლევს უფლებას, რომ თავად ვიპოვო ჩემი შეცდომა და გამოვასწორო.

**– რა აღმოაჩინე ფსიქოლოგთან ურთიერთობისას შენს თავში ყველაზე მნიშვნელოვანი – ის, რაზეც შეგიძლია საჯაროდ ისაუბრო.**

– ჩემი ყველაზე დიდი შიში და ის, თუ რისგან მაქვს – საქართველოში გამიჩნდა კარის შიში. სულ მესიზმრებოდა: კარი... ქურდები უნდა შემომივარდნენ. მესიზმრებოდა ძველი სახლი, სადაც ბავშვობა გავატარე, კარის იქით იყვნენ ქურდები და ვერ შემოდიოდნენ. დაზუსტებით ვერ მითხრა, მაგრამ როგორც ამიხსნა: ბავშვი რეაქციებს იმახსოვრებს. როცა ამ ასაკში ვიყავი, მაშინ ბევრი ქურდობა იყო. დედამ სახლში რკინის კარი დააყენა. მახსოვს პროცესი – როგორ ამოწმებდნენ კარს, სანდო იყო თუ არა, თუ იკეტებოდა. იმ ასაკში ბავშვმა ძნელია განსაჯოს, ეს რატომ ხდება, ამიტომ ემოციებს იმახსოვრებს. მოკლედ, ძალიან საინტერესო გამოვიდა ყველაფერი, საკუთარ თავში ვიპოვე ბევრი პასუხი. რაც მთავარია, მიხარია, რომ ახალი ლაკო ბუკია იბადება, რომელიც ჯერჯერობით ამერიკაში დარჩენას აპირებს: ჩემი ბრენდისთვის იქ ყოფნა აუცილებელია.

**ნათია უტიაშვილი**

**ფინეთში ირაკლი სირბილაძის სახელი უკვე ხუთი წელია, კარგად არის ცნობილი. „ინტერ ტურკუს“ ქართველი ფეხბურთელი, შეიძლება ითქვას, ფინელების მარგალიტია. მის ანგარიშზეა ის პრიზები, რაც კი, შეიძლება, თავდამსხმელს ჰქონდეს. ფინეთში ორჯერ გახდა საუკეესო ბომბარდირი, ამდენჯერვე – საუკეთესო თავდამსხმელი და საუკეთესო ლეგიონერი. მან კუთვნილი შვებულება საქართველოში გაატარა და 5 იანვარს უკან გაემგზავრა.**

# რაზე თქვა უარი ირაკლი სირბილაძემ წარმატებული კარიერის გამო და როგორ გახდა ის ფინური ფეხბურთის ქართველი მარგალიტი

**– რამდენი წელია, რაც ფინეთში ცხოვრობ და სპორტულ კარიერას უცხო ქვეყანაში განაგრძობ?**

– უკვე მეხუთე წელია ფინეთში ვცხოვრობ და ვთამაშობ ფეხბურთს.

**– მართალია, საქართველოში შენი ნიჭი სათანადოდ არ დაფასდა, მაგრამ, ფინელებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს და, ამ ხუთი წლის განმავლობაში, მგონი, ყველა ჯილდო მიიღე, რაც კი შეიძლება, რომ ფეხბურთელმა მოიპოვოს: საუკეთესო ლეგიონერი, ყველაზე მეტი გატანილი გოლის ავტორი, საუკეთესო თავდამსხმელი და ასე შემდეგ. დაგრჩა რამე ჯილდო მისაღები?**

– ყველა პრიზი მიღებული მაქვს ორ-ორჯერ, ერთი, რაც დამრჩა, ფინეთის ჩემპიონობაა, რომელსაც აუცილებლად მოვიპოვებთ. ამჯერად მეორე ადგილზე ვართ.

> **როცა უცხოეთში ჩადიხარ სათამაშოდ, მინიმუმ ერთი თავით მაღლა მაინც უნდა იდგე მათზე. ვცდილობ, ეს ყველაფერი გავამართლო**

**– წლებია, ცხოვრობ ქვეყანაში, სადაც თითქმის სულ ზამთარია. არ გაგიჭირდა?**

– ძალიან არ გამჭირვებია, უბრალოდ, თავიდან რთული იყო, რადგან, პირველად რომელ ქალაქშიც ჩავედი, ყინვა 40 გრადუსამდე აღწევდა. თუმცა, იქ ისეთი სავარჯიშო პირობებია, სიცივეს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. იმის მიუხედავად, რომ დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, მე დამოუკიდებლად ფიტნესკლუბშიც დავდივარ დამატებით და, უფრო მეტს ვვარჯიშობ, ვიდრე ჩემი თანაგუნდელები. საერთოდ, როცა უცხოეთში ჩადიხარ სათამაშოდ, მინიმუმ ერთი თავით მაღლა მაინც უნდა იდგე მათზე. ვცდილობ, ეს ყველაფერი გავამართლო.

**– გავიგე, რომ კვების რაციონი გაქვს ბევრისთვის წარმოუდგენელი, რადგან, უამრავ რამეზე თქვი უარი. მოდი, გვითხარი, შენი აზრით, როგორ უნდა იკვებოს ნამდვილმა სპორტსმენმა?**

– დიახ, ბევრ რამეზე ვთქვი უარი, მაგალითად ჩემთვის არ არსებობს ჩაი, ყავა, „ფანტა”, „კოკა-კოლა” და სხვა გაზიანი სასმელები, მზესუმზირა აღარც მახსოვს ბოლოს რამდენი წლის წინ ვჭამე. რთულია, დეტალურად მოგიყვეთ, რადგან, ძალიან ბევრი რამე მაქვს ამოღებული კვების რაციონიდან. მაგალითად, პური არ შეიძლება ვჭამოთ ხორცთან და შემწვარ კარტოფილთან ერთად; ასევე, წყლის დაყოლება არ შეიძლება საჭმელზე – ან ჭამამდე უნდა დალიო 15 წუთით ადრე, ან – ჭამის შემდეგ ერთ-ორ საათში.



ის ისეთი კარგი გოგოა, იმსახურებს, მის გამო რომ ჩამოვიდე. ძალიან კარგი, თავმდაბალი და წესიერია, გარეგნულადაც ძალიან ლამაზია

**– მაშინ, ის მითხარი, რას ჭამ?**

– ზეთში შემწვარს არაფერს არ ვჭამ. ძირითადად, მივირთმევ წიწიბურას, ბრინჯს, ქათმის ხორცს და ასე შემდეგ. ეს ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია და საერთოდ არ ვიზღუდები. რაც მჭირდება, ყველაფერს ჩემით ვიმზადებ.

**– აქ რომ ჩამოდიხარ, არც ხინკალს არ ჭამ და ქართველებისთვის სხვა საყვარელ კერძებს?**

– არა, არ მიჭამია. რაც ჩემთვის სასარგებლო არ არის, არ ვჭამ.

**– ფინეთში რამდენ ხანს გეგმავ დარჩენას?**

– ზუსტად არ ვიცი. ახლახან ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ გამიფორმეს, ერთი წლის შემდეგ კი შევთანხმდებით, ვნახოთ, როგორ მოიქცევიან.

**– ფინელების მარგალიტი ხარ. შენი აზრით, საქართველოში რატომ ვერ დაგაფასეს?**

– იყვნენ ადამიანები, რომლებიც ბავშვობიდან მიშლიდნენ ხელს, ბევრს არ უნდოდა, რომ თავი გამომეჩინა. ვიღაც-ვიღაცეების მშობლებს არ უნდოდათ, რომ ფეხბურთი მეთამაშა და, მათ შვილებზე უკეთესი მე გამოვჩენილიყავი. ეს ყველაფერი წლების განმავლობაში გრძელდებოდა, ამიტომ, საერთოდ წავედი აქედან. 1982 წელს დაბადებული ფეხბურთელებიდან ყველამ დაანება თავი თამაშს, მარტო მე დავრჩი, რადგან, ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ უსამართლობას, მე კი ჩემი მშობლებისა და მეგობრების დახმარებით დავძლიე ყველაფერი. ფინეთამდე რუსეთშიც ვთამაშობდი და შვედეთშიც. თბილისის „ლოკომოტივში” ვითამაშე ყველაზე დიდხანს.

**– ვინც მაშინ ვერ დაგაფასა, ახლა რას ამბობენ, როცა პრიზს პრიზე იღებ და მოსაგები, ფაქტობრივად, აღარაფერი დაგრჩა?**

– ახლა უკვე ბევრის მეგობარი და ძმაკაცი გავხდი – თურმე, გული შესტკივათ ჩემზე და მგულშემატკივრობენ.

**– ფეხბურთის თამაშს რომ დაანებებ თავს, მწვრთნელის პოზიციაზე გადახვალ? როგორც ვიცი, ფინელებისგან შემოთავაზება გაქვს.**

– არ არის გამორიცხული. ფეხბურთი ისე მიყვარს, არ ვიცი, როდის დავანებებ თავს თამაშს. სანამ ჯანმრთელობა შემიწყობს ხელს, ვითამაშებ, მინიმუმ, ათი წელი მაინც. მერწმუნეთ, ასაკს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ფორმაში და რეჟიმში იყო და კარგად ივარჯიშო. 6 წლიდან ვვარჯიშობ, ანუ, უკვე 25 წელია, ფეხბურთს ვთამაშობ.

**– რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ხომ არ არის რამე სიახლე?**

– სიახლე ის არის, რომ მომწონს ერთი გოგო, რომელიც საქართველოში ცხოვრობს. ურთიერთობა ძალიან კარგად ავაწყვეთ. ერთმანეთი ინტერნეტის საშუალებით გავიცანით და, რომ ჩამოვედი, პირველად მაშინ ვნახეთ ერთმანეთი. რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

**– ერთი წლით ტოვებ მას საქართველოში?**

– არა, ზაფხულში აუცილებლად ჩამოვალ, შეიძლება, მანამდეც, თუ გამომიჩნდა რამდენიმე დღე. ისეთი კარგი გოგოა, რომ იმსახურებს ამას. ძალიან კარგი, თავმდაბალი და წესიერი გოგოა; გარეგნულადაც ძალიან ლამაზია.

**– იმედია, მალე დაოჯახდებით და მომავალზეც იზრუნებთ, რადგან, ქართულ ფეხბურთს პატარა „სიბოები“ ძალიან სჭირდება.**

– დაოჯახებაზეც ვფიქრობ, რადგან, უკვე დროა.

**– გისურვებ, 2014 წელი კიდევ უფრო წარმატებული ყოფილიყოს შენთვის!**

– მადლობა.

**მარიკა ხიდურელი**

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხშირად დავდივართ ეკლესიაში, ვლოცულობთ, აღსარებას ვაბარებთ, თითქოსდა ზედმიწევნით ვიცავთ საეკლესიო წესებს, ეს, საბოლოოდ, მაინც არ არის საკმარისი. კარგად რომ გავიგოთ, რას ნიშნავს ეკლესიური ცხოვრება, უნდა დავფიქრდეთ იმაზე, საკმარისია თუ არა ოცდამეერთე საუკუნეში მცხოვრები ქრისტიანისთვის მხოლოდ ეკლესიაში სიარული, აღსარების თქმა, ზიარება, თუ, ღმერთი ჩვენგან სხვა რამესაც მოითხოვს? ამიტომ, ამ საკითხების შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ არ ნიშნავს ეკლესიაში სიარული ეკლესიურ ცხოვრებას და როგორ უკეტავენ მორწმუნეები საკუთარი ქცევით სხვა ადამიანებს ეკლესიისკენ მიმავალ გზას



**ჩვენ კათოლიკეებივით მოვირგეთ ეკლესიური აზროვნება, წესი და კანონები – ისე ვაკეთებთ ყველაფერს, როგორც ჩვენ გვესმის, როგორც შევძლებთ და არა ისე, როგორც უფალს სურს, გავაკეთოთ**

– მაცხოვარი შესანიშნავად ბრძანებს და ასახელებს ოთხ საფეხურს, რომელთა გავლითაც ადამიანს შეუძლია, ცხონდეს და მივიდეს უფალთან – ეს არის ჯვარცმის საფეხურები. ყველა, ვინც მიაშურებს ეკლესიას, უნდა დაფიქრდეს, საკუთარი გადაწყვეტილებით მივიდა ეკლესიაში თუ ფეხის ხმას აჰყვა, მართლა დარმუნებულია ღმერთის არსებობაში თუ, უბრალოდ, აინტერესებს, რა ხდება ეკლესიაში; ან, როდესაც მივიდა ეკლესიაში, თავი თვისი უარყო თუ ისევ იმ ადამიანად დარჩა, ვინც მანამდე იყო და მხოლოდ გარეგნულად ისწავლა ეკლესიური ტერმინები, ქმედებები, ხატის ამბორი, სანთლის დანთება, ზიარება. ადამიანი, შეიძლება, წლების განმავლობაში დადიოდეს ეკლესიაში, მაგრამ, ბევრ რამეში ვერ ერკვეოდეს, არ იცოდეს და მისი შინაგანი მდგომარეობა შორს იყოს ჭეშმარიტებისგან. ამის ნათელი მაგალითია ძველი აღთქმის ეკლესია, ებრაელებს, რომლებიც თავს იწონებდნენ, რომ იყვნენ ღმერთის შვილები, ფარისევლობდნენ, ადრეც და ახლაც არა ებრაელებს, არა იუდეველებს არ მიიჩნევენ ადამიანებად და ფიქრობდნენ, რომ ისინი იყვნენ ჭეშმარიტი ისრაელიანები და ღმერთი იყო მხოლოდ მათთვის. პავლე მოციქული ახალ აღთქმაში, კერძოდ კი, რომაელთა მიმართ ეპისტოლეში, კარგად შეაგონებს ებრაელებს: „აჰა, შენ გქვია იუდეველი და დანდობილი ხარ რჯულზე და იკვეხნი ღმერთით, იცი მისი ნება, არჩევ უკეთესს, ვინაიდან, რჯულიდან გისწავლია. და დარწმუნებული ხარ, რომ ბრმების მეგზური და ნათელი ხარ ბნელში მყოფთათვის“. დღეს ძალიან ბევრი მართლმადიდებელი ქრისტიანი თავს იმით იწონებს, რომ ყოველ შაბათ-კვირას დადის ეკლესიაში, ამბობს აღსარებას, ეზიარება, ქველმოქმედებას ეწევა. რატომ ჰგონიათ ამ ადამიანებს, რომ ეს ყველაფერი აცხონებთ და უკეთესები არიან სხვებზე?! ჩვენ ძალიან მოკრძალებულად, მოწიწებით უნდა მივუდგეთ ეკლესიურ ცხოვრებას. ეკლესიური ცხოვრება სულაც არ ნიშნავს ეკლესიაში სიარულს. ეკლესიური ცხოვრება ნიშნავს უფლის ნებით, მითითებით, უფლის მცნებებით ცხოვრებას.

**– ძალიან ბევრი ადამიანი მხოლოდ ეკლესიაშია ქრისტიანი და, როგორც კი გარეთ გამოვა, საზოგადოებაში, სამსახურში, ოჯახში სულ სხვა სახეს წარმოაჩენს ხოლმე.**

– ყველას, ვინც მიიღო ცხონების საწყისი – მოინათლა, ეზიარება – მას ცხონების შანსი აქვს და, შესაბამისად, მოშიშებით, თავგამოდებით უნდა გაუფრთხილდეს ამ საგანძურს. რაც უნდა უფალს, ის უნდა ვიყოთ უფლის თვალში და არა ის რაც ჩვენ გვინდა, რომ უფალი იყოს ჩვენთვის. ეკლესიურობა ისე კი არ გვესმის, როგორც არის, არამედ, ისე, როგორც ჩვენ გვინდა. ჩვენ კათოლიკეებივით მოვირგეთ ეკლესიური აზროვნება, წესი და კანონები – ისე ვაკეთებთ ყველაფერს, როგორც ჩვენ გვესმის, როგორც შევძლებთ და არა ისე, როგორც უფალს სურს, გავაკეთოთ. როდესაც ვამბობთ, რომ მოქცეულები ვართ; გვინდა, რომ ჩვენი ახლობელი, ოჯახის წევრი მოვიყვანოთ ეკლესიაში და ვწუხვართ, გული გვწყდება იმაზე, რომ ვერ მოვაქციეთ, ვერ მოვიყვანეთ ტაძარში, ამ დროს ძალიან მწარედ ვცდებით. ჩვენ ეკლესიაში საკუთარმა თავმა კი არ მოგვიყვანა ან სხვა ადამიანმა, არამედ, სულიწმიდის მადლმა. თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ეკლესიურობა ნაყოფიერი იყოს და სხვამ დაინახოს, რომ ჩვენით იდიდება ღმერთი, პირადი ქმედებითა და ლოცვით უნდა მოვაქციოთ სხვები. შეიძლება, იმ ადამიანმა რომლის ეკლესიაში მოყვანაც გინდათ, თქვენში ვერ დაინახოს ეკლესიური ცხოვრება. ხანდახან მათ ჩვენივე საქციელით ვაბრკოლებთ და ისინი არ მოდიან ეკლესიაში. ხშირად უფალს ჩვენთვის კარგი უნდა, მაგრამ, ჩვენ ჩვენი უგუნური ქმედებით ვუკეტავთ მას გზას. ადამიანური აზროვნებით, ადამიანური ქმედებით, შეგონებებით (ადამიანურში ვგულისხმობ ხორციელსა და მატერიალურს) ვაბრკოლებთ ჩვენი ოჯახის წევრებს. ერთმა ადამინმა რომ ილოცოს სწორად, რომ იმოღვაწეოს სწორად, რომ იმოქმედოს მართებულად, მის გარშემო ბევრი ჩაფიქრდება იმაზე, რომ ღმერთი არსებობს, რომ მასთან მისვლა აუცილებელია. „ტაძარში მივდივარ,” „მოძღვარი მყავს,” „მარხვას ვინახავ“ – მოდური სიტყვები გახდა და ჩვენ ძალიან ვემსგავსებით ძველი აღთქმის იუდეველებს. ამიტომაც, ხშირად უნდა ვესაუბროთ მოძღვარს. ცივი აღსარება, ფურცელზე ჩამოწერილი და მაინცდამაინც ზიარების წინ – არ არის კარგი. ჩვენ უნდა გამოვყოთ დრო, მოძღვარს ვთხოვოთ და ვესაუბროთ ეკლესიური ცხოვრების, ცხონების შესახებ, რას გვასწავლის უფალი. უნდა წავიკითხოთ წმიდა მამების დატოვებული დიდი საგანძური. თუ კარგად წავიკითხავთ წმიდანების ცხოვრებას, ეკლესიის ისტორიას, მივხვდებით, რომ ჩვენი ეკლესიური ცხოვრება მხოლოდ აჩრდილია იმისა, რაც ადრე იყო. ბუნებრივია, ოცდამეერთე საუკუნის ადამიანს ისეთსავე ქრისტიანულ ცხოვრებას ვერ მოსთხოვ, როგორიც იყო პირველ და მეორე საუკუნეებში, მაგრამ, ისეც არ უნდა გახდეს საქმე, რომ ჩვენ ქრისტიანობის ანარეკლი დაგვრჩეს. მხოლოდ ერთი საათით ვართ ქრისტიანები და მერე ისე ვცხოვრობთ, როგორც ჩვენ გვინდა. ხშირად ადამიანი საკუთარი ნებით ცხოვრობს – ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც უნდა და, ამ დროს, ამ ყველაფერს არქმევს ეკლესიურობას, რომ ყველაფერი უფლის ნებით მოხდა; ძალიან ხშირად ახსენებს ეკლესიას, უფალს, არადა, შორს არის ყოველგვარი საუფლოსგან, ეკლესიურისგან. ჩემი თხოვნაა, გავუფრთხილდეთ უფალთან ურთიერთობას, რადგან, ის ძალიან სათუთი, მისტიკური, სათნო და გასაფრთხილებელია. დავფიქრდეთ იმაზე, რომ, ვინც ეკლესიაში დავდივართ, უკან არ აღმოვჩნდეთ. ხოლო, ისინი, ვინც დღეს არ დადიან ეკლესიაში, შეიძლება, მოვიდნენ და დაიკავონ ჩვენი ადგილი და „უკანანი გახდნენ წინანი“. მახსოვს, ერთმა მოძღვარმა იქადაგა იმ ადამიანებზე, რომლებიც არ დადიან ეკლესიაში: შეიძლება, ეს ხალხი იმიტომ არ მოჰყავს ღმერთს ეკლესიაში, რომ თქვენ არ დააბრკოლოთ ისინი, ვისაც ეკლესიურები გქვიათო. წმიდა მამების ასეთი გამონათქვამიც არსებობს: „საბრალოა ის ადამიანი, ვისაც ჰქვია ქრისტიანი და არ იცის, რა არის ქრისტიანობა.”

**„ტაძარში მივდივარ”, „მოძღვარი მყავს”, „მარხვას ვინახავ,” მოდური ფრაზები გახდა და ჩვენ ძალიან ვემსგავსებით ძველი აღთქმის იუდეველებს. ამიტომაც, ხშირად უნდა ვესაუბროთ მოძღვარს**

**– არც მრევლის მნიშვნელობის, ერთმანეთთან ურთიერთობის შესახებ ვიცით არაფერი.**

– როდესაც ადამიანი ეკლესიიდან გადის, მას ავიწყდება, ვის გვერდით იდგა, ვისთან ერთად ლოცულობდა და ავიწყდება კვიპრიანე კართაგენელის შეხედულება „მამაო ჩვენოზე“. როდესაც უფალმა ლოცვა გვასწავლა, თავიდანვე ჩადო მასში ჩვენი ერთობა და მოგვთხოვა იმის ცოდნა, რომ თქვენ ხართ ეკლესიად შეკრებილი ხალხიო. მოგეხსენებათ, რომ ეკლესია ნიშნავს ხალხთა კრებულს, შორიდან მოხმობას იმ ადამიანებისა, ვინც ერთად იკრიბება უფლის სადიდებლად. მაცხოვარი ბრძანებს: „როცა ორი ან სამი შეიკრიბება ჩემი სახელით, მე ვიქნები მათთან.” როგორც ის არის ერთარსება, სამსახოვანი, ერთობით არის მასში მამა, ძე და სულიწმიდა, ასე უნდა იყოს ჩვენი ურთიერთობა, ჩვენ ერთნი უნდა ვიყოთ. ნახეთ, რას ამბობს იოანე ღვთისმეტყველი – ეს სიტყვები ყოველთვის საღვთო ლიტურგიაზე წარმოითქმება სასულიერო პირების მიერ: „იყვარებოდეთ ურთიერთარს, რათა ერთობით აღვიარებდეთ“. თუ ჩვენ ერთმანეთი გვეყვარება და, უნდა გვიყვარდეს კიდეც, აქედან გამომდინარე, ნაყოფი ამ სიყვარულისა იქნება ერთობით აღიარება ჯერ ღმერთისა და მერე – ჩვენი ურთიერთობისა და პატივისცემისა. გაერთიანებასა და მრევლურ ურთიერთობას ღმერთი მოითხოვს ჯერ სულის ცხონებაში, სასუფევლის დამკვიდრებაში და შემდეგ – ამსოფლიურ გარკვეულ ურთიერთობაში. ვისაც ჰქვია დღეს მრევლი, მას ისეთი საუბარი და ქმედებები უნდა ჰქონდეს, ისეთი მოწყალე და კეთილი უნდა იყოს, რომ, მრავალმა წარმართმა, სხვა სარწმუნოების მქონემ დაინახოს ეს სიყვარული და მათაც გაუჩნდეთ სურვილი, გახდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები. დღეს ადამიანი ეკლესიაში მოდის გაყინული, ცივი და ის მრევლთან ურთიერთობამ უნდა გაათბოს და გაალღოს. სანამ ადამიანი აღსარებას იტყვის, ქადაგებას მოისმენს, მანამდე მას მრევლის წევრები ყურადღებას უნდა აქცევდნენ, ეფერებოდნენ, ასწავლიდნენ. მადლობა ღმერთს, რომ დღეს ძალიან ბევრი კარგი მრევლი დადის ეკლესიაში და მათი ქმედება ოჯახებში, საზოგადოებაში, სამსახურში იწვევს ბევრის მოქცევას – ისინი მოდიან ეკლესიაში და ამბობენ: გვინდა, თქვენი მრევლი გავხდეო.

**ნათია უტიაშვილი**

# ახალმოწამე ფილუმენი

წმიდა ახალმოწამე არქიმანდრიტი ფილუმენი წმიდა მიწაზე თავისი ტაძრის საკურთხეველთან აწამეს 1979 წელს. მამა ფილუმენი მსახურობდა ნაბლუსში (სამარია) წმიდა იაკობის ჭასთან არსებულ ტაძარში.

არქიმანდრიტ ფილუმენის მკვლელობამდე ერთი კვირით ადრე ტაძარში იუდეველი ფანატიკოსები შეიჭრნენ და არქიმანდრიტ ფილუმენს ჯვრებისა და ხატების ალება მოსთხოვეს იმ მოტივით, რომ იაკობის ჭა იუდეველთა სიწმიდეა და ქრისტიანული სიმბოლიკა მათ ხელს უშლიდა ლოცვაში. მამა ფილუმენმა მტკიცე უარი განაცხადა და მშვიდად ახსნა, რომ იაკობის ჭა ქრისტიანთა სიწმიდეცაა და აქ საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელი ტაძარი დგას და ღვთისმსახურება აღესრულება. მომხვდურნი უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ, მკრეხელობდნენ, ქრისტიანებს ექადნებოდნენ. ბოლოს მამა ფილუმენს დაემუქრნენ და მოსთხოვეს, დაეტოვებინა იქაურობა. მამა ფილუმენი ყოველივეს მშვიდად იშმენდა და ჯვარს სახავდა მათ.

ერთი კვირის შემდეგ 29 ნოემბერს (ძველი სტილით 16 ნოემბერი – წმიდა მოციქულ მათეს ხსენების დღე), თავსხმა წვიმაში იუდეველები კვლავ შეიჭრნენ მონასტერში.

არქიმანდრიტი ფილუმენი შემოსილი იყო და მწუხრის მსახურებისთვის ემზადებოდა. მკვლელებმა მას ცინიკურად შესთავაზეს უარეყო ქრისტე. მამა ფილუმენისგან პასუხად ცივი უარი მიიღეს. გამძვინვარებულებმა დაიწყეს მისი წამება: თავდაპირველად, მამა ფილუმენს მაკურთხებელი მარჯვენის სამი თითი ნაწილ-ნაწილ მოჰკვეთეს, სახე ნაჯახით ჯვრისებრ დაუჩეხეს (ზემოდან ქვემოთ და ყურიდან ყურამდე) და თვალები დასთხარეს. შემდეგ მამა ფილუმენის თავი ოთხ ნაწილად დაჩეხეს და დაფლეს. მტარვალები ვერ დაკმაყოფილდნენ ამ საშინელი წამებით და ტაძრის შეურაცხყოფას შეუდგნენ: შებილწეს ბარძიმ-ფეშხუმი, სხვა სიწმინდენი.

ამ საშინელი დანაშაულის გამო, ისრაელის ხელისუფალთ არც არავინ დაუკავებიათ და არც პასუხისგებაში მიუციათ, თუმცა კი განაცხადეს, რომ გამოძიებას აწარმოებდნენ.

მკვლელობიდან 4 წლის თავზე, 1983 წლის 30 ნოემბერს, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა დიოდოროსმა, მღვდელმთავრებთან, სამღვდელოებასა და ბერ-მონაზვნობასთან ერთად, არქიმანდრიტ ფილუმენის კანონიზაციის მიზნით, სამარხი გახსნა. მამა ფილუმენი მაცხოვრის საფლავის საძმო სასაფლაოზე, სიონის წმიდა მთაზე იყო დაკრძალული. იგი სამარხიდან ამოასვენეს და ფრთხილად შეხსნეს სუდარა. მამა ფილუმენის თავი სასწაულებრივად გამთელებულიყო და წმიდა ნაწილებს საამო სურნელი შესძენოდა – ნეშტი უხრწნელი აღმოჩნდა.

იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა, უნეტარესმა დიოდოროსმა, წმიდა სინოდთან ერთად, წმიდანად შერაცხა ახალმოწამე ფილუმენი. ამჟამად წმიდა ახალმოწამე ფილუმენის კეთილსურნელოვანი წმიდა ნაწილები ლუსკუმაში განისვენებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ფრესკასთან. თვითონ ფრესკას ნატყვიარის კვალი ემჩნევა. აქ ერთხელ შეიარაღებული ებრაელი ჯარისკაცები შემოსულან. ერთ-ერთ მათგანს „ცელქობით“ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ფრესკისთვის უსროლია. ტყვია ღვთისმშობლის გამოსახულებას მოხვედრია, აუსხლეტავს და მსროლელის გული გაუგმირია. უსულოდ წაქცეული მეგობრის დანახვაზე სხვა ჯარისკაცები თავზარდაცემული მიმოფანტულან.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რა ვუყო ცოდვას, რომლის თქმასაც მოძღვრის წინაშე ვერ ვბედავ?**

**პასუხი**: მოძღვარი ღმერთმა იმისთვის მოგივლინათ, რომ მასთან ყოველი ცოდვა მოინანიოთ. ცოდვა არის დანაშაულთან შეკვრა და სიმძიმე და, თუ მას აღსარებაში არ გაამხელთ, როგორ მოიშორებთ ამ სიმძიმეს? ყოველი ადამიანი სცოდავს, აღსარება კი ლამაზი სიტყვებისა და საქმეების წარმოსაჩენად არ დაუწესებია უფალს. აღსარების დროს ცოდვებს ვებრძვით და მისგან გათავისუფლებას ვცდილობთ. ხოლო, თუკი კონკრეტული მოძღვარი გაბრკოლებთ, შეგიძლიათ, სხვა მოძღვარს ჰკითხოთ რჩევა და მას გაუმხილოთ უთქმელი ცოდვა.

**კითხვა: რომელი ლოცვა უნდა წავიკითხო ჩემი სამშობლოსა და ხალხისთვის?**



**პასუხი**: ქვეყნისა და ხალხისთვის უფლის მიმართ სავედრებლად უნდა წაიკითხოთ დილისა და საღამოს ლოცვები და „ფსალმუნნი“. საერთოდ, დილის ლოცვებს უფრო დიდი მადლი და დატვირთვა აქვს, ვიდრე გვგონია. თუ ყოფაში უძლურნი ვართ, დავეხმაროთ და სიკეთე გავუკეთოთ სხვებს, ვისი დახმარებაც გვინდა, ეს ადამიანები ლოცვებში მოვიხსენიოთ. ქვეყნისა და ხალხისთვის ლოცვით მათ დიდ სიკეთეს მოვუტანთ.

**კითხვა: როდის არ შეისმენს უფალი ჩვენს ლოცვა-ვედრებას?**

**პასუხი**. ლოცვას არა აქვს ფასი, როდესაც მას უყურადღებოდ წარმოვთქვამთ და, შესაბამისად, ის არ მიემართება უფლისკენ. თავად უფალი ასეთ მლოცველებზე ბრძანებს: „ეს ხალხი პატივს მცემს ბაგეებით, მათი გული კი შორს არის ჩემგან“ (მათე 15.8).

**კითხვა: რატომ ითვლება ცოდვად აზარტული თამაშები?**

**პასუხი**: აზარტული თამაშები იმიტომ არის მძიმე ცოდვა, რომ მის გზაზე შემდგარი ადამიანი კარგავს მთავარ საუნჯეს – ნების თავისუფლებას და ემონება აზარტის ვნებას. ამ ყველაფრის შედეგად კი მოგებული რჩება მხოლოდ ბოროტი ძალა, რომელიც ადამიანს სულიერად და ხორციელად ფიტავს.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### ბასილი დიდის გარდაცვალება

ერთი ებრაელი, სახელად იოსები, ისეთი დახელოვნებული ექიმი იყო, რომ ხუთი დღით ადრე წინასწარმეტყველებდა გარდაცვალების დღეს. ღმერთშემოსილი ბასილი სულით ჭვრეტდა, რომ იოსები ოდესმე აუცილებლად იწამებდა ღმერთს, ამიტომ უყვარდა იგი, ხშირად უხმობდა თავისთან, ურჩევდა, მონათლულიყო. მაგრამ, ებრაელი პასუხობდა, რომ, რომელ რწმენაშიც დაიბადა, იმითვე სურდა სიკვდილი. ამაზე ღვთის სათნო მოსაგრე მას ეუბნებოდა:

– დამერწმუნე, რომ არც მე და არც შენ არ მოვკვდებით, სანამ წყლითა და სულით არ იშვები. ამ მადლის გარეშე შეუძლებელია ცათა სასუფეველში შესვლა.

ბოლოს უფალთან მისი წარდგომის დრო დადგა. წმიდანი ავად გახდა და იოსები მოიხმო, თითქოსდა სამკურნალოდ და ჰკითხა მას:

– რას ფიქრობ ჩემზე?

ებრაელმა წმიდანს პულსი შეუმოწმა და მის მომვლელებს უთხრა:

– მოამზადეთ ყველაფერი, რაც დაკრძალვისთვისაა საჭირო, წმიდანი მალე მოკვდება.

– თვითონაც არ გესმის, რას ამბობ, – შეეწინააღმდეგა ბასილი დიდი, მაგრამ იოსები დარწმუნებით უმეორებდა:

– ეჰ, მეუფეო, მზის ჩასვლამდე გარდაიცვლები!

– რას იზამ, თუკი დილის ექვს საათამდე ცოცხალი დავრჩები? – ჰკითხა მას ბასილი დიდმა.

– დაე, მე თვითონ მოვკვდე, – უპასუხა იოსებმა.

– ცოდვას მოუკვდები, მაგრამ, ღმერთში გაცოცხლდები, – უთხრა წმიდანმა.

– და, ღვთის წინაშე ვამბობ, რომ შენს ნებას აღვასრულებ, – უპასუხა ებრაელმა.

წმიდა ბასილიმ იოსები გაუშვა და ღვთის წინაშე ილოცა, რათა მისი სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა ცოდვილის მოქცევამდე.

მეორე დილას წმიდანმა მასთან კაცი გაგზავნა. ექიმი ძალიან დარწმუნებული იყო საკუთარ თავში და არ დაიჯერა, რომ წმიდა ბასილი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. იგი მაშინვე მასთან გაემართა. რა დიდი იყო მისი გაოცება, როცა ღვთის კაცი ცოცხალი იხილა! იოსები მას ფეხებში ჩაუვარდა და გულწრფელად წამოიძახა:

– ჭეშმარიტად დიდია ღმერთი ქრისტიანთა და არ არსებობს ღმერთი, თვინიერ მისსა! წმიდაო მამაო, ნუ გადადებ და მომნათლე!

– ახლავე ჩემი ხელით შევასრულებ ნათლობის წმიდა საიდუმლოს! – უპასუხა ქრისტეს მოსაგრემ. იგი, ყველას გასაოცრად, სარეცელიდან ადგა და ეკლესიაში წავიდა. აქ მან მთელი ხალხის წინაშე თვითონ მონათლა იოსები და მისი ოჯახი – აღასრულა ლიტურგია ახლად მოქცეულთათვის და ისინი ქრისტეს წმიდა სისხლსა და ხორცს აზიარა. შემდეგ დამოძღვრა და ეკლესიაში ათ საათამდე დარჩა. ბოლოს მან მადლი შესწირა ღმერთს წყალობისთვის და სახალხოდ მიაბარა სული უფალს.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძე**

# მიხაელ შუმახერი – მსოფლიო ავტოსპორტის „წითელი ბარონი"

*„სტაბილურად მძიმე" – ასე ახასიათებენ ექიმები მიხაელ შუმახერის მდგომარეობას. მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ავტომრბოლელი 2013 წლის 29 დეკემბერს საფრანგეთის ალპებში თხილამურებით სრიალის დროს დაეცა და თავის ტრავმა მიიღო. ამჟამად შუმახერი კომაში იმყოფება და ექიმები მისი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან.*



* პრესაში მიხაელ შუმახერს ხშირად მოიხსენიებენ „წითელ ბარონად", „მზის ბიჭად," ან, უბრალოდ – „შუმი". პირველი მსოფლიო ომის დროს „წითელ ბარონს" უწოდებდნენ დაუმარცხებელ გერმანელ „ასს", მფრინავ ბარონ მანფრედ ფონ რიხტჰოფენს, რომელიც წითელი ფერის აეროპლანით დაფრინავდა. სწორედ მასთან შედარების გამო უწოდეს შუმის „წითელი ბარონი" – ისიც დაუმარცხებელია და წითელი „ფერარი" ჰყავს.

* მიხაელ შუმახერი 1969 წლის 3 იანვარს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ჰიურტ-ჰერმიულჰაიმში დაიბადა. მისი, როგორც ავტომრბოლელის კარიერა 3 წლის ასაკში დაიწყო, როდესაც მამის, როლფ შუმახერის მიერ გახსნილ კარტინგის ტრასაზე პირველად მიუჯდა კარტინგის საჭეს. 5 წლის ასაკში მიხაელი ავტორბოლებში მონაწილეობდა კარტინგში, პარალელურად კი ძიუდოთი იყო დაკავებული, თუმცა, საბოლოოდ, არჩევანი ავტოსპორტზე გააკეთა. 14 წლის ასაკში მიხაელი პროფესიონალი მრბოლელის ლიცენზიის მფლობელი გახდა და 1980-იან წლებში რამდენჯერმე დაეუფლა გერმანიისა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს კარტინგში.

* მიხაელ შუმახერის დებიუტი „ფორმულა 1-ში" შედგა 1991 წელს, ბელგიის გრანპრის გათამაშებაში, „ჯორდანის" საჯინიბოს გუნდში, ხოლო მომდევნო სეზონიდან ის უკვე „ბენეტონ-ფორდის" გუნდის წევრი იყო და ამ გუნდის შემადგენლობაში გაიმარჯვა პირველად „ფორმულა 1-ის" რბოლაში. გამარჯვება მან თავისთვის სადებიუტო, ბელგიის გრანპრისთვის ასპარეზობის დროს მოიპოვა და სამი ქულით გაუსწრო ლეგენდარულ აირტონ სენას. იმ რბოლის დროს მიხაელს ღია ყვითელი ფერის კომბინეზონი ეცვა და სწორედ ამის გამო უწოდეს მას „მზის ბიჭი".

* მიხაელ შუმახერი „ფორმულა 1-ის" აბსოლუტური რეკორდსმენია: იგი ავტორბოლების შვიდგზის ჩემპიონია; მას ეკუთვნის გამარჯვებების რეკორდული რაოდენობა – 91, 155 პოდიუმი, 13 გამარჯვება ერთ სეზონში და 77 ყველაზე სწრაფი წრე სეზონში; გარდა ამისა, შუმახერი ზედიზედ ხუთჯერ ინარჩუნებდა „ფორმულა 1-ის" ჩემპიონის ტიტულს, რაც ასევე რეკორდია.

* ცნობილია მიხაელ შუმახერის გატაცება ფეხბურთით. ის პერიოდულად მართავს ამხანაგურ მატჩებს მეგობრებთან ერთად და შემოსულ თანხას ქველმოქმედებაში რიცხავს. 2008 წელს მიხაელი შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ ევროპის ჩემპიონატის ელჩად წარადგინა. „წითელ ბარონთან" ერთად „ევრო-2008-ის" ელჩები იყვნენ: ფეხბურთელი სტეფან შაპუიზა, ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი და მოთხილამურე ბერნჰარდ რუსი.

* მიხაელ შუმახერი გადაღებულია ფილმში – „ასტერიქსი და ობელიქსი ოლიმპიურ თამაშებზე". მან მეეტლის როლი განასახიერა და რა თქმა უნდა, მისი გმირი თავიდან ბოლომდე წითელ ფერებში იყო გამოწყობილი.

* მიხაელ შუმახერი სიგარების დიდი მოყვარულია. განტვირთვის დროს კი ალკოჰოლის მიღებაზეც არ ამბობს უარს.

* მიხაელ შუმახერის პირველი ავტომობილი იყო „ფიატი 500", თუმცა, პირველად ის კარტინგის საჭეს მიუჯდა.

* მიხაელ შუმახერი სკაიდაივინგით არის გატაცებული. ის ექსტრემალია.

* მიხაელ შუმახერს გაფორმებული აქვს კონტრაქტი ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიასთან – თავისი სიცოცხლე მან 90 მილიონ ევროდ დააზღვია. ხელშეკრულების თანახმად, ინვალიდობის შემთხვევაში, მიხაელი 20 მილიონ დოლარს მიიღებს, ხოლო, მისი გარდაცვალების შემთხვევაში, 20 მილიონ დოლარს მისი ოჯახის წევრები მიიღებენ.

* მიხაელის ოჯახი შვეიცარიაში, ჟენევის ტბის მახლობლად, ქალაქ ვუფლენს-ლე-შატოში ცხოვრობს. მიხაელის მეუღლე, კორინა ბეტჩი-შუმახერი, 1987-1991 წლებში „ფორმულა 1-ის" მრბოლელს, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს ხვდებოდა, სწორედ მან გააცნო ერთმანეთს კორინა და მიხაელი და ისინი 1995 წელს დაქორწინდნენ. მიხაელს ორი შვილი ჰყავს: ქალიშვილი – ჯინ-მარია და ვაჟი – მიკი, რომელიც, მამის მსგავსად, ავტოსპორტს გაჰყვა და იუნიორებში ასპარეზობს, თუმცა, დედის გვარით, რათა მამის გვარის გამო ყურადღება არ მიიპყროს. მიხაელის ძმა, რალფ შუმახერი, ასევე „ფორმულა 1-ის" მრბოლელია.

* 2006 წელს შეიხმა მოჰამედ იბნ რაშიდ ალ-მაქტუმმა, „ფორმულა 1-ის" დიდმა ქომაგმა, მიხაელ შუმახერს ხელოვნურ არქიპელაგ „ზი ვორლდში" 7 მილიონ დოლარად შეფასებული კუნძული აჩუქა.

# მდიდრები მდიდრდებიან

2013 წელს პლანეტის უმდიდრესი ადამიანები კიდევ უფრო გამდიდრდნენ – თავიანთი ქონება 524 მილიარდი დოლარით გაზარდეს. ამას მოწმობს 300 ყველაზე შეძლებული ადამიანის რეიტინგი, რომელიც სააგენტო „ბლუმბერგმა" გამოაქვეყნა. ამ ბედნიერ ადამიანთა ქონებამ 3,7 ტრილიონი დოლარით მოიმატა.

ექსპერტების შეფასებით, წელს ყველაზე შემოსავლიანი იყო მაღალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სფეროები.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ადამიანის „წოდება" კვლავ შეინარჩუნა კომპანია Microsoft-ის დამაარსებელმა და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბილ გეითსმა – ეს ტიტული მან გასული წლის მაისში დაიბრუნა. თავისი კაპიტალი გეითსმა 15,8-დან 78,5 მილიარდ დოლარამდე გაზარდა, რასაც ხელი შეუწყო კორპორაციის აქციების 30 პროცენტით გაზრდამ. ასევე, გაიზარდა მისი სხვა საკუთრებების აქტივები.

სიაში მეორე ადგილი მექსიკელმა მაგნატმა კარლოს სლიმმა დაიკავა. რომლის ანგარიშზე 73 მილიარდ დოლარზე მეტია. თუმცა, მისთვის გასული წელი არც ისე წარმატებული იყო – მან არა მარტო დაუთმო პირველი ადგილი ბილ გეითსს, არამედ, 1,4 მილიარდი დოლარიც დაკარგა.

რეიტინგში მესამე ადგილზეა ესპანეთის უმდიდრესი ადამიანი, სავაჭრო იმპერია Inditex-ის დამფუძნებელი ამანსიო ორტეგა, რომლის ქონება შეფასებულია 66,4 მილიარდ დოლარად, რასაც ესპანელმა ოლიგარქმა გასულ წელს 9 მილიარდი დოლარი შემატა.

რუსი მილიარდერებიდან ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა საცალო ვაჭრობის ქსელის – „მაგნიტის" თანამფლობელი სერგეი გალიცკი. ის 5,3 მილიარდი დოლარით გამდიდრდა და ახლა მისი ქონება 13,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ყველაზე მდიდარი რუსი კვლავ ალიშერ უსმანოვია, რომლის კაპიტალი ერთ წელიწადში 1,3 მილიარდი დოლარით გაიზარდა და 20 მილიარდს მიაღწია.

# დენის როდმანის საჩუქარი ჩრდილოეთ კორეას

სკანდალებით განთქმულმა ამერიკელმა კალათბურთელმა, 90-იანი წლების უძლეველი „ჩიკაგო ბულზის" წევრმა, დენის როდმანმა, ორიგინალურად მიულოცა დაბადების დღე ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, კიმ ჩენ ინს და პოპულარული სიმღერა – „ჰეფი ბიორსდეი" შეასრულა ათასობით მაყურებლის წინაშე. NBA-ს ხუთგზის ჩემპიონმა, მეგობრებთან ერთად, კიმ ჩენ ინს სიურპრიზი მოუწყო და ფხეიაანში კალათბურთის ვარსკვლავებისგან შემდგარი გუნდი ჩაიყვანა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ნაკრებს დაუპირისპირდა და დამარცხდა, რამაც დიდი სიამოვნება მიანიჭა ჩრდილოკორეელ დიქტატორს.



# ჰადლსტოუნმა თმა გაყიდა

ინგლისური „ჰალ სიტის" ფეხბურთელმა ტომ ჰადლსტოუნმა რამდენიმე ხნის წინ პირობა დადო, რომ, სანამ არ გაიტანდა გოლს ინგლისის პრემიერლიგაში, თმას არ შეიჭრიდა. ფეხბურთელმა პირობა შეასრულა და „ფულემის" კარში გატანილი გოლის შემდეგ თმა შეიჭრა, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდა შეჭრილი. საკუთარი თმა ჰადლსტოუნმა „იბეის" აუქციონზე 6 300 ფუნტ სტერლინგად გაყიდა, მიღებული თანხა კი ქველმოქმედებას მოახმარა.

# ოზილის ძვირად ღირებული ავტომობილი

„არსენალის" გერმანელ ფლეიმეიკერს, მესუთ ოზილს, ყველაზე ძვირად ღირებული ავტომობილი ჰყავს ინგლისის პრემიერლიგის ფეხბურთელებს შორის – ოზილის კუთვნილი „ფერარი 458" 170 ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს. იმავე მარკის ავტომობილებით გადაადგილდებიან ჯეკ უილშირი, თეო უოლკოტი, ჯონ ტერი, ნანი, ფრენკ ლამპარდი, მიკა რიჩარდსი და მატიე ფლამინი, მაგრამ, მათი „ფერარების" ფასები გაცილებით ნაკლებს ფასობენ.

# მსოფლიო ჩემპიონატი 2022 ზამთარში ჩატარდება

2022 წელს ყატარში დაგეგმილი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ზამთარში გაიმართება. ცნობა ოფიციალურად დაადასტურა „ფიფას" გენერალურმა მდივანმა, ჟერომ ვალკემ. ვალკეს თქმით, მუნდიალი, ტრადიციული ივნისი-ივლისის ნაცვლად, დეკემბერ-იანვარში ჩატარდება – 15 დეკემბრიდან 15 იანვრამდე პერიოდში. ცნობილია, რომ დროის ამ მონაკვეთში ყატარში ჰაერის ტემპერატურა არ აღემატება 25 გრადუსს ცელსიუსით და ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში სავსებით მისაღებია. ცნობისთვის, ივნის-ივლისში ყატარში ჰაერის ტემპერატურა 45 გრადუსს აჭარბებს და ასეთ პირობებში ფეხბურთელებისა და გულშემატკივრებისთვის სტადიონზე ყოფნა დიდ დისკომფორტთან იქნება დაკავშირებული.

გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ

# „ფორბსის" 2013 წლის დეკემბრის ყველაზე ტირაჟირებული მილიარდერები

*ყოველთვიურად ჟურნალი „ფორბსი" აქვეყნებს მილიარდერებთან დაკავშირებულ თვის ყველაზე საინტერესო მოვლენებს ან გამონათქვამებს, რითაც ფორმირდება ჟურნალის საინფორმაციო ბაზა. ამჯერად 2013 წლის ბოლო თვის, დეკემბრის ყველაზე საინტერესო მოვლენებზე გავამახვილებთ ყურადღებას.*

**უორენ ბაფეტი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 58,5 მილიარდი დოლარი; №4 „ფორბსის" გლობალურ რეიტინგში**

ბაფეტის კუთვნილმა კომპანიამ „ბერკშაირ ჰეტევეიმ" ნავთობ-კომპანია „ექსონმობილის" აქციათა 0,9 პროცენტი შეიძინა 3,45 მილიარდ ამერიკულ დოლარად. ანალიტიკოსების თქმით, ბაფეტის ეს ნაბიჯი მოულოდნელი იყო, რადგან „ექსონმობილის" ფასიანი ქაღალდების ღირებულება წლის განმავლობაში „შევრონისა" და „კონოკოს" აქციებთან შედარებით, ნაკლებად იზრდებოდა. ცნობილია, რომ მილიარდერი მუდამ ცდილობს, ჩამოფასებული აქციები შეისყიდოს. საინტერესოა რომ, მას შემდეგ, რაც ბაფეტმა დაადასტურა „ექსონმობილის" აქციების ყიდვის ფაქტი, კომპანიის აქციათა ფასმა 1,5-ჯერ მოიმატა.

**ჟაკლინ მარსი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 20,5 მილიარდი დოლარი; №36 „ფორბსის" გლობალურ რეიტინგში**

74 წლის ჟაკლინ მარსი, საკონდიტრო კომპანია „მარს ინკორპორეიტედის" მფლობელი დამნაშავედ ცნეს საავტომობილო ავარიაში, რომლის შედეგად ადამიანი დაიღუპა. პოლიციის ცნობით, ჟაკლინმა დაარღვია მოძრაობის წესები, რის შედეგადაც, შეეჯახა მიკროავტობუსს. ერთ-ერთ მგზავრს 86 წლის ირენ ელისორს, ღვედი არ ჰქონდა შეკრული და ადგილზე გარდაიცვალა. მილიარდერს ერთწლიანი პატიმრობა ან 2 500 დოლარის ჯარიმის გადახდა ემუქრება.



**მაიკლ ბლუმბერგი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 31 მილიარდი დოლარი; №13 „ფორბსის" გლობალურ რეიტინგში**

ნიუ-იორკის მერმა მაიკლ ბლუმბერგმა, რომელიც ცნობილია იმით, რომ ხანგრძლივი ვადით გახლდათ თანამდებობაზე და იმავდროულად პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია, 2013 წლის დეკემბერში თანამდებობა დატოვა. გამოსათხოვარ ინტერვიუში „ფორბსთან" ბლუმბერგმა განაცხადა: „ყოველთვის ვეუბნები ჩემს შვილებს: უნდა მოგწონდეთ საკუთარი თავი სარკეში და არ განაღვლებდეთ ის, რასაც ამბობენ უცხოები".



**შელდონ ადელსონი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 28,5 მილიარდი დოლარი; №15 „ფორბსის" გლობალურ რეიტინგში**

სათამაშო მაგნატი, სამორინეების მფლობელი ლას-ვეგასში, მაკაოსა და სინგაპურში – შელდონ ადელსონი ომს უცხადებს ონლაინ აზარტულ თამაშებს. ამის შესახებ ადელსონმა „ვაშინგტონ პოსტთან" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა და აღნიშნა, რომ 2014 წლიდან სტარტს აიღებს მასშტაბური კამპანია – „კოალიცია ინტერნეტ თამაშების წინააღმდეგ". ადელსონის მთავარი არგუმენტია ის, რომ ონლაინ-კაზინოების მომსახურებით ღარიბი მოქალაქეები და ბავშვები სარგებლობენ.

**კარლ აიკანი (ამერიკის შეერთებული შტატები) – 20,3 მილიარდი დოლარი; №26 „ფორბსის" გლობალურ რეიტინგში**

ცნობილი ფინანსისტი და კორპორატიული რეიდერი კარლ აიკანი კვლავ აგრძელებს „ეფლის" აქციათა შესყიდვას. ბოლო პერიოდში ის კომპანიისგან ითხოვს აქციების გამოსყიდვის წესის დადგენას, საერთო ღირებულებით 150 მილიარდი დოლარი. ამჟამად აიკანი ფლობს 4,7 მილიონ ცალ „ეფლის" ფასიან ქაღალდს, რაც საერთო რაოდენობის მხოლოდ 0,5 პროცენტია და ეს პროცენტი კი, აიკანს არ აძლევს უფლებას, რომ გახდეს გავლენიანი აქციონერი.

# ბენ სტილერი: ჰოლივუდის მთავარი კომიკოსი

*ბენ სტილერის ახალი ფილმი „უოლტერ მიტის არაჩვეულებრივი ცხოვრება" „ოსკარის" ერთ-ერთ ფავორიტ ფილმად სახელდება. გარდა ამისა, ახლო მომავალში შედგება ბენ სტილერის ბლოკბასტერის, „ღამე მუზეუმში" მესამე ნაწილის პრემიერა. ამგვარად, თანამედროვე ჰოლივუდის ერთ-ერთი მთავარი კომიკოსი მსახიობისთვის 2014 წელი ნაყოფიერი უნდა იყოს.*



* ბენჯამინ ედვარდ სტილერი 1965 წლის 30 ნოემბერს დაიბადა ნიუ-იორკში, მსახიობების – ჯერი სტილერისა და ენ მირის ოჯახში. ბენს ჰყავს უფროსი და, ემი სტილერი. 10 წლის ასაკში ბენის დებიუტი შედგა სატელევიზიო, სერიალ „კეიტ მაკშეინში", სადაც დედამისი მთავარ როლს ასრულებდა. 1983 წელს ბენ სტილერი კალიფორნიაში, კინემატოგრაფიის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. თუმცა, ცხრა თვის შემდეგ, სწავლას თავი დაანება, დაბრუნდა ნიუ-იორკში და სამსახიობო კურსებზე ჩაეწერა. 1980-ინ წლებში ბენი მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებდა, ხოლო 1987 წელს სამსახიობო კარიერა დაიწყო.

* ბენ სტილერის დებიუტი კინოში 1987 წელს შედგა, სტივენ სპილბერგის ფილმში „მზის იმპერია". 1989 წელს ის იუმორისტული ტელეშოუს, „ღია ეთერი შაბათ საღამოს" აქტიური სტუმარი გახდა.

* ბენ სტილერის სიმაღლე 170 სანტიმეტრია.

* მსახიობის პოპულარობამ პიკს 1998 წელს მიაღწია, როცა კინოეკრანებზე გამოვიდა ფილმი „რამდენიმე რამ მერის შესახებ". 2000 წელს კი ფილმ „შეხვედრა მშობლებთან" ეკრანებზე გამოსვლამ ბენ სტილერს მსოფლიო კინოვარსკვლავის სტატუსი მოუტანა. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად, გრეგ ფაკერის როლზე ჯიმ კერის კანდიდატურა განიხილებოდა. თუმცა, საბოლოოდ, პროდიუსერებმა არჩევანი ბენ სტილერზე შეაჩერეს.

* ბენ სტილერის ჰობი სერფინგი და თევზაობაა. ის ყოველ ზაფხულს მამასთან ერთად ალასკას სტუმარია, სადაც ისინი თევზაობენ.

* ბენ სტილერის საყვარელი სერიალი „სტარ ტრეკია".

* ბენ სტილერი პოპულარულ ჯგუფ „ლიმფ ბიზკიტის" კლიპ „როლინგშია" გადაღებული.

* ბენ სტილერი ამერიკის დემოკრატიული პარტიის წევრია.

* სხვადასხვა დროს ბენ სტილერი ხვდებოდა მსახიობებს: ჯინ ტრიპლჰორნს, ჯანინ გაროფალოს, კალისტა ფლოკჰარტს და ამანდა პიტს. 2000 წელს კი მსახიობ კრისტინ ტეილორზე დაქორწინდა. წყვილს ორი შვილი ჰყავს – ელა ოლივია სტილერი და ქუინლან დემპსი სტილერი.

* ბენ სტილერი ცაციაა.

* ჟურნალმა „ფიფლმა" ბენ სტილერი პლანეტის ყველაზე სექსუალურ კომიკოს მსახიობად დაასახელა.

* ბენ სტილერი ებრაელია, მისი წინაპრები რუსები, ირლანდიელები და ავსტრიელები იყვნენ.

* ყველაზე მეტად ბენ სტილერს მოჩვენებების ეშინია.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## რომელი ინფექცია იწვევს უშვილობას და გართულებულ ორსულობას

ბოლო დროს ძალიან გახშირდა ინფექციები, რომლებიც იმუნოდეფიციტს უკავშირდება. ორსულებში არსებული ბუნებრივი იმუნოდეფიციტის გამო, გახშირდა ჰერპერონფექციები, ტოქსოპლაზმოზი, ქლამიდიოზი, რაც ხშირად შეწყვეტილი ორსულობისა და პათოლოგიური ნაყოფის დაბადების მიზეზი ხდება.

ჰერპეროვირუსებიდან ყველაზე გავრცელებულ კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანში დაავადების გამომწვევი ხუთი ტიპის ვირუსი. პირველი და მეორე ტიპის ვირუსებს მარტივ ჰერპეროვირუსებს უწოდებენ, მესამე ტიპის ვირუსი ბავშვთა ცნობილ ინფექციას, ჩუტყვავილას იწვევს. ის, ზოგადად, მძიმედ მიმდინარეობს. სუსტი იმუნიტეტის ფონზე შესაძლოა, ადამიანის სიკვდილიც კი გამოიწვიოს. მეოთხე ტიპის ჰერპეროვირუსი ცნობილია, როგორც ებშტაინ-ბარის ვირუსი. ის იწვევს ინფექციურ მონონუკლეოზს და ცხელებით, ლიმფური ჯირკვლების, ღვიძლისა და ელენთის გადიდებით, სისხლში სპეციფიკური ცვლილებებით მიმდინარეობს. მეხუთე ტიპის ვირუსი – ციტომეგალოვირუსია, რომელიც ბოლო დროს საკმაოდ გააქტიურდა.

პირველი ტიპის ვირუსის დროს დაავადება ავადმყოფთა მხოლოდ ერთ მეოთხედში ვლინდება მწვავე კლინიკური ნიშნებით. ეს შესაძლოა, იყოს გრიპის მსგავსი სიმპტომი, პირის ღრუს ლორწოვანას დაზიანება და ასე შემდეგ.

მეორე ტიპის ჰერპეროვირუსის გავრცელება კი სქესობრივი ცხოვრების ინტენსივობის პარალელურია და ის ამ გზით გადადის. ვირუსი ხან ავლენს თავს და ხან პერიოდული გამწვავება ახასიათებს.

როცა ორსულში ფიზიოლოგიურადაა დაქვეითებული იმუნიტეტი, დედის ორგანიზმში აქტიურდება ჰერპესინფექცია. ვირუსი შესაძლოა, პლაცენტის გავლითაც მოხვდეს ნაყოფის ორგანიზმში, გამოიწვიოს მისი დაზიანება, დაღუპვა, სიმახინჯეები. შეიძლება, ბავშვი დაიბადოს თანდაყოლილი ფილტვების ანთებით, ჰეპატიტით, თავის ტვინის ანთებითა და ასე შემდეგ.

ციტომეგალოვირუსი ორგანიზმში „ჩუმად" არის და მხოლოდ მწვავე იმუნოდეფიციტურ პირობებში იწყებს გამოვლენას. განსაკუთრებული კლინიკური ნიშნები არ აქვს და შესაძლოა, ნებისმიერი რთული ინფექციის სახით გამოვლინდეს.

იმის მიხედვით, თუ ორსულობის რა ეტაპზე გააქტიურდება ვირუსი და გაარღვევს პლაცენტის ბარიერს, შესაძლოა, განვითარდეს თვითნებური აბორტი, სხვადასხვა თანდაყოლილი სიმახინჯე. ციტომეგალოვირუსის სამკურნალო პრეპარატები ძალიან ტოქსიკურია და მათი დანიშვნა ახალშობილისთვის არ არის რეკომენდებული. სისხლის ანალიზის მიხედვით განისაზღვრება სპეციფიკური ანტისხეულების ტიტრი.

ტოქსიკოპლაზმოზის ვირუსს ცხოველები ავრცელებენ. ინფექცია საგნებისა და პროდუქტების საშუალებით ვრცელდება. ინფექცია უმეტესად ჩუმ მდგომარეობაშია, გააქტიურების დროს კი დიდდება ლიმფური კვანძები, აღინიშნება ტემპერატურის მატება, მუცლის ტკივილი, ქოლეცისტიტი, თავის ტკივილი, ოფლიანობა, უგუნებობა. ეს ინფექცია საშიშროებას უქმნის ორსულს. ტოქსიკოპლაზმის ერთხელ გადატანის შემდეგ, სუსტდება იმუნიტეტი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაავადება მწვავე ფორმით აღარ განვითარდება და ჩუმად მაინც იარსებებს ორგანიზმში.

ქლამიდიები მცირე ზომის მიკროორგანიზმებია, რომლებიც იწვევენ შარდ-სასქესო გზების ანთებით დაავადებას. უროგენიტალიური ქლამიდიოზი მეორად უშვილობას იწვევს. მისი მკურნალობა ეფექტურია, მაგრამ ქლამიდიის გამომწვევი მიკრობი ადამიანის უჯრედებში ცხოვრობს და პრობლემა ხდება სამკურნალო საშუალებების მათში შეღწევა. სქესობრივი პარტნიორების მკურნალობა ერთდროულად უნდა მოხდეს. გარდა გამომწვევზე მოქმედი პრეპარატებისა, გამოიყენება ორგანოთა ფუნქციების აღსადგენი საშუალებები. იმუნიტეტის გამაძლიერებლებისა და სხვა იმუნური სისტემების გასამაგრებლად, კარგია იმუნომოდულატორები, მაგალითად, C და E ვიტამინები. დიდი მნიშვნელობა აქვს სრულფასოვან კვებას. ორსულმა უნდა მიიღოს ყველა საჭირო მიკროელემენტი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტშია.

## როგორ დავარეგულიროთ ორგანიზმში მომატებული ქოლესტერინის დონე

ნორმალური წონის ადამიანებში ქოლესტერინის მაღალი დონე თავისთავად ზრდის კილოგრამების მომატების რისკს. ქოლესტერინის გამოყენებაზე პასუხისმგებელია ღვიძლი. სწორედ მასში გარდაიქმნება ჭარბი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად, რომელიც, ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ, ბუნებრივი გზით, გარეთ გამოიყოფა. ეს მექანიზმი ფერხდება, თუ ღვიძლში ქოლესტერინის გადამუშავებაზე პასუხისმგებელი ძირითადი გენი დაზიანებულია. ამ დროს ქოლესტერინის ჭარბი რაოდენობა, სისხლის შრატში მოიქცევა, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ცხიმიან საკვებს აღარ მიირთმევს. აღნიშნული გენის დაზიანებისას ირღვევა ცუდი ქოლესტერინის განდევნა, კარგი კი ორგანიზმს შეუფერხებლად ტოვებს. ქოლესტერინის გენის მუშაობის შეფერხება ძირითადად ქალებში აღინიშნება. სისხლში ქოლესტერინის მომატებული დონე მოზარდ გოგონებში დაახლოებით 10 წლის ასაკიდან ხდება გასუქების მიზეზი. რაც უფრო დაბალია გოგონა, მით მეტია რისკი. ამიტომ, ტანმორჩილ ბავშვებს მშობლებმა ხშირად უნდა შეუმოწმონ სისხლში ქოლესტერინის დონე. თუმცა, ქოლესტერინის გაკონტროლება ნებისმიერ ასაკშია საჭირო.

ხშირად ქოლესტერინის მომატების მიზეზი კვების რაციონის არასწორი შერჩევაა. ქოლესტერინის დონეზე გავლენას ცხიმები ახდენს. ნაჯერი ცხიმები ამაღლებს სისხლში ქოლესტერინის რაოდენობას. ასეთი ცხიმებით მდიდარია ხორცი, ნაღების კარაქი და ყველი; ნახევრად უჯერი ცხიმები კი ამცირებს ქოლესტერინის დონეს. მას შეიცავს სოიის, მზესუმზირის, სიმინდის ზეთი, თევზი, ფრინველის მჭლე ხორცი, ზღვის პროდუქტი, უცხიმო რძის პროდუქტები. ასევე, სისხლში ქოლესტერინის დონეს ამცირებს მონოუჯერი ცხიმები. მათ შეიცავს ზეითუნისა და არაქისის ზეთი, ნიგოზი და ავოკადო. ამ პროდუქტებით მდიდარი დიეტა ძალიან სასარგებლოა.

მცენარეული საკვები ქოლესტერინს არ შეიცავს, ერთ კვერცხში კი დაახლოებით 260-270 მილიგრამი ქოლესტერინია, რაც ადამიანის დღიური ნორმაა.

უცხიმო ხორცის ჭამა სასურველია მათთვის, ვისაც ქოლესტერინისგან გათავისუფლება სურს. ხილი და ბოსტნეული კი ქოლესტერინის ნამდვილი მტერია. ამ მხრივ ყველაზე კარგია ვაშლი. თაფლიც ქოლესტერინთან მებრძოლ იმდენივე ანტიმჟანგავს შეიცავს, რამდენსაც ვაშლი. 1 ჭიქა წყალში გახსნილი 2 სადილის კოვზი თაფლი და სვით ყოველ დილით. მოერიდეთ ყავის ხშირად სმას, რადგან მასში დუღილის დროს წარმოიქმნება ნივთიერება, რომელიც ქოლესტერინის დონეს ამაღლებს.

ასევე, კარგია, თუ მთელი დღის განმავლობაში 1 ჭიქა წითელ ღვინოს მიირთმევთ. ფიზიკური დატვირთვის დროს კი, სისხლი ინტენსიურად გაივლის ღვიძლს და ცუდი ქოლესტერინი ნაღვლის მჟავად გარდაიქმნება. ამიტომ, ფიზიკური ვარჯიშები ამ მხრივ ძალიან სასარგებლოა.

## რა იწვევს ბავშვებში ნევროზული შიშების განვითარებას

ნევროზი ბავშვებს გაცილებით ხშირად აწუხებთ, ვიდრე დიდებს. ჯანმრთელი ბავშვების შიშს ყოველთვის რეალური საფუძველი აქვს. წლამდე პატარა მაღალი ბგერებისა და დიდი საგნის მიახლოებაზე შფოთავს. ჩვილი განსაკუთრებით მგრძნობიარეა, როცა დედა ნერვიულობს, ბრაზობს ან რამეს განიცდის – ამ დროს პატარაც აგზნებულია. დაახლოებით 3 წლამდე ბავშვს ექიმისა და ზღაპრების ბოროტი გმირების ეშინია. 7 წლის ბავშვი კი უკვე საკუთარი

სიკვდილისა და ახლობლების დაკარგვის შესაძლებლობას აცნობიერებს. სკოლის ასაკში შიშები მათ ახალ სოციალურ როლთან არის დაკავშირებული. ისინი ნერვიულობენ, რომ, შესაძლოა, ვერ გაამართლონ მშობლებისა და მასწავლებლების იმედები.

ყველა ზემოჩამოთვლილი შიში ნორმალურია და თითქმის ყველა ბავშვისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა, უფროსებისგან ტაქტიკურ მიდგომას საჭიროებს. თუ პატარას სიბნელეში მარტო დატოვებთ, მას შეეშინდება და ვერ დაიძინებს. არ შეიძლება მისი ოთახში ჩაკეტვა დასჯის მიზნით. ამ დროს მას უფრო უმძაფრდება სიბნელისა და მარტო ყოფნის შიში, რასაც ემატება მშობლის განრისხების შიშიც და ეს უკვე ნევროზის დასაწყისია.

რაც არ უნდა უსაფუძვლო მოგეჩვენოთ თქვენი შვილის შიში, არ დასცინოთ მას. პირიქით, აგრძნობინეთ, რომ მის განცდაში არაფერია არანორმალური და მის ასაკში თქვენც გეშინოდათ. მშობლის მხრიდან უტაქტო მიდგომის შემთხვევაში, ბავშვი საკუთარ თავში იკეტება და განცდის მიზეზიც აქვს. თუ ამ განცდის მიზეზის გამოსავალს ვერ იპოვის, მას ფობია უყალიბდება. ფობია კი თავს მოხვეული შიშია. არსებობს კლაუსტროფობია, ანუ, დახურული სივრცის შიში; ასევე, სოციოფობია – ურთიერთობების შიში; ნოზოფობია – დაავადების შიში და ასე შემდეგ. შედეგად, ბავშვი საკუთარი თავისადმი რწმენას კარგავს, ჩაკეტილი ხდება და აგრესიას გამოხატავს.

ბავშვებში ნევროზული შიშების განვითარება, შეიძლება, მემკვიდრეობით ფაქტორს, ანუ, გენეტიკას უკავშირდებოდეს. პატარას ჯანმრთელობისთვის საჭიროა არა მხოლოდ მშობლის სწორი დამოკიდებულება მისადმი, არამედ, ურთიერთობების კონტროლი. ნევროზული შიში, როგორც წესი, ვეგეტაციური წესის მოშლილობით, ანუ, გახშირებული გულისცემით, სიცხით, შემცივნებით, უძილობით, მადის დაკარგვით გამოირჩევა. ამიტომ, ამ სიმპტომების პირველი გამოვლენისთანავე, სასწრაფოდ მიაქციეთ ყურადღება ბავშვს, მიიღეთ ექიმისგან კონსულტაცია, ფსიქოლოგისგან რეკომენდაციები და ზედმიწევნით შეასრულეთ.

# ექიმის რჩევები

**კითხვა**: **კბილის გათეთრების რა საშუალებას შეიძლება მივმართო?**

**პასუხი**: სახლის პირობებში არ გირჩევთ კბილების გათეთრების მცდელობას, რადგან, შეიძლება, დაიზიანოთ კბილის მინანქარი (ემალი). მიმართეთ სტომატოლოგს.

**კითხვა**: **ამბობენ, რომ 1 ჭიქა წყალში გარეული 2 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი წონის დაკლებას უწყობს ხელს. არის თუ არა ეს მეთოდი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო?**

**პასუხი**: თუ დარწმუნებული ხართ, რომ კუჭ-ნაწლავის მხრიდან პრობლემები არ გაქვთ, შეიძლება ყოველდღიურად, უზმოზე მხოლოდ 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმრის მიღება, თანაც, არა სუფთა სახით, არამედ, უნდა გაიხსნას 1 ჭიქა (ოთახის ტემპერატურის) თაფლიან წყალში (1 ჩაის კოვზი თაფლი). არასწორი გამოყენების შემთხვევაში, შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავთა წყლულოვანი დაავადება და ღვიძლის ციროზიც კი.

**კითხვა**: **რომელი თვიდან რეაგირებს ბავშვი თავისი სახელის დაძახებაზე?**

**პასუხი**: თავისი სახელის დაძახებაზე ბავშვი უფრო ხშირად რეაგირებს 7-8 თვის ასაკიდან.

**კითხვა**: **ჩემს 2 წლის ბიჭს ხშირად უოფლიანდება ფეხები. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: ეცადეთ, ბავშვის ფეხსაცმელი იყოს ბუნებრივი ტყავის და ჰქონდეს რამდენიმე წყვილი ხშირად გამოსაცვლელად. ხშირადვე უნდა გამოუცვალოთ მას წინდებიც. თუმცა, ფეხის ოფლიანობა შეიძლება რაიმე დაავადების სიმპტომიც იყოს.

**კითხვა**: **მაინტერესებს, შეიძლება თუ არა, თხილეულმა გაგასუქოს?**

**პასუხი**: თხილეული მაღალი კალორიულობით ხასიათდება, ამიტომ, მისი ჭარბი რაოდენობით მიღება გამოიწვევს როგორც წონაში მატებას, ისე საკვების მონელებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

**კითხვა**: **გამიგია, რომ გრეიპფრუტი წონაში დაკლებას უწყობს ხელს. ამ მიზნით, ერთი კვირის განმავლობაში ვაპირებ ყოველდღე თითო ცალის მიღებას და, მაინტერესებს, ჭამის წინ ვჭამო თუ ჭამის შემდეგ?**

**პასუხი**: ყოველი ჭამის წინ უნდა მიირთვათ ნახევარი გრეიპფრუტი – ეს დაგეხმარებათ წონაში დაკლებაში. გასათვალისწინებელია უკუჩვენებები: უკუნაჩვენებია მათთვის, ვისაც აწუხებს წყლული, გასტრიტი, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობა ან კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვა პათოლოგიები.

**კითხვა: მყავს წლისა და 7 თვის გოგონა. რამდენიმე კვირაა, შევამჩნიე, რომ კბილებს აკრაჭუნებს. ერთხელ რომ დავუშალე, იმის შემდეგ, თითქოს ძალით აკეთებს. რისი ბრალი შეიძლება იყოს და მოგვიწევს თუ არა ბავშვის მიყვანა ნევროპათოლოგთან?**

**პასუხი**: შესაძლოა, ბავშვს კბილები ამოსდის და ამით არის განპირობებული მისი ამგვარი ქცევა, ამიტომ, ნუ გაამახვილებთ ამაზე ყურადღებას.

**კითხვა**: **ფეხზე, ნეკთან და ცერთან, გამომივიდა ხრტილოვანი წანაზარდები, სავარაუდოდ, პოდაგრა. როგორ შეიძლება წანაზარდის მოშორება?**

**პასუხი**: პირველ ყოვლისა, მიმართეთ ტერფის სპეციალისტს – პოდიატრისტს, რათა დადგინდეს, ხომ არ არის აღნიშნული წანაზარდი დაკავშირებული ტერფის ორთოპედიულ პათოლოგიასთან. შეიძლება, წანაზარდის გაჩენა განპირობებული იყოს ბრტყელტერფიანობით და, მაშინ, აუცილებელი იქნება სპეციალური სუპინატორის ტარება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

## მეტეომგრძნობიარე ადამიანმა საკვები სწორად უნდა შეარჩიოს

ატმოსფერული ცვლილებების დროს, თავს იჩენს თავისა და სახსრების ტკივილი, შაკიკი, არტერიული წნევის მატება, უგუნებობა, მოთენთილობა, შრომის უნარის დაქვეითება, დეპრესია და სხვა უსიამოვნო სიმპტომები. ასაკის მატებასთან ერთად, ეს მგრძნობელობა ადამიანებში კიდევ უფრო იმატებს.

უქარო, ნესტიან ამინდში, როცა ჰაერში ნაკლებია ჟანგბადი, განსაკუთრებით ცუდად გრძნობენ თავს ისინი, ვისაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებები აწუხებთ. ასევე, საშიშია მაგნიტური დღეები გულით დაავადებულთათვის, რადგან ამ დროს დიდია არითმიისა და სისხლძარღვების კრიზის რისკი, კერძოდ – ინსულტისა და ინფარქტის. მწვავდება სახსრების ტკივილიც. ატმოსფერული წნევის ცვლილებაზე მკვეთრად რეაგირებენ ჰიპერტონიკები.

მშრალ ამინდში, როდესაც ჰაერში ბევრი მტვერია, ასთმიან ადამიანებს ეწყებათ შეტევები.

არსებობს ამ უსიამოვნებებისგან თავის დაცვის წესები, რომელიც ყველამ უნდა გაითვალისწინოს. კერძოდ: ყველა მეტეომგრძნობიარე ადამიანმა კრიტიკულ დღეებში, შეძლებისდაგვარად, თავი უნდა შეიკავოს ფიზიკური და ინტელექტუალური საქმიანობისგან; თავი აარიდოს კონფლიქტებს; მეტი დრო დაჰყოს სუფთა ჰაერზე; მკაცრად დაიცვას ექიმის დანიშნული წამლების მიღების დრო.

მომატებული მეტეომგრძნობელობის დროს უნდა ჭამოთ რძის ნაწარმი, მცენარეული ცხიმები, ხილი, ბოსტნეული. გამორიცხეთ საკვები რაციონიდან შემწვარი, ცხარე, მწარე კერძები და ალკოჰოლური სასმელები.



# როგორ მოატყუა ელცინმა შევარდნაძე და რა საბედისწერო შეცდომა დაუშვა მან

„– ბატონო პრეზიდენტო, ახლა სად მიდიხართ?

– სახლში, – ვუპასუხე.

– კი მაგრამ, მერე?

– მერე, ცხოვრება გვიჩვენებს.

პრესასთან ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. ყველა ნაცნობი სახე იყო. ვკითხე – გრძნობთ, როგორ შეიცვალეთ ამ წლების განმავლობაში-მეთქი? და, ერთმა მიპასუხა – დიახ, თქვენც შეიცვალეთ, ბატონო პრეზიდენტოო. მადლობა გადავუხადე და მართლაც სახლში წავედი".



ედუარდ შევარდნაძე, ერთი ღარიბი ოჯახის შვილი, რვა კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, გურიიდან, სოფელ მამათიდან თბილისში სწავლის გასაგრძელებლად ჩამოვიდა. მიზანი ერთი ჰქონდა – ექიმი უნდა გამხდარიყო. სწორედ ამ დღიდან მისი ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა: ექიმი არ გახდა, სამაგიეროდ, მსოფლიო პოლიტიკის ისტორიაში შევიდა. მე აღარაფერს ვიტყვი, ჯობია, ერთად გადავავლოთ თვალი მის წარსულს, რომელიც უაღრესად საინტერესო მომენტებით არის აღსავსე.



„...პირველი კილოგრამი ჩაის ფოთოლი 5 წლისამ მოვკრიფე. მამაჩემი გვასწავლიდა ფუტკრის მოვლას, ამიტომ, თაფლიანი ფიჭის ცქერა დღესაც სიამოვნებას მგვრის. სწორედ აქ, ჩემს სოფელსა და ოჯახში მივეჩვიე გლეხკაცის შრომას; ყოველთვის ტოლივით შემეძლო, მესაუბრა მხვნელთან თუ მწყემსთან, მევენახესთან თუ მეფუტკრესთან... და თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, აქამდე ვამაყობ იმით, რომ საკუთარი ხელით შემიძლია რაღაც-რაღაცეების კეთება... 1937 წელს, ჩემი სოფლიდან, ისევე, როგორც ახლომახლო სოფლებიდან, ადამიანების გაუჩინარება დაიწყო. ქრებოდნენ ყველაზე პატივსაცემი, ყველაზე ავტორიტეტული ადამიანები. ერთ დღეს გაუჩინარდა მამაჩემიც – სოფელში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და პატივსაცემი პიროვნება, რომელმაც იმ დროისთვის მამათში საშუალო სკოლა გახსნა. დედაჩემი გულჩათხრობილი გახდა. კითხვებზე არ გვპასუხობდა; სახლს გარეთ, ჩემ ირგვლივ, გაუცხოების სიცივე ვიგრძენი. სხვათა შორის, ასეთივე გაუცხოება ვიგრძენი სულ ბოლო გადადგომის შემდეგაც, 2003 წელს. სკოლაში მანამდე ლიდერად მთვლიდნენ, ბიჭები სულ ჩემ ირგვლივ ტრიალებდნენ... რამდენიმე ხანში მამაჩემი დაბრუნდა... 1937 წელს რეპრესიები იმდენად მასშტაბური იყო, რომ ქვეყანა გაუკაცრიელდა და 1938 წლის თებერვალ-მარტში ტერორის მანქანა ოდნავ შეაჩერეს. იმ დროს მე ეს არ ვიცოდი და მიხაროდა, რომ მამაჩემი „ხალხის მტერი" არ აღმოჩნდა, მაგრამ, უკვე მაშინ დავიწყე ფიქრი იმ მიზეზებზე, რომლებიც ოჯახებს ხლეჩდა... ჩემთვის განსაკუთრებით დამაჯერებელი არგუმენტი გახდა ომი – ფაშისტური გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე, რომელსაც ჩვენი ქვეყნის დამონება სურდა.

მე, სოფლის ფოსტალიონის ნებაყოფლობით დამხმარე, „უბედურების მაცნედ" ვიქეცი. მალე მწუხარებამ ჩვენს სახლსაც მოაკითხა: ჩემი უფროსი ძმა, აკაკი, რომელიც ჯარში ომის დაწყების წინ გაიწვიეს, ომის პირველივე დღეებში ბრესტის ციხესიმაგრის დაცვისას დაიღუპა. ჩემი მეორე ძმაც, იპოკრატეც გაიწვიეს ჯარში და ყოველდღე ველოდით ფრონტზე მის გაგზავნას... ომმა მეც გამომაწრთო, როგორც მილიონობით ჩემი თანატოლი...



### მორგიდან – კომუნისტურ პარტიამდე

...მამათში რვა კლასის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში შევედი. ეს ახლობლების დაჟინებული თხოვნით მოხდა – ყველას უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. იმ დროს ეს მეც მინდოდა (იქნებ, ასეც ჯობდა, მაგრამ ამაზე ლაპარაკი გვიანაა). მერე, მორგში რომ შემიყვანეს, კინაღამ ჭკუიდან გადავედი – არ მინდა თქვენი ექიმობა-მეთქი. იმ დროს თბილისში ჩემს დასთან დავბინავდი, ძველ სახლში, ფასანაურის ქუჩაზე, სარდაფის მსგავს, რვა კვადრატულ მეტრ ოთახში. დიდ ხალისს არ მანიჭებდა ასეთი ცხოვრება, მაგრამ, მაინც კარგად მახსენდება. თუ რომელიმე ჩემი ძმა ან ნათესავი ჩამოვიდოდა, მე მაგიდაზე უნდა გამეშალა ლოგინი და იქ დამეძინა. ასე ვიყავით მთელი ახალგაზრდობა.


თენგიზ სიგუასთან ერთად

ჩემმა დამ ნამდვილი დედობა გამიწია. ტექნიკუმის დამთავრების დროს სერიოზულად დავეჭვდი ჩემი არჩევნის სისწორეში და როცა კომკავშირის რაიკომში დამიბარეს და ინსტრუქტორის ადგილი შემომთავაზეს, ულაპარაკოდ დავთანხმდი. მშობლებმა, ვიდრე პირში სული ედგათ, ეს არ მაპატიეს. კომუნისტურ პარტიაში 1948 წელს შევედი. მაშინ კომკავშირი და კომუნისტური პარტია პოლიტიკური თვითგამოვლენის ერთადერთი ასპარეზი იყო... ცხოვრება მცდიდა. თავდაუზოგავად ვმუშაობდი. ღამის სამ საათამდე რაიკომში ვრჩებოდი, მერე კი მელოდა სიმყუდროვეს მოკლებული ღარიბული ოთახი, ხანმოკლე და მოუსვენარი ძილი და ისევ დილა, ახალი დღე, სავსე ახალი შეხვედრებით, საქმეებითა და იმედებით. ბევრი ცხოვრობდა ასე, მარტო მე არა, მაგრამ, გვწამდა, თუ თავს არ დავზოგავდით, უკეთ ვიცხოვრებდით. ასეთი შრომისა და მატერიალური გაჭირვების მიზეზითაც წლინახევრის შემდეგ ტუბერკულოზით დავავადდი. უცხოურ წამლებს თავისი წონა ოქრო უნდოდა. ოქრო არ იყო, მაგრამ, იყვნენ მეგობრები და იყო ჩვენი შესანიშნავი ბუნება... ღარიბული ყოფის კონტრასტი ბუნების დიდებულ სიმდიდრესთან იმდენად თვალშისაცემი გახლდათ, არ შეიძლებოდა, ადამიანი არ დაფიქრებულიყო: „ყველაფერი, რაც გვაბადია, რატომ არის გამოუყენებელი? ჩვენ, ასეთი სიმდიდრის პატრონები, რატომ ვართ ასეთ ღატაკები?" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი რომ გავხდი და, თითქოს, ჩემი ნება-სურვილის შესაბამისად მოქმედების შანსი გამიჩნდა, დავუბრუნდი ფიქრს რესპუბლიკის ბუნებრივი სიმდიდრის, მისი შესანიშნავი საკურორტო ადგილების გამოყენების შესახებ. შევქმენით საგანგებო სამმართველო, დავიწყეთ სახსრების მოძიება. საქმე ძნელად მიიწევდა წინ... მაინც რაღაც მოხერხდა. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო და მას ოქროს ფასი დაედება...

### ვილა მთებში

„ვილა მთებში" – ასე უწოდა ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა ჩემს საცხოვრებელს თბილისში. დარჩეს ეს მის სინდისზე. 1992 წლის მარტიდან ჩემს ცხოვრებაში ყველაფერმა იმდენად გაზვიადებული ხასიათი შეიძინა, რომ ეს ჟურნალისტური ჰიპერბოლა სხვასთან შედარებით სრულიად უმანკოა. ჩემი ახალი თბილისური კერა გახდა სასტუმრო სახლი მთავრობის რეზიდენციაში... თელეთის ფერდობები ჩემი პირადი დაცვისათვის გამუდმებული სადარდებელი გახდა. სახლი, რომელშიც ვცხოვრობდი, შესანიშნავავ სამიზნეს წარმოადგენს იმ ნებისმიერი მსროლელისათვის, რომელიც თავისუფლად შეინიღბება ეკლიან ბუჩქებში... მცველები სულ უფრო დაბეჯითებით მოითხოვდნენ, კაბინეტი საძილე ოთახში ან სხვა შენობაში გადაგვეტანა, ან, საერთოდ დამეტოვებინა ეს სახლი... 1795 წლის სექტემბერში აქედან ახლოს, ქართველთა მეფის, ერეკლე მეორის ლაშქარი შეება ირანის შაჰის, აღამაჰმად-ხანის არმიას. ბრძოლა უთანასწორო იყო... ეს იყო დიდი მიზნისთვის თავშეწირვის მაგალითი. საქართველოს ისტორიაში ამგვარი მსხვერპლი არაერთხელ გაღებულა. მე კი ჩემს თანამებრძოლებს ვთავაზობდი, გვეცოცხლა დიდი მიზნისთვის – ერთად დაგვემარცხებინა გაჭირვება. იმ დღეებში ფიზიკურ მარტოობას ნამდვილად არ ვგრძნობდი... როცა ყოველდღიურად ვეცნობოდი სტუმრების სიებს, თითქმის ყოველთ-


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ვის ვრწმუნდებოდი, რომ ვერც ერთ მათგანს შეხვედრაზე უარს ვერ ვეტყოდი. როგორ ხმამაღლადაც არ უნდა ჟღერდეს ნათქვამი, ამ ადამიანების პირით საქართველო მელაპარაკებოდა. ესენი იყვნენ სხვადასხვა მიმართულების და შეხედულების მქონე პარტიებისა და მოძრაობების ლიდერები... ვაღიარებ, რომ ყოველივე ეს საგონებელში მაგდებდა: „მოვერევი კი ამ იმედებისა და მოლოდინის ტვირთს?” სხვები ღრმა ჭრილობას მაყენებდნენ და წყევლა-კრულვას მითვლიდნენ, ხოლო, ზოგნი, ვინც დიდი ხანია, ერთგულ და საიმედო მეგობრებად მიმაჩნდა, ჩემგან თავს შორს იჭერდნენ. ახლაც თვალწინ მიდგას საქართველოში დაბრუნების ის დღეები, უფრო ზუსტად, ხელახალი დაბადების, ჩემი განახლების დღეები და, თვალწინ მიდგას თანამემამულეთა სახეები, მათი უპირობო მოთხოვნა: „უნდა დაგვეხმარო, ვალდებული ხარ!”. ამ ადამიანებმა, დახმარებას და დაცვას რომ მთხოვდნენ, არც კი იცოდნენ, თავად მე როგორ მჭირდებოდა მათი მხარდაჭერა და დახმარება. მთის სოფელ ჭერემში ერთმა ქალმა წინასწარმეტყველიც მიწოდა და მე ბედნიერად ვიგრძენი თავი...


შვილიშვილთან, სოფოსთან ერთად


ელცინთან ერთად

## ეს აპლოდისმენტები – შევარდნაძეს

თბილისის უნივერსიტეტი, სააქტო დარბაზი, კეთილმოსურნე მხარდამჭერ მზერებს შორის უნდობლობით სავსე, მტრული, დამცინავი გამომეტყველებით აღბეჭდილი სახეები; შეძახილები სტუდენტური ქანდარიდან: „როგორ გრძნობთ თავს ახალი მეგობრების – კანონიერი ქურდების გარემოცვაში?”; „თქვენ თქვით, რომ გაქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა დამოუკიდებელი საქართველოს აშენებისთვის, ეს არ არის მართალი, თქვენ არა გაქვთ ჩვენი ხალხის სიყვარული!..” შემოტევა კარგად იყო ორგანიზებული, დარტყმებიც წელს ქვემოთ მოდიოდა და ესეც მოფიქრებული იყო. შეკითხვებზე პასუხის გაცემას რომ შევუდექი, ჩვეულებრისამებრ, საათი კათედრაზე დავდე. ხმა დამიდაბლდა და დარბაზიდან მაშინვე გაისმა წამოძახილი: „ილაპარაკეთ ისე, რომ ყველამ გაიგონოს!” არა უშავს, თანდათან გავთამამდები”, – ვუპასუხე მე. გაისმა სიცილი და აპლოდისმენტები. ოდნავ სიმსუბუქე ვიგრძენი. ლაპარაკი რომ დავამთავრე, ხელი საათისკენ წავიღე, მაგრამ, ვერ ვიპოვე – ან სახსოვრად „დაითრიეს”, ან გადაწყვიტეს, უსიამოვნება მოეყენებინათ (ორი დღის შემდეგ საათი დამიბრუნეს). ბევრი თვალი მიყურებდა დაკვირვებით და, ვაღიარებ, იმ დღეებში მართლაც საინტერესო ობიექტი ვიყავი დაკვირვებისთვის...

## დიდი დიქტატორი

...ზვიად გამსახურდია წავიდა საქართველოდან, ედუარდ შევარდნაძე – დაბრუნდა. იმაზე, წინ გადადგმული ნაბიჯია ეს თუ არა, შეიძლება, დიდხანს ვიკამათოთ. ნათელია მხოლოდ ის, რომ ზვიად გამსახურდიას წასვლასთან ერთად საქართველოდან „ზვიადიზმი” არ წასულა, შევარდნაძის დაბრუნებასთან ერთად კი არ დაბრუნდა კომუნისტური წარსული. გასაგებია, რომ ეს ორი ფიგურა დარჩება ქართველი ხალხისთვის მიზიდულობის ორ „პოლუსად”. სიმართლე გითხრათ, არ მინდოდა, ვყოფილიყავი „პოლუსი”... სამწუხაროდ, ყველაფერი ასე უბრალოდ არ ხდებოდა. მე მაინც მარტო ვიყავი. 1992 წლის 10 მარტს, ჩემი ჩამოსვლიდან სამი დღის შემდეგ, სამხედრო საბჭომ მოიხსნა უფლებამოსილება... მათ უნდა შეექმნათ რაღაც წინასწარი პარლამენტის მსგავსი ორგანო, რომელიც არჩევნების გამართვამდე იკისრებდა ქვეყნის მართვის ფუნქციებს. ბუნებრივია, ლაპარაკი შეეხო ჩემს როლსა და უფლებამოსილებებს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერმა, თამრიკო ჩხეიძემ, თქვა: „ჩვენ ვიბრძოდით არა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, არამედ, მისი პრეტენზიების წინააღმდეგ – ყოფილიყო საქართველოს ბედის ერთადერთი განმგებელი...” რამდენიმე თვის შემდეგ, მკვეთრად, უსამართლოდ, საწყენად, თამრიკომ მაინც ამოთქვა იმ დღეს უთქმელი სიტყვები: „თუ შევარდნაძე მოინდომებს, შეიძლება, გახდეს დიქტატორი”. მინდოდა კი დიქტატორობა?! მაშინაც და შემდგომშიც, მე ვარწმუნებდი კოლეგებს: „არა, პატივცემულებო, მე არ მინდა დიქტატორობა და ვერც შევძლებ ამას...” და მაინც, მე, პრაქტიკულად, ერთხმად ამირჩიეს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ...

## მატყუარა, მატყუარა

1992 წლის 3 სექტემბრიდან იწყება საქართველოსთვის საბედისწერო მოვლენების განვითარება. ჩვენ ვენდეთ – მათ მოგვატყუეს, უფრო სწორად – მომატყუეს. საერთაშორისო ურთიერთობებში პატიოსანმა თამაშმა მიმაჩვია, რომ ხელმოწერილი ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, მით უფრო, თუ მას დიდი სახელმწიფოს პირველი პირი აწერს ხელს... ახლაც მიჭირს ვიფიქრო, რომ ელცინი ტყუოდა და მას არ უნდოდა ამ ომის მშვიდობიანად დამთავრება, მაგრამ, რაკილა ის იყო მოლაპარაკებების ინიციატორი, რაკილა მისი მოქალაქეები და მისი სამხედროები, მისი კარი ომობდა და, რაკილა ის იყო მთავარსარდალი და


გია ყარყარაშვილთან – (1992 წელი)

ქვეყნის პირველი პირი, პასუხიმგებლობაც ამ მზაკვრობაზე მას ეკისრებოდა. ეს მეტად სამწუხარო ფაქტია, მაგრამ, სად გაექცევი... რუსეთის პოლიტიკაში საუკუნეთა განმავლობაში არაფერი შეცვლილა, ყველა და ყველაფერი შეიცვალა გარშემო, რუსეთის პოლიტიკის სტილი კი, დამყარებული სიტყვის გატეხაზე, ხელშეკრულების დარღვევასა და მზაკვრობაზე – იგივე რჩება. დაკარგეს ყირიმი, ოდესა, სევასტოპოლი და შეეგუნენ, აი, საქართველოს კუთვნილი მიწისა და შავი ზღვის დაკარგვას კი ვერ ეგუებიან, რადგან, აქ მათი დასაყრდენია... სოხუმის დაცემის შემდეგ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა დასავლეთ საქართველოში. ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური ფოთი... მეამბოხენი ცდილობდნენ, ჩვენთვის ბლოკადით გადაეკეტათ ჟანგბადი (სხვათა შორის, როცა ზვიადისტებმა ფოთი დაიკავეს, ისინი მარტონი არ ყოფილან. მათ შორის იყვნენ რუსები, ჩეჩნები, კაზაკები და სხვებიც, ვინც აფხაზეთის ომში იბრძოდა; დიდი რაზმი იყო). შექმნილი ვითარება მაიძულებდა კომპრომისზე წასვლას: საქართველო რუსეთის მიერ კონტროლირებად „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის” წევრობას უნდა დათანხმებულიყო. ჩემი მეგობრები, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა პრეზიდენტებიც მირჩევდნენ თანამეგობრობაში შესვლას – აქ თუ იქნები, უფრო დაგეხმარებითო. სწორედ ამის გამო გავემგზავრე მოსკოვში... ელცინს ვუთხარი:



– რაღაცით უნდა გვიშველოთ, ფაქტობრივად, საქართველო ბლოკადაშია. დაგვეხმარეთ, რომ ფოთი გავათავისუფლოთ და რკინიგზის უსაფრთხოება ერთად უზრუნველვყოთ...

– მაჩვენეთ რუკა!

გრაჩოვი ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, გადაშალა რუკა და ხელი დაადო: საქართველო წითელი ხაზით შუაზე იყო გაყოფილი, ხაზი გადიოდა წიფის გვირაბთან, სადაც დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ერთდება.

– დრუგოვო ვიხოდა ნეტ, – მითხრა, – პუსკაი ზვიად სიდიტ ვ ზაპადნოი გრუზიი, ა ტი – ვსტოლიცე. ჩტო ვი, ეტო სერიოზნო? – ვკითხე გაოცებულმა და აღშფოთებულმა.

– ია სო ვსეი სერიოზნოსტიუ გოვორიუ, დრუგოვო ვიხოდა ია ნე ვიჟუ.

– ეტო ნე პომოშჩ, – ვუთხარი.

– ხოროში სოვეტ ტოჟე პომოშჩ, – მიპასუხა უკმეხად. თავის შეკავება შეუძლებელი იყო – კარი გამოვიჯახუნე და აეროპორტისკენ გავეშურე. მაშინვე გამოვფრინდი მოსკოვიდან საქართველოში. მდგომარეობა ყოველ წუთს რთულდებოდა... ამ ვერაგული ომის შემდეგ, საქართველო იძულებული შეიქნა, დსთ-ში გაწევრიანებულიყო... აფხაზეთის ომი და მასში დამარცხება გამოწვეული იყო რუსეთის ორმაგი თამაშით!.. მახსოვს, დსთ-ის მეთაურთა ერთ-ერთი ბოლო სხდომა, რომელსაც ელცინიც ესწრებოდა. აფხაზეთის საკითხზე დისკუსია ჩემი გამოსვლით დაიწყო. ყველა მეთაურმა ელცინს კატეგორიულად მოსთხოვა პრობლემის მოგვარება. ახლაც მახსოვს, ელცინი წამოდგა და განაცხადა: „გაძლევთ პირობას, აფხაზეთის საკითხს უახლოეს მომავალში მოვაგვარებთ”. დავუჯერე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ უკვე მომატყუა – 1992 წლის 3 სექტემბერს. ამჯერადაც შევცდი!”

**ეკა პატარაია**



## თბილისის ტურიზმის აკადემია

აგრძელებს მიღებას გიდის, ინტერნეტტექნოლოგის, კორესპონდენტისა და მუსიკოს-რეპეტიტორის პროგრამებზე.

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში გრძელდება ჩარიცხვა გადმოყვანის წესით.

საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე მიღებას შემდეგ საგნებში: ფილოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ზოგადი უნარები.

**საბუთების მიღება გრძელდება. სწავლა დაიწყება 24 თებერვალს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. N 47 (ფილარმონიის ქვემოთ);**

**სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

**ტელ: 599-18-89-24, 2-93-66-03, 599-14-60-26, 2-99-96-26, 593-34-28-81, 593-26-45-46.**

**ყველა ცდილობს, პრობლემებს თავი აარიდოს, ბედნიერად იცხოვროს, ირგვლივ სანდო და ერთგული ადამიანები შემოიკრიბოს, მაგრამ, ცხოვრება სასტიკია და ყოველთვის ისე როდი ხდება, როგორც ჩვენ გვსურს. ბევრს ცხოვრებაში არ უმართლებს და სადარდებელი მეტი აქვს, ვიდრე გასახარელი. თუმცა, როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მერი ამბობს, ცხოვრება არც ისე რთულია, თუ მისი მართვა იცი და, შეგიძლია, მოვლენები შენს სასარგებლოდ შემოატრიალო. როგორ მოვახერხოთ ეს, როგორ გავთავისუფლდეთ ცუდისგან და დავიბედოთ სამომავლოდ ბედნიერება, ამაზე თავად ქალბატონი მერი მოგვცემს რეკომენდაციებს.**

# რატომ არ ვარგა ოჯახში გატეხილი ჭურჭლის შენახვა და მაგიდაზე მჭრელი საგნების ღამით დატოვება

**მერი**: ჩვენ გარშემო უამრავი ადამიანი დადის და ყველა თავის წილ სიხარულს, დარდსა და ტკივილს ატარებს. ძნელია მათი სურვილებისა და წუხილის ამოკითხვა, თუმცა, ნებისმიერს ყველაფერი ისედაც სახეზე აწერია. ეს ცხოვრება კი არც ისე რთულია, რასაკვირველია, თუ მას თავად ვმართავთ და ამ საქმეში კომპეტენტური ადამიანების რჩევებს გავითვალისწინებთ. ცხოვრების მართვა ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია, უფრო სწორად, შეგვიძლია, ჩვენი ცხოვრება უფრო სასიამოვნო, სახალისო, ბედნიერი და წარმატებული გავხადოთ. არსებობს წესები, რომლებიც ყველა ოჯახში უნდა დაიცვან – ამით უბედურებას, უიღბლობასა და უფულობას აიცილებენ თავიდან. მაგალითად, საღამოს მაგიდაზე თავლია ჭურჭლის დატოვებამ ღამით საცხოვრებელში ბოროტების გავრცელება იცის; გაბზარული ან გატეხილი ჭურჭლის შენახვას უბედურება მოაქვს; ღამით მაგიდაზე დანის ან რაიმე მჭრელი საგნის დატოვებას უსიამოვნებები მოსდევს ოჯახის წევრებს შორის; სხვისი ნივთის ან ტანსაცმლის ტარებამ, ბედის შეცვლა იცის; ნუ დაგვით იატაკს მაშინ, როცა ოჯახის რომელიმე წევრი გზაშია; ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი – ეს ბედზე ცუდად აისახება... მოკლედ, შემიძლია, უამრავი ასეთი რჩევა მოგცეთ. სულ ახლახან დადგა ახალი წელი და, უმჯობესია, გაითვალისწინოთ ჩემი რჩევები – ეს მთელი წლის განმავლობაში თქვენს კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

**– კონკრეტულად, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ამ მხრივ?**

– გეტყვით, რომ ბედისწერა მჭიდროდაა დაკავშირებული ავგაროზებთან, თუმცა, ხშირად ავგაროზისა და თილისმის მნიშვნელობები გაიგივებულია. არადა, ისინი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. თილისმა არის ნივთი, რომელიც რამე კონკრეტული შემთხვევისთვისაა შექმნილი. მისი დამზადებისას გათვალისწინებულია ფორმა, მასალა და შეფერილობა. ამის შემდეგ თილისმა იწყებს საჭირო ენერგიის „გადმოფრქვევას" იმ ადამიანზე, რომელიც მას ატარებს. ავგაროზი კი ნებისმიერი ნივთი შეიძლება იყოს, თუ მას დამუხტავთ დადებითი ენერგიით, კოსმიურ პროგრამირებასთან, ანუ, ბედისწერასთან დაგაკავშირებით.

უამრავი ავგაროზი იყიდება, რომლებსაც აწერია, რისთვის უნდა ატაროს ადამიანმა, თუმცა, ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ არასწორად შერჩეული ავგაროზის დროს ირღვევა მისი კავშირი ბედისწერასთან და, შესაძლოა, მისი გავლენა უკიდურესად ნეგატიურიც კი აღმოჩნდეს. მაგალითად, ამერიკაში ყოველ წელს ახალ ავგაროზს ყიდულობენ და ამით იბევებენ წარმატებებს მთელი წლის განმავლობაში. იქ ასეთი რამეების მეტად სჯერათ. ადამიანი, რომელიც ასეთ ავგაროზს ატარებს, მას თავისი ენერგიით მუხტავს, ის კი გადასცემს ინფორმაციას მოსალოდნელი არასასურველი მომენტების შესახებ, რაც მისი ქვეცნობიერისთვის კოსმიური პროგრამების საშუალებითაა ცნობილი.



**– როგორ უნდა ატაროს ადამიანმა თავისი დამცავი ავგაროზი, რომ მან სიკეთე, მატერიალური კეთილდღეობა და წარმატებები მოუტანოს პირად ცხოვრებაში?**

– ავგაროზი მუდამ თან უნდა გქონდეთ, უნდა ეხებოდეთ, ხედავდეთ, გრძნობდეთ.

**ნუ დაგვით იატაკს მაშინ, როცა ოჯახის რომელიმე წევრი გზაშია და ნუ გექნებათ სახლში ორი ცოცხი – ეს ბედზე ცუდად აისახება**

სხვათა შორის, გაითვალისწინეთ, რომ ავგაროზი, რომელიც წარმატებების მომტანია ერთი პიროვნებისთვის, შესაძლოა, მეორისთვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს. ამიტომ, სხვისი ავგაროზი თქვენ არ გამოგადგებათ. ის ინდივიდუალურია და ყველას თავისი უნდა ჰქონდეს.

**– და მაინც, როგორ უნდა შევარჩიოთ სწორად ავგაროზი, რომ მან მთელი წლის განმავლობაში წარმატება და ბედნიერება მოგვიტანოს?**

– აუცილებელია, რომ ავგაროზი, როგორც ნივთი, ძალიან მოგწონდეთ, გსიამოვნებდეთ მისი ყურება და შეხება. ის, არ უნდა იყოს გლუვი და არ ჰქონდეს მახვილი კუთხეები. მისი დამუხტვაც ადვილად ხდება, რადგან, მყარდება ენერგეტიკული კავშირი ნივთსა და თქვენს შორის. ავგაროზის დამუხტვის ყველაზე იოლი ხერხია მისი შეხება სხეულთან. ამიტომ, უმჯობესია, ის გულზე დაიკიდოთ. გულზე დაკიდებული ავგაროზი ნელ-ნელა იმუხტება და მას უდიდესი დახმარების გაწევა შეუძლია მისი მფლობელისთვის. ასე რომ, ავგაროზსა და ბედისწერას შორის უდიდესი კავშირია და ეს უნდა გახსოვდეთ.

**– გამიგია, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს თილისმის ფერს და, ასევე, კონკრეტული ფერები მოქმედებს გათვალვის საწინააღმდეგოდ.**

– დიახ, თილისმის ფერს დიდი მნიშვნელობა აქვს. უძველესი მაგიური ფერებია ცისფერი და წითელი; ასევე, გათვალვის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა თეთრი და შავი. უფრო რთულადაა საქმე ყვითელ ფერთან. ამიტომ, ოკულტური ზეგავლენისადმი მგრძნობიარე ადამიანმა, რომელიც ადვილად იღებს თვალს, არ უნდა ჩაიცვას ყვითელი ტანსაცმელი. საერთოდ, ყვითელი ფერის საგნების გარემოცვაში თავს მოუსვენრად გრძნობენ.

**– ძველად, საქართველოში მიაჩნდათ, რომ ავ და ბოროტ სულებს ხმაურით ადვილად დააფრთხობდნენ. ესეც სიმართლეა?**

– ძველად ხმაურის საშუალებით ადვილად აძევებდნენ ბოროტ ძალას და მის ავ საქმეებს უშლიდნენ ხელს. ამის შესახებ უამრავი ჩანაწერი არსებობს უძველეს ეზოთერიკულ ლიტერატურაში. გეტყვით იმასაც, რომ გათვალვის არიდება უფრო იოლია, ვიდრე მისგან განკურნება. ასე რომ, ეს რჩევა გაითვალისწინეთ და შეძლებისდაგვარად ეცადეთ, თავი აარიდოთ უსიამოვნებებს.

**ნონა დათეშიძე**

## ენერგიის გამცემი

ქალი ისეთი უნდა იყოს, მასთან ურთიერთობა ენერგიით გავსებდეს. ასეთ ქალს ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაუდგება წინ და არასდროს დარჩება ყურადღების მიღმა.

წარმოიდგინეთ, რა სასიამოვნოა, როცა გვერდით გყავს ქალი, რომლის გავლენითაც, თითქოს მზე უფრო ძლიერ ანათებს, ცხოვრება გაცილებით იოლია და ადამიანებიც ბევრად დადებითები არიან.

ქალი მამაკაცზე მეტი ენერგიის მატარებელია. ანუ, ყველა ქალს შეუძლია, იყოს ენერგიის გამცემი. მაგალითად, თუნდაც, უბრალო შეკითხვაზე პასუხსაც კი, დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა ხალისით, ძალდაუტანებლად პასუხობ და თან იღიმები, მოსაუბრეს პოზიტიურად განაწყობ. შეიძლება, საერთოდ არ გაინტერესებთ ამბავი, რომელსაც ის გიყვებათ, მაგრამ, თუ გამოხატავთ და არ დაიშურებთ ინტერესს, პლუს ერთი, თქვენს სასარგებლოდ იქნება. აქტიური და პოზიტიური – აი, მთავარი სავიზიტო ბარათი, რომელიც გულების გახსნის საუკეთესო საშუალებაა.

საინტერესოა, იცოდეთ, რომ მამაკაცებს მოსწონთ ქალები, რომლებმაც ბევრი იციან და კარგი მეხსიერებაც აქვთ. გაივარჯიშეთ გონება. დაიხსომეთ სახეები, რიცხვები, ფრაზები... ამით ტვინსაც მიაწვდით საზრდოს და ადამიანებთან ურთიერთობაც გაგიადვილდებათ.

## შიში... საშიშია...

მამაკაცების ოთხმოცი პროცენტი მშიშარაა და ეს უკვე დადასტურებული ფაქტია. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ თაყვანისმცემელი, რომელიც გუშინ სიყვარულს გეფიცებოდათ, დღეს უკვალოდ გაქრეს. თქვენ შეიძლება, სამომავლო გეგმებიც კი გქონდათ უკვე დაწყობილი, მაგრამ...

დავიწყოთ იმით, რომ თქვენ ამაში დამნაშავე არ ხართ. ის, რომ ზოგიერთ ქალს შესანიშნავად გამოსდის ურთიერთობა მამაკაცებთან და ისინი მის გარშემო ბუზებივით ირევიან, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ამ ქალებზე ნაკლები ხართ ჭკუით ან გარეგნობით. მიზეზი სხვაა. მათ იციან ის, რისთვისაც თქვენ ყურადღება არ მიგიქცევიათ. მაგალითად, ის, რომ კაცები მშიშრები არიან. ამას მათ დასამცირებლად, ან შეურაცხყოფისთვის არ ვამბობთ. არც იმას ვცდილობთ, რომ ვინმეს მამაკაცური ღირსება დავაკნინოთ. ამ სიტუაციაში მთავარი ქალის საქციელია. სწორედ ეს განაპირობებს მამაკაცის შემდგომ ნაბიჯებს ურთიერთობაში. ანუ, ზოგიერთი ქალი ისე იქცევა, რა თქმა უნდა, უნებლიეთ, მამაკაცების უმრავლესობას ურჩევნია, თავის გვერდით არა თავდახრილი მონა ჰყავდეს, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს მის ყველა ახირებას, არამედ პიროვნება – მიზანდასახული, წარმატებული და შემდგარი. თანასწორი, რომელთანაც ცხოვრება საინტერესო იქნება. შეიძლება, მამაკაცი არც აღიარებდეს და ხმამაღლა არ ამბობდეს ამას, მაგრამ ეს ასეა. თუ არ დააფასებთ საკუთარ თავს და კაცის წინაშე თავდახრილი, შემცბარი და მუდმივად სინდისის ქენჯნის განცდით იქნებით, მას თქვენთან ურთიერთობა აღარ მოუნდება!

## სუსტი და დაუცველი

ქალი სუსტი და დაუცველი უნდა იყოს – ეს მცდარი მოსაზრება საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ქალბატონებში და ძალიან უშლის მათ ხელს პირადი ცხოვრების მოწყობაში. რატომ უნდა მოაჩვენო ვინმეს თავი ისეთად, როგორიც სინამდვილეში არ ხარ?! კარგია, როცა შენზე ვიღაც ზრუნავს, მაგრამ, დაფიქრდით: ქმარი გჭირდებათ თუ ძიძა, რომელსაც, ადრე თუ გვიან, თქვენი ლოლიავი აუცილებლად მობეზრდება?! თუ ბავშვობაში დედიკო და მამიკო მეტისმეტად ზრუნავდნენ თქვენზე და ახლა ელოდებით კაცს, რომელიც ესტაფეტას გადაიბარებს მათგან, ამით მხოლოდ დროს დაკარგავთ. მართალია, მამაკაცი სუსტი ქალის გვერდით თავს გაცილებით ძლევამოსილად გრძნობს და უფრო თავდაჯერებულია, მაგრამ, თუ ზედ ჩამოეკიდებით, აუცილებლად გაუჩნდება თქვენი „ჩამოფერთხვის“ სურვილი. ხოლო, თუ კაცი თანახმაა, ცოლად შეირთოს ბავშვი-გოგონა და მერე აღმოაჩენს, რომ ცოლი ერთბაშად „გაიზარდა“, საკუთარი აზრიც გაუჩნდა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილიც, იმედი აუცილებლად გაუცრუვდება... ანუ, ქალი ზოგჯერ მართლაც უნდა იყოს სუსტი და დაუცველი, მაგრამ, მხოლოდ მაშინ, როცა ამისი საჭიროება არსებობს. ხოლო, იმის მიხვედრას, თუ როდის დგება ამის საჭიროების დრო, უკვე ჭკუა სჭირდება. ერთი სიტყვით, მთავარი ჭკუაა და, კიდევ, ქალური ლოგიკა. დანარჩენი კი უკვე „ტექნიკის“ საქმეა...

## კონტროლი და ეჭვიანობა

როგორ შეიძლება, გიყვარდეს და არ იეჭვიანო მასზე? როგორ შეიძლება, კაცს ბოლომდე ენდო?! შეიძლება, „კონტროლი” ძალიან ცუდი სიტყვაა და არც ერთ მამაკაცს არ მოსწონს, როცა მას აკონტროლებენ, მაგრამ, ნებაზეც ხომ ვერ მიუშვებ?! ეს კიდევ ცალკე პრობლემაა, თანაც, არანაკლებ სერიოზული.

არიან კაცები, რომლებსაც ურთიერთობის რაღაც ეტაპზე მოსწონთ მკაცრი, კრიტიკული, „აღმზრდელი“-პარტნიორები. ამ ტიპის მამაკაცების კატეგორიას ძირითადად „დედიკოს ბიჭები” მიეკუთვნებიან. თუმცა, გადის დრო და „დედიკოს ბიჭებიც“ იზრდებიან, უჩნდებათ „ფრთების გაშლის სურვილი“ და, პრობლემებიც მაშინ იწყება. შედეგად, ყოველგვარი პოზიტიური გრძნობა ქრება და ჩნდება ერთადერთი სურვილი – რაც შეიძლება შორს გაიქცეს ასეთი ქალისგან. რა თქმა უნდა, თუკი ბუნებით ხართ მკაცრი, პრინციპული, კატეგორიული და კრიტიკული, ერთბაშად ვერ შეიცვლებით, სიყვარულიც კი ვერ უშველის ამას; მაგრამ, თუ გრძნობა ძლიერია, მაშინ, ძალიან უნდა მოინდომოთ და გამოგივათ! რაც შეეხება ეჭვიანობას, ურთიერთობა ნდობის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია – ეს ლამის სიყვარულზე უფრო მნიშვნელოვანია. რთულია, არ იყო ეჭვიანი და არც სადავეები მიუშვა. ჩუმად თუ მოიპოვებთ ინფორმაციას, ეს ცუდი არ იქნება, მაგრამ, დაკითხვა არ უნდა მოუწყოთ, შეკითხვებით სული არ უნდა ამოხადოთ; თუ სამსახურიდან მოსვლას დააგვიანებს, ისტერიკაშიც არ უნდა ჩავარდეთ და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია – ნებისმიერ სიტუაციაში შეეცადეთ, შეინარჩუნოთ სიმშვიდე!

## მოუსმინე... მოგისმენ...

არ არსებობს ერთი მართალი, მით უმეტეს – ოჯახში. თუ ფიქრობთ, რომ ცოლქმარს შორის ერთი და ისიც ცოლი, ყოველთვის მართალია, ძალიან ცდებით. ასეთი რეალობით თქვენი ურთიერთობა კრახისთვის არის განწირული. აუცილებელია, ნებისმიერ სიტუაციაში მოუსმინოთ პარტნიორს. იმიტომ კი არა, რომ მტყუან-მართალი გაარკვიოთ, არამედ, იმისთვის, რომ ერთმანეთს გაუგოთ – სწორედ ეს არის მთავარი. ანუ, თუ არ შეგიძლიათ, მოუსმინოთ სხვას, მით უფრო, საკუთარ პარტნიორს, მაშინ, თქვენს ურთიერთობას დიდი დღე არ უწერია. ხომ გინდათ, თქვენი ესმოდეთ?! მაშინ, ჯერ მას მოუსმინეთ, თორემ, საბოლოოდ, გამოვა, რომ ილაპარაკებთ დაუსრულებლად, თქვენს ლაპარაკს კი არანაირი შედეგი არ მოჰყვება. ეს იქნება ცალ კარში თამაში. კაცებს მოსწონთ, როცა ქალი სასიამოვნო მოსაუბრეა, როცა ის არ არის გულგრილი მისი პრობლემებისადმი. თუ ამ ყველაფერს მოახერხებთ, თქვენი ურთიერთობა მეტ სიღრმესაც შეიძენს და საინტერესო და მყარიც გახდება. ერთი სიტყვით, ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. თუმცა, ეს ადვილი ნამდვილად არ არის!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# წვრილი წელი - ყველა ქალის ოცნება

გამოკვლევებით დადგინდა, რომ მამაკაცების საკმაოდ სოლიდური ნაწილი (49 პროცენტი) ქალის გარეგნობის შეფასებისას უყურებს მას არა თვალებში ან მკერდზე, არამედ... წელზე. ანუ, მათი შეფასებით, ის ქალბატონები, რომლებსაც წვრილი წელი აქვთ, განსაკუთრებით სექსუალურები და ქალურები არიან. სხვათა შორის, წვრილი წელი საქართველოშიც ყოველთვის ქალის (და მამაკაცისაც) სილამაზის ერთ-ერთი ნიშანი იყო.

„ბეჭედივით“ წელი, ალბათ, ყველა ქალბატონის ოცნებაა, ამ ოცნების მისაღწევად კი ბევრი მათგანი უკან არაფერზე დაიხევს და გარკვეულ მსხვერპლზეც კი წავა, მაგრამ, დღევანდელ პირობებში არის უამრავი საშუალება, რომელთა წყალობითაც „ქვიშის საათის“ სილუეტი მხოლოდ ოცნებად არ დარჩება.



რა თქმა უნდა, ლიპოსაქცია ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა ზედმეტი ცხიმების მოსაშორებლად, მაგრამ, ამ ოპერაციის გაკეთება, გარდა იმისა, რომ საკმაოდ ძვირი ღირს, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ ჯანმრთელობის პრობლემები, ამიტომ, უმჯობესია, მიმართოთ მექანიკურ საშუალებებს, როგორებიცაა: სპეციალური ვარჯიშები ფიტნეს-კლუბში (ან სახლში), ჰულა-ჰუპი, ცურვა, ცივი შხაპი, კორსეტი, თვითმასაჟი, შეფუთვა (კომპრესი), მოწევისთვის თავის დანებება, ტანზე მჭიდროდ შემოტკეცილი თეთრეული და დიეტა. დაწვრილებით გაგაცნობთ რამდენიმე მათგანის ეფექტს.

ჰულა-ჰუპი ერთ-ერთი უძველესი და კარგად გამოცდილი ტრენაჟორია, რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალურობას (მას ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში იყენებდნენ). იმისათვის, რომ უკეთესი შედეგი მიიღოთ, შეიძინეთ ორი ჰულა-ჰუპი: ერთი – მძიმე, რომელსაც აქვს მასაჟორები (შლის ლიმფას) და მეორე – მსუბუქი, რომელიც ავარჯიშებს კუნთებს. რაც უფრო მსუბუქია რგოლი, მით უფრო ძნელია მისი დატრიალება და, შესაბამისად, სხეულს მეტი ენერგიის დახარჯვა უწევს, რაც უფრო დაგაახლოებთ შედეგთან. ყოველდღიური 30-წუთიანი ვარჯიში ჰულა-ჰუპით, თქვენი წელის გარშემოწერილობას თვეში 5-7 სანტიმეტრით შეამცირებს. ოღონდ, ისევე, როგორც სხვა მეთოდების გამოყენებისას, ვარჯიშამდე და ვარჯიშის შემდეგ ერთი საათი არანაირი საკვები (წყალიც კი) არ უნდა მიიღოთ.

ცივი შხაპი, თავისთავად, გარკვეული სტრესია ორგანიზმისთვის და მკვეთრად იზრდება ჰორმონ ნორადრენალინის გამოყოფა. ეს ჰორმონი აჩქარებს ნივთიერებათა ცვლას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ცხიმების დაწვის დროის ხანგრძლივობას. გარდა ამისა, გარკვეულ შემთხვევებში, ნორადრენალინი ხელს უწყობს მადის დაქვეითებას. სხვათა შორის, დილით, უზმოზე დალეული ერთი-ორი ჭიქა ცივი წყალი აიძულებს ტვინს, უფრო აქტიურად გამოიმუშაოს ნორადრენალინი.

თუ ყოველდღიურად მიიღებთ ცივ შხაპს, თქვენი წელის გარშემოწერილობა დაახლოებით 5 სანტიმეტრით შემცირდება.

კლასიკური კორსეტის კონსტრუქცია შუა საუკუნეების შემდეგ არ შეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ მასალა. თქვენთვის საჭირო კორსეტი, სასურველია, შეკვეთით შეაკერინოთ (უმჯობესია მისი მოკლე ვარიანტი, რომელიც განიერი ქამრის ფუნქციას შეასრულებს). დაუშვებელია კორსეტის მოჭერა 7 სანტიმეტრზე მეტად; ასევე, მისი ტარება შეიძლება მხოლოდ 3 საათის ხანგრძლივობით.

თვითმასაჟი უნდა გაიკეთოთ ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფმა. ამ შემთხვევაშიც, მასაჟამდე და მასაჟის შემდეგ 1 საათის განმავლობაში არაფერი არ უნდა მიირთვათ. მუცელი და წელი დაიმასაჟეთ ცერი და საჩვენებელი თითებით 15 წუთის განმავლობაში. ხელები სიმეტრიულად და სინქრონულად ამოძრავეთ ჭიპიდან თეძოების მიმართულებით. 15 წუთის შემდეგ, იმავე მიმართულებით გაიკეთეთ მასაჟი მსუბუქი ჩქმეტებით – ეს აუმჯობესებს კუნთებში სისხლის მიმოქცევას.

შეფუთვის ერთი კურსი მოიცავს 10-დან 20 პროცედურამდე. საუკეთესო აქტიური კომპონენტებია: ლამინარია, თაფლი და თეთრი თიხა. შეიძლება, ამ პროცედურის სახლში ჩატარებაც, მაგრამ, მაქსიმუმ, კვირაში ორჯერ, ჭამიდან 2 საათის შემდეგ და, იმ შემთხვევაში, თუ არ გაქვთ გინეკოლოგიური (ან სხვა სახის) პრობლემები. ერთი სეანსის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.

დიეტა არც ისე მკაცრია, თუმცა, აუცილებლად უნდა დაიცვათ ყველა მითითება, კერძოდ: კვების რაციონიდან მთლიანად გამორიცხეთ პური (საერთოდ, ცომეული) და შეავსეთ ის გამომცხვარი კარტოფილით (ყოველგვარი საკაზმის გარეშე). ასევე, შეზღუდეთ იმ ხილის რაოდენობა, რომელიც ჭარბად შეიცავს შაქარს (შაქარი ხომ საუკეთესო „საშენი მასალაა“ წელის გარშემო არსებული „ცხიმოვანი ბალიშისთვის“). კვირაში ორჯერ მოაწყვეთ განტვირთვის დღე (მხოლოდ წყალი; არავითარი ბოსტნეული და წვენები, ყავა და ჩაი). დაახლოებით თვე-ნახევარში კი თქვენი წელი 4-5 სანტიმეტრით დავიწროვდება.

წარმატებებს გისურვებთ!

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: რამდენნაირი პილინგი არსებობს და რომლის გაკეთებაა რეკომენდებული სახლის პირობებში?**

**პასუხი:** არსებობს ოთხი სახის პილინგი: მექანიკური, ლაზერული, ქიმიური და ვაკუუმური.ეს ვარიანტები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ მათი შესრულების თვალსაზრისით, არამედ, კანზე ზემოქმედების ძალითაც. სახლის პირობებში რეკომენდებულია მხოლოდ მექანიკური პილინგი, რომელიც ტარდება სკრაბებით. სკრაბიც ორნაირი არსებობს: ნატურალური და ხელოვნური. ნატურალურს მიეკუთვნება: გარგარის დაფქული კურკა, ყავის ნალექი, მკვდარი ზღვის ტალახი, თხილის ან ნუშის დაფქული ნაჭუჭი და ასე შემდეგ; ხელოვნური სკრაბი კი, როგორც წესი, არის მრგვალი ფორმის მიკროსკოპიული პოლიეთილენის გრანულები.

რაც შეეხება პილინგის სახლის პირობებში გაკეთებას, მოერიდეთ თუნდაც ყველაზე მსუბუქ პილინგს, თუ გაქვთ მგრძნობიარე კანი, გამონაყარი ან ალერგია.

**კითხვა: რას უნდა მივაქციო ყურადღება მაღაზიაში სკრაბის შეძენისას და რა სიხშირით შეიძლება პილინგის გაკეთება?**

**პასუხი:** მაღაზიებში არსებობს სკრაბების უამრავი ვარიანტი. უმჯობესია, შეიძინოთ იმ ბრენდის სკრაბი, რომელი ბრენდის (სერიის) კოსმეტიკასაც მოიხმართ. გარდა ამისა, აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება, რა ასაკისთვის და კანის რომელი ტიპისთვის არის ის განკუთვნილი.

ცხიმიანი ან შერეული ტიპის კანზე პილინგი უნდა გაიკეთოთ კვირაში ერთხელ, მშრალ კანზე კი – ორ-სამ კვირაში ერთხელ.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ პომადის ხშირი გამოყენება მავნებელია ჯანმრთელობისთვის?**

**პასუხი:** პომადას გააჩნია. ამიტომ, მისი შეძენისას აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება შემადგენლობას. ზოგიერთი ტუჩის საცხი შეიცავს გადამუშავებულ ნავთობპროდუქტებს: მინერალურ ცხიმებს, კრისტალურ პარაფინებსა და მიკროკრისტალურ ცვილს. ასეთი ტუჩის საცხის ხშირად გამოყენებისას ეს ნივთიერებები გროვდება თიკრმელებში, ღვიძლში, ლიმფურ კვანძებში, რაც, ცხადია, მავნებელია ჯანმრთელობისთვის.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# რატომ გაასაიდუმლოვა სტალინმა საავიაციო საკონსტრუქტორო ბიუროები



სტალინმა ლეგენდარულ ავიაკონსტრუქტორ იაკოვლევს ამოცანა დაუსახა: მას სამ თვეში, უნდა შეექმნა მსოფლიოში საუკეთესო სამხედრო ავიაგამანადგურებელი. იაკოვლევი (გენერალ-პოლკოვნიკი, წითელ არმიაში იყო 1920 წლიდან, შრომის ორგზის გმირი – 1940-1957 წლებში, სტალინური პრემიის ლაურეატი 1941, 1942, 1943, 1946, 1947, 1948 წლებში, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი – 1972, 1977 წლებში, სტალინის პირადი რეფერენტი – ავიაციის საკითხებში) შეეწინააღმდეგა – მსგავსი პროექტების შემუშავებისთვის ამერიკელებს მინიმუმ წელიწად-ნახევარი სჭირდებათო. ბესარიონის ძე დაფიქრდა და მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა – შენ ამერიკელი ხარო? – შეშინებულმა მეცნიერმა სწორი დასკვნები გააკეთა და, ამის შემდგომ, ზუსტად სამ თვეში, წარმოებაში ჩაეშვა და დღის სინათლე იხილა იმ დროისთვის ჰიპერთანამედროვე სამხედრო საჰაერო ხომალდმა.

## ცხოვრების მიზანი

წიგნში „ცხოვრების მიზანი“ იაკოვლევი წერს: „საკონსტრუქტორო ბიუროში ვიჯექი სახაზავ დაფასთან, როცა მომახსენეს, რომ სტალინის პირადი მდივანი, პოსკრებიშევი გირეკავთ და შეგაერთოთ თუ არაო”. საუბრის დროს ინჟინერს უთხრეს, რომ მანქანას გამოუგზავნიან და სასწრაფოდ კრემლში უნდა გამოცხადდეს. მთელი გზის განმავლობაში ნერვიულობდა, რადგან, არც გამოძახების მიზეზი იცოდა და, არც ის, თუ ვის უნდა შეხვედროდა. მივიდნენ ძველ მოედანთან, სადაც ცენტრალური კომიტეტის შენობა იყო; შემდეგ ლიფტით მეოთხე სართულზე ავიდა, გრძელი, ხალიჩით დაგებული დერეფანი გაიარა და შევიდა ოთახში, სადაც შავტყავგადაკრული ტახტი, მაგიდის ირგვლივ რამდენიმე სკამი, მაგიდაზე კი სხვადასხვა კერძითა და ხილით გაწყობილი სუფრა დახვდა. მღელვარებას, როგორც თვითონ აღნიშნავს, დაბნეულობაც დაემატა, რადგან, არ იცოდა, სად მოხვდა და რა იქნებოდა შემდეგ. ასეთ სრულ გაუგებრობაში მოუწია იაკოვლევს ყოფნა ოცი წუთის განმავლობაში. ის გაუნძრევლად იდგა და ოთახს ათვალიერებდა. მოულოდნელად გაიღო კარი და შემოვიდა სტალინი. კონსტრუქტორმა საკუთარ თვალებს არ დაუჯერა, ისიც კი იფიქრა, მისტიფიკაცია ხომ არ იყო ყოველივე ეს. ბელადი მიუახლოვდა, გაუღიმა და ჰკითხა მისი ჯანმრთელობის შესახებ. ასევე, უთხრა, რომ დამჯდარიყო და ესაუბრათ საქმესთან დაკავშირებით. მისივე ჩვეული ხუმრობაც მიაყოლა: „ალბათ, შეამჩნევდით, რომ საკმაოდ ნორმალური სუფრაა. თუ რამის დამატებაა საჭირო, გვითხარით, გავითვალისწინებთ.” ასეთმა თბილმა მიღებამ ინჟინერი გაათამამა და, საშუალება მიეცა, გულახდილად ესაუბრა. ჯუღაშვილმა მხოლოდ რამდენიმე შეკითხვა დაუსვა – მას აინტერესებდა გერმანული, ინგლისური და ფრანგული ავიაციის მდგომარეობა და განვითარების დონე. მეცნიერი გაოცებული დარჩა ამ სფეროში ბელადის სიღრმისეული ცოდნით. როგორც თვითონ იხსენებს, სტალინს, როგორც ავიაციის სპეციალისტს, ისე ესაუბრებოდა.

– როგორ ფიქრობთ, – ჰკითხა მან, – რატომ აყენებენ ინგლისელები მათ ავიაგამანადგურებელ „სპიტ-ფაირზე” წვრილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს და არა ქვემეხებს?

– იმიტომ, რომ საავიაციო ქვემეხები არ აქვთ.

– მეც ასე ვფიქრობ, – თქვა სტალინმა, – მაგრამ, ქვემეხის ქონა ცოტას ნიშნავს, საჭიროა, რომ ძრავიც შეესაბამებოდეს ქვემეხს. ასე არ არის?

– დიახ, ასეა.

– მათ სათანადო ძრავაც არ აქვთ, ხომ?

– დიახ, არ აქვთ.

– იცნობთ კონსტრუქტორ კლიმოვის ნაშრომს, საავიაციო ძრავასთან დაკავშირებით, რომელზეც შპიტალნის ოცმილიმეტრიანი საავიაციო ქვემეხის დაყენება შეიძლება?

– გამანადგურებლებზე არასდროს მიმუშავია, თუმცა, ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა.

– იფიქრეთ ამის შესახებ.

ამ საუბრის შემდგომ სტალინმა იაკოვლევს ხელი მოჰკიდა და ხალხით სავსე დარბაზში შეიყვანა. მოულოდნელობისგან დაბნეულმა, ვერავინ იცნო, მაშინაც კი, როცა სტალინმა პრეზიდიუმში თავის გვერდით დაისვა. იაკოვლევმა მიმოიხედა და დაინახა, რომ სხდომა მიჰყავდა ვოროშილოვს, პირველ რიგში კი ისხდნენ: სახალხო კომისარი კაგანოვიჩი, სახელგანთქმული კონსტრუქტორი არხანგელსკი, ქარხნის დირექტორი ოკულოვი და მთავარი ინჟინერი კობზარევი; აგრეთვე, საავიაციო წარმოების ცნობილი მუშაკები და სამხედრო-საავიაციო ძალების სამმართველოს სამხედრო პირები. სიტყვით გამომსვლელი საუბრობდა საჰაერო ხომალდების საფრენი მახასიათებლების შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებზე, რაც სხვადასხვა ფრონტზე ბომბარდირებას უშლიდა ხელს. იაკოვლევი შეშინდა, სტალინს არ დაესვა შეკითხვები ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ, ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ სტალინმა ისევ იმ ოთახში შეიყვანა და ჰკითხა:

– რას იტყვით, მოჰკიდებთ ხელს ახალ გამანადგურებელს?

– ვიფიქრებ, ამხანაგო სტალინ!

– კარგი, როცა მოიფიქრებთ, არ მოგერიდოთ... გისურვებთ წარმატებებს. ველოდები თქვენს ზარს. ისე, როგორი უტვინოები არიან ინგლისელები, ქვემეხის ფასი არ იციან.

იმ დროისთვის მსგავსი სამხედრო მოდერნიზებული თვითმფრინავი შეიარაღებაში ჰქონდათ გერმანელებს – „მესერშმიტ 109“. როგორც ჩანს, ეს არ ასვენებდა სტალინს. საბჭოთა ავიაციის შექმნის გარიჟრაჟზე, ბელადი იმთავითვე ცდილობდა, გამოერიცხა მოსალოდნელი შეცდომები, კერძოდ, ტყვიამფრქვევებისა და ქვემეხების ყალიბების არჩევასთან დაკავშირებით.

## სპეცმივლინება

სტალინის უშუალო განკარგულებით, საბჭოთა დელეგაციამ მოიარა საფრანგეთი, იტალია, ინგლისი, ორჯერ ფაშისტური გერმანიაც კი. სხვა სპეციალისტებთან ერთად, იყო ალექსანდრე სერგის ძე იაკოვლევიც. მივლინების მიზანი იყო, ამ ქვეყნებში სამხედრო-საჰაერო ძალების განვითარების შესწავლა, რათა სამამულო ავიაციის ჩამორჩენა დაეძლიათ. ჯგუფში უშიშროების წარმომადგენლებიც იყვნენ, რომლებსაც იქ, ადგილებზე, რეზიდენტურის წარმომადგენლები ხვდებოდნენ და საჭირო ინფორმაციებით ამარაგებდნენ. შედეგები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ უკან დაბრუნებულ სპეციალისტებს სტალინმა საკონსტრუქტორო ბიუროების გასაიდუმლოება მოსთხოვა, რაზეც იაკოვლევი დათანხმდა და დაჰპირდა, რომ შეკრებდა კონსტრუქტორებს, ბელადის სახელით გაესაუბრებოდა და ახსნა-განმარტებებს ჩაუტარებდა საინჟინრო სამუშაოების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით. წიგნში „ცხოვრების მიზანი“ იაკოვლევი ამ ეპიზოდს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს და წერს, რომ გაუკვირდა ბელადის რეაქცია, რომელმაც ნაწყენი ტონით (ოდნავ ხმასაც აუწია) უთხრა: „ბევრს უყვარს ჩემს ზურგსუკან დამალვა. ყველა წვრილმანზე ჩემს სახელს იმიტომ იყენებენ, რომ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არ უნდათ. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ, სუფთა, საქმეც კარგად იცით. არ უნდა გეშინოდეთ საკუთარი სახელით მოქმედების – ამით ავტორიტეტსაც მოიპოვებთ და ხალხიც მეტ პატივს გცემთ, – დამშვიდობებისას კი დავალებაც მისცა: ამხანაგო იაკოვლევ! გააკეთეთ ყველაფერი იმისთვის, რომ ახალი ტიპის თანამედროვე თვითმფრინავები რაც შეიძლება მალე შევიდეს ჩვენი სამხედრო ძალების შეიარაღებაში. ამ საკითხებზე მომმართეთ დღისა და ღამის ნებისმიერ დროს!“

ომის წლებში, – წერს იაკოვლევი, – ყველამ ავითვისეთ: რასაც უმაღლესი მთავარსარდალი გადაწყვეტს, კანონია და მას ვერავინ შეცვლის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტალინთან კამათი არ შეიძლებოდა, პირიქით, ის შესაშურ მოთმინების უნარს ფლობდა, ეთანხმებოდა გონივრულ აზრებს. მაგრამ, ეს მხოლოდ ამა თუ იმ საკითხის განხილვის სტადიაზე ხდებოდა. ხოლო, როცა თემასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღებოდა, ცვლილებების შეტანა დაუშვებელი იყო. სტალინს არ უყვარდა, როცა თანამოსაუბრე თვალებში არ უყურებდა. თვითონ ხმადაბლა საუბრობდა, ტელეფონით ხომ – საერთოდ ჩუმად. ამიტომ, მთელი ყურადღების დაძაბვა იყო საჭირო. მითია ყველაფერი, რაც მის დაუნდობელ ხასიათს ეხება. აღნიშნულის გასაქარწყლებლად, კონსტრუქტორს „ცხოვრების მიზანში” ასეთი მაგალითიც მოჰყავს: ერთხელ ბელადმა თათბირზე ერთ-ერთი გენერალი გამოიძახა, რომელიც ფრონტიდან ახალი ჩამოსული იყო. სტალინთან შეხვედრა დაგეგმილი არ ჰქონდა, მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ დაღლილი და კარგად ნასვამიც იყო, მაინც მივიდა. ამის შესახებ, ბელადს მდივანმა მოახსენა, მაგრამ მან მიღებაზე უარი მაინც არ თქვა. წარმოუდგენელი იყო იქ მყოფთა გაოცება, როცა მთვრალი გენერალი იხილეს – ის ფეხზე ძლივს იდგა. ყველას სუნთქვა შეეკრა და საბრალო გენერალი შეეცოდათ. სტალინი მიუახლოვდა და ჰკითხა: ცუდად ხართ? – რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. წადით და დაისვენეთ, ხვალ გელოდებით! – უბრძანა გენერალს. მისი წასვლის შემდეგ კი თქვა, რომ დღეს გენერალმა წარმატებულად ჩატარებული ოპერაციისთვის ორდენი მიიღო. მან არ იცოდა, რომ გამოვიძახებდი, ამიტომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის იმაში, რომ მიღებული ჯილდო აღნიშნა.

ასეთი იყო ბელადი, – წერს იაკოვლევი, – ის ერთადერთ მომენტს ვერ იტანდა — როცა რეალურ მდგომარეობას ფარავდნენ ან უმალავდნენ და ამისთვის მას არაერთი თანამებრძოლი დაუსჯია. ლეგენდარული კონსტრუქტორი თავის წიგნს იმით ამთავრებს, რომ სტალინის სიკვდილმა მილიონობით ადამიანის გულისტკივილი გამოიწვია. ათასობით ადამიანი თავს ურტყამდა კრემლის კედელს და ტიროდა. საყოველთაო გლოვისას კი, მეცნიერი ქართველ სტუდენტებს შეუერთდა და მათთან ერთად გადაიტანა ტრაგედია.

***P.S.** 1934 წლიდან, იაკოვლევის ბიუროს თვითმფრინავები მრავალსერიულ წარმოებასა და ექსპლუატაციაშია. „იაკის“ რაოდენობამ 70 000-სს გადააჭარბა, მათ შორის გამანადგურებლების რაოდენობა ორ მესამედზე მეტი იყო, ზოგადად საფრენი აპარატების მოდიფიკაციამ კი 200-ს გადააჭარბა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მათ მეორე მსოფლიო ომის დროს, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა არმიის წარმატებაში. „იაკით“ 74 მსოფლიო რეკორდია დამყარებული. ეს თვითმფრინავებია: გამანადგურებლები: იაკ-1, 2, 3, 7, 9, 15, 17, 23, 25, 27, 28, 141; მოიერიშეები: იაკ- 38, იაკ-38 M; ბომბდამშენები: იაკ-2, 4 და 26.*

**ვლადიმერ კარანაძე**

# რატომ უნდა შეუთავსოთ კვება თქვენს ზოდიაქოს ნიშანს



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

> *„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*
>
> **კურტ ვონეგუტი**

*ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნისთვის არსებობს პროდუქტთა ნაკრები, რომელიც მასთან დაკავშირებული ადამიანებისთვის ყველაზე უფრო სასრგებლოა.*

*თუ გეცოდინებათ, როგორ იკვებოთ სწორად, მაშინ ზედმეტ წონასაც აარიდებთ თავს და ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებთ ღრმა სიბერემდე.*

*თითოეული ადამიანის სასიცოცხლო პოტენციალი და ორგანიზმის მდგომარეობა ინდივიდუალურია და ის მიკროკოსმოსთანაა კავშირში. ამიტომ, ადამიანი კოსმოსთან ჰარმონიაში უნდა იმყოფებოდეს და ზუსტად უნდა იცოდეს, რომელი პროდუქტია მისთვის სასარგებლო.*

*თუ დიეტოლოგების მიერ დანიშნულმა დიეტებმა შედეგი ვერ გამოიღო, მაშინ გაითვალისწინეთ ასტროლოგიური რჩევები კვების მხრივ. ასე ზედმეტ წონასაც ადვილად დაამარცხებთ და შედეგსაც უმოკლეს დროში მიაღწევთ.*

## ვერძი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი, იმპულსური ხასიათის გამო, არ ფიქრობს შედეგზე, როცა გემრიელ საკვებს ხედავს. თქვენთვის სასასრგებლოა საათობრივი დიეტის დაცვა. ამისთვის კი ფსიქოლოგიურად მოემზადეთ. შეეცადეთ, წინასწარ კარგად მოიფიქროთ, რა სახის დიეტის დაცვას შეძლებთ და არ გაგიჭირდებათ. ბევრი იმოძრავეთ და იარეთ ფეხით სუფთა ჰაერზე. გამოიმუშავეთ გახდომის საკუთარი გეგმა, რომელშიც აბსოლუტურად დარწმუნებული იქნებით. არ მიიღოთ დღეში 1 500 კალორიაზე მეტი. მოერიდეთ ფუნთუშების, ბრინჯის, ყველის, ბანანის, ქიშმიშის, ცხიმიანი ხორცისა და ტკბილეულის ჭამას. მიირთვით ნუში, თევზი, მოხარშული მჭლე ძროხის ხორცი და ხშირად სვით მინერალური წყალი.

## კურო

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი გურმანია. თუ კარგად არ გამოიკვება უჭირს სამუშაოს შესრულება და გონების მართვა. ხშირად, ისე იკვებება, რომ ზომას აჭარბებს და ეს მისი ზედმეტი წონის მიზეზი ხდება. გირჩევთ, მოერიდოთ საკუთარ ჯანმრთელობაზე ექსპერიმენტების ჩატარებას. იკვებეთ ზომიერად და არ იფიქროთ იმაზე, რომ თუ მთლიანად არ მოასუფთავეთ თეფში, ისე ვერ დანაყრდებით. ხშირად ჭამეთ ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, კომში, ატამი, ქლიავი. რაციონში შეიტანეთ უცხიმო რძის ნაწარმი და ნატურალური უშაქრო ხილის წვენები. ეს ზედმეტი წონისგან დაგიცავთ და მეტ ენერგიულობას შეგმატებთ.

## ტყუპები

ტყუპებს არ უყვართ ერთფეროვანი საკვები. ამიტომ, ცდილობენ, ყველაფერი გასინჯონ, რაც კი მაგიდაზე დევს. ეს მათთვის ყოველდღიურად მიღებული ზედმეტი კალორიებია და შესაბამისად, წონაში მომატების მიზეზი. აკონტროლეთ მადა და თუ დიეტის დაცვა გადაწყვიტეთ, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ ის, არ შეწყვიტოთ. მიიღეთ ნაკლებკალორიული საკვები: ხილი, ბოსტნეული, იოგურტი, მოხარშული თევზი. მოერიდეთ ბევრ პურს. მოიწყვეთ კვირაში ერთხელ განტვირთვის დღე და მიიღეთ მხოლოდ 2 ცალი ვაშლი და 3 ლიტრი მინერალური წყალი.

## კირჩხიბი

კირჩხიბები მიზანდასახულები და პრინციპულები არიან. არასდროს უჭირთ საკუთარი წონის კონტროლი, მთავარია, მოინდომონ და ფორმაში ადვილად ჩადგებიან. ნუ მიიღებთ საკვებს, როცა ემოციურად გადაღლილი ხართ, თორემ ზომას ვერ გააკონტროლებთ და ზედმეტი საკვები ზედმეტ კალორიებს დაგიგროვებთ. დღეში, თქვენთვის მხოლოდ 1 300 კალორიაა ნებადართული. ჭამეთ ბევრი სალათა, ორთქლზე მოხარშული თევზი, ხორციანი წვნიანები და ფხალეული. ეს უფრო სასარგებლოა თქვენი ჯანმრთელობისთვის, ვიდრე შემწვარი ხორცი და ცხიმიანი საკვები.

## ლომი

ლომის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანი, საკვებთან მიმართებაში თავს ზედმეტის უფლებას აძლევს. ამიტომ, საჭიროა, წონას თვალყური ადევნოთ. კარგია თუ მენიუში ხშირად ჩართავთ ოხრახუშს, ზეთისხილს, ნუშს, ხილსა და ფხალეულს. ხშირად არ ჭამოთ მსუყე საკვები და დაიცავით კვების საათები. რაციონიდან საერთოდ გამორიცხეთ მწარე და ცხარე საკვები, ცხიმიანი კერძები და ალკოჰოლიანი სასმელები. კვირაში ერთხელ მოიწყვეთ განტვირთვის დღე და სვით ბალახეული ნაყენები. ეს თქვენს ორგანიზმს შლაკებისა და წიდებისგან გაწმენდს. ასევე, ზედმეტ წონას მოგაცილებთ.

## ქალწული

დიეტის რაციონალურ დაგეგმვაში ანალიზის უნარი დაგეხმარებათ თავიდან მოიცილეთ იმაზე ფიქრი, რომ დიეტა თქვენს ჯანმრთელობას შეარყევს. იფიქრეთ იმაზე, რომ დიეტა სწორი კვებაა და ის აუცილებლად გჭირდებათ. საჭმლის მომნელებელი სისტემა სუსტი გაქვთ და თუ სწორად არ იკვებეთ, ეს თქვენს ჯანმრთელობაზე ნეგატიურად აისახება. ერიდეთ ნახევარფაბრიკატებს და ჯანსაღი პროდუქტებით მოამარაგეთ ორგანიზმი. ეცადეთ ყველაფერი ნატურალური მიირთვათ და ხშირად ჩართეთ საკვებ რაციონში ფაფები და ბურღულეული. დილა კი ასკილის ჩაით დაიწყეთ. მოერიდეთ ცხოველური წარმოშობის ცხიმებს, შებოლილ პროდუქტებსა და ტკბილეულს.

## სასწორი

რაციონალურად მიუდექით დიეტის დაწყებას. მერყევი ხასიათის გამო, არ არის გამორიცხული, დაარღვიოთ კვების რეჟიმი და წონაში მომატებაც ამან გამოიწვიოს. აუცილებელია თქვენი ორგანიზმისთვის დღეში 1 700 კალორია და არა მეტი. გონივრულად გადაანაწილეთ საუზმის, სადილისა და ვახშმის დრო. შეავსეთ ორგანიზმი საჭირო ვიტამინებით და ყოველდღიურად ივარჯიშეთ. იკვებეთ ზღვის პროდუქტებით და ხშირად სვით ბალახეული ნაყენები.

## მორიელი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები ძლიერი ბუნებითა და პრინციპულობით გამოირჩევიან. ამიტომ, არ უნდა გაუჭირდეთ დიეტის დაცვა. თუ მოინდომეთ, ადვილად შეძლებთ მადის კონტროლს და დაიკლებთ წონაში. შეგიძლიათ, დღიურად მხოლოდ 100 კალორია მიიღოთ და ეს საკმარისი აღმოჩნდება. ასე, ადვილად შეძლებთ მოიცილოთ ზედმეტი წონა და ჯანმრთელობასაც გაუფრთხილდეთ. მიირთვით თევზი, უმი ბოსტნეული, ზეთისხილი და ძროხის ღვიძლი ხშირად. ასევე, დღეში ერთი ჭიქა წითელი, ნატურალური ღვინოც სასარგებლოა.

## მშვილდოსანი

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანი მოძრავი და შრომისმოყვარეა. ამიტომ, ხშირად ვერ იცლის დაიცვას დიეტა. ეს მის წონაზე, მართალია, ნაკლებად აისახება, მაგრამ მაინც საჭიროა დროდადრო საკვები რაციონის გადახედვა და მასში კორექტივების შეტანა. არ მიიღოთ დღეში 1 500 კალორიაზე მეტი. ჭამეთ დიდი რაოდენობით ხბოს ღვიძლი, უმი კომბოსტო, ბოლოკი, ვაშლი. მინიმუმამდე დაიყვანეთ მარილისა და შაქრის მოხმარება.

## თხის რქა

უმოძრაო წესით ცხოვრება, თქვენი სასურველი წონის შენარჩუნების მთავარი მტერია. ეცადეთ, ყოველდღიურად ივარჯიშოთ და სათანადო ყურადღება დაუთმოთ კვებას. ჯიუტი ბუნების გამო, არ გაგიჭირდებათ დიეტის დაცვა და სასურველი წონის შენარჩუნება. ნუ მიიღებთ საკვებს საღამოს 7 საათის შემდეგ. ჭამეთ მოხარშული მჭლე ხორცი, ახალი ბოსტნეული, სეზონური ხილი, კენკროვანები. მიიღეთ პოლივიტამინები და თვეში ორჯერ მინერალური, გაზგასული წყლის დიეტა დაიცავით.

## მერწყული

მერწყულის ნიშნით დაბადებულ ადამიანს გემრიელი საკვები უყვარს, რაც მის წონაზეც ხშირად აისახება. თუმცა, თუ შეძლო და მადა მოთოკა, არც სასურველ წონამდე უჭირს ორგანიზმის დაყვანა. გირჩევთ, ნაკლებად მიიღოთ ტკბილეული, ღვეზელები, ფუნთუშები, გაზიანი სასმელი. მეტად მიიღეთ რძის ნაწარმი, რომ ორგანიზმი არ გამოიფიტოს. თქვენი დღიური ნორმაა 1 250-1 300 კალორია. შაქარი შეცვალეთ თაფლით, მოერიდეთ ზედმეტად მარილიანი კერძების მიღებას. საღამოობით ბევრი ისეირნეთ ფეხით სუფთა ჰაერზე. ასე, სასიცოცხლო პოტენციალსაც აიმაღლებთ და წონაშიც დაიკლებთ.

## თევზები

ამ ნიშნით დაბადებული ადამიანები მგრძნობელობით გამოირჩევიან. არ ჰყოფნით ნებისყოფა, დაიცვან სწორი კვების რეჟიმი და თავს უფლებას აძლევენ, გემრიელად დანაყრდნენ. ამის გამო, ზედმეტი წონის აკრეფას ადვილად ახერხებენ, დაკლება კი უჭირთ. გირჩევთ, თავად დაფიქრდეთ და მიხვდეთ, რომელი საკვები გიქმნით წონის პრობლემებს და რის ჭამას უნდა მოერიდოთ. კარგია თუ კვირაში ერთ დღეს მოხარშული ბრინჯის დიეტას დაიცავთ. ასევე, სასარგებლოა თქვენთვის თევზი, ისპანახი, მწვანილეულობა და სეზონური ხილი. არ დაგავიწყდეთ, რომ დღეში 1 600-1 700 კალორიაზე მეტი არ უნდა მიიღოთ.

# თეატრები

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

22 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: ვალერიან გორგოშაძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, ია სუხიტაშვილი, მანანა აბრამიშვილი, ლევან ხურცია, გელა ლეჟავა. *ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;*

23 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სულიერი არსებები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე. მონაწილეობენ: თათული დოლიძე, მარინა კახიანი, გელა ოთარაშვილი, ნინო მითაიშვილი, თემიკო ჭიჭინაძე, ნინო თარხან-მოურავი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

24 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

25 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„ფსიქოზი 4:48"** - (ბილეთის ფასი - 8 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: კიტა როყვა. მონაწილეობს: ბესო ზანგური. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

26 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოჩა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ირაკლი მაჭარაშვილი, მარინა ჯანაშია, ია სუხიტაშვილი, ზურა ინგოროყვა, სანდრო მიკუჩაძე-ღაღანიძე, დავით უფლისაშვილი, ბაჩო ჩაჩიბაია, ბაჩი ლეჟავა, ბექა სონღულაშვილი, მანანა აბრამიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი**
**მარჯანიშვილის ქუჩა №8,**
**ტელ.: 295-59-66**

21 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„ქაქუცა ჩოლოყაშვილი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნიკა კუჭავა, ლელა მეზურიშვილი, იოსებ გოგიჩაიშვილი, გია ბურჯანაძე, ზურა ბერიკაშვილი, დიმიტრი ტატიშვილი, ზაზა იაქაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ბექა გოდერძიშვილი, ონისე ონიანი, ლეო ანთაძე. *ხანგრძლივობა: 3სთ.;*

22 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;*

23 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„ჰაჯი-მურატი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 6 - 16 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: გივი ჩუგუაშვილი, პაატა ინაური, რატი გოგუაძე, გიორგი შავგულიძე, გაგა შიშინაშვილი, ზაზა იაქაშვილი, თემურ კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

24 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

24 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

25 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

25 იანვარი, **შაბათი** 20.00 - **„კედელი"** - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. *ხანგრძლივობა: 50 წუთი;*

26 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„საშობაო სიმღერა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

26 იანვარი, **კვირა** 20.00 - **„ჩემი ჰამლეტი"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში). რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ცხაკაია, ელენე ფირცხალავა, ზაალ კაკაბაძე, ვახტანგ ქორიძე, გიორგი მებაღიშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

**მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)**
**მარჯანიშვილის ქუჩა №5.**
**ტელ.: 2 955-966**

21-22 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„საწვავი"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორები: თათა პოპიაშვილი, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: მიშა გომიაშვილი, კოკო როინიშვილი, ანა ქურთუბაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ;*

**თავისუფალი თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2,**
**ტელ.: 298-58-21**

21 იანვარი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. *ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;*

23-24-25-26 იანვარი, **ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„კორიოლანუს, რიჩარდ III"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

**მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164.**
**ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

23 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქალი და მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნანა კვასხვაძე. მონაწილეობენ: გურამ ლალიაშვილი, ილია ჭეიშვილი, თამრი ბზიავა, გაგი შენგელია, ნუცა მჭედლიშვილი, ნინი კვასხვაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ.;*

24 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, გიორგი ყიფშიძე, ვანო თარხნიშვილი, ნიკა წერედიანი, თემო ნატროშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

26 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„სუფთა სახლი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე. მონაწილეობენ: ნინო ბურდული, ზაზა ვაშაყმაძე, სალომე მაისაშვილი, ეკა ჩხეიძე, დარეჯან ხაჩიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

**ახმეტელის თეატრი**
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

23 იანვარი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მაგიის საოცრებანი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), მონაწილეობენ: გოგა თავაძე, ზურა ავსაჯანიშვილი, აკაკი ხიდაშელი, ანა მატუაშვილი, კახა ჯოხაძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

24 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„წარღვნა"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ გაჩავა. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, ალეკო ალავიძე, ვასილ შიხაშვილი, ანდრო სარიშვილი, ანა მატუაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

25 იანვარი, **შაბათი** 19.00 - **„პოლიცია"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დარიუშ ეზერსკი. მონაწილეობენ: ნუგზარ ყურაშვილი, აკაკი ხიდაშელი, კახა ჯოხაძე, გიორგი ჭუმბურიძე, თათია თათარაშვილი. *ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;*

26 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანძულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მჟავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. *ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;*

**გრიბოედოვის თეატრი**
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

26 იანვარი, **კვირა** 18.00 - **„მუქთახორა"** - პრემიერა - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ქიპშიძე, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; *ხანგრძლივობა: 2სთ.*

## ორშაბათი 20 იანვარი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"გააღეთ პოლიციაა!" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"გულის მუსიკა" 19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"მაფიოზი" 22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" (პ/ე) **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" **00.30** მხ/ფ **"ჩემი იმედი გქონდეს"** (მ.ფრიმანი).

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა" 6** სერ. **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე". 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე)თ **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო" 1** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი" 20.50** სერ. **"სილა" 22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 23.00** რომ გადახვალ გააჩერე **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ **"დიდი სტენი"** (დ.ქერედინი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 22.00** ქ.მხ/ფ. **"მანდარინები" 00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** ეთნოგრაფია **06.20** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება. **08.30** "განთიადი" **10.40** კვირიაკე. **12.10** მხ/ფ **"მზე შემოდგომისა" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე. **15.00** განთიადის სტუმარი. **15.25** დოკ/ფ "ველური ბუნება". **15.50** კონცერტი - ლექსო არ დაიკარგები. **17.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო. **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **19.15** მხ/ფ **"კუკარაჩა". 20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.25** საღვთისმეტყველო საუბრები. **22.25** "წმინდანთა ცხოვრება აბო თბილელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "ასი". **00.30** განთიადის სტუმარი. **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 13.35, 2.30, 5.45** ფარული კამერა **8.00** მულტფილმები. **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15** მულტფილმები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო". 13.00, 18.25, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **14.30** ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის". **17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30** "ყოველდღიური ამბები". **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 21.45, 1.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.30 სერიალი "კრიმინალური აზროვნება".**

## სამშაბათი 21 იანვარი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"მიფრთხილდი, ლა ტურ!" 17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები" 18.00** ტ/სერ. **"გულის მუსიკა" 4** სერ. **19.15** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"მაფიოზი" 22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" – ნაღვლისფერი სიხარულის ქრონიკა **2** ნაწ. **23.00** მხ/ფ **"მაგარი პოლიციელები"** (ბ.უილისი) **01.00** მხ/ფ **"ცვილის ფიგურების სახლი".**

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით" 07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა" 11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე". 12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** იმედის გმირები **15.25** რომ გადახვალ გააჩერე **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო" 2** სერ. **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი" 20.50** სერ. **"სილა" 22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი" 23.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ **"ბინძური სიყვარული"** (კ. ელექტრა) **01.50** მხ/ფ **"გოსფორდ პარკი".**

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი" 11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი" 12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00 16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება" 17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები" 18.55** სერ. **"ტიტების დრო" 20.00** სერ. **"ქალბატონი დილა" 20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** ეთნოგრაფია. **06.25** დოკ/ფ "ასი". **06.50** მხ/ფ **"მუსიკის ჰანგები"** II სერია **08.00** დილის ლოცვა. **08.20** სახარება. **08.30** "განთიადი". **10.00** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი. **10.35** ქართული მულტფილმი. **10.50** საღვთისმეტყველო საუბრები **11.30** პატერიკი. **11.35** "წმინდანთა ცხოვრება აბო თბილელი" **12.10** მხ/ფ **"კუკარაჩა" 13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება". **15.55** კონცერტი - ალიოშა იუნიჩი. **17.00** ერთსულოვნების სალონი. **18.10** საქართველო არის ესე. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მოკ/ფ **"მიხა" 20.00** ღია აუდიტორია. **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 3.00, 5.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 13.35, 2.30, 5.45** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო" 13.00, 18.25, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30** "ყოველდღიური ამბები". **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 21.45, 1.15 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 3.30 სერიალი "კრიმინალური აზროვნება".**

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

### კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**20 – 26 იანვარი**

*დარბაზი 1*

11.30, 13.45 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.00, 18.00 - **„პარანორმალური მოვლენები: ეშმაკის ნიშანი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

20.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

22.30 - **„47 რონინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

16.00, 18.00, 20.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 14.00 - **„პარანორმალური მოვლენები: ეშმაკის ნიშანი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

16.00, 18.00 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

20.00 - **„47 რონინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

22.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 4*

11.30, 14.00 - **„47 რონინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

16.30, 19.30 - **„ჰობიტი: სმაუგის ნაოხარი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 40 წუთი;*

22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.00 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

16.00, 18.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.00, 22.30 - **„პარანორმალური მოვლენები: ეშმაკის ნიშანი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

### კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.15 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

14.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.15, 18.15 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

20.15, 22.30 - **„სიყვარული დიდ ქალაქში 3"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 16.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*

18.15 - **„სიყვარული დიდ ქალაქში 3"**, - *ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;*

20.15, 22.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

11.30, 15.30, 20.00, 22.30 - **„47 რონინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

13.30 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, - *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

18.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათამი პიკანტურად









**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი მთლიანი ქათამი, 2-3 სადილის კოვზი თხელი თაფლი, 1 სადილის კოვზი მდოგვი, ნახევარი ფორთოხალი, 5 კბილი ნიორი, 50 გრამი ლიქიორი (სასურველია „ამარეტო“), 0,5 ჩაის კოვზი შავი პილპილი, 0,5 ჩაის კოვზი დაფქული წითელი წიწაკა.

**მომზადების წესი:** წინასწარ მოამზადეთ სოუსი ქათმის მარინადისთვის: თაფლს შეურიეთ მდოგვი, დაუმატეთ ლიქიორი, შავი პილპილი, დანაყილი ნიორი, ნახევარი ფორთოხლის წვენი, წითელი ცხარე წიწაკა და კარგად ამოურიეთ. ქათამი დაჭერით ულუფებად, მოასხით ამ მარინადის ნაწილი და გააჩერეთ 1-2 საათის განმავლობაში. შემდეგ ამოიღეთ მარინადიდან, დააწყვეთ ტაფაზე, მოასხით დარჩენილი მარინადი და მოათავსეთ აირღუმელში 200-210 გრადუს ტემპერატურაზე 40-50 წუთის განმავლობაში. მზა კერძი მორთეთ ცოცხალი მწვანილით.



# ფარში კომბოსტოთი












**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ხორცის ფარში (საქონლის, ღორის ან შერეული), 700 გრამი კომბოსტო, 2 თავი ხახვი, 100 გრამი ბეკონი, 1 სადილი კოვზი ტომატ-პასტა, 2-3 ჩაის კოვზი მდოგვი, 1 ჩაის კოვზი მარილი, შავი პილპილი, უცხო სუნელი, როზმარინი, 3 სადილის კოვზი ზეთი, 1 ცალი კვერცხი, სუნელები – გემოვნებით, კარტოფილი – გარნირად.

**მომზადების წესი:** ზეთში მოშუშეთ წვრილად დაჭრილი 1 თავი ხახვი, დაუმატეთ ჩხირებად დაჭრილი კომბოსტო და დაბალ ცეცხლზე ერთად კარგად ჩაშუშეთ თავდახურულ ტაფაში, 10-12 წუთის განმავლობაში. კომბოსტოს, სურვილისამებრ, დაუმატეთ უცხო ან ნებისმიერი სხვა სუნელი. ცალკე შეაზავეთ ფარში: შეურიეთ წვრილად დაჭრილი ცოცხალი ხახვი, ტომატ-პასტა მდოგვი, მარილი, პილპილი, კვერცხი და კარგად ამოურიეთ. გააცხელეთ აირღუმელი. გამოსაცხობ ფორმას წაუსვით ზეთი და მასზე ფენა-ფენა მოათავსეთ: ფარში – კომბოსტო – ფარში – კომბოსტო და ზემოდანაც ფარში (ფარშის მესამე ფენა შედარებით თხელი უნდა იყოს). ფორმას გადააფარეთ ფოლგა და აცხვეთ 200 გრადუს ტემპერატურაზე 35 წუთის განმავლობაში. გარნირად მოუმზადეთ კარტოფილი: გათლილი კარტოფილი დაჭერით მსხვილად, ჩააწყვეთ გამოსაცხობ ფორმაში. მოაყარეთ მარილი, დანამეთ ზეთით, მოაყარეთ მშრალი როზმარინი და გამოაცხვეთ აირღუმელში მაღალ ტემპერატურაზე. ცალკე, მშრალ ტაფაზე დაბრაწეთ ბეკონი. გამოიღეთ ფარში ღუმლიდან, მოხსენით ფოლგა, მოაყარეთ ზემოდან ბეკონი და ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში 20-25 წუთით. მიირთვით კერძი როზმარინიან კარტოფილთან ერთად. უგემრიელესია და, თან, პიკანტური.

# ქათამი ანანასითა და ცხარე სოუსით მაკა შალიკაშვილისგან
















**საჭირო ინგრედიენტები:** **ამ კერძის მოსამზადებლად მაქსიმუმ 40 წუთი დაგჭირდებათ. 0,5 კილოგრამი ქათმის ფილე (მკერდის ნაჭრები), 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 2-3 ცალი პომიდორი, 250 გრამი დაკონსერვებული ანანასი, 0,5 ჩაის კოვზი გახეხილი კოჭა, ცოტა ცხარე წიწაკა (წითელი), 1 სადილის კოვზი სახამებელი, 1 სადილის კოვზი ფქვილი, 2 სადილის კოვზი ტომატ-პასტა, 1 სადილის კოვზი ვაშლის ძმარი, ამდენივე სოიის სოუსი, ცოტა ზეთი, ნიორი, მარილი.**

**მომზადების წესი:** ქათმის ფილე დაჭერით საშუალო ზომის კუბიკებად, მოათავსეთ ღრმა თეფშზე და მოასხით სოიის სოუსი (იმდენი, რომ ხორცი სანახევროდ დაიფაროს). გააჩერეთ 20-30 წუთი, შემდეგ კი მოაყარეთ სახამებელი და ფქვილი და კარგად აურიეთ ხელით. ღრმა ტაფაში გააცხელეთ ზეთი, ჩაყარეთ მასში ქათმის ნაჭრები, კარგად დაბრაწეთ მაღალ ცეცხლზე და გადმოიღეთ ქაღალდის ხელსახოცზე (ზედმეტი ცხიმი რომ შეიშროს). ნიორი დააქუცმაცეთ, ბულგარული წიწაკა და კანგაცლილი პომიდორი კი მსხვილად დაჭერით. ტაფაზე დაასხით ცოტა ზეთი (სასურველია ზეითუნის) და მოშუშეთ ნიორი, დაუმატეთ ცხარე წიწაკა და კოჭა, შემდეგ – ბულგალური წიწაკა და მოშუშეთ, თან ურიეთ. 3-5 წუთის შემდეგ დაუმატეთ პომიდორი და კიდევ 5 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაასხით ძმარი, ტომატ-პასტა და მოაყარეთ ანანასი. დაასხით 1 ჭიქა ანანასის წვენი, ცოტა წყალი და შუშეთ 5-7 წუთი. ბოლოს დაუმატეთ ხორცი და ფრთხილად ამოურიეთ. უყავით ცოტა მარილი და ცოტა სოიის სოუსი. დაუკელით ცეცხლს და ტაფას თავსახური დააფარეთ. 7-10 წუთის შემდეგ უგემრიელესი კერძი მზად იქნება. მიირთვით მოხარშულ ბრინჯთან ერთად.

## გურმანთა მეგზური



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# კოქტეილი ტეკილათი

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 სადილის კოვზი ყავისფერი შაქარი, 300 მილილიტრი ფორთოხლის წვენი, 300 მილილიტრი ანანასის წვენი, 100 მილილიტრი ტეკილა, 300 მილილიტრი თეთრი მშრალი ღვინო, ყინულის ნატეხები, შაქრის სიროფი, 3 სადილის კოვზი თეთრი შაქარი და ფორთოხლის ქერქი, მოსართავად.

**მომზადების წესი:** ბოკალის პირი ამოავლეთ შაქრის სიროფში, შემდეგ კი ფრთხილად – თეთრ შაქარში და გააშრეთ. ყავისფერი შაქარი, ფორთოხლისა და ანანასის ცივი წვენი, ტეკილა და ღვინო აურიეთ და ბოკლებში გადაანაწილეთ. ჩაუმატეთ ყინულის ნატეხები და მორთეთ ფორთოხლის ქერქით.



# კექსები ალუბლით

**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი ერბო, 4 სადილის კოვზი ნაღები, 200 გრამი შაქარი, 2 კვერცხი, 1 სადილის კოვზი თაფლი, 1 ფორთოხლის ცედრა და წვენი, 1/4 ჩაის კოვზი ერთად არეული დაფქული მიხაკი, დარიჩინი და ჯანჯაფილი, 0,5 ჩაის კოვზი სოდა, 250 გრამი ფქვილი, 1 სადილის კოვზი კარტოფილის სახამებელი, თეთრი მინანქარი, ალუბლის მურაბა და ალუბლის ფოთლები კი – მოსართავად.



**მომზადების წესი:** ერბო და შაქარი გათქვიფეთ, დაუმატეთ კვერცხი, ნაღები, ფორთოხლის ცედრა და სანელებლები. ფორთოხლის წვენში გახსენით სოდა და დაუმატეთ ცომს. სახამებელი და ფქვილი ერთად გაცერით და შეათქვიფეთ მომზადებულ მასას. ცომი უნდა გამოვიდეს სქელი, არაჟნის კონსისტენციის. პატარა ფორმებში ჩააფინეთ ცხიმწასმული ქაღალდის ნაჭრები და 2/3-მდე ჩადეთ შიგ ცომი. ნამცხვარი აცხვეთ დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში საშუალო ტემპერატურაზე. როდესაც შეგრილდება, ამოიღეთ ფორმიდან და მორთეთ თეთრი მინანქრით, ალუბლითა და ფოთლებით.

# ვარია მეგრულად

**საჭირო ინგრედიენტები:** 1 ცალი მოზრდილი ვარია, 100 გრამი კარაქი, 4 თავი ხახვი, 3 კბილი ნიორი, 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 1 ჩაის ჭიქა მწვანე ტყემალი, 2 ცალი კვერცხის გული, 1 ჩაის კოვზი ხმელი სუნელი, 3-4 ძირი ქინძი, კამა და ოხრახუში, მარილი და წითელი წიწაკა კი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ვარია დაჭერით ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, წითელი წიწაკა, აურიეთ და მოათავსეთ ფართო, დაბალ ქვაბში. ჩაუმატეთ კარაქი, დაახურეთ თავსახური და მოშუშეთ, სანამ არ შეწითლდება. დაამატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნიორი, კარგად მოურიეთ, დაახურეთ სახურავი და გააგრძელეთ შუშვა. როცა ხახვი კარგად დარბილდება, ჩაამატეთ ტყემალი. შეაზავეთ მწვანილით, ხმელი სუნელითა და მარილით. ბოლოს ჩაამატეთ წმინდად დანაყილი, წყალში გახსნილი ნიგოზი. ერთხელ წამოდუღების შემდეგ, გადმოდგით ცეცხლიდან და შეურიეთ ათქვეფილი კვერცხის გული, ისე ფრთხილად, რომ არ აიჭრას. სუფრაზე მიიტანეთ ლანგრით, ზევიდან კი მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კამა და ოხრახუში.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 22 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"გაალეთ" პოლიციაა! -2"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.30 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.00 მხ/ფ **"მზის იმპერია"** 01.30 მხ/ფ **"უღელტეხილის მებრძოლები"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 3 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 21.50 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 00.00 მხ/ფ **"ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი"** (კ. ბეიკონი) 02.00 მხ/ფ **"ლუდი ჩემი ცხენებისთვის"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ (ტიტ.).

06.10 საგალობელი. 06.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.45 დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ". 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.15 ჩვენი ფონდი 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია. 12.50 დოკ/ფ **"მიხა"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.05 განთიადის სტუმარი. 15.30 კონცერტი – რიჩარდ გალიანო 16.45 კვირიაკე 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 18.10 საქართველო არის ესე. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"**. 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.30 ეპოქის სახელები. 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ/ფ "ლაზი ვორე,ლაზი ქართველი ჭანი". 00.30 განთიადის სტუმარი. 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 0.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 14.30 გადაცემა "პულსი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 23 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ფანტოცი სამოთხეში"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.30 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (ჰ. მირენი) 01.20 მხ/ფ **"უღელტეხილის მებრძოლები"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 9 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კაცების შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 4 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 00.00 მხ/ფ **"კვარტეტი"** 01.50 მხ/ფ **"წაიკითხე და დაწვი"** (ჯ.კლუნი) (ტიტ.).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დოკ/ფ "შორეულთა სიახლოვე" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი". 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ჩვენი ფონდი 11.05 ქართული ალბომი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"შეხვედრა მთაში"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე. 15.05 განთიადის სტუმარი 15.40 დოკ/ფ "ველური ბუნება" 16.10 კონცერტი - ნიკა რაჭველი - მენდელსონი,პროკოფიევი. 17.50, 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო. 18.10 საქართველო არის ესე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.30 "პორტრეტები" 20.10 მოკ/ფ **"წყარო გზის პირას"** 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "ვაჟკაცსა კარგ უნდა ჰყვანდეს ცხენიო". 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დოკ/ფ "შურიმშინე". 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

7.00, 3.00, 5.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30, 13.35, 0.00, 2.30, 5.45 ფარული კამერა 8.00, 9.15 მულტფილმები 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 10.15, 16.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 13.00, 18.25, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30 "ყოველდღიური აბები" 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45, 1.15 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 3.30 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 24 იანვარი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა 14.00 მხ/ფ **"ყველანი ციხეში"** 17.00 ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** 18.00 ტ/სერ. **"გულის მუსიკა"** 19.05 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 21.00 ტ/სერ. **"მაფიოზი"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 მხ/ფ **"თბილისი – თბილისი"** 01.00 მხ/ფ **"მონსტრები დღეს"**.

06.45 სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 10 სერ. 11.20, 12.05 სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ. **"სიყვარულის დრო"** 5 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 20.50 სერ. **"სილა"** 22.00 ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 23.00 კონცერტი: "თამარ გვერდწითელი" 00.45 მხ/ფ **"კაცების გარეშე"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00 სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** 17.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"**

**20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი. **06.20** დოკ/ფ "ყველაზე, ყველაზე" **07.00** დოკ/ფ "ფურცლები ფრანგული დღიურიდან". **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება. **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.40** მოკ/ფ "**ბზიანეთი**". **10.55** დოკ/ფ "შურიმშინე". **11.25** ისტორიის გაკვეთილი. **12.10** პორტრეტები **12.50** მოკ/ფ "**წყარო გზის პირას**". **13.25** პატერიკი. **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე. **15.05** განთიადის სტუმარი. **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება". **15.55** კონცერტი - კვინტეტი "ურმული" **17.00** კვირიაკე. **18.10** საქართველო არის ესე. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ/ფ "**ადამიანთა სევდა**" **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** დროის ჩანაწერები. **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.30, 13.35, 0.00, 2.30, 5.45** ფარული კამერა. **8.00, 9.15** მულტფილმები. **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** **13.00, 18.25, 0.30, 4.30** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **14.30** გადაცემა "პულსი" **17.45, 21.30, 1.00, 2.15, 5.30** "ყოველდღიური ამბები" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"**. **21.45, 1.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.30 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 25 იანვარი

**08.00** დ/ფ "პატარა ვარსკვლავები" **09.00** საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" **10.10** საბ. მხ/ფ "**სუპერმენი და ბეტმენი-აპოკალიფსი**" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: მანანა მენაბდე **14.00** მხ/ფ "**უცოლო**" (რ.ზელვეგერი) **16.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. "**სიყვარულის საიდუმლოებები**" **18.00** ტ/სერ. "**გულის მუსიკა**" **19.00** "ეტალონი" **21.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **22.00** "წითელი ზონა" **23.30** მხ/ფ "**პირველი ლედი**" **01.30** მხ/ფ "**უცხოპლანეტელის გაკვეთა**".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **7** სერ. **08.25** მხ/ფ "**ფესტივალი კანში**" **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **16** სერ. **12.45** სერ. "**ჰანა მონტანა**". **14.30** მხ/ფ "**როგორ მოვიპაროთ მილიონი**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **20.50** სერ. "**სილა**" **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **23.00** კაცების შოუ (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ "**შეგიძლიათ არ აკოცოთ პატარძალს**" (კ.ბეითსი) **01.45** მხ/ფ "**ჯარისკაცები**".

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი **11.00** იღბლიანი ბორბალი **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" **18.55** სერ."**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ **03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა". **07.35** მოგზაურობა სამშობლოში. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართული მულტფილმი **10.55** კვირიაკე. **12.10** მხ/ფ "**ადამიანთა სევდა**" **13.40** "კარაბადინი" **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება. **15.05** ოპერა - "**ბოჰემა**". **17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება". **18.10** საქართველოს ქალაქები. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** გამოყენებითი ხელოვნება. **19.35** ქართული ალბომი. **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** ლექსით ქებათა ქება **21.20** ქრისტიანული ხელოვნება. **22.25** ჟურნალისტის დღიური. **22.50** საკვირაო სახარების განმარტება. **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები. **00.35** დროის ჩანაწერები. **01.25** მხ/ფ "**დიდი ვალსი**".

**7.00, 23.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.45, 23.30, 2.30, 3.30, 5.30** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **21.45, 2.30 სერიალი ,,მომავლის გაელვება"** **0.00** მხ/ფ **4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 26 იანვარი

**08.00** დ/ფ "პატარა ვარსკვლავები" **08.50** საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" **09.50** საბ. მხ/ფ "**ნილზის შვილი**" **11.30** საბ. გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.30** ქართ. მხ/ფ "**ჭირვეული მეზობლები**" **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **18.00** მხ/ფ "**ვატელი**" (ჟ.დეპარდიე) **20.30** შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლი: "**შეთქმულება**" **23.00** "ელექტრონავტები" **00.30** მხ/ფ "**სიყვარულის მანძილზე**" (დ.ბერიმორი) **02.15** დოკ/ფ "კაპურის მიერ დანახული სამყარო".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **8-9** სერ. **09.00** მხ/ფ "**რამდენად მნიშვნელოვანია იყო სერიოზული**" **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ "**კუკარაჩა**" **17.40, 23.00** რომ გადახვალ გააჩერე (გ/ჩ) **18.00** კონცერტი: "ფრიდონ სულაბერიძე" **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** ქ/სერ. "**ჩვენი ამბავი**" **23.30** მხ/ფ "**გონიერების ასაკი**" (ს. მარსო) **02.00** მხ/ფ "**მელქიადეს ესტრადას სამი დასაფლავება**.

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.30** ვანოს შოუ **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე **14.00** ეკი ვოკი**15.30** პროფილი **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00 P.S 22.00** კომედი შოუ **00.30** მხ/ფ **03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება". **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება. **08.30** საქართველოს ქალაქები. **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი. **10.40** მულტფილმი **10.50** ქართული ხმები. **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ "**ზოლიანი დოლი**" **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა. **16.00** ერთსულოვნების სალონი. **16.50** ეპოქის სახელები.**17.15** სალვთისმეტყველო საუბრები. **18.30** დროის ჩანაწერები. **19.30** მხ/ფ "**სანამ წვიმა გადივლიდეს**" **21.30** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **21.35** ლექსით ქებათა ქება **21.40** კვირიაკე. **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** პორტრეტები. **01.10** მხ/ფ "**საბრინა**".

**7.00, 23.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55** კვირის აზრები. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **18.30, 23.30** ჟურნალისტური გამოძიება სტუდია "მონიტორის" **21.45, 2.30 სერიალი "მომავლის გაელვება"** **0.00, 3.30** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **0.30** მხ/ფ **4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## ვერძი



იყავით ენერგიული და ნუ ეცდებით, რაიმეს შეცვლას. გონივრულად გამოასწორეთ საყვარელ ადამიანთან დაშვებული შეცდომები. წარმატება გელით იურიდიულ და საბუთებთან დაკავშირებულ საქმეებში. ნუ ენდობით ახალგაცნობილ ადამიანებს.

## კურო



თქვენი ენერგია კლებას იწყებს, ამიტომ ეცადეთ, ხშირად დაისვენოთ და არ გადაღალოთ ორგანიზმი. მოერიდეთ უცხოელებთან საქმიან ურთიერთობას, რათა ტყუილ-უბრალოდ არ დაკარგოთ დრო. საყვარელ ადამიანთან უთანხმოების შემთხვევაში, არ დაგენანოთ ფული და უყიდეთ მას საჩუქარი, რომ მისი გული მოიგოთ.

## ტყუპები



მომატებული ენერგია გამოიყენეთ ჩანაფიქრების განსახორციელებლად. ყური უგდეთ ოჯახის წევრების რჩევებს. ახალი სასიყვარულო კავშირი კი ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ და ცვლილებებისკენ გიბიძგებთ.

## კირჩხიბი

დადებითად ჩაივლის შორეული მოგზაურობები. შეეცადეთ, დაამყაროთ კარგი



ურთიერთობა უცხოელებთან. ნუ გამოიყენებთ ინფორმაციას გადაუმოწმებლად, განსაკუთრებით საყვარელ ადამიანთან მიმართებაში. მოგებას მოგიტანთ კომერციული საქმიანობა.

## ლომი



თამამად შეუდექით თქვენი გეგმების განხორციელებას. ნუ ენდობით უცხო ადამიანებს, რათა არ მოტყუვდეთ. სიყვარულში დროებითმა სიმშვიდემ შესაძლოა, გაგაღიზიანოთ. ნუ ეკამათებით მშობლებს, რადგან ეს ცუდად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

## ქალწული



მეტი დრო გაატარეთ ბავშვების გვერდით და ეს შვებას მოგგვრით. დროულად დაასრულეთ ძველი საქმეები. არ გირჩევთ მოგზაურობას. ოჯახურ ურთიერთობაში ჯობია, თავი აარიდოთ მეუღლესთან სერიოზული საკითხების განხილვას და კამათს.

## სასწორი



ნუ იქნებით ზედმეტად თავისუფლებისმოყვარე. ეცადეთ, მშობლებთან და ნათესავებთან ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. მოერიდეთ ცხოვრებისეულ ცვლილებებს. სასიყვარულო პარტნიორის მიმართ გამოიჩინეთ მეტი თავშეკავება და პატივისცემა.

## მორიელი



ენერგიის ნაკლებობის მიუხედავად, თავს ძალა დაატანეთ, რომ დასახული მიზნისკენ სვლა არ შეანელოთ. ამასთან ერთად, არ დაგავიწყდეთ დასვენებაც. დაასრულეთ ადრე დაწყებული საქმეები და მერე წამოიწყეთ ახალი. არ გაიფუჭოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან, რადგან უთანხმოება დიდხანს გასტანს. კარგია ცოდნის გაღრმავება.

## მშვილდოსანი



ნუ დახარჯავთ მთელ დროს სახლის საქმეებზე. დრო გამონახეთ პირადი საქმეების მოსაგვარებლადაც. არ აჰყვეთ გარშემომყოფთა ცდუნებებს. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან უთანხმოების გამო, ახალი რომანი წამოიწყოთ. კარგია უცხოელებთან კონტაქტი.

## თხის რქა



ენერგია მიმართეთ შემოსავლების გაორმაგებაზე. თავი შეიკავეთ რისკისგან და ნუ აჰყვებით ცდუნებებს. თუ თავს შეუძლოდ იგრძნობთ, დროულად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ მკურნალობის კურსი. არ არის გამორიცხული სასიყვარულო პარტნიორმა, იმედები გაგიცრუოთ. ამის გამო, ნუ ჩავარდებით დეპრესიაში.

## მერწყული



სასიკეთო და ენერგიული პერიოდია. სასიყვარულო შეხვედრები და ოპტიმისტური განწყობა სიხარულით აგავსებთ. შემოქმედებითი მუშაობა და მოლაპარაკებები კი მოგებას მოგიტანთ. ეცადეთ, მიიღოთ ახალი ინფორმაცია ახალი ნაცნობებისგან და გამოიყენოთ ის თქვენს სასიკეთოდ.

## თევზები



ახლობლების წრეში გაიზრდება თქვენი პოპულარობა. წარმატებული აღმოჩნდება ახალი ნაცნობობა. დამოუკიდებლად მოქმედება შემოსავალს მოგიტანთ. არ არის გამორიცხული, საყვარელ ადამიანთან პრობლემებმა იმატოს, რაც თქვენს განწყობაზე უარყოფითად აისახება.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 31 იანვარი, 21 სთ: 50 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ეცადეთ, კარგი ურთიერთობა დაამყაროთ საქმიან პარტნიორებთან. იყავით დემოკრატი და ჰუმანური. ატარეთ ყავისფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ყვითელი, მწვანე ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, აკვამარინი, საფირონი, ციტრონი ან ზურმუხტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებთ. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, გამოცდების ჩაბარება. კარგია მოგზაურობა, თმის შეჭრა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, ელენთა, კუჭქვეშა ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგად შეიმუშავეთ სამუშაო ტაქტიკა და ისე იმოქმედეთ. არ ვარგა ამ დღეს გამოცდების ჩაბარება და სასიყვარულო შეხვედრები. ატარეთ ყავისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, მწვანე, ნარინჯისფერი, ლურჯი, ცისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ყვითელი ან მწვანე იასპი, მალაქიტი, ნეფრიტი, ლაზურიტი ან ჟადეიტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია საფინანსო-საბანკო ოპერაციები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, ვაჭრობა, სამეცნიერო კვლევა, დიეტის დაწყება, თმის შეჭრა, გართობა. სუსტდება ნაწლავთა სისტემა, კუჭქვეშა ჯირკვალი, ელენთა, თირკმელები, ყელი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

იყავით ყურადღებით. მოიმატებს ადამიანებში კრიტიკულობა, ემოციურობა, მოუთმენლობა. მეტი დრო დაუთმეთ საოჯახო საქმეებს. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, მწვანე ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ნეფრიტი, ჟადეიტი, ლაზურიტი ან ფირუზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, სასიყვარულო კავშირები, გართობა, რაიმეს ყიდვა, ექიმებთან კონსულტაცია. სუსტდება ყელი, თირკმელები, კანი, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის.***

### ხუთშაბათი

ნუ გამოავლენთ აგრესიას, აკონტროლეთ ემოციები, სიტყვები და მოქმედებები. ატარეთ ლურჯი, ცისფერი, კრემისფერი, მწვანე ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ნეფრიტი, ჟადეიტი, ტოპაზი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა, სწრაფად შესასრულებელი საქმეების წამოწყება, გართობა, ექიმებთან კონსულტაცია, სასიყვარულო შეხვედრები, მკურნალობის დაწყება. სუსტდება ნერვული სისტემა, თირკმელები, ყელი, კანი, ფარისებრი ჯირკვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

ფრთხილად იყავით გარშემომყოფების გვერდით. მეტი დიპლომატია გამოავლინეთ. ატარეთ წითელი, შავი, ყვითელი, შინდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ქრიზოპრაზი, მარჯანი ან ზურმუხტი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. არ ვარგს ახალი საქმის დაწყება, მოგზაურობა, ადგილსამყოფლის შეცვლა, სესხის აღება. კარგია ავტომანქანის ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, რეპროდუქციული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

არ გირჩევთ მოგზაურობას. აკონტროლეთ ხასიათში ეჭვიანობა, სარკაზმი, პესიმიზმი, კრიტიკულობა. არ ვარგა გამოცდების ჩაბარება, დოკუმენტებთან მუშაობა. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, ონიქსი, მარგალიტი, მწვანე იასპი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სესხის აღებას, ადგილსამყოფლის შეცვლას. კარგია სამეცნიერო კვლევა, მასაჟი, თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, ლომებისთვის, სასწორებისთვის.***

### კვირა

სწორად ჩამოაყალიბეთ აზრები. ნუ აჰყვებით ფანტაზიებს. მოიმატებს სიზარმაცე. კარგია მეგობრებთან კონტაქტი, ინტელექტუალური განვითარება, უცხოელებთან კონტაქტი, ვარჯიშების ჩატარება, ტურისტული ლაშქრობა. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, ყვითელი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ციტრონი, სარდიონი ან ძოწი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. არ ვარგა მშენებლობა. მოიმატებს ინტუიცია. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**ჩუნთიშვილი**

ამ გვარის წინაპარს სახელად უთუოდ **ჩუნთა** ერქვა, მისი მნიშვნელობა კი უცნობია. საკუთარი სახელი რამდენიმე ქართველ მეცნიერს აქვს დაფიქსირებული. აკადემიკოს ალექსანდრე ღლონტის წიგნში „ქართველური საკუთარი სახელები", ვკითხულობთ: „მამაკაცის საკუთარი სახელი **ჩუნთი;** სერგი მაკალათიას ჩაუწერია ფშავში, **ჩუნთა**, ასევე თუშეთში, ალვანში, ახმეტის რაიონი; **ჩუნთია** – აკაკი შანიძეს ჩაუწერია ხევსურეთში; **ჩუნთო** – გიორგი ცოცანიძეს თუშეთში; **ჩუნო** კახეთში, ქიკაანელ კაცს ერქვა. მომავალშიც მოგიწევთ ხოლმე სადღეგრძელოში თქმა ჩვენი წინაპრის **ჩუნთიას** ხსოვნა-მოგონება იყოსო".

**ჩუნთიშვილები** ცხოვრობენ გარე კახეთში. საგარეჯოს გარდა, ასევე ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში, გარდაბანში და ასე შემდეგ.

საქართველოში 83 **ჩუნთიშვილი** ცხოვრობს.

**გოგორიკი**

გადმოცემით, **გოგორიკების** ადრინდელი გვარი ამაშუკელია. ამაშუკეთიდან წინაპრები მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნიდან გადმოსულან გურიაში და იქ რატომღაც მიუღიათ გვარი **გოგორიკი**. სავარაუდოდ, მათ ფუძედ უნდა აელოთ ლამაზი, მოხდენილი, ცქრიალა ქალის სახელი, **ის გოგორიკად** მოაკვარახჭინეს.

**გოგორიკი** მცირერიცხოვანი გვარია. ასევე გვხვდება გვარი **გოგორიკიძე**.

საქართველოში 30 **გოგორიკი** ცხოვრობს. ოზურგეთში – 23, გარდაბანში – 4, თბილისში – 1. არიან სხვაგანაც.

**ზარაფიშვილი**

გვხვდება საკუთარი სახელი **ზარიფა**, რომელიც გვარის ფუძედ შეიძლება მივიჩნიოთ.

ბატონმა აბესალომ **ზარაფიშვილმა** ასეთი ჩანაწერი მოგვაწოდა: „გადმოცემით ირკვევა, რომ, დაახლოებით 1700-იან წლებში, ქიზიყში, კერძოდ, სოფელ ზემო მაჩხაანში, დასახლებულა სარგის **ზარაფიშვილი**. მას თან ჩამოუტანია საქსოვი დანადგარები და ოჯახს დაუწყია პირველი მოხმარების ფართლეულის ქსოვა, რომლითაც ადგილობრივ მოსახლეობას აკმაყოფილებდნენ. თვითონ სარგისი და თავისი ვაჟიშვილი იოთამი თბილისში დაბრუნებულან და სამეფო ზარაფხანაში ფულის მოჭრა გაუგრძელებიათ. იოთამის ვაჟიშვილები – სტეფანე, მიხეილი და ნიკოლა განთქმული მშენებლები, კალატოზები ყოფილან და მთელ საქართველოში ეკლესიებსა და სახლებს აშენებდნენ. პაპაჩემი სტეფანე გორში ეკლესიას აშენებდა და იქ ბებიაჩემი, ლიზა ვარდიაშვილი გაუცვნია და ცოლად წამოუყვანია...

ილია **ზარაფიშვილი** განათლებული კაცი იყო და თელავში მოღვაწეობდა. ის ეწეოდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და ქველმოქმედებას. იყო ნიჭიერი კომპოზიტორის – ნიკო სულხანიშვილის დის ქმარი. თელავში დღესაც არსებობს ილია **ზარაფიშვილის** ქუჩა.

**ზარაფიშვილების** საგვარეულო გამორჩეული იყო. მათ გარეშე სოფელ ქვემო და ზემო მაჩხაანში ოჯახების შექმნა და სადავო საკითხები არ ხდებოდა. ისინი ასევე, ვენახების დაგეგმარებასა და მიწათმოწყობაში სთავაზობდნენ ხალხს თავიანთ დახმარებას. პაპაჩემს დიდძალი ვენახები ჰქონდა ალაზნის ველზე და ყურძნის დიდ მოსავალს იღებდნენ. ზემო და ქვემო მაჩხაანის მარნები მათი ღვინოებით იყო სავსე. ამიტომაც, დღის წესრიგში დადგა ღვინისა და არყის რეალიზაციაზე ზრუნვა. მას ამ საქმეში დიდი დახმარება გაუწია გამოცდილმა ვაჭარმა, მამიდაჩემის ქმარმა, იოსებ ბეგიაშვილმა. მათ რუსეთში, კერძოდ, ქალაქ როსტოვში, შეიძინეს სარდაფი და რესტორანი ღვინისა და არყის რეალიზაციისთვის.

ჩვენს სოფელში, ჩემს ბავშვობაში, დაახლოებით 1932-1934 წლებში, ცხოვრობდა ღრმად მოხუცებული ყოფილი მამასახლისი – 105 წლის ბასიკო მაძღარაშვილი და ის მეტყოდა ხოლმე, ახლომახლო სოფლებში მიწის ზედა სახლები მხოლოდ **ზარაფიშვილებს** ჰქონდათო".

საქართველოში 74 **ზარაფიშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 34, დედოფლისწყაროში – 19, დუშეთში – 10. არიან სხვაგანაც.

20 **ზარაფოვი**. გორში 6, თბილისში 14.




**სოფრომაძე**

**სოფრომაძეები** იმერლები არიან. მოიხსენიებიან სოფლებში: რუფოთი, ძევრი, ზარათი, კვალითი, ნერგეეთი, პერევისა, საირხე, ჩხარი, ძიროვანი, ხრეითი.

ზარათსა და კვალითში **სოფრომაძეები** იყვნენ საბატონო გლეხები.

**სოფრომო** წინაპრებს ნასესხები აქვთ ბერძნებისგან; **სოფრომ**, იგივეა, რაც „საღად მოაზროვნე", „კეთილგონიერი".

„ვაჟიბედაი **სოფრომაძე** მეფემ შესწირა გელათის ულუხან (ლორთქიფანიძის) სიმწირვეღლისთვის. ემართა ათი თეთრი, ორი კოდი ღომი, სამი კოკა ღვინო, ერთი ზვინი თაკა..." (1573 წელი).

**სოფრომაძე** ერთ-ერთი უძველესი ქართული გვარია. მეცამეტე საუკუნიდან ჩანს. **სოფრომაძე** და **სოფრომიძე** ერთი და იგივე გვარია.

საქართველოში ყველაზე დაწინაურებულ 1 000 გვარში **სოფრომაძეებს** 321-ე ადგილი უკავია.

საქართველოში 2 479 **სოფრომაძე** ცხოვრობს. ტყიბულში – 654, ქუთაისში – 458, თერჯოლაში – 374.

28 **სოფრომაძე**: ზესტაფონში – 8, თბილისში – 5, საჩხერეში – 3. არიან სხვაგანაც.

**თურქესტანიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **თურქისტანი**.

1721 წლის აღწერით, მებატონე გოდერძა **თურქესტანიშვილი** ცხოვრობდა თრიალეთში. 1738 წელს მან გაყიდა მამული და დაბრუნდა უკან, გორში.

სეხნია, ფრანგისტან, ქაიხოსრო და ლონენა **თურქესტანიშვილები**, 1721 წლის აღწერით, მებატონეები იყვნენ და ცხოვრობდნენ თრიალეთში.

**თურქესტანიშვილი** ბარათაშვილის შტოგვარია. ხოლო, **თურქესტანიშვილის** შტო-გვარია პაპოაშვილი.

საქართველოში 28 **თურქესტანიშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 19, დედოფლისწყაროში – 2, გარდაბანში – 2. არიან სხვაგანაც.

**ჯიმშიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯიმშერი.**

ამ სახელის კნინობითი ფორმებია – **ჯიმი, ჯიმითა, ჯიმოთე, ჯიმუა, ჯიმშარი, ჯიმშელი, ჯიმშიერი, ჯიმშია.**

ეს სახელი სპარსული წარმოშობისაა და „ახალგაზრდა ლომს" ნიშნავს.

ამავე ძირისაა გვარი **ჯიმშელეიშვილი.**

1721 წელს ბოცვეთში მოიხსენიება დათუნა **ჯიმშიაშვილი.**

საქართველოში 129 **ჯიმშიაშვილი** ცხოვრობს. ზესტაფონში – 36, თბილისში – 19, ქუთაისში – 16. არიან სხვაგანაც.

**შამრელაშვილი**

**შამრელაშვილი** ართრონიზებული გვარია. სულხან-საბა ორბელიანი ბრძანებს: „ართრონი არიან ასოები, რომელნიმე წინა მიუბავები ან სიტყვათა და რომელიმე უკანა და გუარიან ჰყოფენ და დაატკბობენ".

ადრინდელი გვარი უნდა ყოფილიყო **მრელაშვილი** (აქედანვეა გვარი მრულობელი), მიგრაციის პროცესში დაემატა ართრონი შა.

**„მრელა**-ს, ვილაცამ წაუმძღვარა **შამრელ** და წავიდა ახალი გვარი **შამრელაშვილი".**

**შამრელაშვილი** მცირერიცხოვანი ქართული გვარია.

საქართველოში 24 **შამრელაშვილი** ცხოვრობს. ახმეტაში – 20, თელავში – 4.

373 **მრელაშვილი**: თელავში – 242, თბილისში – 56, ახმეტაში – 48. არიან სხვაგანაც.

**დათონაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **დათონა** – ეს „**დავითის**" კნინობითი ფორმაა.

1721 წლის აღწერით, ბურვილში მოიხსენიება ყაფლანიშვილების ყმა, ბერა **დათონაშვილი.**

1523 წელს ბარათაანთ გაყრის სიგელში მოიხსენიება აზნაური **დათონაშვილი.**

საქართველოში 1 254 **დათონაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 441, გურჯაანში – 283, ქუთაისში – 90. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელ მამაკაცებს აქვთ კონტრტენორი, რადგან, ასეთი ხმა იშვიათობაა. ის, რომ ამ მამაკაცთა რიგებში ქართველი მომღერალი მიშა სულუხიაც ჩაეწერა, იმას ნიშნავს, რომ სულ მალე ის კლასიკურ ჟანრში, მსოფლიოს მასშტაბით, საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწევს. როგორც თავად მომღერალი ამბობს, მისთვის ცხოვრების ის ეტაპი დადგა, როცა მაქსიმალურად უნდა დაიხარჯოს და ამით საკუთარ კარიერაში საკმაოდ თამამი ნაბიჯები გადადგას. მიშა ახლა შვეიცარიაშია და იქ გადის მასტერკლასებს. თუ როგორ გაატარა მან „რომაული არდადეგები", როგორ მოხვდა უცხოეთის პრესაში მისი შიშველი ფოტოები და რატომ არ ცდილობს პირადი ურთიერთობის დაკანონებას, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

# რატომ გადაიხადა მიშა სულუხიამ 25 წლის იუბილე ირლანდიურ „საგიჟეთში" და ვინ დასდევს მას შვეიცარიაში ფოტოაპარატით



ცხენის წელს სიურპრიზი გავუკეთე საკუთარ თავს და საახალწლოდ „რომაული არდადეგები" მოვიწყვე

**მიშა სულუხია**: უკვე სამი თვეა, რაც საქართველო დავტოვე და შვეიცარიაში ვარ. აქ სასწავლებლად წამოვედი. ქალაქ ბაზელში მასტერკლასებს გავდივარ მსოფლიოში სახელგანთქმულ აკადემიაში, სადაც ისწავლება ბაროკოსა და რენესანსის დროინდელი კლასიკური მუსიკის სპეციფიკა. აქ მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან არიან მოწვეული გამორჩენილი პროფესორები. მე რიჩარდ ლევისის მოწვევით ჩამოვედი, რომელსაც არაერთი ოპერის ვარსკვლავი ჰყავს აღზრდილი. სულ ვამბობ, შვეიცარიამ კარგად მიმიღო და გამიღო კარი, რომ წინ წავიწიო და ჩემი ხმამაღალი სათქმელი სცენიდან მსოფლიოს მასშტაბით ვთქვა-მეთქი. ზოგადად, ეს ქვეყანა და, კერძოდ, ქალაქი ბაზელი, ბაროკოს მუსიკის ეპიცენტრია. იცით, როგორი მაგარი ქვეყანაა?! მოწესრიგებულობის პიკია და არანაირი პრობლემა არ არსებობს, გაწყვეტილ მავთულს და მონგრეულ კედელს ვერ ნახავთ ქუჩაში. ვხუმრობ ხოლმე, ასტრალში არიან გასულები-მეთქი ***(იცინის)*** და მეც ამ ასტრალში ავღმოჩნდი. ერთ დღეს, კონცერტის მერე, შვეიცარიის რადიოში მიმიწვიეს. რადიოს წამყვანმა ასე წარუდგინა ჩემი თავი მსმენელს: ახლა თქვენ წინაშეა გამორჩეული ხმის ტემბრის მქონე, წარმოშობით ქართველი მიშა სულუხია, ბარიტონის, ტენორისა და კონტრტენორის ხმის ტემბრის მქონე, მოკლედ, კაცის ხმით დაწყებული, ქალის ხმით დამთავრებული ადამიანიო. გამეცინა და ვუთხარი: ბატონო ჩემო, მეცოსოპრანო გამოგრჩათ-მეთქი. პირდაპირ ეთერში, ისეთი სიცილი აუტყდა წამყვანს, ნახევარი საათი ხითხითებდა ***(იცინის).*** რომში კი კონცერტში ვიყავი ჩასმული და, ბუკლეტებში, რომლებიც ყველა სტუმრის სკამზე იდო, ეწერა ყველა გამომსვლელის რეზიუმე. მოკლედ, შეშლიათ და მიშა სულუხიას გასწვრივ ეწერა „ბარიტონი". ფურცელზე ელემენტარული შეცდომა გასაგებია, მაგრამ, იქ ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ რამეებს, როცა კონცერტს ესწრებიან. გამოვედი, ორმეტრიანი ბიჭი, ჰგონიათ, ბარიტონს ამოვუშვებ და უცებ, არ „ავკნავლდი", მივუწვრილე და მივუწვრილე სოპრანო. უნდა გენახათ დარბაზის რეაქცია ***(იცინის).*** გაოგნებულები მიყურებდნენ – ეს რა მოხდაო.

**– საახალწლო არდადეგები შვეიცარიში გაატარე?**

– არა, შვეიცარიაში არა, საახალწლო არდადეგები, რომში გავატარე. მოკლედ, ცხენის წელს სიურპრიზი გავუკეთე საკუთარ თავს და საახალწლოდ „რომაული არდადეგები" მოვიწყვე ***(იცინის).*** იტალიაში ცნობილი აკადემიის სტუდენტიც გახლავართ. აქ საშობაოდ კონცერტები გაიმართა და მეც მივიღე მონაწილეობა სპეციალური სტუმრის სტატუსით. ქართული დიასპორისთვისაც მოეწყო კონცერტი, სადაც მეც ვიმღერე და ისეთი მშობლიური სითბო და სიყვარული ვიგრძენი, ნამდვილად რთულია ამის სიტყვებით გადმოცემა. მარიკა კვალიაშვილის ორი სიმღერა შევასრულე და ნახევარი საათი აღარ გამიშვეს სცენიდან. ეს ჩემთვის დიდი პატივია და, ვფიქრობ, საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯიც ჩემს კარიერაში. რომიც საოცარი ქალაქია, ღია მუზეუმი, სადაც ყველაფერი ისტორიას უკავშირდება. უდიდესი კულტურის მქონე ქვეყანაა და ის ყველამ უნდა ნახოს.

**ჟურნალისტებს მკაცრი უარი ვუთხარი: არ მაქვს სურვილი, ჩემი შიშველი ფოტოები გავიდეს პრესაში; მე აქ აკადემიურ-კლასიკურ სფეროში ვცდი ძალებს და არ მსიამოვნებს ასეთი ფოტოები-მეთქი, მაგრამ, დამიჯერეს?!**

**– ვიცი, რომ შოპინგი ძალიან გიყვარს. ამ მხრივ თუ გაინებივრე თავი იტალიაში?**

– შოპინგი ჩემი ჰობია ***(იცინის).*** არ მეგულება ადამიანი, რომ შოპინგი არ უყვარდეს, მაგრამ, გააჩნია, ფინანსები როგორ გაგწვდება. ამ ახალ წელს ჩემი თავის თოვლის ბაბუა მე ვიყავი და უამრავი მაღაზია მოვიარე მეგობრებთან ერთად. ზიზიები ვის არ უყვარს? თან, 3 იანვარს ჩემი დაბადების დღე იყო და რომში, ირლანდიურ ბარში აღვნიშნე, მეგობრების გარემოცვაში. არ მინდოდა გრაციოზული დაბადების დღე, უბრალოდ გიჟური მინდოდა და გამომივიდა. ვიცეკვეთ, ვიმღერეთ და 25 წლის იუბილე „საგიჟეთში" გავატარე ***(იცინის).***

**– შვეიცარიის პრესის ფურცლებზე შენი შიშველი ფოტოები მოხვდა. ეს პიარია თუ, უბრალოდ, ნავარჯიშევი სხეულის დემონსტრირება მოახდინე?**

– სულ ვცდილობ, ფორმაში ვიყო და ამისთვის ბევრს ვვარჯიშობ: ფიტნესზე დავდივარ, ვცურავ და დღეში საშუალოდ ათ კილომეტრს დავრბივარ. მოკლედ, ერთ დღეს, ფიტნესის ცენტრში, აუზში უნდა ჩავხტე და გავცურო და, ვხედავ, რაღაც განათდა. მოვიხედე და რას ვხედავ – ფოტოებს მიღებენ. ვიკითხე, რა ხდება-მეთქი. მითხრეს, ჟურნალისტები ვართ, შენზე მასალას ვამზადებთ და, გვინდოდა, ნახევრად შიშველისთვის ფოტო გადაგვეღოო. კი ვიფიქრე, მე რა ისეთი ცნობილი ფიგურა ვარ, პაპარაცებმა მდიონ ან რამე დაწერონ-მეთქი, მაგრამ, გავატარე. მერე გავარკვიე, რომ, თურმე, რადიოთი მოუსმენიათ ჩემი მინაცემების შესახებ, კომპიუტერში მოუქექავთ, რომ საქართველოში „ვარსკვლავების აკადემიაში" ვიღებდი მონაწილეობას. აქაური ყვითელი პრესის ჟურნალისტებს უფიქრიათ, ეს იგივეა, რაც მსოფლიოში ცნობილი პროექტი „იქს ფაქტორი", მაგარი პოპულარული ტიპია საქართველოში და აქაც დავწერთო ***(იცინის).*** მკაცრი უარი ვუთხარი – არ მაქვს სურვილი, ჩემი შიშველი ფოტოები გავიდეს პრესაში, მე აქ აკადემიურ-კლასიკურ სფეროში ვცდი ძალებს და არ მსიამოვნებს ასეთი ფოტოები-მეთქი, მაგრამ, დამიჯერეს?! გავიხედე, რამდენიმე დღეში, იტალიაში, მირეკავს ძმაკაცი – ნახე, ეს „აკადემიური" მიშა როგორ გაგაშიშვლესო? ***(იცინის)*** ასე მოვხვდი, შვეიცარიის ჟურნალის პრესის ფურცლებზე შიშველ მდგომარეობაში. თუმცა, მთავარი აქცენტი ჟურნალისტს ტექსტში გამახვილებული ჰქონდა იმაზე, რომ მე ვარ ქართველი მომღერალი, შვეიცარიაში გავდივარ საოპერო მასტერკლასებს და, თან, ყოველდღიურად როგორ ვზრუნავ სხეულის გაჯანსაღებაზე. მოკლედ, აქაც ვერ ავცდი ყვითელ პრესას ***(იცინის).***

**– მიშა, პირად ცხოვრებაში სიახლეები არ არის?**

– არ მიყვარს ჩემი პირადი ამბების აფიშირება, თუმცა, გეტყვით, რომ მყავს მეგობარი გოგონა, რომელთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ეს გოგონა ქართველია და ამ ურთიერთობის დაკანონებას არ ვფიქრობთ – ასეც კარგად ვგრძნობთ თავს.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ იშორებდა „კაგებე“ თავის თანამშრომლებს, რომლებიც ბინძურ საქმეებში იყვნენ გარეულები

1978 წლის 1 ივლისს კოტე ზარიძე ბინიდან გამოვიდა და, ის იყო, კარი უნდა გამოეხურა, რომ ვიღაც უცნობმა შავსათვალიანმა მამაკაცმა ხელი ჰკრა და უკან შეაგდო. შემდეგ მაყუჩიანი პისტოლეტი მიუშვირა, სასტუმრო ოთახში შეიყვანა და უთხრა:

– ნუ აღელდებით, მე სამტროდ არ მოვსულვარ. სავარძელში ჩაჯექით და ყურადღებით მომისმინეთ.

კოტე სავარძელში ჩაჯდა და დაუპატიჟებელ სტუმარს მიუგო:

– გისმენთ.

მამაკაცმა შავი სათვალე მოიხსნა, კოტეს გაუღიმა და ჰკითხა:

– მიცანით?

– არა, – თავი გააქნია კოტემ.

დაუპატიჟებელმა სტუმარმა სიგარეტი გააბოლა და მასპინძელს უთხრა:

– მოდი, აქედანვე შევთანხმდეთ, რომ ერთმანეთს არაფერს მოვატყუებთ. ჩვენ ერთ ბედ ქვეშ ვართ, ერთმანეთს ძალიან ვჭირდებით და ერთად უნდა ვიყოთ, რომ ცოცხლები გადავრჩეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, მიცანით – ჩემი მოკვლა ხომ თქვენ გაქვთ დავალებული ამ საღამოს, მაგრამ, როგორც კი ამას გააკეთებდით, მაშინვე თქვენც მოგიღებდნენ ბოლოს. მე სიკვდილი არ მინდა. ვფიქრობ, რომ არც თქვენ გსურთ ეს და სწორედ ამიტომ მოვედი აქ.

– ვინ ხართ? – ჰკითხა კოტემ უცნობს.

– უშიშროების კომიტეტის კაპიტანი მერაბ კიკნაძე, თქვენი კოლეგა. მართალია, თქვენგან განსხვავებით, მე ოფიცერი ვარ, თქვენ კი არალეგალი, მაგრამ, ორივე მკვლელები ვართ. ორივეს ბინძურ საქმეებს გვაკეთებინებს კანტორა და, დროა, ბოლო მოვუღოთ ამ ყველაფერს და თავს ვუშველოთ.

– რატომ უნდა დაგიჯეროთ?

– რატომ არ უნდა დამიჯეროთ? – კითხვითვე უპასუხა კოტეს მერაბმა, – რა ინტერესი მაქვს თქვენი და რატომ მოვედი აქ?

– თქვენი მოკვლა რატომ უნდათ, რა დააშავეთ?

– არასასურველი მოწმე ვარ და იმიტომ. ამას წინათ ერთი დავალება შევასრულე – ერთი პიროვნების ლიკვიდაცია მოვახდინე და, კვალის წაშლის მიზნით მიშორებენ თავიდან – ეშინიათ, რამე არ წამომცდეს, „კაგებეს“ სახელი არ ამოტივტივდეს და ასე უფრო მშვიდად იგრძნობენ თავს.

– კონკრეტულად რას მთავაზობთ?

– უცხოეთში გაქცევას. ოჯახი არც თქვენ გაქვთ და არც მე. ასე რომ, ჩვენ ახლობლებს ვერავინ აიყვანს მძევლად, მანამდე კი ერთ კაცს უნდა ვესტუმროთ. დავამუშაოთ და ფული წავართვათ, მერე კი გზა ხსნილი გვაქვს. რას იტყვით, გაწყობთ ჩემი წინადადება?

– სხვა რა გზა მაქვს, მაწყობს!..

## მკვლელების ტანდემი

29 წლის კოტე ზარიძე და 34 წლის მერაბ კიკნაძე თბილისელები იყვნენ. კოტე ყოფილი მძლეოსანი იყო და „კაგებეს“ არალეგალი თანამშრომელი მას მერე გახდა, რაც ის მაიორმა ვიქტორ ძიძიგურმა გადაიბირა. მაშინ კოტე 24 წლის იყო და ერთი ინციდენტის შემდეგ ოთხწლიანი ციხე ემუქრებოდა. ძიძიგურმა ის ციხეს გადაარჩინა, სამაგიეროდ კი ფარული თანამშრომლობა და მაღალი ხელფასი შესთავაზა. როდესაც ზარიძემ თანხმობა განაცხადა, ექვსი თვით ის რუსეთის „კაგებეს“ ერთ-ერთ ბაზაზე გაგზავნეს, მოამზადეს და ის მუშაობას შეუდგა. კოტე ზარიძე პირადად ვიქტორ ძიძიგურის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა და ხუთი წლის განმავლობაში არაერთი დავალება ჰქონდა შესრულებული.



ზარიძისგან განსხვავებით, მერაბ კიკნაძემ ჯერ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ „კაგებეს“ ერთწლიანი კურსები და კაპიტნის წოდებაც მიიღო. თუმცა, ისიც მკვლელი იყო და ასევე ვიქტორ ძიძიგურს ექვემდებარებოდა. ძიძიგური კი ძალიან შავბნელი, ნებისმიერ სისაძაგლეზე ხელის მომწერი პიროვნება იყო და საკუთარ დედასაც კი ისე გამოსჭრიდა ყელს, რომ თვალსაც არ დაახამხამებდა. სწორედ ვიქტორ ძიძიგურის ხელში ჩაგდებას აპირებდნენ ზარიძე და კიკნაძე და, სანამ განხორციელებას შეუდგებოდნენ, ყველაფერი კარგად დაგეგმეს.

– ვიქტორას, მაგ ნაბოზარს, დიდი მაყუთი უნდა ჰქონდეს გადატეხილი და მისი ფულით მოვტყდებით ფირმაში, – უთხრა მერაბმა კოტეს.

## რიოში მოკლული ვენედიქტ მენდერი სინამდვილეში კოტე ზარიძე იყო

– შენ რა იცი, რომ დიდი მაყუთი აქვს?

– ორი წლის წინ ერთი ძველი კაგებეშნიკი გავაგორე და სიკვდილის წინ მან მითხრა. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე, თუმცა, რომ დავფიქრდი, ძალიან რეალურად მომეჩვენა. მით უმეტეს, რომ ის კაცი და ვიქტორა ძველი პაძელნიკები იყვნენ. მოკლედ, ყველა ვარიანტში გვჭირდება ძიძიგური და, როგორც შევთანხმდით, ისე ვიმოქმედოთ.

ვიქტორ ძიძიგური საბურთალოზე, ერთ-ერთ კერძო სახლში ცხოვრობდა. 1978 წლის 1 ივლისს კოტე ზარიძემ და მერაბ კიკნაძემ ის ღამით, 23 საათსა და 15 წუთზე მოიხელთეს, სწორედ იმ დროს, როდესაც ძიძიგური სახლში დაბრუნდა, სადაც მარტო ცხოვრობდა. მკვლელებმა მას პირი აუკრეს, მერე სარდაფში ჩაიყვანეს, ძელზე მიაბეს და მერაბმა მას უთხრა:

– გაები მახეში, შე დამპალო?

ძიძიგურს ცინიკურად გაეცინა და მიუგო:

– ეს თქვენ გაებით. ერთ რჩევას მოგცემთ: ახლავე წადით და, ეცადეთ, ისე დაიმალოთ, რომ ვერავინ გიპოვოთ.

– მხოლოდ იმის შემდეგ წავალთ, როდესაც შენგან ფულს მივიღებთ, – მიუგო მერაბმა.

– რა ფულს?

– გახსოვს, ორი წლის წინ პოლკოვნიკი გოგიაშვილი რომ მომაკვლევინე? იმან მითხრა სიკვდილის წინ, რომ შენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, სავარაუდოდ, ერთი ყოფილი ვაჭრის სახლიდან მისი ძვირფასეულობა და ოქროს მონეტები გაიტაცე და ის კაცი კი მოკალი, ხელმძღვანელობას კი უთხარი, ვითომ ურთიერთსროლისას დაიღუპა. ჩქარა, დრო არ გვაქვს, გამოაჩინე ნაძარცვი ქონება, თორემ, ცოცხლად გაგატყავებთ!

ძიძიგურს მართლაც აღმოაჩნდა ვაჭრის ქონება, რომელიც იქვე, სამალავში ჰქონდა გადამალული. მერაბმა და კოტემ ძვირფასეულობა სპორტულ ჩანთაში ჩააწყვეს და ძიძიგურს ზარიძემ უთხრა:

– ჩვენი ვიზიტის შესახებ არავის უთხრა, ეგ შენს ინტერესებშია. აბა, მშვიდობით...

## ქირურგი კოტელმახი

1978 წლის 4 ივლისს ვიქტორ ძიძიგური თავისსავე სახლის სარდაფში მოკლული იპოვეს. ის შიშველი ეგდო, სხეულზე კი საშინელი წამების კვალი აჩნდა. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ძიძიგური თავისმა კოლეგებმა მოკლეს, მანამდე კი იმიტომ აწამეს, რომ გაეგოთ, თუ რა ინფორმაცია ჰქონდათ ზარიძესა და კიკნაძეს „კაგებეს“ შავბნელი საქმიანობის შესახებ. კოტე ზარიძეს და მერაბ კიკნაძეს კი მთელი „კაგებე“ ეძებდა და მათი ლიკვიდაციის ბრძანება იყო გაცემული. ზოგიერთ მაღალჩინოსანს არანაირად არ აწყობდა „კაგებეს“ ლიკვიდატორების (მკვლელობის შემსრულებლების) დაპატიმრება და მათი მოკვლა იმიტომ ბრძანეს.

კოტე და მერაბი ერთი კვირა თბილისში იმალებოდნენ, შემდეგ ისინი ქალაქ სოჭში ჩავიდნენ და 52 წლის ოსიპ კოტელმახს ეწვივნენ სახლში. კოტელმახი პლასტიკური ქირურგი იყო, „კაგებეს“ ის განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი და მერაბ კიკნაძე მას კარგად იცნობდა.

– რა გნებავთ, ახალგაზრდებო? – ჰკითხა კოტელმახმა შავსათვალიან მამაკაცებს, როდესაც ისინი მისი კერძო სახლის კარს მიადგნენ.

– ოსიპ მოდესტოვიჩ, თქვენთან ძალიან სარფიანი წინადადება გვაქვს და, თუ შემოგვიშვებთ, გეტყვით, – უთხრა მერაბმა ქირურგს.

– მობრძანდით. მარტო ვარ, – შეიპატიჟა კოტელმახმა ახალმოსულები.

მერაბმა ქირურგს ორი პლასტიკური ოპერაციის გაკეთება მოსთხოვა, სანაცვლოდ კი 25 ათასი მანეთის გადახდას შეჰპირდა და ბოლოს უთხრა:

– „კაგებე“ კუდზე გვაზის და აქედან უნდა გავიქცეთ. ოპერაციების მერე გარკვეული დრო იზოლაციაში იქნებით, რომ დროზე ადრე არ ჩაგვიშვა და გაქცევა არ ჩაგვიშალო.

– რა გაეწყობა, თანახმა ვარ, – გაეცინა კოტლემახს, – ძალა აღმართს ხნავს, ძალა კი თქვენს ხელთაა.

ოსიპ კოტელმახმა კოტე ზარიძეს და მერაბ კიკნაძეს პლასტიკური ოპერაცია რიგ-რიგობით გაუკეთა, სარეაბილიტაციო ვადის გასვლის შემდეგ კი ის თავისმა პაციენტებმა ერთ-ერთი მაღალმთიანი სოფლის სახლის სარდაფში ჩაკეტეს, ორი კვირის სურსათ-სანოვაგე და 25 ათასი მანეთი დაუტოვეს და წავიდნენ. კოტელმახმა იქიდან ერთ კვირაში გამოაღწია, „კაგებეში“ მივიდა და ყველაფერი მოყვა.

ოთხი დღის მერე კი ოსიპ კოტელმახი ზღვაში დაიხრჩო...

## ბესტსელერი

1978 წლის სექტემბერ-ოქტომბერში „კაგებეს“ რამდენიმე მაღალჩინოსანმა თავი მოიკლა, რაც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, კიკნაძისა და ზარიძის გაქცევასთან იყო დაკავშირებული – „კაგებეს“ ლიკვიდატორებმა საკმაოდ ბევრი იცოდნენ თავიანთი ყოფილი უწყების ბინძურ საქმეებსა და ცალკეულ პიროვნებებზე და ამ ინფორმაციების გამჟღავნების შეეშინდათ. მაშინ „კაგებეს“ შავბნელი საქმეები მიიჩქმალა და საზოგადოებას არაფერი გაუგია. თუმცა, 22 წლის შემდეგ, 2000 წელს, ბრაზილიაში სქელტანიანი წიგნი გამოიცა „კაგებეს“ შესახებ, რომელიც უმალვე ბესტსელერად იქცა. წიგნის ავტორები მენდესისა და კორიგას ფსევდონიმებით აწერდნენ ხელს, თუმცა, სავარაუდოდ, ისინი ზარიძე და კიკნაძე იყვნენ.

***P. S. 2003 წლის მაისში რიოში ვინმე ვენედიქტ მენდესი მოკლეს, რომელიც სინამდვილეში კოტე ზარიძე აღმოჩნდა...***

**ნიკა ლაშაური**

# რატომ მოკლა ოქრომჭედელმა ყოფილი საყვარელი და რატომ დააგლიჯა მან ცხედარს ყურები

ოპერატიული ინფორმაცია მომხდარი მკვლელობის შესახებ შემთხვევის ადგილიდან სასწრაფო სამედიცინო სამსახურში ანონიმურად შევიდა. ახალგაზრდა მამაკაცმა, კონკრეტული მისამართის მითითების შემდეგ, სამედიცინო სამსახურის წარმომადგენელს ახალგაზრდა ქალის გვამის არსებობის შესახებ აცნობა. მითითებულ ადგილზე მისულ სამედიცინო ბრიგადას ბინაში გარდაცვლილი ქალის გვამი დახვდათ, ინკოგნიტო მოქალაქე შემთხვევის ადგილზე უკვე აღარ იყო. ზედაპირული დათვალიერებითაც ცხადი გახდა, რომ ქალს დაზიანება ყელის არეში ჰქონდა მიყენებული – შემთხვევის ადგილზე დატოვებული იყო დანაშაულის იარაღი – გატეხილი ბოთლი, რომელზე არსებული სისხლის კვალიც მიუთითებდა, რომ ქალს ყელი ბოთლით გამოჭრეს. გარდაცვლილს დაზიანებული ჰქონდა ყურებიც – როგორც ჩანს, მკვლელმა მას ყურები ისე ჩამოაგლიჯა, რომ ორივე ყურის ბიბილო დაუზიანა.

სამართალდამცველებმა გარდაცვლილი ქალის ვინაობის დადგენა დაიწყეს. ის აღმოჩნდა თბილისში მცხოვრები, 29 წლის ნანა კ-ძე. ბინა კი, სადაც მისი გვამი იპოვეს, მკვლელობამდე ოთხი თვით ადრე ჰქონდა ქალს ნაგირავები. პირველადი ვერსიით, მკვლელობის მიზეზი, შესაძლოა, ყოფილიყო ყაჩაღობაც – სავარაუდოდ, მსხვერპლს ყურებზე უნდა ჰკეთებოდა ძვირფასი საყურეები, რაზეც მეტყველებდა ჩამოხეული ბიბილოები.

ამონაწერი იმავე სართულზე მცხოვრები მეზობლის, ლამზირა კ-იას ჩვენებიდან: „ეს ახალგაზრდა ქალი პირველად სადარბაზოში შემხვდა – ბინის კარს კეტავდა მამაკაცთან ერთად. მივესალმე და ისინიც მომესალმნენ. პირველი მე გამოველაპარაკე – გოგონი, თქვენ იცხოვრებთ ამ ბინაში-მეთქი? რაზეც მან მიპასუხა: დიახ, მე და ჩემი მეუღლეო. მას შემდეგ იმ მამაკაცთან ერთად რამდენჯერმე ვნახე: დილით, როცა სახლიდან გამოდიოდნენ და გვიან საღამოს, როცა ერთად ბრუნდებოდნენ ხოლმე. ამ ბინაში სტუმრები არ მინახავს. პირველი ორი თვე იმ მამაკაცს სისტემატურად ვხედავდი, შემდეგ კი უკვე ცალ-ცალკე ვხვდებოდი მათ, შემდეგ ის მამაკაცი საერთოდ აღარ მინახავს. ბოლო ხანებში, ორჯერ თუ სამჯერ, უცხო მამაკაცი შევნიშნე, რომელმაც დილით, ადრიანად დატოვა ბინა. ერთ დღეს ხმაურიც შემომესმა იმ ბინიდან – ჩხუბის ხმა იყო, მაგრამ ჩემმა მეუღლემ მკაცრად გამაფრთხილა, რომ მეზობელი მდგმურის ცხოვრებაში არ ჩავრეულიყავი. მას მერე, ვინ დადიოდა იქ, აღარ დავინტერესებულვარ. მკვლელობის დღეს არაფერი გამიგია, სასწრაფო სამედიცინო სამსახური და პოლიცია რომ მოვიდა, მათგან შევიტყვე, რომ ბინაში რაღაც მოხდა".

შემთხვევის ადგილის დათვალიერებით ცხადი გახდა, რომ მკვლელობამდე ბინაში სამი ადამიანი იმყოფებოდა, რასაც მოწმობდა სამ კაცზე გაშლილი სუფრა, რომელთაგან ერთი, სავარაუდოდ, მასპინძელი ქალბატონი უნდა ყოფილიყო.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, გარდაცვლილი ქალის მეგობრებისა და ოჯახის წევრების დაკითხვით, დადგინდა, რომ ნანა კ-ძეს ინტიმური ურთიერთობა ჰქონდა მამაკაცთან, რომელიც ოქრომჭედელი იყო და მისი ვინაობა ძალიან ვიწრო წრისთვის იყო ცნობილი. როგორც გარდაცვლილი ქალის მეგობრები აცხადებდნენ, ის საყვარელ ქალს ანებივრებდა ოქროს სამკაულებით, თუმცა მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ისინი ერთმანეთს დაშორდნენ, რის გამოც მამაკაცი ქალს მოკვლითაც კი ემუქრებოდა. გამოძიებას მკვლელობასთან ოქრომჭედლის შესაძლო კავშირის პირველი ვერსია გვამის დაზიანებული ყურების გამო გაუჩნდა – შესაძლოა, შეყვარებულ მამაკაცს გარდაცლილი ქალისთვის შურისძიების ნიშნად ის საყურეები მოეხსნა, რომელიც მისი ნაჩუქარი იყო.

სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დაადგინეს მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცის ვინაობა – ის 43 წლის მინდია გ-იანი აღმოჩნდა. მამაკაცი თავიდან უარყოფდა კავშირს მკვლელობასთან, თუმცა, შემდეგ აღიარა ჩადენილი დანაშაული და საკუთარი ქმედება აფექტური მდგომარეობითა და ეჭვიანობით ახსნა.

ამონაწერი მინდია გ-იანის ჩვენებიდან:

„ნანას გაცნობის დროს ოჯახი მქონდა – მეუღლე და ორი შვილი. ნანასთან ურთიერთობას ჩემი ოჯახური მდგომარეობა შეეწირა – სახლიდან წამოვედი და ნანას დავუკავშირე ცხოვრება. მის გამო ყველაფერი დავკარგე, მაგრამ, ისე მიყვარდა, არაფერს ვნანობდი. დაახლოებით ექვსი თვე ვიცხოვრეთ ერთად, მერე კი ჩვენი ურთიერთობა აირია. ნანა თავისუფალი ქცევების გოგო იყო და სულ ვეჭვიანობდი. რის საბაბსაც თვითონ მაძლევდა. ბოლოს ბინაც კი დავუგირავე, რომ მისი გული მომეგო. ათი ათასი დოლარი გადავიხადე იმ ბინაში – აგარაკი გავყიდე, რომ ეს ბინა დამეგირავებინა. ორი თვე ვიცხოვრეთ ამ ბინაში ერთად, ერთ დღეს კი ვიჩხუბეთ და ნანამ სახლიდან გამაგდო. მეგობარს შევეხიზნე ცოტა ხნით, რადგან, წასასვლელი არსად მქონდა. ბოლომდე ვფიქრობდი, რომ შემირიგდებოდა და დროდადრო ვაკითხავდი ხოლმე სახლში. ერთი-ორჯერ მასთან მამაკაცი დამხვდა, რაზეც ძალიან გავბრაზდი. ნანამ მითხრა, ჩემი თანამშრომელია და საეჭვიანო არაფერი გაქვსო, მაგრამ, ამის დაჯერება ჩემთვის წარმოუდგენელი იყო. ამის გამო ისევ ძალიან ვიჩხუბეთ. მკვლელობის ღამეს ნანას სახლში გაუფრთხილებლად დავადექი. მას სუფრა ჰქონდა გაშლილი და სტუმრად ჰყავდა ჩემთვის უცნობი მამაკაცი, რომელიც ჩემს დანახვაზე ძალიან დაიბნა. იქაურობის დატოვებაც სცადა, მაგრამ ნანამ არ გაუშვა. მეც მაგიდას მივუჯექი, ნასვამი ვიყავი და კიდევ დავლიე. როგორც გავარკვიე, ის მამაკაცი ნანას ახალი გაცნობილი ჰყავდა. ალბათ, 40 წუთი ვიჯექით მაგიდასთან, მერე კი ეჭვიანობამ გონება სულ ამირია. ის კაცი აივანზე გავიდა და ნანას ვკითხე, ვინ არის-მეთქი. შენი შემცვლელიო, – პირდაპირ მომახალა. ამის თქმა იყო და მაგიდიდან ბოთლი ავიღე, სკამის ზურგს ჩამოვარტყი და გადატეხილი ბოთლი ნანას ყელში გამოვუსვი. ყელიდან სისხლმა იფეთქა და ნანა ძირს დავარდა. ხმაურზე ის მამაკაციც შემოვარდა აივნიდან. მერე რა მოხდა, ვერ ვიხსენებ. არც ის მახსოვს, როგორ ჩამოვაგლიჯე ნანას ყურებიდან ჩემი ნაჩუქარი ძვირად ღირებული საყურეები და არც ის, როგორ დავტოვე იქაურობა. სადარბაზოსთან ტაქსი გავაჩერე, ნანას სახლიდან მეგობართან წავედი და ყველაფერი მოვუყევი, რაც მოხდა. მან მირჩია, პოლიციას ჩაბარდიო. ასეც ვაპირებდი, მაგრამ, ორი დღე ამის გაკეთება ვერ გავბედე."

გამოძიებამ იმ ადამიანის კვალსაც მიაგნო, რომელიც უნებურად მკვლელობის მოწმე გახდა. მისი განცხადებით, გარდაცვლილი ქალი ქუჩაში შემთხვევით გაიცნო, დაახლოებით ორი კვირის შემდეგ ქალმა ის სახლში მიიპატიჟა, რა დროსაც მათ თავზე დაადგათ მინდია გ-იანი. „მისი მოსვლისთანავე სახლის დატოვება ვცადე, მაგრამ, ნანამ მთხოვა, მარტო არ დამტოვოო. თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, ნახევარ საათში სამჯერ გავედი აივანზე სიგარეტის მოსაწევად. როცა ოთახში დავბრუნდი, იქ საშინელი სურათი დამხვდა. კაცს მისთვის ყელი გამოეჭრა, ძირს იყო დახრილი და ყურებიდან საყურეებს აგლეჯდა. ისე დატოვა იქაურობა, ჩემკენ არც გამოუხედავს. მივხვდი, რომ ნანა უკვე გარდაცვლილი იყო. მე მისი ტელეფონიდან სასწრაფო სამედიცინო სამსახურში დავრეკე – ვიფიქრე, იქნებ, გადარჩენა შესაძლებელია-მეთქი. ამის შემდეგ სახლის კარი გამოვიხურე და იქაურობას გავერიდე," – განაცხადა მოწმის სახით დაკითხულმა მამაკაცმა.

სასამართლომ მინდია გ-იანი დამნაშავედ ცნო ახალგაზრდა ქალის განზრახ მკვლელობაში, არ დააკმაყოფილა მისი ადვოკატის მიერ დაყენებული შუამდგომლობა, რომ მკვლელობა ჩადენილი იყო აფექტურ მდგომარეობაში და განსასჯელს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 20 იანვარი

1265 – გრაფმა ლესტერსკიმ პირველად მოიწვია ინგლისის პარლამენტი.

1778 – ინგლისელმა ზღვაოსანმა ჯეიმს კუკმა აღმოაჩინა ჰავაის კუნძულები. ერთი წლის შემდეგ იგი ხელახლა მიადგა ამ კუნძულებს, სადაც აბორიგენებმა მოკლეს.

1841 – ჩინეთმა ჰონკონგი დიდ ბრიტანეთს დაუთმო.

1982 – ოზი ოსბორნი მოათავსეს საავადმყოფოში მას შემდეგ, რაც მან თავი მოაჭამა სცენაზე ნასროლ ღამურას, ეგონა, რომ ხელოვნური იყო.

### 21 იანვარი

1922 – შვეიცარიის ქალაქ მიურენში ჩატარდა პირველი სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრი სლალომში.

1951 – ვულკან ლამინგტონის (ახალი გვინეა) ამოფრქვევის დროს დაიღუპა 2 942 ადამიანი.

1954 – ამერიკის შეერთებულ შტატებში წყალში ჩაუშვეს პირველი ატომური წყალქვეშა ნავი „ნაუტილუსი".

### 22 იანვარი

1905 – მეფის ჯარებმა დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაცია პეტერბურგში (სისხლიანი კვირა, ძველი სტილით 9 იანვარი).

1929 – დააპატიმრეს და თურქეთში გაასახლეს ლევ ტროცკი (ბერნშტეინი), რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1943 – შტატ სამხრეთ დაკოტის პატარა ქალაქ სპერფიშში დილის 7 საათსა და 30 წუთზე ჰაერის ტემპერატურამ ორ წუთში ცელსიუსის მინუს 20 გრადუსიდან პლუს 7 გრადუსამდე აიწია.

1970 – მოეწყო „ბოინგ 747-ის" პირველი გაფრენა მგზავრებით. თვითფმრინავი აფრინდა ნიუ-იორკში და ექვსსაათნახევრის შემდეგ ლონდონში დაეშვა.

### 23 იანვარი

1556 – ჩინეთში მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიწისძვრა, რომელმაც 820 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1911 – მარია სკლადოვსკაია-კიურის უარი ეთქვა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრობაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალი იყო.

1960 – შვეიცარიელი მეცნიერი ჟაკ პიკარი ბათისკაფ „ტრიესტის" მეშვეობით პირველად ჩაეშვა მარიანის ღრმულში 11 კილომეტრ სიღრმეზე.

### 24 იანვარი

41 – რომში პლატინუმის თამაშებზე, თეატრში, სამხედრო ტრიბუნმა კასიუს ხერეამ შეთქმულებთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმა იმპერატორი კალიგულა.

1848 – ჯეიმს მარშალმა კალიფორნიაში მიაგნო თვითნაბად ოქროს, ამან გამოიწვია კალიფორნიის „ოქროს ციებ-ცხელება".

1922 – ამერიკელმა კრისტიან ნელსონმა მიიღო პატენტი „ესკიმოზე" – შოკოლადიან ნაყინზე.

### 25 იანვარი

1831 – დაიწყო პოლონეთის დიდი აჯანყება რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. ამ აჯანყებამ ბიძგი მისცა 1832 წლის ქართულ შეთქმულებას.

1924 – ფრანგულ საკურორტო ქალაქ შამონიში გაიხსნა პირველი ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

### 26 იანვარი

1244 – ისტორიულ ქრონიკებში პირველად მოიხსენიება ქალაქი ბერლინი.

1788 – ავსტრალიაში დაარსდა პირველი ბრიტანული კოლონია – სიდნეი.

1875 – ამერიკელმა ჯორჯ გრინმა დააპატენტა პირველი სტომატოლოგიური „ბორმანქანა".

1886 – გერმანელმა კარლ ბენცმა მიიღო პატენტი სამბორბლიან ავტომობილზე შიდაწვის ძრავით.

1924 – კომუნისტებმა პეტროგრადს უწოდეს ლენინგრადი.

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება
ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი
ზაქრო ბაჯიაშვილი

> ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მაინტერესებს, როდიდან არის რეკომენდებული ძაღლის პირველი ბანაობა?**

**პასუხი:** ვაქცინაციის დასრულების შემდეგ, მეხუთე, მეექვსე დღეს, უკვე შეიძლება ძაღლი აბანაოთ. ძაღლი აუცილებლად სპეციალიზებული შამპუნით უნდა დაბანოთ, რადგან ადამიანის შამპუნი ისეთ მინერალებს შეიცავს, რომელიც ძაღლის კანისთვის არ არის სასურველი. ბანაობის შემდეგ აუცილებელია, გრუმინგია, რაც საკმაოდ რთული პროცესია. არავითარ შემთხვევაში ძაღლი არ გაიყვანოთ გარეთ ბანაობის შემდეგ. ამით შეიძლება, მას სერიოზული საფრთხე შეუქმნათ, მით უმეტეს ზამთრის პერიოდში.

**კითხვა: ჩემმა ძაღლმა ორი კვირის წინ იმშობიარა. ეს მისთვის პირველი მშობიარობაა და ბევრი არაფერი ვიცით მომდევნო პერიოდის შესახებ. მაინტერესებს, რამდენი ხანია სავალდებულო, რომ ლეკვი დედასთან იზრდებოდეს?**

**პასუხი:** ლეკვი დედასთან 8 კვირა, ანუ მინიმუმ ორი თვე მაინც უნდა იზრდებოდეს. ამაზე ადრე ლეკვის დედისგან მოშორება არც რეკომენდებულია და არც სასურველი. თუ ამ საკითხში გამოუცდელი ხართ, მაშინ უმჯობესია, კვალიფიციურ ადამიანებთან დაიჭიროთ საქმე. ვეტერინარი, ისევე როგორც კინოლოგი, ამაში თქვენ ნამდვილად დაგეხმარებიან.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ჭამის შემდეგ ბოლო დროს ხშირად ერევა გული. იქნებ მითხრათ, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს ყველაფერი?**

**პასუხი:** ეს შეიძლება საკვების ბრალიც იყოს, ანუ აძლევთ ისეთ საკვებს, რაც საჭმლის მომნელებელი სისტემის გაღიზიანებას იწვევს, რასაც მოჰყვება გასტრიტი, დუოდენიტი და ქოლეცისტიტი. ყოველივე ამან გართულება, რომ არ გამოიწვიოს, საჭიროა, დროულად მიიყვანოთ თქვენი ოთხფეხა მეგობარი ვეტერინართან, რომელიც სათანადო დახმარებას გაგიწევთ.

**კითხვა: ჩემს ძაღლს ქერტლი გაუჩნდა და ვერაფრით მოვაშორე. თუ შეიძლება, მითხარით, რა აჩენს ქერტლს და როგორ უნდა მოვაშოროთ?**

**პასუხი:** ქერტლის დროს ცხოველის გარეგნულ შესახედაობას არ აქვს დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერთი და იგივე დაავადების დროს სხვადასხვა ცხოველს ქერტლი შეიძლება, სხვადასხვა დონეზე და სხვადასხვა სახით გაუჩნდეს. ქერტლი არ არის ცალკე დაავადება, ეს არის სიმპტომი. ის შეიძლება, წარმოიშვას სხვადასხვა დაავადების დროს. მაგალითად, როგორიცაა: პარაზიტული, სოკოვანი, ბაქტერიული, ენდოკრინული, ონკოლოგიური, ვირუსული, ასევე კერატიზაციის დარღვევის შემთხვევაში, ცუდი მოვლა-შენახვის პირობებში და სხვა მრავალი მიზეზის გამო. რაც შეეხება მკურნალობას, უმჯობესია, სპეციალისტს მიმართოთ, რომელიც ცხოველს დაათვალიერებს და სათანადო დიაგნოზსაც დაუსვამს და მკურნალობასაც, შესაბამისად.

**კითხვა: მაინტერესებს დაახლოებით, რა პერიოდი გრძელდება ძაღლის ორსულობა?**

**პასუხი:** ძაღლები მშობიარობენ, ძირითადად, 58-63 დღეში, დიდი ნაყარი ჩნდება ადრე, პატარი კი – შედარებით გვიან. პატარა ჯიშის ძუ მშობიარობს 2-3 დღით ადრე. სწორნაწლავში სხეულის ნორმალური ტემპერატუარა საშუალოდ 38,5 გრადუსია, ხოლო მშობიარობამდე 2-დღით ადრე, სხეულის ტემპერატურა 37 გრადუსამდე ეცემა.

მშობიარობამდე რამდენიმე დღით ადრე, ძუ სეირნობისას ცდილობს, შორს არ წავიდეს. ამზადებს ბუდეს, უმეტესად მოუსვენრობს და პატრონის მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს – გადამეტებით მოსიყვარულეა. ხშირად წევს. მშობიარობამდე 2-3 დღით ადრე სარძევე ჯირკვლებში უდგება რძე, განსაკუთრებით კი, უკვე ნამშობიარებ ძუს. უმჯობესია, თუ ცხოველს 2-3 დღით ადლე ანახვებთ ვეტერინარ ექიმს.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის
მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: ხშირად სჭირდება პტერისს მორწყვა?**

**პასუხი:** ცხელ ზაფხულში მცენარეს მაღალი ტენიანობა სჭირდება, ზრდის პერიოდშიც არ უნდა მოაკლოთ ტენი. დაბალ ტემპერატურაზე მორწყვა ოდნავ შეამცირეთ, ოღონდ ნიადაგს ძალიან ნუ გამოაშრობთ. მიწა ორ კვირაში ერთხელ გაანოყიერეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. სითბოში მცენარე ქოთნით სველკენჭებიან ლანგარზე დადგით, მაღალი ტენიანობა რომ შეუნარჩუნდეს. რეგულარულად დანამეთ და ტენისთვის სააბაზანოში დადგით.

**კითხვა: როგორ მოვუარო კალას ზრდის პერიოდში?**

**პასუხი:** აქტიური ზრდის დროს, მიწა ტენიანი უნდა იყოს, ხოლო დაყვავილების შემდეგ – მშრალი. ზრდის პერიოდში, როცა მცენარე გაფოთლილია, კაშკაშა სინათლეში ამყოფეთ და ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. დაყვავილების შემდეგ თანდათან გააშრეთ და დამჭკნარი ფოთლები მოაშორეთ, ხოლო მიძინებული ბოლქვი მშრალად შეინახეთ. გადარგეთ ზამთარში ან ადრიან გაზაფხულზე და ფოთლების ზრდასთან ერთად, მორწყვასაც უმატეთ.

**კითხვა: სად შეიძლება ბროწეულის გახარება?**

**პასუხი:** თუ საჭმელად ვარგის ბროწეულს გულისხმობთ, მაშინ აუცილებლად ბაღში უნდა გაახაროთ, რადგან ოთახში გაზრდილი დეკორატიული ბროწეული პატარა ნაყოფს ისხამს და არც იჭმევა. შეგიძლიათ, დეკორატიული ბროწეული ზამთრის ბაღში გაახაროთ.

**კითხვა: როგორი პირობები უნდა შევუქმნა აგავას, რომ კარგად გაიხაროს?**

**პასუხი:** ამ მცენარეს განსაკუთრებული პირობები არ სჭირდება. ის ზამთრის დაბალ ტემპერატურასაც კი უძლებს. მთავარია, მშრალ ადგილას არ დადგათ. მცენარე ზრდის პერიოდში რეგულარულად უნდა მორწყათ. ზამთარში ყურადღება მიაქციეთ, რომ მიწა მთლიანად არ გამოშრეს. მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა უნდა აცადოთ.

**კითხვა: როგორ მოვახერხო, რომ ადიანტუმი მალე გაიზარდოს?**

**პასუხი:** ადიანტუმისთვის ფორმის მიცემა ძალიან იოლია. თუ გსურთ, რომ სიმაღლეში მალე გაიზარდოს, ტენი არ უნდა მოაკლოთ. თუ მისი ფორმა აღარ მოგეწონებათ, შეგიძლიათ, გაკრიჭოთ, ან ყველა რტო ძირში მოაჭრათ. ახალი ყლორტები მალე ამოუვა. გირჩევთ, ეს გაზაფხულზე გააკეთოთ.

**კითხვა: შეიძლება ალოეს ხშირი რწყვა?**

**პასუხი:** ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა იყოს, მაგრამ ზედმეტი წყალი არ მოგივიდეთ. შეიძლება, ამით მცენარე დაზიანდეს. მჭიდროდ ჩარიგებულ ფოთლებს წყალი არ მიაკაროთ. ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი. ზამთარში უფრო იშვიათად სჭირდება ამ მცენარეს წყალი, თუმცა მიწის გამოშრობაც არ არის სასურველი. ამ დროს არც დამატებითი კვება არ სჭირდება.

**კითხვა: მაინტერესებს ბრუგმანსიაზე როგორ მოქმედებს ტემპერატურის ცვლილება და მზე?**

**პასუხი:** თუ მიწა ტენიანი იქნება, ზაფხულის მცხუნვარე მზე ბრუგმანსიას ვერაფერს ავნებს. მას სინათლე უყვარს და გირჩევთ, ნათელ სასტუმრო ოთახში მოათავსოთ. მთელი წლის განმავლობაში იდეალურია 16-25 გრადუსი, თუმცა ზამთარში 4 გრადუსსაც აიტანს.

**კითხვა: ბინაში კამპანულა მაქვს. სოკოვანი დაავადება შეეყარა. იქნებ მირჩიოთ როგორ დავეხმარო?**

**პასუხი:** ზამთარში აუცილებლად მშრალ ადგილას უნდა დადგათ ისე, რომ ნიავდებოდეს. ზამთრის „ძილის“ წინ მცენარე აუცილებლად უნდა გაასუფთაოთ. ასევე, საჭიროა დამჭკნარი ყვავილების მოცილება. ამით მცენარეს ყვავილობასაც გაუხანგრძლივებთ. ეცადეთ, წყალი მცენარის ფოთლებს არ მოხვედეს, რომ არ დაულპეს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: როგორ ავარჩიო დისკი ჩემი ავტომობილისთვის? თუ არსებობს რაიმე პარამეტრი? მაგალითად, მითხრეს, რომ ჩემს ავტომობილზე ძარიდან გამოწეული დისკი არ უნდა დავაყენო. რამდენადაა გამოწეული თუ შეწეული დისკი მხოლოდ ვიზუალით უნდა მივხვდეთ?**

**პასუხი:** არსებობს პარამეტრები, რომელიც აღწერს დისკის ძარიდან გამოწეულობის სიდიდეს. მას აღნიშნავს ეგრეთ წოდებული „ET”. „ET”-ის” ციფრები, რაც უფრო დაბალია, მით მეტადაა გამოწეული დისკი და შესაბამისად, საბურავიც ავტომობილის გარეთ. რაც უფრო მაღალია ციფრი, მით მეტადაა ის შიგნით შეწეული. სხვადასხვა ფირმა, სხვადასხვა ტიპის ავტომობილისთვის განსხვავებული ზომის დისკებს იყენებს. მაგალითად, თუ წინა წამყვან „სიტროენს” „ET-19” უყენია, ასევე, წინა წამყვან „ჰონდას” – 35. ამ დროს კი „ბეემვეს” ნულოვანი „ET-იც” კი აქვს და ხშირად, მინუსებშიც გადადის. ამიტომ, როცა დისკების ყიდვას გადაწყვეტთ, კატალოგში უნდა მოიძიოთ კონკრეტულად რა ტიპის დისკი, როგორი „ET-ით” უნდა დააყენოთ ამ კონკრეტულ მოდელზე. რა თქმა უნდა, უფრო ლამაზია ავტომობილი, რაც უფრო მაღალდიუმიან საბურავებს დაუყენებთ. თხუთმეტდიუმიანის მაგივრად, ჩვიდმეტიანს თუ დააყენებთ, ავტომობილი გაცილებით ლამაზი და მდგრადი იქნება, მაგრამ ავტომობილი მკვეთრად გაუხეშდება. გამოწეულობის პარამეტრი კი შეგიძლიათ შეცვალოთ და ეს მწარმოებელს აუცილებლად ექნება მითითებული. ანუ, თუ ჩვიდმეტიან საბურავს დააყენებთ, რამდენი „ET-ის” დისკი სჭირდება მას, ეს აუცილებლად სპეციალისტს უნდა ჰკითხოთ, რათა ავტომობილის ფრთებს, მის შიდა ნაწილს არ მოედოს. ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიაქციოთ ეგრეთ წოდებულ „საბოლტეებსაც”. შეიძლება, დისკი იყოს ოთხ, ხუთ ან ექვსბოლტიანი და თან, მათ შორისაც არის განსხვავება. ნახვრეტების დაშორებებიც უნდა შეესაბამებოდეს თქვენს ავტომობილს. ასევე, საყურადღებოა, იმ კონკრეტულ დისკს როგორი ტიპის „გაიკა” ერგება. შეიძლება, იყიდოთ დისკი, მოარგოთ და უკვე არსებული „გაიკებით” მოუჭიროთ. ამან კი დისკის შიგნით არსებული კონუსი, სადაც „გაიკა” ჯდება, მოღუნოს ან კარგად ვერ ჩაჯდეს. ამის გამო კი ბორბალი საერთოდ ვერ მოუშვათ ან გააფუჭოს ხრახნი, დისკი ისე დააზიანოს, რომ ავტომობილს სულ დისბალანსი ჰქონდეს. ანუ, ჩვენ ვასწორებთ ბალანსს, დავდივართ და მაინც დისბალანსია. ასევე, მნიშვნელობა აქვს, რამხელაზეა დისკის გული ამოჭრილი. თუ ის უფრო დიდია, ვიდრე ავტომობილის გული, ფიზიკურად არ ჩაჯდება. ან შეიძლება, ჩაჯდეს, გვეგონოს, რომ მოვუჭირეთ და რეალურად, ასე არ იყოს. თუ უფრო განიერი გული აქვს დისკს, ვიდრე თქვენს ავტომობილს გამოზნექილი დისკის შესაცვამი ცენტრი, ის თავისუფლად ჩაჯდება და ცენტრს ვერ დაიჭერს და ამ დროს უნდა ეცადოთ, რომ ძალიან ფრთხილად მოუჭიროთ, რათა „ბოლტების” ხარჯზე მაინც ჩაჯდეს ცენტრში. ანდა, იყიდება სპეციალური პლასტმასის დასაფენები, ეგრეთ წოდებული „ვსტავკები”, რომელიც ავტომობილის ღერძს ეცმება, მერე დგება დისკი და მას ზუსტად უჭირავს ცენტრი. ამ დეტალებს დისკის დაყენების დროს იშვიათად თუ ვინმე აქცევს ყურადღებას, რეალურად კი, ძალიან საჭირო ინფორმაციაა.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: ამერიკულ მანქანებს საქართველოში საშინლად არ სწყალობენ. რისი ბრალია ეს?**

**პასუხი:** თუ ხარისხის დაწუნებაზე ვისაუბრებთ, მაშინ გააჩნია მარკას. ანუ, ვერ ვიტყვით, რომ ისინი ცუდი ხარისხისაა. უბრალოდ, ჩვენთვისაც და ევროპელებისთვისაც, მაინც უცხო სისტემად მიიჩნევა. ჯერ ერთი, რომ სიჩქარეც კი მილებში ითვლება. ელექტროსისტემებიც თავისებურადაა მოწყობილი, სხვანაირია ექპლუატაციის პირობები. ანუ, სხვაგან არიან *(იცინის).* სხვაგვარი სერვისი აქვთ. თუ ამერიკულ მანქანას შეიძენ, ავტომატურად, ბევრი თავსატეხი გიჩნდება.

**კითხვა: მინდა, შევიძინო ავტომობილი „მიცუბიში აუთლენდერი“, 2002 წლის, ამერიკული. როგორ დამიხასიათებთ ამ მოდელს, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს, რამდენ საწვავს წვავს ქალაქის და ტრასის პირობებში? და კიდევ ერთი, კითხვა: რას ნიშნავს AWD?**

**პასუხი:** ეს არის თავისი კლასისთვის საკმაოდ კარგი ავტომობილი. თუმცა, ქართული რეალობისთვის, ვგულისხმობ გზების უსწორმასწორობას, ბორდიურებს, აღმართ-დაღმართებს, ის არცთუ გამოდგება. „აუთლენდერის“ ამ პირობებში გამძლეობა ეჭვქვეშაა. მით უმეტეს, მისი სავალი ნაწილისთვის. ვფიქრობ, ის უფრო იაპონურ გზებზეა გათვლილი. მისთვის გერმანული გზებიც კი არ იქნებოდა მოსაწონი, იქ არსებული მაღალი სიჩქარის გამო. თუ უმეტესად მშვიდი სიარული გიწევთ და ქალაქის პირობებში გადაადგილდებით, მაშინ ამ ავტომობილის შეძენა მისაღებია. მაგრამ, თუ რაიონში გიწევთ სიარული ან მართვის აგრესიული სტილი გაქვთ, ამ ავტომობილს არ გირჩევთ. რაც შეეხება საწვავის მოხმარებას, მართვის ნორმალური სტილის შემთხვევაში, ის არ ცდება ქარხნულ პარამეტრებს. უფრო ზუსტად მხოლოდ მაშინ გაგცემდით პასუხს, თუ მეცოდინებოდა რომელი ძრავით აღჭურვილ მოდელზეა საუბარი. მაგრამ, ეს შეგიძლიათ, მარტივად გადაამოწმოთ თუნდაც ინტერნეტში, ქარხნული მონაცემების ნებისმიერ კატალოგში. რაც შეეხება AWD-ს, ის იშიფრება შემდეგნაირად All Wheel Drive, ანუ ყველა წამყვანი თვალი, შესაბამისად, ეს ავტომობილი ოთხივე წამყვანი თვლითაა აღჭურვილი. ის რომ იყოს FWD, მაშინ იქნებოდა Front Wheel Drive, ანუ წინა წამყვანი თვლებით აღჭურვილი.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**კითხვა: მსურს, შევიძინო ავტომობილი „ნისან მურანო“, 2004 წლის მოდელი. როგორ დამიხასიათებთ ამ ავტომობილს? ხშირად უგზოობაში სიარულიც მიწევს. ხომ არ მირჩევთ ამ ფასად რომელიმე სხვა მოდელს?**

**პასუხი:** „ნისან მურანო“ მიუხედავად თავისი დიდი მოცულობისა, მაინც არ არის უგზოობასა ან რთულ ზედაპირზე სასიარულოდ განკუთვნილი. ეს არის ავტომობილი, რომლითაც, პერიოდულად შეგიძლიათ, წახვიდეთ ბაკურიანში, გუდაურში, თუნდაც თოვლიან გზაზე, მაგრამ არა სანადიროდ, ტბებთან თუ მთის ძირში. თუ უგზოობაში ხშირად სიარული გიწევთ, ჩემი რჩევა იქნებოდა, აქცენტი უფრო „ტოიოტა ლენდკრუიზერის“ მოდელებზე გააკეთოთ, მაგალითად, „პრადოზე“. მიუხედავად, უბრალო შეხედულებისა, ამ პარამეტრებში ის საუკეთესოა. თუ „პრადოს“ ფასი თქვენთვის ძვირია, მაშინ არჩევანი „მიცუბიშის“ „პაჯეროზე“ შეაჩერეთ. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ „მურანო“ მოგწონთ, რაშიც ჩვენი გემოვნება ემთხვევა, თქვენთვის ვიზუალურად ერთიც და მეორეც მიუღებელი იქნება, რაშიც ასევე, დაგეთანხმებით.

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

- კავკას. ტყვე ქალის როლშია
- ქიმიური ელემენტი ლითონი
- სახლის წინაა / გერმან. ქალაქი
- 6
- ზღაპრის გოგონა / ქურქელი
- ვიწრო ფიცარი / ვოლგის შენაკადი
- ათენა ძველ რომში
- შუა აზიის სტეპების ქურციკი
- ალმოს. ზღაპრების ფრინველი
- ქალაქი ჩინეთში
- ერთ-ერთი სახარების ავტორი
- „ცისფერი“ იტალიურად
- ფრინველი
- გოგონა მხიარულ რომანში
- დაჯგუფება
- არაბული სახელმწიფო
- გერმანელი მწერალი
- ჩრდ.ამერიკის სახელმწიფო
- სახელი პროსპერ მერიმეს მოთხრობის პერსონაჟისა (........) ფალკონე
- 5
- კომენტატორი ნუგზარ...
- ჭიდაობის ილეთი
- XX ს ფრანგი მწერალ. ალბერ...
- პატარა ეკა
- ქარიბდის კოლეგა
- კოპიტი
- სვლაგეზის შესრულება
- ძალა, ენერგია
- ეს ბიჭი ბატებს გაჰყვა
- ლამბაქზე დასადები
- ძვ.საბერძნეთის რეგიონი
- საზოგადოების ფენა
- კვერცხში არის
- რაჭაშია
- ჩემგან და შენგან შორს
- გვადი ბიგვას მოქიშპე სოფელი
- თვალის ლორწოვ. გარსის ანთება
- დაჯავშნული რკინის მანქანა
- დიდი შალაშინი
- თანაჟღერადობა
- ქართული ზღაპარი
- პატარა ნაპრალი
- არტურ (.......) დოილი
- კაუზა
- მუსიკალური საკრავი
- ჩუკოტკის ცენტრი
- (......) ჩელენტანო
- ჭიქა ასეთიც არის
- 2
- „იქ“ – ძველი სიტყვა
- დასაბანი ადგილი / ჭამს პურს
- ვითომ მიგვილებს?
- აფრიკის სახელმწიფო
- ბრძოლის ნადავლი
- ნახევარი დოლი
- 3
- გერმანიის მდინარე
- უძირო კასრის ამვსები
- უმეცარი
- მესამე პირი
- პოლონელი კინორეჟისორი
- ცეცხლსასროლი იარაღი
- სიკვდილისპირა ყოფა
- საფრანგეთის ქალაქი
- „შეხვედრა წარსულთან“ პერსონ.
- ჩვენი უნივერსიტეტი
- ინგლ. მწერალი ივლინ...
- აკრძალვის სიტყვა
- მონტეკრისტო
- ფადეევის (......) გრომოვა
- ლაქა სხეულზე
- ნარნარი ფრენა
- არაჩვენებური
- ფიცხი, გადარეული




- ძალიან მსუბუქი
- 4
- სასიმინდე
- კვიპროსის ქალაქი
- მმართველი ჯგუფი / მსახიობი (......) ბერნარი
- მეფე ლომი
- (.......) ისაკაძე
- 1
- რუსი პოლიტიკოსი
- განთიადი
- უარი
- ცეცხლის ენა
- პატიმრის თანმხლები
- ესპანეთის გუნდი (მოკლედ)
- წვერის საღებავი
- ბგერის მახასიათებელი რამ
- ჩვენი პოეტი ალექსანდრე
- (........) გეგელია
- კროსვორდის დასასრული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 1 | 1 | 4 | 6 | | | | | | | 3 | | 2 | | | | | | | |
| | | | | | | | | | | 1 | 2 | 2 | 3 | | | | | | | 5 | 1 | 7 | 1 | 1 | 2 | | | | |
| | | | | | | | | | | 5 | 3 | 1 | 4 | 12 | 15 | 8 | 7 | | 5 | 9 | 6 | 3 | 12 | 16 | 10 | 1 | | | |
| | | | | | | | 1 | 1 | 2 | 2 | 4 | 2 | 3 | 1 | 1 | 2 | 6 | 13 | 12 | 1 | 7 | 2 | 2 | 2 | 2 | 6 | | | |
| 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 3 | 3 | 2 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 5 |
| | | | 2 | 3 | 1 |
| | | | 4 | 1 | 1 |
| | | 1 | 3 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 3 | 1 | 1 |
| | | 4 | 3 | 3 | 1 |
| | | | 1 | 3 | 6 |
| | | | 2 | 2 | 7 |
| | | | 1 | 2 | 6 |
| | | | 1 | 5 | 7 |
| | | | 1 | 6 | 6 |
| | | | 2 | 7 | 5 |
| | | | 1 | 7 | 5 |
| | | | 2 | 7 | 4 |
| | | | 2 | 7 | 4 |
| | | | | 9 | 3 |
| | | | 1 | 2 | 8 |
| | | | 1 | 1 | 8 |
| | | | 1 | 2 | 6 |
| | | | 1 | 2 | 6 |
| | | | | | 14 |
| | | | 6 | 3 | 4 |
| | | | 6 | 8 | 3 |
| | | 7 | 4 | 3 | 3 |
| 4 | 3 | 3 | 7 | 3 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 3 | 2 | | 7 | | 4 | 8 |
| | 6 | 8 | | 3 | | 9 | 7 | |
| | 7 | | | 6 | | 3 | | 1 |
| 4 | | | 6 | | 3 | | 9 | |
| | 5 | | | 2 | | | | 4 |
| 3 | | 2 | 5 | | 4 | | 6 | |
| | 2 | | 3 | | | | 1 | 9 |
| 6 | | 1 | 9 | | 5 | | | |
| | 3 | 9 | | 4 | | 5 | 8 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 5 | | 6 | | | 7 | |
| | 6 | | | 8 | | 4 | | |
| | | | 5 | | 2 | | 9 | |
| | 4 | | 8 | | 6 | | | |
| 2 | | | | 4 | | | 6 | |
| | 3 | | | 7 | | 8 | | 5 |
| | | | | 2 | | 3 | | 6 |
| | 9 | | 1 | | | | 2 | |
| 4 | | 3 | | 5 | | | 1 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად







# იპოვეთ ათი განსხვავება





# დაეხმარე გზის გაკვლევაში







# დათვალე ფისუნიები



# ვარსკვლავთმრიცხველი (იგავ-არაკი)

ერთი ვარსკვლავთმრიცხველი ყოველღამე გარეთ გამოდიოდა და ვარსკვლავებს აკვირდებოდა. ერთხელ ქალაქის გარეთ მთელი გულისყური ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი, ჭა ვერ შეამჩნია და შიგ ჩავარდა. დაბეგვილმა მოთქმა და ტირილი მორთო. გზაზე ვიღაცამ გამოიარა და კაცი რომ არ ყოფაში ნახა, – კაცო, რა მოგსვლიაო? – ჩასძახა. როცა მიზეზი გაიგო, უთხრა:

– შე დალოცვილო, მიწისა ვერა გაგიგია რა და ცისა, აბა, რა უნდა გაიგოო?

ზოგს უბრალო რამ ვერ გადაუწყვეტია და დიდსა და მიუწვდომელს კი ეპოტინებაო, – ამბობს არაკი.

# რიცხვრებუსი

,20, 20,, ,,,,13, 0,,, 1,,,





# დღესასწაული სულ თან დაგყვებათ?!

*ზოგიერთი ადამიანისთვის ყოველი დღე დღესასწაულია და განსაკუთრებული შემთხვევები არ სჭირდება იმისთვის, რომ გარშემომყოფებსაც აჩუქოს სიხარული. თქვენ ხართ ასეთი ადამიანი?*

*როგორ იქცევით ახალი წლის დღესასწაულის შემდეგ. რას უშვრებით საახალწლო მისალოცებს, სუვენირებსა და აქსესუარებს. ამოირჩიეთ ოთხი სავარაუდო პასუხიდან ერთი და ნახეთ შედეგი.*

**1. ვტოვებ გამოსაჩენ ადგილას. როცა შევხედავ, განწყობა გამიუმჯობესდება;**

**2. ერთ-ორ აქსესუარს დავტოვებ თაროზე – ინტერიერის გასალამაზებლად;**

**3. ისე შევინახავ, რომ თვალში არ შემეჩხიროს და ფეხებში არ მომედოს;**

**4. ვათავსებ კარადაში, მათთვის განკუთვნილ ადგილას, ლამაზად და სუფთად შეფუთულს.**

*შედეგები: თუ პირველი ვარიანტი შეარჩიეთ: თქვენ სპეცეფექტების მოყვარული ხართ. ყურადღებასაც გარეგნობითა და მანერებით იპყრობთ. ხშირად იღიმებით, გიყვართ ხუმრობა და აფასებთ კარგ იუმორს. გახარებთ ყველაფერი ნათელი, მზიანი დღეც კი. თუ ქალბატონი ბრძანდებით, ფრთხილად იყავით, ასეთ არაჩვეულებრივ პიროვნებას, მძიმე ხასიათის მამაკაცი არ შეგხვდეთ ცხოვრების თანამგზავრად. თუმცა, თქვენი იშვიათი ენერგია და პოზიტივი, პრობლემებს ნაკლებად შეგიქმნით. ოჯახურ ტირადასაც კი ანეკდოტად გადააქცევთ.*

*ვარიანტი 2. გარეგნულად არ გეტყობათ, რომ ხალისიანი და მხიარული ადამიანი ხართ. ზედმეტ გახსნილობას ერიდებით. თუმცა, ნაცრისფერ ერთფეროვნებას თავს არ აჩაგვრინებთ. შეგიძლიათ, ნებისმიერ წუთს მოუწყოთ საკუთარ თავს დღესასწაული, თუკი ამისი მოთხოვნილება გაგიჩნდებათ. ზოგჯერ თუ მოიწყენთ, ამით არაფერი შავდება. ნერვიულ სისტემას დაასვენებთ და ხალისი ისევ დაგიბრუნდებათ.*

*ვარიანტი 3. დაიხსომეთ აბსოლუტური ბედნიერება არ არსებობს. ამიტომ, შეეცადეთ, დატკბეთ ცხოვრებით. მუდმივად შობა-ახალი წელი ვერ იქნება, რომ იმხიარულოთ. თუმცა, კარგი განწყობისთვის ბევრი სხვა მიზეზიც არსებობს. უბრალოდ, უნდა შეძლოთ და დაინახოთ ეს.*

*ვარიანტი 4. „გაუცინარი პრინცესასავით“ ხართ. საკუთარი დაბადების დღეც კი არ გახარებთ, იმიტომ რომ, ის თქვენს ჩვეულ რეჟიმს არღვევს. ახალ წელს ყველაფერი გეზარებათ. ვერ იგებთ, ხუმრობას და ძალიან გიჭირთ ადამიანებთან ურთიერთობა. სტუმრები იმიტომ არ გიყვართ, რომ ისინი სახლს გირევენ. რატომ არ გინდათ, რომ წელს მაინც, თქვენი ცხოვრება შეცვალოთ? ეს სიხარულს გაგრძნობინებთ. ნუ ფიქრობთ იმას, რომ ინტელექტუალისთვის ანცობა შეუფერებელია, პირიქით!*

## ტკბილი ცხოვრება

შუა საუკუნეებში შაქარი, როგორც წამალი მხოლოდ აფთიაქებში იყიდებოდა. ადამიანებს უხსოვარი დროიდან მოსწონდათ ტკბილეული. როდის გაუსინჯეს თაფლს გემო, არავინ იცის, მაგრამ აი, შაქრის ამბავი კი გარკვეულია. შაქარი – სიტყვა წარმოიშვა სანსკრიტული „სარკარისგან“, რაც ტკბილს ნიშნავდა. სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ხალხები შაქარს სხვადასხვა მცენარისგან აწარმოებდნენ. ზოგი ლერწმის წვენიდან, ზოგი სოიისგან, ზოგიც – ჭარხლისგან. ეგვიპტელები მას პალმის ხისგან იღებდნენ. თუმცა, ძალიან მცირე რაოდენობით. ევროპელებს კი ჯვაროსნულ ომებამდე საერთოდ არაფერი სმენოდათ შაქრის შესახებ. როცა ჯვაროსნები ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, სირიასა და პალესტინაში შაქრისგან უკვე ამზადებდნენ ტკბილეულს. მეცამეტე საუკუნეში შაქრის ლერწმის პლანტაციები სამხრეთ იტალიასა და საფრანგეთშიც გაჩნდა.



თუმცა, მოსავალი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ინდოეთში. ამიტომ, ის აფთიაქებში იყიდებოდა. ყველას უნდოდა შაქრის გასინჯვა. შაქრით ვაჭრობა საუკეთესო ბიზნესად იქცა. ინდოეთისკენ მიმავალ მოკლე „შაქრის გზას“ ეძებდნენ ვასკო და გამა და ქრისტეფორე კოლუმბი. პორტუგალიელებმა სწრაფად აითვისეს ლერწმიდან შაქრის მიღების კულტურა. 1676 წლიდან ბარბადოსიდან ინგლისში ყოველწლიურად შაქრით დატვირთული ოთხასი ხომალდი მიემართებოდა, თითოეულზე –150 ტონა შაქარი იყო.

ამერიკაში შაქრის წარმოება მხოლოდ 1751 წელს დაიწყო. შაქრით ევროპის მთავარი მომმარაგებელი საფრანგეთი იყო, სანამ იქ რევოლუცია არ მოხდა. თავადაც დიდი მომხმარებელი იყო ამ პროდუქტის. მარტო 1789 წელს 80 ათასი ტონა შაქარი მოიხმარა. დღეს შაქარი ყველა ოჯახს აქვს და ძნელი დასაჯერებელია, რომ ოდესღაც ნახევარ კოვზსაც კი ოქროს ფასი ჰქონდა და ფუფუნების საგანი გახლდათ.

## ქსოვილი – ღილების შარავანდედში

ძველი ელინებისთვის აბრეშუმი ღვთის საჩუქარი იყო და მას ღვთაებასავით სცემდნენ პატივს. ზოგადად, ქსოვილს საკმაოდ დიდი და საინტერესო ისტორია აქვს.

ტილო იყო პირველი ქსოვილი, რომლის დამზადებაც ადამიანმა ისწავლა. მისი ასაკი 9 ათას წელს ითვლის. პირველად ის ინდოეთის მაღალმთიან რაიონებში შექმნეს. 2 ათასი წლის შემდეგ ტილოს ქსოვილმა ასირიამდეც მიაღწია. შემდეგ უკვე ბაბილონსა და ძველ ეგვიპტეშიც შევიდა, ანუ, თუ ჩვენ დღეს ნატურალური ქსოვილის ტანსაცმელი გვაცვია, ინდოელებს უნდა ვუმადლოდეთ. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საოცარი ქსოვილების შექმნაში ისინი დღემდე არავის უთმობენ პირველობას. თანამედროვეობა წალეკა ხელოვნურმა ბოჭკომ და ხელოვნურმა ქსოვილებმა. პირველი ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი დაამზადა ამერიკულმა ფირმა „დიუპონმა“ – 1938 წელს, შეიქმნა ნეილონი. ეს ტექნოლოგიური რევოლუციის ტოლფასი გახლდათ. გაჩნდა უცნაური ქსოვილები, ცეცხლგამძლე, ლითონივით მკვრივი და ფოლადგაუმტარი, წყალგამძლე და ქარგაუმტარი. ასევე, აკრილის ქსოვილები. 1959 წელს „დიუპონმა“ სახელგანთქმული და მთელ მსოფლიოში პოპულარული ლაიკრა შექმნა. მიუხედავად პროგრესისა, ოცდამეერთე საუკუნეში ყველაზე მოდურად ნატურალური – ტილო, აბრეშუმი და ბამბის ქსოვილები რჩება.

აბრეშუმზე აღფრთოვანებით წერდა პლუტარქე: „მსუბუქზე მსუბუქი... პრიალა და გლუვი... მოსახერხებელი წლის ნებისმიერ დროს...“

ძველ რომში აბრეშუმს წვეულებების დროს მაგიდებზე აფარებდნენ. ჩრდილოეთის ქვეყნებში აღმოსავლელი ვაჭრები აბრეშუმს ფულის ნაცვლად იყენებდნენ და წარმატებით ვაჭრობდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# მედიცინა – სამხილი

## ერიკ ამბლერი

სკოტლანდ-იარდის კომისრის თანაშემწე მერსერი შეშფოთებული და შეწუხებული იყო, გაბრაზებულიც კი. ცოტა ხნის წინ მას ჩეხმა კოლეგამ, სამედიცინო ექსპერტმა, დოქტორმა ჩისარმა დაურეკა და მიღება სთხოვა. ეს ჩისარი ინგლისში ემიგრანტად ცხოვრობდა. მას თავად ინგლისის შინაგან საქმეთა მინისტრი, სერ ჰერბერტი მფარველობდა და უდიდეს პროფესიონალადაც მიაჩნდა. საქმე ის იყო, რომ ნახევარი წლის წინ ჩეხმა დოქტორმა დოკუმენტების გაყალბების ურთულესი საქმე გახსნა, რომელზეც სკოტლანდ-იარდი დიდხანს იმტვრევდა თავს. მერსერი ვერ იტყოდა, რომ ჩეხი კოლეგა შესძულდა, მაგრამ, პროფესიული თავმოყვარეობა ძალიან შეელახა. ახლაც რომ აცნობა, ბროკ-პარკის საქმესთან დაკავშირებით ერთი საათი უნდა დამითმოთო, გუნება გაუფუჭდა. ბროკ-პარკში ცხოვრობდა ვინმე ტომას მედლი, შეძლებული საქმოსანი. დაქვრივებულმა, 64 წლის ასაკში მეორედ იქორწინა და ცოლად მხატვარი, 41 წლის ჰელენა მერლინი შეირთო – ვნებიანი და ელეგანტური ქალი. პირველი ქორწინებიდან ტომასს ორი შვილი ჰყავდა: ვაჟი, 24 წლის ჰაროლდი, სამედიცინო ჰოსპიტალში გადიოდა სტაჟირებას, 19 წლის ქალიშვილი ჯანეტი კი, ერთი მორცხვი და უფერული გოგო, მათ ოჯახში მომხიბვლელი და ყოველთვის ძვირფასად ჩაცმული დედინაცვლის გამოჩენამ კიდევ უფრო გამოკეტა საკუთარ ნაჭუჭში. ჰელენა მერლინი მოდერნისტი მხატვარი იყო და, როგორც ამბობდნენ, მისი ტილოები კარგ ფასად იყიდებოდა. მისტერ ტომასმა საკმაოდ დიდი კაპიტალი დააგროვა, აქციები მილიონად გაყიდა და თავის შესანიშნავ მამულში მებაღეობას მიჰყო ხელი. მას გასტრიტი აწუხებდა, რომელიც დროდადრო ძალიან უმწვავდებოდა ხოლმე. ოქტომბრის დასაწყისში კი ღვიძლის ანთებაც დაემართა და რამდენიმე დღე ივადმყოფა. ექიმმა წამლები გამოუწერა და ტომასიც ცოტა მომჯობინდა, მაგრამ, ერთ საღამოს ექიმი სასწრაფოდ გამოიძახეს მასთან. ავადმყოფი აღებინებდა და ტკივილებისაგან იკრუნჩხებოდა. ყველა საშუალება ამაო გამოდგა – მეორე დღეს, შუადღისას, ტომასი გარდაიცვალა. ექიმმა თავდაპირველი დიაგნოზი – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე ანთება – მას შემდეგ დააყენა ეჭვქვეშ, რაც ბროკ-პარკის დასახლებაში გავრცელდა ხმები სერ ტომასის მოწამვლის შესახებ. პოლიციამ ვერ გაიგო, სად იყო ამ ხმების პირველწყარო, მაგრამ, სამინისტროსთან შეთანხმებით, სკოტლანდ-იარდმა გვამის ექსჰუმაცია მოითხოვა და გვამს გამოკვლევა ჩაუტარდა. მართლაც, ღვიძლსა და თირკმელებში დარიშხანის სასიკვდილო დოზა აღმოჩნდა და საქმეც აღიძრა. გაირკვა, რომ იმ საღამოს ტომასმა მოხარშული ინდაურის ხორცი და დაკონსერვებული ისპანახი მიირთვა, მერე კი წამალი დააყოლა, რომელიც მას ვაჟიშვილმა მოუტანა. მანამდე წამალს ცოლი ან ქალიშვილი აძლევდა ხოლმე. გაირკვა ისიც, რომ რამდენიმე კვირით ადრე ჰაროლდმა მამასთან იჩხუბა: ტომას მედლიმ შეიტყო, რომ მის ვაჟს საცოლე ჰყავდა – ექთანი, რომელზეც დაქორწინებას აპირებდა. ამის გამო შვილს საშინელი სკანდალი მოუწყო და ფინანსების შეწყვეტითა და მემკვიდრეობის ჩამორთმევით დაემუქრა. პოლიციამ სასწრაფოდ დააპატიმრა ახალგაზრდა ჰაროლდი, რომელსაც მამის სიკვდილი ასი ათასი ფუნტი სტერლინგით უზრუნველყოფდა. ამდენივეს იღებდა ტომასის ქალიშვილიც, ხოლო, მემკვიდრეობის მეორე ნახევარი – ორასი ათასი ფუნტი სტერლინგი – ქვრივს რჩებოდა. პოლიციას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ტომასი ჰაროლდმა მოწამლა, რომელსაც წვრილი ვალებიც დაუგროვდა, მამა კი ფულს არ აძლევდა. ერთ თვეში მას სასამართლო ელოდა და, აი, უცებ, ეს ჩეხი მეტიჩარა, ყველაფრის თავდაყირა დაყენებას აპირებდა...

მერსერმა ამოიოხრა და მის კაბინეტში შესულ ჩისარს მიაჩერდა:

– გისმენთ, დოქტორო. თუმცა, ახლავე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ბროკ-პარკის საქმეში ყველაფერი ცხადზე ცხადია: დამნაშავე დაკავებულია და სიმართლეც მალე აღსრულდება.

– მეც ეგ მინდა, რომ სამართალი აღსრულდეს. მაგრამ, თქვენ შეცდით, ის ახალგაზრდა კაცი მკვლელი არ არის.

– ის მკვლელია და ყველა სამხილი ამაზე მიუთითებს. სამედიცინო ჰოსპიტლის სტაჟიორს დარიშხანის შოვნა არ გაუჭირდებოდა. მოტივიც ჰქონდა – ვალები, საცოლე, რომლის გამოც მამასთან პრობლემები ჰქონდა და მემკვიდრეობის ნაწილი...

– მაგ ოჯახში გაცილებით მეტი ვალი სხვას ჰქონდა, – დოქტორმა კეთილად გაიღიმა და თითები გაატკაცუნა, – და მემკვიდრეობაც გაცილებით მეტი მიიღო.

– ვის გულისხმობთ? – მოიღუშა კომისრის თანაშემწე.

– ქვრივს... როდისმე გინახავთ მისი ნახატები? ან, დაინტერესებულხართ, რამდენად ყიდის თავის ტილოებს?

– არა. ჯერ ერთი, მე მოდერნისტული მხატვრობა არ მიყვარს და, თანაც, ამას საქმესთან რა კავშირი აქვს?

– პირდაპირი, – გამოცოცხლდა დოქტორი ჩისარი, – ახლავე მოგახსენებთ. დავიწყოთ გარდაცვლილის სხეულში აღმოჩენილი დარიშხანით. ის მხოლოდ თირკმელებსა და ღვიძლში დალექილი აღმოაჩინეს. ეს კი ნიშნავს, რომ მკვლელმა გამოიყენა დარიშხანის ის ანჰიდრიდი, რომელიც წყალში არ იხსნება. სხვა შემთხვევაში, შხამი თირკმელებსა და ღვიძლში არ იქნებოდა. განვაგრძობ: შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ დარიშხანი წყალში არ ყოფილა. ახლა ქალბატონის ვალებზე მოგახსენებთ. მე ვიყავი გალერეაში, მის მეპატრონეს ველაპარაკე და გავარკვიე, რომ ჰელენა მერლინი თავის ტილოებს სულ რაღაც ოც-ოცდაათ ფუნტად ყიდდა, თანაც, წელიწადში მაქსიმუმ რვა-ათ ნამუშევრამდე. არც ისე დიდი შემოსავალია, ხომ მეთანხმებით?! დაკრძალვაზე კი ეცვა ქურქი, რომელიც ექვსასი ფუნტი ღირს. საერთოდაც, ძალიან მდიდრულად იცვამდა და იშვიათ სამკაულებსაც ატარებდა. გეკითხებით, საიდან?

– ეტყობა, ქმარი ყიდულობდა, – მხრები აიჩეჩა მერსერმა, – ეს სამხილი არ არის.

– დამაცადეთ, ჯერ არ დამისრულებია. ტომას მედლი მდიდარი კი იყო, მაგრამ, ძალიან ძუნწიც გახლდათ. მე გავარკვიე – იმ ქურქის ფული ჯერაც არ აქვს ქვრივს გადახდილი – საიუველირო სალონის მეპატრონემ მითხრა, ვემუქრებოდი, რომ მის ქმართან მივიდოდი, თუ ჩეკებს არ გამინაღდებდაო. ხვდებით, რასაც ვგულისხმობ? რაში სჭირდება ახალგაზრდა, ლამაზ, მიმზიდველ ქალს ბებერი და ავადმყოფი ქმარი, თუ არც გაანებივრებს და მის კაპრიზებსაც არ დააკმაყოფილებს? აბსოლუტურად არაფერში. მით უმეტეს, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში სერიოზული ქონების პატრონიც გახდებოდა... მერე ჰელენას ნახატები... მის პეიზაჟებში მინდორი ლურჯია, ცა კი – თვალის მომჭრელად ზურმუხტისფერი. ასეთი ზურმუხტისფერი არასდროს მინახავს. შევხედე ნახატებს და მაშინვე ვიფიქრე, აქ რაღაც ისე ვერ არის-მეთქი.

– დოქტორო, ბარემ ბოლომდე თქვით სათქმელი... – დაიგმინა მერსერმა.

– ახლავე მოგახსენებთ, ახლავე. მოკლედ, ასეთი საოცარი ზურმუხტისფერი მხოლოდ საღებავში თეთრი დარიშხანის შერევით შეიძლება მიიღოთ. აიღეთ მისის ჰელენას ტილოებიდან საღებავის სინჯი, გაუკეთეთ მას ანალიზი და მაშინვე დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში. საღებავების დამამზადებლებიც იმავეს იტყვიან. სერ ტომასი ცოლმა მოწამლა – მან დარიშხანი ქმარს ისპანახზე მოუყარა. ისპანახი ცოტა პირს უშუშხავს და დარიშხანის გემო შეუმჩნეველი დარჩებოდა. გარდა ამისა, გინახავთ სადმე, ან, გსმენიათ, რომ მწვავე გასტრიტიანი ავადმყოფისთვის, რომელმაც სულ ახლახან შეტევა გადაიტანა, ისპანახი ეჭმიოთ?

– მგონი, მართალი ხართ, – მერსერი ტელეფონის ყურმილს დასწვდა...

– რას აკეთებთ?

– კომისარს ვურეკავ... დოქტორო ჩისარ, არ შემიძლია, არ დაგეთანხმოთ. მაინც, საიდან იცით ამდენი?.. თუმცა, ამას ახლა მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ის ახალგაზრდა გავათავისუფლოთ და ნამდვილი მკვლელი დავაკავოთ.

– ჩემი მისია შესრულებულია, – ჩისარმა გაიღიმა, – მე მხოლოდ ის მინდა, რომ სამართლიანობა აღსრულდეს...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №1-2(681)

თამაში დაიწყო. თორნიკე ძალიან ცდილობდა, კარგად ეთამაშა – უნდოდა, დიმიტრის შეექო. ყოველ წუთში ტრიბუნებისკენ იყურებოდა, რომ მამისთვის შეეხედა



და მიმხვდარიყო, მოაწონა თუ არა თავი. დიმიტრი კი ეკლებზე იჯდა. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ჩუმად წამოდგა და წელში მოხრილი გავიდა, უფრო სწორად – გაიპარა ტრიბუნიდან. სანამ სტადიონიდან გავიდოდა, ერთხელ კიდევ გახედა შვილს – დამინახა თუ არაო და შეცბა: ბურთიანად საჯარიმოსთან მისული თორნიკე გაშეშებული იდგა და იმ მხარეს იყურებოდა, სადაც მამა ეგულებოდა. ბიჭს არ გაუგია, როგორ აართვეს ბურთი. ქაღალდივით გათეთრებული, გაუნძრევლად იდგა და სახეზე გაოცება და სასოწარკვეთილება ერთად აღბეჭდვოდა. მერე, ძალიან ნელა, შენელებული კადრივით მძიმედ და დაყოვნებით, გასასვლელისკენ გაიხედა და მამის მზერას შეეფეთა. ის გამოხედვა არასდროს დაავიწყდება დიმიტრის: სიძულვილი, განბილება და ელდა ერთად იყო თავმოყრილი პატარა ბიჭის თვალებში. ...და, დიმიტრი მაინც წავიდა. ერთი კი გასძახა შვილს, ახლავე მოვალო და სტადიონიდან გავიდა. იქვე ახლოს მისი ძმაკაცი ცხოვრობდა და იფიქრა, დათოს რამე კარგი სასმელი ექნება, ცოტას დავლევ „პახმელიაზე“ და უკან დავბრუნდებიო, მაგრამ, ჭიქას ჭიქა მოჰყვა, სადღეგრძელოს – სადღეგრძელო და შვილი საერთოდ დაავიწყდა. რომ გაახსენდა, უკვე კარგა მაგრად ბნელოდა. დიმიტრის, ცოტა არ იყოს, შეეშინდა და სტადიონზე ტაქსით მივიდა. ირგვლივ კაციშვილის ჭაჭანება არ იყო, თოკო მარტო იჯდა გრძელ სკამზე, მოკუნტული და აბუზული. სულ ერთიანად კანკალებდა და, შიშისგან, წყენისგან თუ სიცივისგან, სახეზე ფერი არ ედო.

დიმიტრი დაიბნა. არ იცოდა, რა ეთქვა, რით ემართლებინა თავი. ბოლოს რაღაც უნიათოდ ამოღერღა:

– ჰო, კარგი, ბოდიშს გიხდი, ძალიან სერიოზულ საქმეზე მქონდა შეხვედრა და დროზე ვერ მოვედი. ადექი, წავიდეთ.

– არყის სუნი აგდის, – გამოსცრა თორნიკემ.

დიმიტრიმ პასუხი ველარ მოძებნა. მთელი გზა ჩუმად იარეს. სახლს რომ მიუახლოვდნენ, გააჩერა შვილი და უთხრა:

– მართალია, ჩემზე ნაწყენი ხარ, მაგრამ, ერთ რამეს გთხოვ და, ძმურად, უარი არ მითხრა. შემისრულებ?

– რა გინდა? – აგდებით ჰკითხა თოკომ.

დიმიტრის ტონი არ მოეწონა და კინაღამ უყვირა, ცოტა წესიერად ილაპარაკეო, მაგრამ, ახლა ჩხუბი არ აწყობდა და შემრიგებლური პოზიცია არჩია:

– კაცურად გთხოვ, დედაშენს არ უთხრა. არ დამიჯერებს, საქმეზე რომ ვიყავი და ერთ ამბავს დამაწევს.

– რა, უნდა დაგიჯეროს? – ირონია და გესლი გაურია თორნიკემ ხმაში.

დიმიტრიმ ისევ „ჩაყლაპა“, არადა, ძლივს შეიკავა თავი, რომ ერთი კარგად არ წამოარტყა ამ თავხედ ლაწირაკს:

– კაცურად გთხოვ-მეთქი. ბოლო-ბოლო, რა მოხდა ისეთი, ცოტა დამაგვიანდა. რა, ქვეყანა დაინგრა?

– კარგი, დედას არ ვეტყვი, მაგრამ, იცოდე, მე ყველაზე ცუდი მამა მყავს ჩემს საძმაკაცოში.

დიმიტრის გულზე მოხვდა შვილის სიტყვები, მაგრამ, ისევ გაჩუმდა, რადგან, მთავარი მიღწეული იყო – ზუსტად იცოდა, რომ თოკო არაფერს ეტყოდა ნანიტას.

რამდენიმე დღის განმავლობაში მამა-შვილი ერთმანეთს თვალს არიდებდა, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში თუ გაცვლიდნენ ორიოდ სიტყვას. ორი კვირის თავზე კი დიმიტრის თოკოს მწვრთნელმა დაურეკა:

– კვირას, 3 საათზე, საქართველოს ჩემპიონატი ტარდება და მთელი გუნდიდან მარტო თოკო შევარჩიეთ ნაკრებში სათამაშოდ. პირადად გთხოვთ, როგორმე მოიცალოთ და თამაშს დაესწროთ. მატჩის შემდეგ მამების კრებაა, რაღაც საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი. აუცილებლად უნდა მობრძანდეთ. თქვენი შვილის გაგზავნას ვგეგმავთ ინგლისის საფეხბურთო სკოლაში და ამასთან დაკავშირებით უნდა მოგელაპარაკოთ.

– კი ბატონო, შევეცდები, თუ რამე გაუთვალისწინებელი მიზეზი არ გამომიჩნდა.

– რამდენიმე დღით ადრე იმიტომ გატყობინებთ, რომ კვირისთვის არაფერი დაგეგმოთ, – ცოტა არ იყოს, გაუკვირდა მწვრთნელს, – ეს ძალიან მნიშვნელოვანია თოკოს მომავლისთვის.

კვირა დღეს თოკო დილით ადრე წავიდა სტადიონზე – ამხანაგის მამამ წაიყვანა. დიმიტრის ჯერ კიდევ ეძინა. ბიჭი ისეთი გახარებული იყო, რომ წყენა დაავიწყდა და დედას სთხოვა:

– დე, შეახსენე, რა, მამას, არ დაავიწყდეს, 3 საათზე იქ იყოს. ოღონდ, შენ არ წამოჰყვე. იქ რომ დაგინახავ, ველარ ვითამაშებ.

– კარგი, დედიკო, შევახსენებ.

ნანიტამ დილითვე შეახსენა ქმარს.

– მივალ, – დაეთანხმა დიმიტრი, – ოღონდ, ჯერ ფირმის საქმეზე მაქვს შეხვედრა, იქიდან წავალ, – და, 12 საათზე სახლიდან გავიდა.




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო......................................

მარიკა 599 24 28 31

„ფირმის საქმეზე“ შეხვედრა თანამშრომლის აგარაკზე შედგა, სადაც დიმიტრის ორ მეგობართან ერთად, სამი „კალთამადლიანი“ ქალბატონიც ბრძანდებოდა და, ცხადია, დიმიტრი სტადიონზე „ვერ“ წავიდა.

ეს იყო ბოლო წვეთი – თოკომ საერთოდ დაანება თავი ფეხბურთზე სიარულს და მამის მიმართ გაუცხოება და უნდობლობა ჩამოუყალიბდა. დიმიტრიმ კი, იმის ნაცვლად, რომ რამენაირად გამოესწორებინა სიტუაცია, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაჩუმებულიყო მაინც, მთელი დღეების განმავლობაში თავის ოთახში შეკეტილ შვილს კარი შეუღო და საკმაოდ გაღიზიანებულმა, დაუფარავი ირონიითა და ნიშნისმოგებით უთხრა:

– იცი, რას გეტყვი? ახლა, ყველაფერს მე ნუ დამაბრალებ! შენ თამაში არ იცოდე, მე რა შუაში ვარ? მაგარი თუ ხარ, ისეც შეგამჩნევენ. პელეს, რა, სულ კუდში დასდევდა მამამისი?

თოკომ გამოხედა დიმიტრის და ერთადერთი სიტყვა მიუგდო:

– მეზიზღები!..

დიმიტრი გადაირია, კარი შეგლიჯა და ყვირილითა და გინებით მივარდა შვილს:

– მოვკლაევ ამ ლაწირაკს! როგორ მიბედავს! ამას რომ არაფერი მოაკლდეს, თავდაყირა ვდგავარ და მადლობის მაგიერია? იმ დღეს იმ შეხვედრაზე რომ არ წავსულიყავი...

– გეყოფა! – ისტერიულად შეაწყვეტინა ნანიტამ ეს ყალბი მონოლოგი და მამაშვილს შუაში ჩაუვარდა, – გეყოფა, შე ნაძირალა! გაიგო ბავშვმა, რა შეხვედრაზეც იყავი და ვისთან ერთადაც ბრძანდებოდი! თითი არ დააკარო, თორემ, ჩემი ხელით მოგიღებ ბოლოს!

ასეთი გაგიჟებული ცოლი არასდროს უნახავს. ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ, მაინც არ გაიტეხა იხტიბარი:

– ჭკვიანად იყავით, თორემ, ორივეს დედას მო...ვთ! შენ კი, ლაწირაკო, გასწავლი, მამასთან როგორ უნდა ილაპარაკო! წესიერად მომექეცი, თორემ... – და დიმიტრიმ გაფითრებულ ბავშვს საკინძეში ჩაავლო ხელი.

თორნიკემ თვალი თვალში გაუყარა და სიძულვილით აღსავსე ხმით ჩაისისინა:

– მე მამა არა მყავს...

– რა თქვი?! – გაოგნდა დიმიტრი, – გაიმეორე, რა თქვი! – იღრიალა და ბავშვი მთელი ძალით შეაჯანჯღარა.

– მეზიზღები და მეცოდები!.. – ამოიხრიალა თოკომ და გული წაუვიდა.

**ნანიტა**

(19 წლის წინ)

საავადმყოფოდან რომ დაბრუნდა, ისე ცუდად იგრძნო თავი, ეგონა, რომ ყველაფერი დამთავრდა. ძლივს მიაღწია ონკანამდე. ჯერ ერთი ჭიქა წყალი დალია სულმოუთქმელად, მერე კი ჭავლს შეუშვირა თავი. კარგახანს იდგა ასე წელში მოხრილი და წყალი ნაკადულებად ჩამოსდიოდა სახეზე. მერე, სული ოდნავ რომ მოითქვა, სკამზე ჩამოჯდა და თავი ხელებში ჩარგო. თმიდან ჩამონაწური წყალი ფეხებთან გუბედ გროვდებოდა, ნანიტა კი უაზროდ უყურებდა იატაკისკენ მფრინავ წვეთებს და თავის უცნაურ ბედზე ფიქრობდა.



დიმიტრის გაცნობა გაახსენდა: იმ დღეს გუგამ ცოლობა სთხოვა და ნანიტამ თანხმობა უთხრა. ორი წელი ხვდებოდნენ ერთმანეთს და, ისე შეეჩვია, ვერც კი წარმოედგინა, რომ, შეიძლებოდა, სხვა გამხდარიყო მისი ქმარი. მართლა უყვარდა თუ არა? – ეს კითხვა არც არასდროს დაუსვამს საკუთარი თავისთვის, რადგან, მაშინ ეგონა, მშვიდად და უსაფრთხოდ რომ გრძნობდა მასთან თავს, ეს იყო სიყვარული. ორი წლის განმავლობაში მათ შორის კოცნის მეტი არაფერი მომხდარა და ეს კოცნაც ისეთი ფრთხილი და მორიდებული იყო, ნანიტა ვერანაირ ვნებათაღელვას ვერ გრძნობდა. გუგა მას ყოველთვის გადაჭარბებულად დელიკატურად და რაინდულად ექცეოდა, რაც, ერთი მხრივ, მოსწონდა, რადგან, თავისი რომანტიკული ბუნებიდან გამომდინარე, ხიბლავდა მორაინდო-მოჯენტლმენო მამაკაცები და მათ, უფრო სწორად – მის გვერდით, ხანდახან თავს შუა საუკუნეების დროინდელ ქალად წარმოიდგენდა ხოლმე, რაც ძალიან სიამოვნებდა, მაგრამ, ზოგჯერ იყო მომენტი, როცა გუგას გადაჭარბებული მზრუნველობა რაღაცნაირად აღიზიანებდა, თითქოს ხელოვნურადაც ეჩვენებოდა, თუმცა, სინამდვილეში, მის გულწრფელობაში ეჭვი არასდროს შეჰპარვია. იმ დილასაც, როცა გუგამ ცოლობა სთხოვა, ნანიტა რაღაცით გაღიზიანებული დარჩა, თუმცა, ამის მიზეზს კარგა ხნის შემდეგ მიხვდა, უკვე მაშინ, დიმიტრის ცოლი რომ იყო: გუგა მას, როგორც ფაიფურის თოჯინას, ისე ექცეოდა – უვლიდა, უფრთხილდებოდა, ზრუნავდა, მაგრამ, ყოველთვის ხაზს უსვამდა იმას, რომ ეს თოჯინა მისი საკუთრება იყო და, სადაც უნდოდა, იქ დასვამდა. თან, ამას ისე დახვეწილად აკეთებდა, მიუხედავად გაღიზიანებისა, საბოლოო ჯამში, ნანიტა მაინც მადლიერი და კმაყოფილი რჩებოდა და, სურვილიც კი არ უჩნდებოდა, საწინააღმდეგო აზრი გასჩენოდა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, კრიტიკულად შეეხედა საქმროს ასეთი საქციელისთვის.

პირველმა, თუ შეიძლება, ასე ითქვას, ქალურმა ჟრუანტელმა ნანიტას მაშინ დაუარა თმის ღერიდან ფეხის თითებამდე, მისთვის უცნობ ბიჭს – დიმიტრის რომ შეხედა თვალებში. მხოლოდ მაშინ მიხვდა, რას ნიშნავდა სიტყვა „გახევება“. არ ახსოვს, რამდენ ხანს იყო ამ მდგომარეობაში; ახსოვს მხოლოდ ის, რომ მთელ ტანზე, შიგნიდან და გარედან, მილიონობით ჭიანჭველა შეესია, თვითონ კი ხელის განძრევის უნარი ჰქონდა წართმეული, რომ ეს ჭიანჭველები ჩამოეყარა და როგორმე სული მოეთქვა... და, კიდევ ერთი რამ ახსოვს: დიმიტრის თვალები, უფრო სწორად, მისი მზერა – გაოცებული, აღტაცებული, სურვილით აღსავსე... და ნანიტამ სწორედ ამ გახევების თუ გაქვავების მომენტში იგრძნო (თუ გაიხსენა), რომ გუგას არასდროს შეუხედავს მისთვის ასე და არც თვითონ განუცდია მის მიმართ მსგავსი რამ. მერე, როცა გონს მოეგო და როცა მოვლენები მოულოდნელად ასე უცნაურად განვითარდა; როცა არჩევანი მასზე, ნანიტაზე მიდგა, ანუ, გადამწყვეტი სიტყვა მას უნდა ეთქვა, მიხვდა, რომ გაუჭირდა ამ ბოლო სიტყვის თქმა. უფრო სწორად, გულს უკვე ჰქონდა ეს არჩევანი გაკეთებული, მაგრამ, სინდისი არ აძლევდა უფლებას, ასე ხელაღებით უარეყო ბიჭი, რომელიც ორი წელი თან ჰყვებოდა და რომელსაც სულ რამდენიმე საათის წინ ცოლად გაყოლის პირობა მისცა. ვერაფრით გადაწყვიტა, გულისთვის დაეგდო ყური თუ სინდისისთვის. ბოლო წამს მიხვდა, რომ, ერთადერთი, რაც მას გუგას სასარგებლოდ გადაადგმევინებდა ნაბიჯს, თავად გუგას მოქმედება იქნებოდა. იმ წუთებში მართლაც მოუნდა ნანიტას, რომ მის საქმროს, როგორც იტყვიან, ხელი გამოეღო, თავი გამოედო და დაენახვებინა გოგოსთვის, რომელიც უყვარდა, რომ მართლა უყვარდა, ოღონდ, ისე, რომ თავისი მამაკაცური, შინაგანად ძლიერი „მე“ წარმოეჩინა – ეცემა დიმიტრი, თუნდაც ერთხელ გაერტყა, ხელი ჩაევლო ნანიტასთვის და არავისთვის არაფერი ეკითხა, არც ანგარიში ჩაებარებინა, ისე წაეყვანა თავისთან სახლში, ან თუნდაც სადმე სხვაგან; ადგილს მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, წაეყვანა. მან კი, რა ქნა? იყვირა, იწივლა, იკივლა, ისტერიკიანი ქალივით და, პრაქტიკულად, უბრძოლველად დათმო თავისი



შეითრევდა ლოგინში. ხანდახან ისეც მომხდარა, შუა ალერსის დროს ნანიტას უცხო ქალის სურნელიც კი უგრძნია და მხოლოდ მაშინ, ვნებისგან წამით გამოფხიზლებულს, გაუბედავად უთქვამს ქმრისთვის – სხვა ქალის სუნი აგდისო. მას კი კმაყოფილი სიცილით (დიმიტრის ყოველთვის უყვარდა, როცა მისი ცხოვრების ქალები, ცოლის ჩათვლით, ერთმანეთზე ეჭვიანობდნენ), კოცნით „ჩაუხშვია" ნანიტას პროტესტი და ვნებიანი ჩურჩულით უთქვამს – შენი სურნელი მაინც ყველას მირჩევნიაო...

ნანიტამ ვერაფრით გაიხსენა, პირველად როდის გამოიჭირა ქმარი ღალატში. თარიღი ნამდვილად არ ახსოვდა, მაგრამ, ის დღე მაინც არ დავიწყებია – ეს გათხოვებიდან სამი თუ ოთხი თვის შემდეგ მოხდა. რომ გაიგო, ისეთი შოკი მიიღო, მთელი თვე ვერ გამოდიოდა მდგომარეობიდან. ნირვანაში იყო ნარკოტიკის გარეშე. მთვარეულივით დადიოდა. გაორება დაემართა – საკუთარ თავსაც და მთელ დანარჩენ სამყაროსაც სადღაც შორს, ნისლში ხედავდა. ამას ისიც დაემატა, რომ ანალიზებმა მისი ფეხმძიმობა დაადასტურა და ამან მთლად შეშალა ჭკუიდან. განა არ გაუხარდა, მაგრამ, ამდენის ერთდროულად გადატანა რომ გაუჭირდებოდა, ზუსტად იცოდა, თუმცა, ისიც კარგად ესმოდა, რომ ვერაფერს შეცვლიდა. იმდენად ცუდად გრძნობდა თავს, რომ ერთხელ დიმიტრიმაც კი შენიშნა:

– რა მოგივიდა, რა გათიშული დადიხარ? ხომ იცი, ეგეთი არ მომწონხარ. აბა, გამიღიმე! – და ნანიტამ იგრძნო, რომ ეს არ იყო მოსიყვარულე ქმრის თუნდაც მოთხოვნა, ეს იყო ჭირვეული და მკაცრი ბატონის უნიჭოდ შენიღბული ბრძანება.

მაგრამ ნანიტას სულაც არ ეღიმებოდა. გაეღიმა კი არა, ფიზიკურად არ ჰქონდა თავი, რომ გაერკვია, მართლა უღალატა თუ არა ქმარმა. თან, საშინლად ეხვეოდა თავბრუ და გულიც ერეოდა. მაინც სცადა, გაეღიმა, თუმცა, არ გამოუვიდა. სარკეში არ ჩაუხედავს, მაგრამ, იგრძნო, როგორ საცოდავად დაემანჭა სახე. მიხვდა და ეს ვითომ ღიმილი სასწრაფოდ ჩამოირეცხა სახიდან, სკამზე ჩამოჯდა დიმიტრისკენ ზურგშექცევით და თვალი იატაკს გაუშტერა.

– რა მოხდა, აღარ მეტყვი? – ხმაში გაღიზიანება გაურია დიმიტრიმ, – ხომ იცი, ვერ ვიტან ეგეთ რაღაცეებს! მე სახლში დაღლილი მოვდივარ და, მინდა, რომ ცოლი კარგ ხასიათზე დამხვდეს!

– რით დაღლილი? – გაბედა ნანიტამ, – საიდან მოხვედი დაღლილი ან წუხელ მთელი ღამე სად იყავი?

– აი, ეგ უკვე შენი ჭკუის საქმე აღარ არის! – იყვირა დიმიტრიმ, – ეგ შენ არ გეკითხება და გახსოვდეს: არასდროს მოგცემ ჩემს პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის უფლებას! შენ შენს წარსულს მიხედე, იქნებ, იქ უფრო ნახო რამე გასაკონტროლებელი, შენი დედაც!.. – ეს იყო პირველი შეგინება და პირველი დაყვედრება, რაც მერე, თანდათანობით, ყოველდღიურ „შეხსენებასა" და „ადგილზე მოსმაში" გადაიზარდა.

– რომელი წარსულის, ასეთი რა წარსული მაქვს, ვინმემ რომ წამომაძახოს? – აღმოხდა ნანიტას.

– რომელი წარსულის?! იქნებ, მე ვიყავი ორი წლის განმავლობაში ვიღაც სირის საცოლე?! იქნებ მე ვკოცნაობდი ერთ კაცთან, ცოლად კი მის ძმაკაცს გავყევი?! იქნებ მე გავთხოვდი ქუჩიდან და იქნებ მე უარმყვეს მშობლებმა საქმროს ღალატის გამო?! – და თვალებგადმოკარკლული დიმიტრი ნანიტასკენ დაიძრა. ისეთი სახე ჰქონდა, აშკარად შუაზე გაგლეჯდა. ნანიტამ პირველად ნახა თავისი ქმარი ასეთი და უცებ მიხვდა, რომ ეს იყო ნამდვილი დიმიტრი, ის დიმიტრი კი, რომელსაც ის ცოლად გაჰყვა და რომელიც მერე მართლა შეუყვარდა, სინამდვილეში არც არსებობდა, როლი იყო, რომელსაც მისი პატივცემული მეუღლე ყველასთან სხვადასხვანაირად თამაშობდა – ნიღბების მთელი კომპლექტი ჰქონდა, რომლებსაც სიტუაციის მიხედვით იცვლიდა. მაშინ პირველად იგრძნო ნანიტამ ფიზიკური შიში და პირველად გაიღვიძა მასში ჯერ კიდევ ახალჩასახული შვილის დაცვის დედურმა ინსტინქტმა; იგრძნო, რომ ქმრის ეს მრისხანება მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფით არ დამთავრდებოდა და თავისდაუნებურად წამოიყვირა ის, რის თქმასაც ჯერჯერობით არ აპირებდა:

– ორსულად ვარ!

ამ ორმა სიტყვამ დიმიტრი წამიერად შეაყოვნა, თუმცა, ის ინერცია, უფრო სწორად, ის განზრახვა, რითაც ცოლისკენ წავიდა, მაინც ვერ შეიკავა და მთელი ძალით მოქნეული მუშტი გაუქანა სახეში. ნანიტამ თავის გაწევა მოასწრო, მაგრამ, მუშტი მხარში მოხვდა, კედელს მთელი ძალით შეახეთქა და ქალი უგონოდ გაიშოტა იატაკზე. დიმიტრის ჯერ ეგონა, თამაშობსო და ორივე ხელი მხრებში ჩაავლო, რომ ისევ ფეხზე დაეყენებინა, მაგრამ, წამოაყენა თუ არა გულწასული ცოლი, იატაკზე სისხლის პატარა გუბეს მოჰკრა თვალი და უცებ ცივმა ოფლმა დაასხა.

ნანიტას აღარ ახსოვს, რა მოხდა შემდეგ. ახსოვს მხოლოდ საავადმყოფოს თეთრი კედლები, დედ-მამის შეშლილი სახეები, დიმიტრის შეშინებული თვალები და ხანში შესული სიმპათიური ექიმი, რომელიც ღიმილით ამშვიდებდა ყველას:

– გილოცავთ, გადარჩა!

მერე კი დიმიტრის ხმაც გაიგონა:

– ექიმო, შვილი ეყოლება?

– ერთი ექვსი თვე ცოტა თავი შეიკავეთ, მერე კი პრობლემა არ არის, ყმაწვილო! – უპასუხა ექიმმა და პალატიდან გავიდა.

სიყვარული. ასეთ რამეს კი ქალები კაცებს არასდროს აპატიებენ, და თუ აპატიებენ, მერე ყოველთვის ნანობენ.

არც ნანიტამ აპატია და დიმიტრის წაჰყვა. მერე კი მოვლენები ისე განვითარდა, ნანიტა უკვე ველარ ხვდებოდა, ვინ იყო წაგებული – გუგა, დიმიტრი თუ თვითონ და, მთელი ოცი წლის განმავლობაში ვერ გაარკვია, სწორი ნაბიჯი გადადგა მაშინ თუ შეცდა; ნანობდა ამ ნაბიჯს თუ არა. დიმიტრისთან ცხოვრების პერიოდში ჰქონია მომენტები, როცა, ცხარე ცრემლებით ატირებულსა და ქმრისგან დამცირებულს, დაუწყევლია ის ავად სახსენებელი დღე და თვითონვე უთქვამს საკუთარი თავისთვის:

„ახია, ყველაფრის ღირსი ხარ! დაიმსახურე ეს დამცირება, იმიტომ, რომ მოღალატე ხარ! არ შეიფერე ზრუნვა და თვალებში ყურება, ეს მხეცი ამჯობინე კაცს, რომელიც გაღმერთებდა! მოღალატე ხარ და შენც ამიტომ გღალატობენ; შენც ისევე გამცირებენ, როგორც ერთ დროს შენ დაამცირე შენი ყველაზე ერთგული ადამიანი! ხომ გინდოდა, რომ იმასთან ყოფილიყავი, ვისაც მხოლოდ ჰქვია შენი ქმარი?! ეს შენი არჩევანია, ჰოდა, ზიდე ის ჯვარი, რომელიც თავად აირჩიე!.."

ეს თვითგვემა ძირითადად მაშინ ხდებოდა, როცა ნანიტას მორიგი „კეთილისმსურველი" დაურეკავდა და ქმრის მორიგ სასიყვარულო ისტორიას აცნობებდა, ან, როცა მისი ქმარი უკვე რამდენიმე დღის შემდეგ ბრუნდებოდა სახლში ვინმე მორიგი „კალთამადლიანისგან," თანაც, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. მაგრამ, საკმარისი იყო, დიმიტრი სახლში დაბრუნებულიყო და, თუნდაც ერთხელ, თუნდაც ერთი წუთით, ისეთივე თვალებით შეეხედა მისთვის, როგორც მაშინ, გაცნობის წუთებში შეხედა, რომ ნანიტას ყველა წყენა, დამცირება, ღალატი, მიტოვება და შეურაცხყოფა მაშინვე ავიწყდებოდა და, ვნების მორევში თავით გადაშვებულს, ისიც კი არ ედარდებოდა, რომ ვიღაც ბოზანდარა ქალისგან თუ ქალებისგან დაბრუნებული ქმარი ცოლთან დაწოლის წინ წყალსაც კი არ გადაივლებდა ხოლმე, ისე

... თითქმის მთელი წელიწადი დიმიტრი სანიმუშო ქმარი იყო, იმ დონეზე მზრუნველი და მოსიყვარულე, რომ ნანიტას ხანდახან ეგონა, ის, რაც მას დაემართა, კოშმარული სიზმარი იყო, რომელიც რეალობაშიც გამოჰყვა და მოსვენებას არ აძლევდა.

რვა თვის მერე ნანიტა ისევ დაორსულდა და დიმიტრი ისე უვლიდა, მეზობლებისა და ახლობლების სალაპარაკო გახდა მისი მზრუნველობა, თუმცა, ასეთმა მოპყრობამ მხოლოდ რამდენიმე თვეს გასტანა, მერე კი... მერე, ეტყობა, მობეზრდა, და... ნანიტას აღარ ახსოვს, თვეში რამდენ ღამეს ათენებდა დიმიტრი სახლში.

თოკო რომ გაჩნდა, დიმიტრიმ ისევ ოჯახისკენ იბრუნა პირი – უხაროდა, ბიჭის მამა რომ გახდა და მთელი თვე სუფრა არ ალაგებულა სახლში. ბავშვის მონათვლის დრო რომ მოახლოვდა, დიმიტრიმ გამოაცხადა, ნათლიებს მე შევარჩევო და ცოლმაც აღარ გაუწია წინააღმდეგობა – ოღონდ ჩვენკენ მობრუნდეს და, ვისაც უნდა, იმას მონანათვლინოს ბავშვიო. ცოლი რომ დაიყოლია, ერთ დილას გამოუცხადა, ნათლობის დღეს მაგარი სიურპრიზი უნდა მოგიმზადო და მზად იყავიო. ნანიტა ინტერესით კვდებოდა, რა სიურპრიზს უმზადებდა ქმარი, მაგრამ, არ ეკითხებოდა. ნათლობის წინა დღეს კი დიმიტრიმ რაღაც უცნაური გულდაწყვეტით უთხრა ცოლს, ჩემი სიურპრიზი ჩაიშალაო. აქ კი ვეღარ მოითმინა ნანიტამ და სთხოვა, ახლა მაინც მითხარი, რას მიმზადებდიო, რაზეც დიმიტრიმ ეშმაკური და ბოროტი ღიმილით უპასუხა:

– ნათლიად გუგას წამოყვანა მინდოდა, მაგრამ, ისეთ გაგლეჯილ კაიფში იყო, გონზე ვერ მოვიყვანე. ისე, მართალი მითხარი, არ გეჩხუბები, ხომ გაგისწორდებოდა, შენი შვილის ნათლია შენი ყოფილი საქმრო რომ ყოფილიყო? თან, რამდენი ხანია, არ გინახავს, ახლა კი შენი თვალით ნახავდი, როგორ გამოიყურება და სინამდვილეში რას გადაგარჩინე! იქნებ, მითხრა, რომ არ გაინტერესებს და მასზე არასდროს გიფიქრია? მაგას მაინც ვერ დავიჯერებ, რადგან, ქალები ყოველთვის მისტირიან თავიანთ თუნდაც უსახურ ან გასაწითლებელ წარსულს.

– სიმართლე გითხრა, მართლა არ მაინტერესებს, მით უფრო, რომ ნამდვილად არ მაქვს გასაწითლებელი წარსული, – ძალდატანებითი სიმშვიდით დაიწყო ნანიტამ, – არ უნდოდა, ნათლობის წინ უსიამოვნება მომხდარიყო ოჯახში, მერე კი ვერ მოითმინა და შეწუხებულმა ჰკითხა: – გუგა ნარკომანი გახდა?

– აკი, არ მაინტერესებსო?! ჰო, გახდა; თანაც, ნარკომანიც არის და ნარკომანიც – გამოუფხიზლებელ კაიფშია. როგორც გავიგე, დღესაც შენ უყვარხარ... – დიმიტრიმ გამომცდელად შეხედა ცოლს, – რაო, გესიამოვნა ამ სიტყვების გაგონება?

ნანიტამ იგრძნო, რომ მისმა ქმარმა ისევ მოიხსნა ნიღაბი – ახლა ის თავისი რეალური სახით იჯდა ცოლის წინ: ცინიკური, სადისტი, შეიძლება, ცოტა მაზოხისტიც, ირონიული, წვრილმანი, არაკაცურად შურისმაძიებელი და, ნანიტას ის საშინლად შეებრალა, უფრო მეტადაც კი, ვიდრე ერთ დროს კეთილშობილი და დახვეწილი, ახლა კი განარკომანებული გუგა და, ამ სიბრალულთან ერთად, პირველად იგრძნო სიძულვილი ქმრის მიმართ, უფრო სწორად, თავიდან ეგონა, რომ პირველად, თორემ, ცოტა მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს სიძულვილი მისი გულისა და გონების ფსკერზე იმ დღიდან იყო გაწოლილი და გატრუნული, როცა დიმიტრიმ პირველად დასცინა გუგას რესტორანში, ანუ, როცა ნანიტამ დიმიტრი გაიცნო. გუგას გახსენებაზე საოცარი გრძნობა დაეუფლა: უცებ, აბსოლუტურად მოულოდნელად, სრულად გააცნობიერა, რომ ყოფილი შეყვარებულის გზიდან აცდენა მისი ბრალი იყო – ნანიტას დაკარგვა, ნანიტას ღალატი ვერ მოინელა, ვეღარ მოერია საკუთარ თავს და იმიტომ ჩაეშვა ჭაობში. ეს რომ გაიფიქრა, სულ სხვა თვალით შეხედა ქმარს და, რომ არ ეკივლა, ადგა და ოთახიდან გავიდა, გასვლისას კი კმაყოფილი ღიმილით გაბადრულ დიმიტრის მიუბრუნდა, თვალებში ჩახედა და გესლიანად უთხრა:

– ამხელა კაცს მეტი ჭკუა არ გაქვს, რაღაც სისულელეებს რომ ბოდავ? აღარ უნდა დაასრულო ამ თემაზე კენჭების სროლა? რას ამტკიცებ ამით, რა სიამოვნებას იღებ? ყველა ადამიანს აქვს თავისი წარსული და გამონაკლისი არც მე ვარ, თუმცა, მინდა გითხრა, რომ ვერაფერ სამარცხვინოს ჩემს წარსულში ვერ ვხედავ. მასთან დაბრუნება რომ მინდოდეს, როგორმე, შენი მაჭანკლობის გარეშეც მოვახერხებდი! და, კიდევ ერთი რამ მინდა გაგახსენო: თუ არ მეშლება, მე არ ჩამოგკიდებივარ კისერზე, ეს შენ ჩადექი ჩვენ შორის, შენ წაართვი ჩემი თავი შენს უახლოეს ძმაკაცს და, ძალიან გთხოვ, შენს არაკაცობას მე ნუ მომაწერ! მე, შეიძლება, არასწორად მოვიქეცი, მაგრამ, ჩემი ცოდვაც მეყოფა და შენსას ნუღარ შემტენი, გესმის? აღარ გაბედო და ამ თემაზე არ დამელაპარაკო, თორემ, შენი ცინიზმი და ირონია მოგონილი იქნება, იცოდე! – და ნანიტამ ისეთი ძალით გაიჯახუნა კარი, რომ ოთახიდან ძიძა გამოვიდა – რა ხდებაო.



... ნათლობამ მშვიდობიანად ჩაიარა. პატარა თორნიკე დიმიტრის კომპანიონმა და ნანიტას მეჯვარემ მონათლეს. სუფრა კი რესტორანში იყო გაშლილი და სტუმრები შუაღამემდე ქეიფობდნენ. დიმიტრი ისე დათვრა, ფეხზე ძლივს იდგა და საჭესთან ნანიტა დაჯდა. სახლთან მისულმა შენიშნა, რომ მათ სადარბაზოსთან ვიღაც იჯდა. მანქანა რომ დაინახა, ადგა და რაღაცნაირი ბარბაცით გაშორდა იქაურობას. იმ მომენტში ნანიტა დიმიტრის მანქანიდან გადმოყვანით იყო დაკავებული და ვიღაც ჩანჩურა უცნობისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დიმიტრი ტანსაცმლიანად დააწვინა ტახტზე, მოულოდნელად გაიფიქრა, რომ ის ჩანჩურა ლანდი გუგა იყო...

ნანიტა დიდხანს დასცქეროდა მძინარე ქმარს და ცდილობდა, მისი სახის ნაკვთებში რამე ახლობელი, „თავისი" დაენახა, მაგრამ, ვერ შეძლო – მის წინ აბსოლუტურად უცხო მამაკაცი იწვა, რომელიც შფოთავდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა რაღაცას. ნანიტამ ყური მიუგდო და მხოლოდ რამდენიმე სიტყვა გაარკვია: „როგორმე უნდა შევიჩვიო... გუგა... სახლში..."

და, ნანიტას სიცოცხლეში პირველად გაუჩნდა შურისძიების სურვილი, რომელიც იმდენად ძლიერი იყო, რომ, ქალი მიხვდა, მას ვეღარ მოერეოდა. როგორ და რა ფორმით გააკეთებდა ამას, ჯერ არ იცოდა, მაგრამ, იმ წუთიდან დაიწყო ამაზე აქტიურად ფიქრი, როგორც კი ოთახიდან გავიდა, ოღონდ, ერთი რამ უკვე ზუსტად ჰქონდა გადაწყვეტილი: გარკვეულ დრომდე ისე უნდა ეცხოვრა ქმრის გვერდით, ვითომ არაფერი მომხდარა, ანუ, დიმიტრი კარგა ხანს ვერ უნდა მიმხვდარიყო, რომ თავისი საქციელით ოჯახში მტერი გაიჩინა.

ეს იყო ნანიტას ცხოვრებაში პირველი თვალთმაქცური, მაგრამ, მტკიცე გადაწყვეტილება.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-2(681)

### სასწაულების სეზონი...

ადამიანებს უნდა სჯეროდეთ სასწაულების... ბედი ნამდვილად გვანებივრებს საჩუქრებით, უბრალოდ, ზოგჯერ ვერ ან არ ვამჩნევთ ამას, მერე კი საკუთარ უიღბლობაზე ვწუწუნებთ... თუ ვიღაც წარმატებებს აღწევს, ეს იმას ნიშნავს, რომ მუხლჩაუხრელად იშრომა; ბევრი ოფლი და სისხლი დაღვარა; ბევრი ნერვიულობა და, შესაძლოა, დაუმსახურებელი საყვედურებიც აიტანა... არავინ უზის ბედს ხელისგულზე და თბილ ნიავს არ უბერავს – ასე მხოლოდ შორიდან გვეჩვენება...

ნატომ ამოიოხრა და ფანჯარას მოსცილდა.

– პრობლემები გაქვს? – თანაგრძნობით ჰკითხა ქეთიმ, რომელიც ბრწყინავდა ბედნიერებისგან და ამის დამალვას არც ცდილობდა.

– არა. ისე, უბრალოდ, ამოვიოხრე... რაღაცნაირად, მომწყინდა ყველაფერი და დავიღალე.

– რისგან დაიღალე? არაფერი არ ხდება, – გულწრფელად გაიოცა ქეთიმ და ლელას გადახედა – ამას რა სჭირსო.

– ჰოდა, რომ არაფერი ხდება, სწორედ მაგან დამღალა. გუშინ ერთი ჩემი დაქალი შემხვდა. დიდი ხანია, არ მინახავს, ან, როგორ უნდა მენახა, როცა, ბოლო ათი წელია, გათხოვება-გაშორება-გათხოვებით არის დაკავებული. ახლა მეოთხედ გათხოვილა და, იცი, რა მითხრა?

– რაო, გათხოვება საერთოდ არ ღირსო? ამ ტიპის ქალებმა ასე იციან – აქაოდა, მე გამოცდილი ვარ, კაცების შესახებ ყველაფერი ვიცი და, ნუ დაუშვებთ ისეთსავე შეცდომებს, როგორიც მე რამდენჯერმე დავუშვიო.

– არა, არა, მსგავსი არაფერი უთქვამს. პირიქით, ისეთი რაღაც წამოსცდა... მგონი, გულწრფელი იყო. რომ შემატყო, შევიცხადე მისი მეოთხედ გათხოვება და ისიც კი ვუთხარი, ქმრებს მაინც რატომ არქმევ ამ კაცებს, მერე ხელთათმანებივით რომ იცვლი-მეთქი... თვალები დაუსევდიანდა. მე კაცები არასდროს გამომიცვლია, მით უმეტეს – ხელთათმანებივითო. ყველასთან ვიწყებდი ოჯახის შექმნას დარწმუნებული იმაში, რომ ცხოვრების ბოლომდე მასთან ერთად ვიქნებოდი; სიხარულს, წყენას გავიზიარებდით... დღემდე მშურს იმ ქალების, ერთი ქმარი რომ ჰყავთ და ჰყავთ. მე ეს არ გამომივიდა და გული მტკივაო...

– ცრემლებიც ხომ არ გადმოყარა, ამ აღსარებას რომ გაბარებდა? – ირონიულად ჩაეცინა ლელას.

ნატოს ეწყინა:

– კარგი, რა... გეუბნები, გულახდილი იყო-მეთქი.

– მერე?

– რა – „მერე“? – გამოაჯავრა ნატომ.

– მერე რა, რომ გულახდილი იყო. შენთვის რა მნიშვნელობა აქვს ამას?!

– აქვს. რაღაც დასკვნები გავაკეთე და სერიოზულად დავფიქრდი: მეც უნდა ვცადო და გავრისკო.

– რა უნდა სცადო და გარისკო? – ახლა ქეთი გადაირია, – კაცების ხელთათმანებივით გამოცვლა?



– არა, გოგო, არა... იმას ვგულისხმობდი, ზედმეტად ხომ არ ვართულებ ყველაფერს და ამით ხომ არ ვაფრთხობ მამაკაცებს-მეთქი. სულ სასწაულის მოლოდინში ვარ და მჯერა, რომ პირდაპირ ლანგარზე დასკუპებული მომერთმევა ზღაპრული უფლისწული.

– გინდოდა, გეთქვა, თეთრ ცხენზე დასკუპებულიო, – გაიცინა ლელამ, – კარგი, რა, ნატო... ბედის ამბავია მაინც ყველაფერი. ვინც შენი ბედი იქნება, იმას გამადიდებელი შუშით ყურება არ დაუწყებ, დამიჯერე.

– რომ აღარ გამოჩნდა ეგ ჩემი ბედი?! მაგაშია ზუსტად საქმე! თვალები უნდა დავხუჭო და მივენდო. თუ არ გამოვა, კიდევ ერთხელ დავხუჭავ თვალებს...

– მერე კიდევ ერთხელ დახუჭავ... კიდევ, კიდევ და... ბოლოს შენც ჩააბარებ აღსარებას ცრემლების ფრქვევით. გინდა ეს? – შეუბრალებელი სიმკაცრით დაუხატა „ნათელი“ მომავალი ლელამ.

– აბა, რა ვქნა? როდემდე ვიყო მარტო?

– არ ვიცი, არ ვიცი... პრინციპში, ყველაფერი მაინც შენი გადასაწყვეტია. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ გირჩიოთ. თუმცა, მგონი, რჩევაც არ გჭირდება.

– სიყვარული მჭირდება და ნორმალური მამაკაცი გვერდით, – აწუწუნდა ნატო, – ნუთუ ასე ბევრს ვითხოვ?

– არაფერს განსაკუთრებულს. დამშვიდდი.

– რა დამამშვიდებს. დრო გადის, ჩემი ცხოვრება კი ძალიან დაემსგავსა შავ-თეთრ, ძველისძველ და უინტერესო კინოფილმს. ნერვები მეშლება. ოქროს კოშკები ხომ არ მინდა? არ მაქვს იმის ილუზია, რომ პრინცესასავით მაცხოვრებს ვინმე, ხელისგულზე მატარებს და ფეხს მიწაზე არ დამადგმევინებს.

– მდაა... მგონი, კოკო შანელი მართალი იყო, როცა ამბობდა: იყო ქალი, საბოლოოდ მაინც იმას ნიშნავს, რომ იყო სუსტიო, – ამოიოხრა ლელამ.

– კოკო შანელი სუსტი არ ყოფილა, – შეეპასუხა ქეთი, – ვინ-ვინ და, დიდმა კოკომ იცოდა კაცების თავის ჭკუაზე ტარება.

– მთლად ასეც არ არის საქმე. ეგ ქალი პირად ცხოვრებაში სულაც არ ყოფილა ბედნიერი. საერთოდაც, ბედნიერება ძალიან მყიფე სუბსტანციაა, დიდხანს არსებობა არ უწერია. თოვლივით არის – თავიდან, სანამ ახალია, ბრწყინავს და თვალისმომჭრელად ქათქათებს, მერე ყვითლდება და დნება ისე, რომ, ველარც მიხვდები, როდისმე თუ შეეძლო შენი აღფრთოვანება, – დაასკვნა ლელამ. მერე თავისი მსჯელობით გაოგნებულ გოგოებს გადახედა და სიცილი აუტყდა:

– რა იყო, რამე არასწორად ვთქვი?

– პირიქით, ძალიან სწორად თქვი და პირდაპირ გულში მოარტყი. ცოტა შემაშინე კიდეც, – თავი გადააქნია ქეთიმ.

– შეგაშინე? რატომ? – გაუკვირდა ლელას, – ეს ჩვენი რეალობაა.

– ჰოდა, მეც მაგ რეალობის მეშინია. ახლა ისეთი ბედნიერი ვარ... ვახო პირდაპირ მაოცებს, ასეთი არასდროს ყოფილა. პირველად ვგრძნობ, რომ უფრთხილდება ჩვენს ურთიერთობას.

– კარგია. შენც შეიფერე, ისიამოვნე და ნურაფრის შეგეშინდება.

– ჰო, რა ვიცი, აბა... ცოტათი მაინც მეშინია, – ქეთიმ გაიღიმა და უცებ ნატოს მიუბრუნდა, – მოდი, ასეთ რჩევას მოგცემ: ახლა თუ გყავს ვინმე ისეთი, ვინც შენი გულის მოგებას ცდილობს, მიეცი შანსი და ცოტა დაეხმარე კიდეც. იმას კი ნუ აჩვენებ, რომ ძლიერი და პრინციპული ხარ; მოუშვი და აგრძნობინე, რომ ძლიერი მხარი გჭირდება დასაყრდნობად. კაცებს არ მოსწონთ ძლიერი ქალები, რომლებიც მუდმივად იმას ამტკიცებენ, რომ ყველაფერი შეუძლიათ და ყველაფერი იციან, მით უმეტეს – მიმთითებელ-მბრძანებლები. რატომ თხოვდებიან ადვილად წაშტერო, ვითომ ბავშვობაში ჩარჩენილი ქალები? გიფიქრია ამაზე?

– მიფიქრია, მაგრამ, მეეჭვება, ჭკვიან და სერიოზულ კაცს სულელი ქალი მოეწონოს.

– მერე, ვინ გითხრა, რომ ეგეთი ქალები სულელები არიან? ჩემი და შენი სამყოფი ჭკუა ნამდვილად აქვთ, – მხარი აუბა ქეთის ლელამ, – ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: ქალი კისერია, რომელმაც ფრთხილად და დელიკატურად უნდა ატრიალოს თავი, ისე, რომ ძარღვი არ დაეჭიმოსო. თავად ისე კარგად ფლობდა ამ ხელოვნებას, ბაბუაჩემი კაბის კალთაზე ჰყავდა გამოკერებული. ბრძენი ქალი ახერხებს საკუთარი „მე" უკანა პლანზე გადაწიოს და ქმარს ცხვირში არ „შესტენოს"... არ გააღიზიანოს თავისი პიროვნული ინდივიდუალურობით; ნებაყოფლობით უნდა იყო მეორე, პირველობის პრეროგატივა კი ქმარს დაუთმო.

ნატომ ტუჩი აიბზუა:

– ჰო, როგორ არა! მერე ეგ პრეროგატივადათმობილი ქმარი თავზე დაგაჯდება და მბრძანებლობას დაგიწყებს. ერთი სიტყვით, ვერ გაიგებ, კაცთან როგორ უნდა მოიქცე. ყველა კაცი ხომ ერთნაირი არ არის?

– ვინ გითხრა?! ყველა ერთნაირია. უბრალოდ, ზოგს მეტი წიგნი აქვს წაკითხული, ზოგს კი ფული აქვს ბევრი და მათი განსხვავებულობაც ამითაა განპირობებული, – თქვა ლელამ, – თორემ, კაცი თუ ბრძენია და, ასეთები ახლა ძალიან ცოტანი დარჩნენ, ის აუცილებლად დააფასებს ქალის ნებაყოფლობით მსხვერპლშეწირვას, პატივს სცემს მას და გაუფრთხილდება; მიხვდება, რომ ქალი მგრძნობიარეა, ნაზი და მეტი სითბო სჭირდება.

– ლელა, სადმე გინახავს ასეთი კაცი? – გულდაწყვეტილმა ჰკითხა ნატომ, – თუ გეგულება ვინმე, ნუ დამიმალავ, გამიმხილე.

– გოგო, შენ თვითონ უნდა იპოვო ასეთი კაცი, გულმა უნდა იპოვოს.

– ჩემი გული დუმს! – პათეტიკურად შესძახა ნატომ და ხელები გაშალა, – მერე კი ქეთის გახედა ეშმაკური ღიმილით, – მაინც არ ამბობ, როგორ შეურიგდი ქმარს? მოგვეყოლა, ეგებ გამოგვდგომოდა რამეში?

ქეთი მოიღუშა:

– ნატო, არაფერი ყოფილა ისეთი, შენ რომ ცხოვრებისეულ გაკვეთილად გამოგადგეს, მით უმეტეს – ლელას. მოვიდა და ისევ ერთად ვართ – სულ ეს არის.

– ასე, უბრალოდ, მოვიდა?

– ჰო, ასე უბრალოდ, მოვიდა. მეც უბრალოდ მივიღე, ყოველგვარი ახსნა-განმარტებების გარეშე. დაგიკმაყოფილე ცნობისმოყვარეობა? – გაღიზიანდა ქეთი და ტონი შეიცვალა.

– ნუ ბრაზობ. მართლა მიხარია, შენი პრობლემა რომ მოგვარდა.

– ვიცი, – მოუჭრა ქეთიმ და აგრძნობინა, ამ თემაზე საერთოდ არ მინდა ლაპარაკიო. ნირწამხდარმა ნატომ მხრები აიჩეჩა და ოთახიდან საერთოდ გავიდა.

– ახლა ამას ეწყინა, – ხელი ჩაიქნია ქეთიმ.

ლელამ თავი გადააქნია:

– ნუ მიაქცევ ყურადღებას, დილიდან ვერ არის გუნებაზე. ვერ ხედავ, როგორი აჭრილია?

– შეიძლება, ფიქრობს, ამან ქმარი ისე დაიბრუნა, თითიც არ გაუნძრევია, მე კი ვერავინ ვიპოვე ნორმალური, რომ ცოლად გავყვეო.

– აბა, რას ამბობ! ნატო ბოლმა ნამდვილად არ არის, მასზე ამას ვერავინ იტყვის.

– ჰო?! მე კი ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა... ის ბიჭი, აქ რომ მაკითხავდა... – დაიწყო ქეთიმ ყოყმანი.

– არ გინდა, ნურაფერს იტყვი, – შეაჩერა ლელამ, – მე მართლა არ მაინტერესებს, რა იყო და როგორ. მთავარია, შენ ხარ ბედნიერი და, კიდევ ის, რომ საკუთარ თავთან იყო მართალი.

ქეთიმ დამნაშავესავით გაიღიმა:

– შენ ეჭვი გეპარება მაგაში?

– რაში?

– იმაში, რომ საკუთარ თავთან მართალი ვარ?

ლელამ მხრები აიჩეჩა:

– ქეთი, ეს ჩემი საქმე არ არის. მიხარია, ბედნიერს რომ გხედავ – სულ ეს არის.



ქეთი ჩაფიქრდა:

– იცი, წელან რაც ბედნიერებაზე თქვი, ისეთი სიმართლეა, რომ მთელ სხეულში ჟრუანტელად დამიარა.

– მე ცოტათი ვიხუმრე. მეტისმეტად ნუ გაასერიოზულებ, მთლად ეგრეც არ არის საქმე. თოვლის გადარჩენაც შეიძლება, ხომ იცი. მაგალითად, მაცივარში შენახვით.

ქეთის გულიანად გაეცინა.

– რა საყვარელი ხარ! თოვლი – მაცივარში... ერთი გუნდა თუ ორი კილო? ანუ, თუ მოვინდომებთ, ბედნიერების რაღაც ნაწილი სულ შეიძლება ჩვენთან იყოს?

– ჰო, აბა, რა! სწორედ მაგის თქმა მინდოდა. ასე რომ, მოვრჩეთ ამაზე უაზრო ლაპარაკს და მივხედოთ საქმეს. ყველაფერი კარგად იქნება! – ვიხელმძღვანელოთ ამ დევიზით და ნუ მოვიწყენთ.

– არა, ნატოს მაინც რაღაც სჭირს. ერთი კვირის შემდეგ ვახოს რაღაც წვეულებაზე მივყავარ. ვთხოვ და ერთ მოსაწვევს ნატოსთვისაც მოვატანინებ. გაერთობა, თან, იქ კაცებიც იქნებიან და... იქნებ... რა იცი, შეიძლება, დღევანდელი საუბარიც შემთხვევით არ ყოფილა... შემთხვევით ხომ არაფერი ხდება?

– გოგო, მეგობრის გამო არ ატყდა შენს ოჯახში ამბავი? დაანებე მაგ კაცს თავი და წადი მასთან ერთად მარტო. სულ ტყუილად ნერვიულობ ნატოზე.

– არაფერი დაშავდება, თუ ნატოც წამოვა. მგონი, ამჯერად ვახო არ გაბრაზდება ამაზე. ნატო სხვა შემთხვევაა...

– მე მაინც გითხარი და ახლა შენ იცი...

***

ლიზა თვალებგაფართოებული მიაშტერდა ბიჭს. კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო.

– შენ... აქ... რა ჯანდაბას აკეთებ? არ გესმის? აქ რა გინდა-მეთქი?! ერთხელ ხომ აგიკრძალე ჩემი სახლის სიახლოვეს გავლა?

– მოიცა, ნუ ყვირი, – მშვიდად, აუღელვებლად შეხვდა ზუკა მისი დანახვით გამოწვეულ რეაქციას, – მე დიდი ხანია, მოვდივარ ხოლმე აქ და გიყურებ.

– გატყობ, შენ სულ გაგიჟებულხარ! თავი დამანებე, წადი, ჩემი ცხოვრებიდან, ყველაფერი მორჩა! დასრულდა ჩვენი ურთიერთობა და, აღარ მინდა, გნახო. პრობლემებს რატომ მიქმნი?

– შენთვის პრობლემების შექმნა რომ მინდოდეს, სხვანაირად მოვიქცეოდი.

ლიზამ სიმწრისგან ფეხები დააბაკუნა:

– როგორ მოიქცეოდი, როგორ?

– მივიდოდი შენს ქმართან და ვეტყოდი, რომ, იმ ბავშვის მამა, რომელსაც ელოდები, მე ვარ!

ლიზა ცარცივით გათეთრდა, მკერდზე ხელი მიიდო და, რომ არ ჩაკეცილიყო, მეორე ხელით მანქანის გაღებულ კარს მოებღაუჭა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქურდული ცხოვრება

● გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-2(681)

– მაგარი რამე, – თქვა დიტომ და წვრილი ჰოლანდიური სიგარებით სავსე ყუთი დაგვიდო წინ, – მოწიეთ, მაგარი რაღაცაა. უმაღლესი კატეგორიის მომსახურებაა, როდესაც პარტიისა და მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირებს უშლი სუფრას. მაგალითად, ახლა რომ სუფრას გაგიშლით, ისეთი სუფრა გავუშალე ბრეჟნევს, როცა ის ოთხმოცდაერთში იყო თბილისში ჩამოსული და შევარდნაძემ აქ ამომიყვანა საქეიფოდ.

– ჰმ, ცხონებული ლიონია, – თავი გააქნია ბერძენამ ბრეჟნევის ხსენებაზე, – რა ჯიგარი იყო. ეცოცხლა კიდევ, რა იქნებოდა? კიდევ კარგი, რომ ანდროპოვი ჩაძაღლდა, თორემ, ახლა მე და კობრა და ჩვენი ძმები ცოცხლები არ ვიქნებოდით.

– ქურდებს დაგერიათ, ხომ, ის სულაძაღლებული? – თქვა დიტომ.

– დაგვერიაო?! დაგვერია და მეტიც არ გვიქნა? მაგის კაგებეშნიკი ბოზი დედაც!.. – მიუგო ბერძენამ, – კაროჩე, კისრამდე ქაქში გვამყოფებდა. ციხეებში ერთად შეგვყარა, თანაც, ზამთარში, სიცივეში, ნესტში და, უნდოდა, რომ ვირთხებივით დაგვეჭამა ერთმანეთი, ან გავგიჟებულიყავით, ან თავი დაგვებრიდა, თუ არა და, ატკაზნიკები გავხმდარიყავით. კაროჩე, დიტო, ძმაო, ვერ წარმოიდგენ, რა დღეში ვიყავით.

– მაგრად გპრესავდნენ? – ჰკითხა დიტომ.

– ცემას გულისხმობ?

– ჰო.

– არა, ტო, თითსაც არ გვაკარებდნენ. პროსტო, კამერაში ვყავდით გამომწყვდეულები და ფსიქოლოგიურ ტერორს გვიტარებდნენ, – უთხრა დიტოს ბერძენამ, – ერთი ძველი ქურდი იყო. ოცი წელი ბეზ ვიხოდა იჯდა და ის ამბობდა, ასეთი ბოზური პალაჟენია პირველად ვნახეო. ბევრმა ვერ გაუძლო: ზოგმა თავი მოიკლა, ზოგი ატკაზნიკი გახდა, ზოგმაც ნადზორებს დასცხო, სროკი დაიმატა, კარცერ-ადინოჩკაში მოხვდა და თავი დაიღუპა. ბეწვზე ვართ გადარჩენილები.

– ჩვენამდეც აღწევდა ზონის ამბები და საშინელებებს ყვებოდნენ, – თქვა დიტომ.

– ზონაში ერთი ქურდიც არ დატოვეს, ყველა ლაგერი გააწითლეს და ვლასტი ბოზებს ჩაუგდეს ხელში, – ვუთხარი დიტოს, – მაგადანის ციხემდე ერთ რიგელ ქურდთან, არტურთან ერთად ვიჯექი ზონაში და ორივე იქიდან გაგვიშვეს ეტაპით. ზონაში რეჟიმის უფროსი იყო, მაიორი კორობკო და იმასაც კი შევეცოდეთ. ასე გვითხრა, ჯოჯოხეთში მიდიხართ, ცოცხლები ვერ გადარჩებით, ძალიან მეცოდებით და, საშუალება რომ მქონდეს, აქ დაგტოვებდითო. არადა, კორობკო თვეში ორ კვირას კარცერში გვაყურყუტებდა და ამაზე საშინელ პირობებში თუ აღმოვჩნდებოდით, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით.

დიტოს კაბინეტში ოთხი მიმტანი შემოვიდა. მათ ჯერ მაგიდა გაშალეს, ზედ ქათქათა სუფრა გადააფარეს. ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი დააწყვეს ზედ და წავიდნენ. ცოტა ხანში მირიანიც გამოჩნდა და დიტოს უთხრა:

– დიმიტრი მიხაილოვიჩ, ორი მამაკაცი გკითხულობთ.

– ყბედალო იქნება, – უთხრა დიტოს ბერძენამ.

– აქ მოიყვანე, – მიუგო დიტომ უფროს მიმტანს, რომელიც გავიდა და ერთი წუთის მერე ყბედალოსთან და მის თანმხლებ პირთან ერთად დაბრუნდა.

– არტურ, ძმაო, როგორ ხარ, – აღმომხდა მე და ჩემს რიგელ თანამესაკნისკენ გავემართე, მას კი გაეცინა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:

– შენც შეცდი, ძმაო. ასე ემართება ყველას. მე არნოლდი ვარ, არტურის უფროსი ძმა. თუმცა, მხოლოდ ხუთი წუთით ვარ მასზე უფროსი, ისე კი ტყუპები ვართ.

– არნოლდი?! – გავიმეორე მე.

– დიახ, – დამიდასტურა არტურის ტყუპისცალმა, რომელსაც ჯერ ხელი ჩამოვართვი, შემდეგ გადავეხვიე და ვუთხარი:

– ძალიან ჰგავხართ ერთმანეთს, რატომ არაფერი მითხრა არტურმა შენზე?

– სიტყვაძუნწია და ლაპარაკი არ უყვარს. ზოგჯერ რამდენიმე დღე ხმას არ იღებს ხოლმე. სროკიდან რომ დაბრუნდა, არც მე მოვუკითხივარ წესიერად და თავის ამბებზე ერთი სიტყვაც არ დაუძრავს, – გაეცინა არნოლდს.

– ეგ მართალია, ბევრი ბაზარი არ უყვარს, – დავეთანხმე არნოლდს, შემდეგ ყბედალოს გადავეხვიე და ვკითხე:

– საიდან სად, რეპრესიებს როგორ გადაურჩი, შე ჩემა?!

– მე და არნოლდი მოსკოვში ერთ ნაშასთან ვიმალებოდით და ამან გვიშველა. ორი წელი გარეთ თითქმის არ გამოვსულვართ და ფსკერზე ვიწექით, – მითხრა ყბედალომ.

– მაგარ ჯოჯოხეთს ხართ გადარჩენილები, – უთხრა ყბედალოს ბერძენამ, დიტომ კი დაამატა:

– აბა, ძვირფასო სტუმრებო, გთხოვთ, მაგიდას მივუსხდეთ.

ხუთივე მივუსხედით მაგიდას. თამადობა დიტომ იკისრა და ისეთი დრო გაგვატარებინა, უკეთესს კაცი ვერ ინატრებდა. შუაღამე გადასული იყო, როცა დავიშალეთ. დიტომ თავისი „ვოლგით“ მიგვიყვანა ბერძენას სახლში, სადაც ოთხივე ქურდი დავრჩით. საჭესთან კი დიტოს პირადი მძღოლი იჯდა. გამომშვიდობების წინ დიტომ ოცდახუთმანეთიანების ტკიცინა, გაუხსნელი დასტა ჩამიდო ჯიბეში და მითხრა:

– ეს თქვენ, ძმებო. ბერძენას იმიტომ არ მივეცი, რომ, შეიძლება, აყეფდეს და მისი თავი არ მაქვს. აბა, ნახვამდის, თქვენს განკარგულებაში ვარ დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში.

დიტო წავიდა და მისმა მძღოლმა დიდი ყუთი დაგვიტოვა, რომელიც ძლივს ავიტანეთ ბერძენასთან. რომ გავხსენით, შიგნით უმაღლესი კატეგორიის საჭმელ-სასმელი ელაგა.

– აი, ეს პრესი გვიგრევა დიტომ, – ვთქვი მე და მაგიდაზე გაუხსნელი ოცდახუთმანეთიანების დასტა დავაგდე.

– რა როჟაა, ტო, – თქვა ბერძენამ, – გადაყოლა იცის ხოლმე ხალხზე, ბავშვობიდანვე ასეთი იყო. მე იმიტომ არ მომცა, იცოდა, რომ გავუტრაკებდი.

– ჰო. ასე თქვა, ბერძენა აყეფდება და მაგისი თავი არ მაქვსო, – ვთქვი მე.

ძალიან დაღლილები ვიყავით, ამიტომ, დავწექით და მალევე დაგვეძინა. დილით რომ გავიღვიძეთ, სუფრა გაშლილი დაგვხვდა და



ყბედალომ გვითხრა:

– ადექით ახლა. პახმელიაზე გამოვიდეთ და თან საქმეზე ვილაპარაკოთ. არნოლდი ტყუილად კი არ ჩამომიყვანია აქ, თქვენთან საქმე აქვს და მოუსმინეთ.

არნოლდმა სიგარეტი ჩააქრო და თქვა:

– ცოტა შორიდან დავიწყებ, ძმებო. ბაბუაჩვენი არნოლდი, მამაჩემის მამა, რომლის სახელიც მე დამარქვეს, ძველი ანტიკომუნისტი იყო და მთელი ცხოვრება საბჭოთა ხელისუფლებას ებრძოდა. მეორე მსოფლიო ომი რომ დამთავრდა, ის და მისი ბრატები ტყეში გავიდნენ და კომუნისტებს პარტიზანულად ებრძოდნენ. მაგათი ბანდის სალიკვიდაციოდ „ჩეკას“ სპეციალური რაზმები გაგზავნა მოსკოვმა ლიტვაში, რომლებმაც ნაწილი დახოცეს, ნაწილი უცხოეთში გაიქცა, ნაწილი კი დააპატიმრეს. დააპატიმრეს ბაბუა არნოლდიც, გაასამართლეს და დახვრეტა მიუსაჯეს. შემდეგ კი დახვრეტა ოცდახუთწლიანი პატიმრობით შეუცვალეს და გააციმბირეს. ბაბუა ლაგერში გარდაიცვალა და თავისი ერთადერთი ვაჟის, ანუ, მამაჩვენის დაბადებას ვერ მოესწრო. ბებიაჩვენმა საკმაოდ დიდხანს იცოცხლა და ხშირად გვიყვებოდა ბაბუაზე. ბებია გვეუბნებოდა, რომ ბაბუას და მის თანამოაზრეებს ერთ-ერთი პარტიზანული თავდასხმის დროს ჩეკისტებისთვის ძვირფასეულობით სავსე ყუთი წაურთმევიათ, რომელიც, თურმე, მოსკოვში უნდა წაეღოთ. ძვირფასეულობა კი ჩეკისტებს ლატვიელი მდიდრებისგან ამოუღიათ, რომლებიც ქონებას უმალავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. ბებია ამბობდა, რომ ბაბუამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩეკისტებისთვისს წართმეული განძი გადამალეს, მაგრამ, სად, არ იცოდა. მე და არტურს გვეგონა, რომ ბებია ცდებოდა, მის მონაყოლს სერიოზულად არ ალვიქვმდით, მაგრამ, არაფერს ვეუბნებოდით, რომ არ წყენოდა. ამ ორი თვის წინ კი ბაბუაჩემის დღიურს მივაგენი, სადაც დაწვრილებით იყო აღწერილი განძის ისტორია და ზუსტად იყო მითითებული სამალავის ადგილსამყოფელი.

– კაი, კაცო! – აღმოხდა ბერძენას, – მერე?

– განძი ძველ გერმანულ სეიფში დევს და, ბედის ირონიით, სწორედ ის ადგილია დღიურში წაშლილი, სადაც სეიფის კოდი წერია, თუმცა, ეგ არაფერი. სეიფი სარდაფშია, აღმოსავლეთ კედელში, რომელიც ერთი შენობის ცეცხლგამძლე აგურებითაა ამოშენებული და შელესილი. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ დღესდღეობით ეს შენობა რიგის მილიციის სამმართველოს ეკუთვნის და „ძაღლებითაა” სავსე. თუმცა, ვფიქრობ, რომ ჩიტი ბდღვნად ღირს და, თუკი გვირაბით შევაღწევთ შიგნით, განძს დავითრევთ. ამ საქმეს კი ძალიან საიმედო ხალხი სჭირდება და, თქვენზე საიმედოს, აბა, სად ვიპოვიდი?

არნოლდის სიტყვებზე მე და ბერძენამ ერთმანეთს შევხედეთ და ისე ავხარხარდით, რომ კარგა ხანს ვერ მოვახერხეთ გაჩერება. ყბედალო და არნოლდი კი ერთმანეთს გაოცებულები უყურებდნენ, მხრებს იჩეჩავდნენ და ვერ გაეგოთ, რა გვაცინებდა.

– თქვენ რა, დაიშოკეთ? რა გაცინებთ? – გვკითხა ყბედალომ. ჩვენ კი ხარხარს მოვუმატეთ და როდესაც დავმშვიდდით, არნოლდსა და ყბედალოს ვუთხარი:

– რამდენიმე ასეთი საქმე გაკეთებული გვაქვს, მათგან ერთ-ერთი – სწორედ, მილიციის შენობაში. სწორედ ამიტომ აგვიტყდა ხარხარი.

– ჰოდა, ძალიან კარგი. გვირაბის თხრისა და მილიციის შენობაში ჩალიჩის გამოცდილება გქონიათ და, თუ თანახმა იქნებით, ისღა დაგვრჩენია, რომ რიგაში გავემგზავროთ და ჩალიჩს შევუდგეთ. მით უმეტეს, რომ არტურს უკვე აღებული აქვს მიმართულება. რას იტყვით, გაწყობთ?



– გვაწყობს, – ერთხმად მივუგეთ არნოლდს მე და ბერძენამ, შემდეგ ერთმანეთს შევხედეთ და ისევ ავხარხარდით...

რიგაში სამი დღის შემდეგ გავემგზავრეთ და ოთხი თვე დაგვჭირდა საქმის გასაკეთებლად. მე და ბერძენამ მილიციის სამმართველოდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით მდებარე სახლის პირველ სართულზე ვიქირავეთ ბინა და გვირაბის თხრას იქიდან შევუდექით. ვმუშაობდით დღე და ღამე, მაგრამ, ისეთი ცუდი გრუნტი იყო, თხრა გვიჭირდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ საკმაოდ ღრმად მოგვიწია ჩასვლა და, არც გრუნტის გატანა და გადაყრა აღმოჩნდა იოლი საქმე. ბოლოს, როგორც იქნა, შევაღწიეთ სარდაფში. ცეცხლგამძლე აგურებით ნაშენი კედელიც დავშალეთ და ძველ სეიფსაც მივაგენით, რომლის გახსნა არც ისე იოლი საქმე იყო. მე ოთხი საათი დამჭირდა ჩაჟანგული სეიფის გასახსნელად, მაგრამ, შიგთავსმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და აქიდან იმდენი ძვირფასეულობა წამოვიღეთ, რომ თავი ზღაპარში გვეგონა. კუში ქურდულად გავტეხეთ. ნახევარი ტავარის საფასური ეგრევე ქურდულ ობშჩიაკში შევიტანეთ. ნახევარი კი ხუთ ნაწილად გავყავით და გავინაწილეთ. ძმებმა თავიანთი წილი ძვირფასეულობით აიღეს. მე, ბერძენამ და ყბედალომ კი ტავარი კეშას ჩავაბარეთ ლენინგრადში და ნახევარი მაყუთი მაშინვე ჩაგვითვალა, მეორე ნახევარი კი სამი თვის მერე ავიღეთ. ჩვენ სამმა ჩვენი წილების ძირითადი ნაწილი ახლობლების დახმარებასა და გულაობაში დავხარჯეთ. არტური და არნოლდი კი სხვაგვარად მოიქცნენ: მიუხედავად იმისა, რომ ტყუპები პატიოსანი ქურდები იყვნენ, მათ მყისვე დაუჭირეს მუღამი პერესტროიკას, რომელიც ამ საქმის გაკეთებიდან ძალიან მალე დაიწყო და თავიანთი წილი მთლიანად ბიზნესში ჩადეს, თავდაპირველად – არალეგალურგში, შემდეგ კი ეს უზარმაზარი მოგება გაათეთრეს და დღესდღეობით ძალიან სერიოზული კაპიტალის მფლობელები არიან.

არტურს და არნოლდს არც არასდროს უთქვამთ ქურდობაზე უარი და ეს სტატუსი მათთვის არც არავის ჩამოურთმევია. ამიტომ, ისინი დღემდე ქურდებად ითვლებიან, თუმცა, კარგა ხანია, ქურდულ ჩარჩოებს გასცდნენ და გამაფიოზდნენ. მათ საკუთარი ფირმა აქვთ, რომელსაც მთელ მსოფლიოში აქვს ქსელი. ძმები კი მჭიდროდ არიან დაკავშირებულები საერთაშორისო დანაშაულებრივ სინდიკატთან და მის მმართველობაში შედიან.

საბჭოთა კავშირი ახალი დაშლილი იყო. იმ პერიოდში მოსკოვში ვიმყოფებოდი და ერთ საქმეს ვანაკოლებდი. მაისის ერთ თბილ საღამოს ნაშასთან ერთად რესტორან „სოვეტსკაიაში“ ვიჯექი. ჩვენ მსუბუქ ვახშამს შევექცეოდით, საუცხოო ფრანგულ შამპანურს ვსვამდით და სასიამოვნო მუსიკას ვუსმენდით, რომელსაც რესტორნის ჯაზ-ბენდი ასრულებდა. შუა ვახშმის დროს რესტორანში ადამიანების ჯგუფი შემოვიდა. ორნი მაგიდას მიუსხდნენ, ექვსი კი შორიახლო განლაგდა და, მივხვდი, რომ იმ ორის პირადი მცველები იყვნენ. ასეთ სურათს ხშირად შევსწრებივარ მსგავს ადგილებში, ამიტომ, ვიპ-პერსონებისთვის ყურადღება არ მიმიქცევია და ჩემს ქალთან საუბარი განვაგრძე.

– კობრა, ის კაცები აქეთ იყურებიან, – მითხრა ნაშამ.

– ვინ კაცები? – ვკითხე ქალს.

– აი, ისინი, ახლა რომ შემოვიდნენ რესტორანში დაცვასთან ერთად.

მე სულ ფეხებზე მეკიდა ვიპ-პერსონებიც და ისიც, საით იყურებოდნენ ისინი, მთავარი იყო, ჩვენ არ შეგვხებოდნენ ცუდად. ყურებას კი ვერავის დაუშლი. თანაც, სულაც არ მაწყობდა შარი და ჩემს ნაშას ნახევრად ხუმრობით ვუპასუხე:

– ეგ არცაა გასაკვირი, შენისთანა ლამაზი ქალი მეორე არ მოიძებნება მოსკოვში და ეტყობა, დაევასე.

– ისინი მე კი არა, შენ გიყურებენ, – მითხრა ქალმა.

– ესე იგი, მე დავევასე, – ვეხუმრე ქალს, რომელმაც მომიგო:

– ერთ-ერთი ჩვენკენ მოდის.

– მშვიდად იჯექი და ყველაფერი გაირკვევა, – ვუთხარი ქალს, შინაგანად კი დავიძაბე, რადგან, მაინც არეული დრო იყო და, იყო შემთხვევები, როდესაც ქურდებსაც კი უშარდებოდნენ ახალგამომცხვარი ფულიანები.

– კობრა, ძმაო, გიყურებდით და ვფიქრობდით: ისაა... ის არაა... – მომესმა ნაცნობი ხმა, შევტრიალდი და, არტური არ შემრჩა ხელში?!

– არტურ, შენ? – ვთქვი, წამოვდექი და არტურს გადავეხვიე. შემდეგ არნოლდიც მოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– როგორ ხარ, ძმაო? მე და არტური საკუთარ თვალებს არ ვუჯერებდით და შენმა დანახვამ უზომოდ გაგვახარა.

– მეც ძალიან მიხარია. დასხედით, ძმებო,



– ვუთხარი ტყუპებს, რომლებიც ჩვენს მაგიდას შემოუსხდნენ და, მას მერე, რაც ჩემი ნაშა გავაცანი, საუბარს შევუდექით.

თხუთმეტიოდე წუთი გულითადად ვილაპარაკეთ და ზონის, ციხისა და ფუნიკულიორის რესტორნის ამბები გავიხსენეთ, რიგის საქმეზე კი ძმებს კრინტიც არ დაუძრავთ და არც მე მითქვამს რამე. არნოლდს გაეცინა და მითხრა:

– მსოფლიოს რომელ ცნობილ რესტორანში არ ვყოფილვარ და რა ვახშამი არ მიმირთმევია, მაგრამ, ფუნიკულიორის რესტორნის უმაღლესი კატეგორიის სუფრასთან ვერც ერთი ახლოს ვერ მოვა.

– მართალი ხარ. იცოდნენ კომუნისტებმა საკუთარი თავისთვის კომფორტის მოწყობა და სათავისოდ გემოვნებაც კარგი ჰქონდათ, – დავუდასტურე არნოლდს, არტურმა კი მითხრა:

– კობრა, ძმაო, მე და არნოლდი ამავე სასტუმროს – „სოვეტსკაიას“ აპარტამენტში ვცხოვრობთ. ბოდიში, მაგრამ, უაღრესად საქმიანი ვახშამი გვაქვს პარტნიორებთან, შემდეგ კი უნდა წავიდეთ. ძალიან გთხოვთ, ხვალ, თუ რა თქმა უნდა, გცალია, საღამოს რვა საათზე ჩვენს ნომერში გელოდებით და აუცილებლად გვეწვიე. ხოლო, თუ რვაზე არ გცალია, მაშინ, გვითხარი, როდის და იმ დროს დაგელოდებით. შენთან საქმე გვაქვს და პირისპირ უნდა დაგელაპარაკოთ.

– მცალია, მოვალ.

– ძალიან კარგი. აბა, ხვალამდე, – მითხრეს ძმებმა და თავიანთ სუფრას დაუბრუნდნენ, ნახევარ საათში კი ოთხ კაცთან ერთად რესტორანი დატოვეს.

მეორე დღეს არნოლდისა და არტურს აპარტამენტებში ვესტუმრე, სადაც პატარა სუფრა იყო გაშლილი. დაცვამ ყოველგვარი შემოწმების გარეშე გამატარა და ათლეტური აღნაგობის გოლიათი შემიძღვა საპრეზიდენტო ნომერში. ძმები გულითადად შემხვდნენ, სუფრასთან მიმიწვიეს და, მცირე მოკითხვისა და წარსულის გახსენების მერე არტურმა მითხრა:

– კობრა, ძმაო, შენზე ერთგული და პატიოსანი ქურდი მეორე არ მოიძებნება ამქვეყნად. სწორად გაგვიგე: ამქვეყნად ყველაფერი იცვლება, მათ შორის – ქურდული ცხოვრებაც და, იძულებულები ვართ, ამ ახალ ცხოვრებას ფეხი ავუწყოთ. მოკლედ, სრულუფლებიანი პარტნიორობა გვინდა შემოგთავაზოთ და რას იტყვი ამაზე?

– მაინც, რას მთავაზობთ კონკრეტულად? – ვკითხე ძმებს.

– ჩვენ ვაკონტროლებთ მსხვილ სათამაშო და გადაზიდვების ბიზნესს ევროპის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე. ჩვენი ინტერესები გვაქვს ოკეანის გაღმაც და, თუ წინააღმდეგი არ იქნები, გვინდა, შემოგთავაზოთ ჩვენი რუსული მიმართულების კურატორობა. გექნება შენი ოფისი მოსკოვის ცენტრში და ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას გაუწევ კაზინოებსა და მსგავსი ტიპის დაწესებულებებს, რომელიც ჩვენ გვეკუთვნის. სულ თხუთმეტი ასეთი წერტილი გვაქვს რუსეთში, რომლებსაც სულ მალე გავაორმაგებთ და პოლნი წილში იქნები. რას იტყვი?

– არა, ძმებო! ჩემი ოფისი ციხეა, ჩემი წილი კი – მოპარულის ნაწილი. არ გეწყინოთ, მაგრამ ასეთი საქმეები საჩემო არაა. სწორად გამიგეთ. შეურაცხყოფას არ გაყენებთ, მე ნებმანელი ქურდი ვარ და ახალი ქურდული წყობა ჩემთვის მიუღებელია. თქვენ თქვენი გზით გაგიმარჯოთ, მე კი იმავე გზით ვივლი, რომელსაც უკვე ბავშვობიდან მივყვები და მას ვერ გადავუხვევ.

– რას იზამ. ჩვენ პატივს ვცემთ შენს გადაწყვეტილებას, – ერთხმად მომიგეს ძმებმა და თავიანთ ბიზნესზე მეტი აღარ დაუძრავთ სიტყვა. მათ ნომერში კიდევ სამიოდე საათი დავრჩი, ძველ ამბებს ვიხსენებდით... გამომშვიდობების წინ კი არტურმა ნახევარი კილოგრამი ბაჯაღლო ოქროსგან დაწნული ჯაჭვი ჩამომკიდა კისერზე, რომელსაც უზარმაზარი ბრილიანტისთვლიანი ჯვარი ეკიდა და მითხრა:

– ეს შენ გქონდეს ჩვენგან. ღმერთმა არაფერი გაგიჭირვოს, მაგრამ, თუ რამე დაგჭირდეს, შეგიძლია, ყოველთვის მოგვმართო როგორც ძველ, კეთილ მეგობრებს. აი, ჩვენი ვიზიტკა.

არტური და არნოლდი მას მერე აღარ მინახავს, თუმცა, მათ შესახებ მომდიოდა ამბები. ძმებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავისი ბიზნესი და მსოფლიოში გავლენიანი მაფიოზები გახდნენ. მათზე ხუთი შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა, მაგრამ ისინი ყოველთვის უვნებლები რჩებოდნენ. ისინი დღესაც განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას და, დროდადრო მოწინავე ჟურნალ-გაზეთების პირველ გვერდებზე ჩნდებიან.

კრიტიკულად რომ მივუდგეთ საკითხს, ტყუპი ძმები, ქურდული კანონების თანახმად, ტიტულაყრილები უნდა იყვნენ. თუმცა, ასეთი რამის მცდელობას დიდი უბედურება მოჰყვება, რადგან, ისინი ასეთ რამეს არ დაუშვებენ და ყველა ღონეს იხმარენ საკუთარი ტიტულის დასაცავად. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მე მათ წინააღმდეგ წავალ. გულზე ხელს დავიდებ და სიმართლეს ვიტყვი, რომ ტყუპი ძმების მიმართ გარკვეული სიმპათიები ნამდვილად გამაჩნია, მაგრამ, ქურდული კანონები ჩემთვის წმიდათაწმიდაა და ვერ დავარღვევ. მთელი ცხოვრებაა, ასე ვიქცევი და ამ სიბერეში ნამდვილად ვერ შევიცვლე-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | ბ | უ | კ | ი | | | ზ | | ნ |
| | | | | | | | ა | | ო | | ს | ქ | ე | მ | ა |
| | | | | | | | ქ | ო | ლ | გ | ა | | პ | | გ |
| | | | | | | | ი | | ა | | ა | მ | ი | გ | ო |
| | | | | | | | ა | მ | უ | | მ | უ | რ | ე | ი |
| | | | | | | | | ა | | რ | ო | მ | ი | ნ | ა |
| | ბ | | | ე | | ს | ა | ლ | ტ | ე | | ი | | ი | |
| | ა | მ | ა | ლ | გ | ა | მ | ა | | ი | ნ | ა | ბ | ა | ს |
| ნ | ო | ე | | ვ | | თ | ე | ვ | ა | | | | ე | | ტ |
| ა | | რ | | ა | კ | ი | რ | ი | ლ | | პ | ა | რ | მ | ა |
| ი | რ | ა | თ | | ო | | ი | | ი | ლ | ო | რ | ტ | | ლ |
| ნ | | ბ | რ | ე | ლ | ო | კ | ი | | ი | ლ | უ | ა | | ი |
| ა | მ | ი | ა | კ | ი | | ა | | ი | ლ | | დ | | ი | ნ |
| | ა | | კ | ო | ნ | ა | ნ | | დ | ა | ნ | ი | ე | ლ | ი |
| ო | რ | ბ | ი | | | ე | კ | ი | უ | | ა | | | ა | |
| | დ | | ა | ს | ე | დ | ა | | მ | ე | მ | ფ | ი | ს | ი |
| ბ | ი | ა | | ო | ლ | ი | | | ა | მ | ი | ლ | | | უ |
| | | ი | ფ | ლ | ი | | | ა | ლ | ა | | ო | დ | ო | დ |
| კ | ი | ბ | ო | | ა | ნ | ი | ზ | ი | ლ | ა | ტ | | | ა |
| ა | | ო | ფ | უ | | უ | | ა | | ი | რ | ი | ფ | | |
| ს | ო | ლ | ო | | ა | ლ | ე | ვ | ი | | ო | ლ | ი | ფ | ა |
| ე | | ი | დ | ე | ნ | ი | | ე | ს | ე | ნ | ი | ა | | ლ |
| ტ | ო | ტ | ი | | ი | ნ | ა | რ | ა | მ | | ა | ლ | ი | ვ |
| ა | | ი | ა | ს | პ | ი | | ი | ფ | უ | ტ | | ა | ქ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 4 | 3 | 5 | 9 | 7 | 2 | 8 |
| 5 | 8 | 7 | 6 | 2 | 4 | 9 | 1 | 3 |
| 3 | 9 | 2 | 7 | 1 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 7 | 3 | 8 | 4 | 9 | 2 | 5 | 6 | 1 |
| 2 | 4 | 5 | 1 | 7 | 6 | 8 | 3 | 9 |
| 1 | 6 | 9 | 8 | 3 | 5 | 2 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 | 8 | 2 |
| 8 | 2 | 3 | 9 | 6 | 1 | 4 | 7 | 5 |
| 4 | 5 | 1 | 2 | 8 | 7 | 3 | 9 | 6 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 9 | 5 | 3 | 1 | 2 | 6 |
| 2 | 3 | 5 | 6 | 1 | 7 | 8 | 9 | 4 |
| 1 | 6 | 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 3 | 9 | 8 | 1 | 4 | 5 | 2 | 6 | 7 |
| 7 | 2 | 4 | 3 | 8 | 6 | 9 | 5 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 8 | 3 |
| 9 | 7 | 3 | 8 | 6 | 1 | 5 | 4 | 2 |
| 5 | 1 | 2 | 7 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 |
| 8 | 4 | 6 | 5 | 3 | 2 | 7 | 1 | 9 |

„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: **1. შუქურის ფუნქციას ასრულებდა. 2. სიკვდილით დასჯა. 3. აპარატურა იგებს ინგლისურ ენაზე მიღებულ ბრძანებას მხოლოდ იაპონური აქცენტით. 4. ჰობოი. 5. ეშმაკი (უკუმოქმედი – სატანა, სინათლის მომტანი – ლუციფერი, ბუზების თავადი – ბელზებელი). 6. ღაზას სექტორი. 7. ბიურო. 8. ახალწასმული ლაკი ყოველთვის იკრავს მტვრის ნაწილაკებს, რომლებიც ადგილისა და დროის მახასიათებელია. 9. გემოვნებაზე. 10. ლამა.**

ბი. მრავალი ისტორია ვიცი, როდესაც ქურდებს ქურდული საქმის გამო არც საკუთარი თავი დაუზოგავთ და არც უახლოესი ადამიანები. მართო ვასკა კასოის ისტორია რად ღირს, რომელმაც საკუთარი შვილიც კი გაწირა.

ვასკა კასოი ლენინგრადელი ქურდი იყო, რომელიც თავისი სამართლიანობითა და ქურდული კანონებისადმი უზომო ერთგულებით გამოირჩეოდა. ორმოცდაათი წლისაც არ იყო და ნახევარ ცხოვრებაზე მეტი სროკზე ჰქონდა გატარებული. კასოი ნეპმანელი ქურდი იყო, თუმცა, ჩემი არ იყოს, ბედის ირონიით, მას ერთი ქალისგან ვაჟი შეეძინა, რომელსაც ასევე ვასია დაარქვეს მამამისის პატივსაცემად. კასოიმ დაბადებისთანავე ალიარა შვილი და მის ნორმალურად აღსაზრდელად დედამისს ფულს აძლევდა. ხოლო, როდესაც სვაბოდაზე იმყოფებოდა, თავადაც იღებდა მონაწილეობას შვილის აღზრდაში. თუმცა, კოსოი ისე ცოტა ხანს ჩერდებოდა ხოლმე გარეთ, რომ აქტიურ მამობას ვერ უწევდა პატარა ვასიას. კასოის არ უნდოდა, რომ მისი შვილი კრიმინალი გამოსულიყო და ყოველმხრივ უშლიდა ამას ხელს. ბიჭი მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა, ვიოლინოზე უკრავდა და მნიშვნელოვანი წარმატებებიც ჰქონდა, მაგრამ, ნათქვამია: „კვიცი გვარზე ხტისო" და, თხუთმეტი წლის ვასიამ ჯერ სწავლას მოუკლო, შემდეგ კი ქუჩურ ცხოვრებაში ჩაება და ქურდობას მიჰყო ხელი. იმ პერიოდში ვასია კასოი „ბელი ლებედში" იჯდა, გარე სამყაროსგან აბსოლუტურად იზოლირებული იყო და რვაწლიან სროკს ქაჩავდა. პატიმრობიდან რომ გათავისუფლდა და ლენინგრადში დაბრუნდა, მისი ოცდასამი წლის ვასია უკვე სტაჟიანი ქურდი, უფრო სწორად, მომპარავი იყო და ადგილობრივ კრიმინალურ სამყაროში „სკრიპაჩის" სახელით იცნობდნენ. მას უკვე მოხდილი ჰქონდა სამწლიანი პატიმრობა „კრესტებში" და, რადგან იცოდნენ, რომ კასოის ვაჟი იყო, პატივისცემით ეპყრობოდნენ. ვასიას კი შეფერებული ჰქონდა ეს პატივი და ზოგჯერ ამპარტავნულადაც კი იქცეოდა. კასოიმ ჯერ კიდევ შინისკენ მიმავალ გზაზე შეიტყო შვილის ამბავი. მატარებელში მას ძველი ლენინგრადელი პაძელნიკი შეხვდა და ვასიას ამბავი მოუყვა.

– კასოი, ძმაო, შეიძლება, ბევრმა ვერ გაგიბედოს ამის თქმა, მაგრამ, გაჩუმება არ შემიძლია. არაქურდულად არასდროს მოქცეულვარ და ვერც ახლა დავარღვევ კანონს. შენი ვაჟი, მართალია, უბადლო მომპარავია და ლენინგრადსა და ლენინგრადის ოლქში მას ამ საქმეში ვერავინ შეედრება, მაგრამ, გაგებაში მოიკოჭლებს, ამპარტავანია და გაყოფა არ იცის. ეს კი ქურდობის მსურველისთვის დამღუპველია და, სიმართლეს გეტყვი: შენი შვილი რომ არ ყოფილიყო, „კრესტებში" თავს ვერ გაიტანდა, – უთხრა კასოის „ლესკამ". ლესკა კი სახელოვანი ნეპმანელი ქურდი იყო, უმწიკვლო ქურდული რეპუტაციით სარგებლობდა და კოსოი მას უდიდეს პატივს სცემდა.

ლესკას სიტყვებმა კასოის გული დაუმძიმა და უთხრა:

– რვა წელი „ბელი ლებედიდან" ცხვირი არ გამომიყვია და ყურადღება ვერ მივაქციე.



მევიოლინედ ვზრდიდი და მოპარვა დაუწყია.

– სწორედაც რომ „სკრიპაჩს" ეძახიან და ამ სახელით იცნობს ყველა. კარგია, რომ გათავისუფლდი. იმედია, აზრზე მოიყვან.

– ყველანაირად ვეცდები, – მიუგო ძმაკაცს კასოიმ. შვილის ცუდკაცობამ გული დაუმძიმა და დაღონდა.

ლესკა ადრე ჩავიდა მატარებლიდან, გამომშვიდობებისას კი კასოის უთხრა:

– მაპატიე, რომ გული დაგიმძიმე, ძმაო, მაგრამ, ვიცი, შენც ასე მოიქცეოდი. ჩემგან შენ ჭკუა არ გესწავლება, თუმცა, ძმაკაცურად გირჩევ, იქნებ შენი ვაჟი პატიოსან გზაზე დააყენო და ქურდობა გადააფიქრებინო.

გულდამძიმებული კასოი პირდაპირ ცოლშვილს მიადგა. ბინაში რომ შედგა ფეხი, მდიდრულად გაშლილ სუფრასთან მოქეიფე კამპანია დახვდა. ხუთი ვაჟი და ხუთი გოგონა უხამსად მხიარულობდნენ და მთელ ხმაზე ჩართული მაგნიტოფონი აყრუებდა იქაუროობას. ვასია კასოის მთვრალმა, თექვსმეტიოდე წლის გოგონამ გაუღო კარი და ბუშლატში გამოწყობილი უცნობი რომ დაინახა, ჰკითხა:

– ვის ეძებ, ბაბუაჩემო?

კასოიმ ალმაცერად შეხედა გოგონას, ბინაში შევიდა და თქვა:

– შვილიშვილი გამომეცხადა, თანაც გატრეტილი.

ვასია კასოი მხოლოდ შვილმა იცნო, შეცბა, მაგრამ წამოდგა, მამამისთან მიიჭრა და გადახვევა უნდოდა. კასოიმ კი ის ხელით შეაჩერა, მოქეიფეებს მზერა მოავლო და ჰკითხა:

– რა ხდება აქ, რა ბალაგანი მოგიწყვიათ?

– ჩემი საცოლის დაბადების დღეს აღვნიშნავთ, მამა, – მიუგო კასოის ვასიამ.

სიტყვა „მამას" გაგონებაზე მთვრალი მოქეიფეები შეიშმუშნენ და სუფრიდან აიყარნენ, რადგან, მიხვდნენ, ვინც იდგა მათ წინაშე. კასოიმ კი ვასიას ჰკითხა:

– დედაშენი სად არის?

– ჩვენთვის რომ არ შეეშალა ხელი, თავის დასთან წავიდა სამი დღით, – უთხრა ვასიამ.

კასოი უძრავად იდგა შუა ოთახში. ვასიას სტუმრები კი დაფაცურდნენ და სწრაფად გაშორდნენ იქაურობას. კასოიმ ბუშლატი გაიძრო და საკიდზე დაკიდა, შემდეგ ოთახში შემობრუნდა და „პრიმა" გააბოლა, თან შვილს თვალით ზომავდა.

– „მალბორო" მოწიე, მამა, – ვასიამ კასოის ამერიკული „მალბორო" მიაწოდა, მან კი ალმაცერად შეხედა შვილს და უთხრა:

– ძვირი სიამოვნებაა და არ ვარ ჩვეული. შენ კი, გეტყობა, კომფორტი და ფუფუნება გიყვარს. ძვირფასი სუფრა გაქვს გაშლილი – ალბათ, კარგი ხელფასი უნდა გქონდეს, რადგან ასეთი მოლხენის უფლებას აძლევ საკუთარ თავს.

– ჰო... კი... – გაურკვეველი პასუხი გასცა კასოის შვილმა.

– რა „ჰო, კი," სკრიპაჩო? – უთხრა კასოიმ ვაჟს და მგლური მზერა ესროლა.

მეტსახელის გაგონებაზე ვასია გაფითრდა, „მალბორო" გააბოლა და მცირე პაუზის მერე მამამისს უთხრა:

– გეტყობა, რაღაც-რაღაცეები გაგიგია ჩემზე.

– იმაზე მეტი, ვიდრე შენ გგონია, მაგრამ, სამწუხაროდ, კარგი არაფერი, – კბილებში გამოსცრა კასოიმ.

– მაინც, რა პრეტენზიები გაქვს ჩემთან? – თავხედურად ჰკითხა შვილმა მამას და ისეთი მრისხანე და ბოროტი თვალებით შეხედა, რომ ვასია კასოის ჟრუანტელმა დაუარა სხეულში.

კასოის შვილის კი არ შეშინებია, არამედ, იმის, რომ შვილის გამოსწორება შეუძლებელი ჩანდა და რომ ლესკას სიტყვები თავიდან ბოლომდე სიმართლე იყო, რაშიც კასოის ეჭვიც არ შეჰპარვია, თუმცა, გულში შვილის გამოსწორების მცირე იმედი მაინც ჰქონდა, ეს იმედი კი ვასიას ბოროტმა მზერამ გადაუწურა. მიუხედავად ამისა, კასოიმ უფრო მგლურად შეხედა შვილს და მრისხანე ხმით უთხრა:

– პრეტენზიებს მაშინ წაგიყენებ, როდესაც ჩემს სიტყვას გადახვალ. ჩემი ბრალიცაა, რომ ყურადღება ვერ მოგაქციე და გზაზე ვარ დაგაყენე. ჩემი სიტყვა კი ასეთია: დღეიდან წესიერ გზაზე დადგები და შავ სამყაროში აღარ გაჭაჭანდები. დამიჯერებ – ხომ კარგი; არადა, არ დაგინდობ. გასაგებია?

– არა, მამა, უკვე გვიანაა. ქურდობა მინდა, ქურდები საქმის კურსში მყავს ჩაყენებული და ჩემს სიტყვას უკან ვერ წავიღებ.

– ქურდებს მე მივხედავ, შენ კი ჩემი სიტყვა შეასრულე. ახლა წადი და დედაშენი მოიყვანე, – უთხრა კასოიმ ვაჟს, გაულიმა და დაამატა, – მოდი, შვილო, ჩაგეხუტო.

ვასია კასოი შვილს გადაეხვია და მოეფერა. შემდეგ ვასია დეიდამისთან წავიდა დედამისის მოსაყვანად, კასოიმ კი ჯერ არაყი დაისხა ჭიქაში და ორასგრამიანი სასმისი სულმოუთქმელად გამოსცალა. შემდეგ „მალბოროს" მოუკიდა, ორი ნაფაზის მერე ჩააქრო, „პრიმა" გააბოლა და თქვა:

არაყს არა უშავს, სიგარეტი კი საზიზღრობაა, ამდენ ფულს როგორ ყრიან ამაში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**დიდი ხანი არ არის, რაც მომხიბლავი, ჭკვიანი მარიამ გიორგობიანი „მაესტროს" ეთერში გამოჩნდა და პირველი დღეებიდან მოახერხა მაყურებლის მოხიბვლა. მარიამის ბიოგრაფია საკმაოდ ვრცელი და საინტერესოა.**

# რა აუკრძალა საკუთარ თავს მარიამ გიორგობიანმა და რაში ჩადო თავისი დიდი რესურსი და ენთუზიაზმი

**მარიამ გიორგობიანი**: ვსწავლობდი მეექვსე, გერმანულ, საავტორო სკოლაში. ნინო რამიშვილი იყო ჩვენი სკოლის დირექტორი. შემდეგ ჩავაბარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე. დავამთავრე, ავიღე მაგისტრის დიპლომი. მეორე კურსზე ვსწავლობდი, მუშაობა რომ დავიწყე ადვოკატის თანაშემწედ სამოქალაქო დარგში. 18 წლის გავთხოვდი, გავაჩინე გოგონა, ელენე, რომელიც ახლა 9 წლისაა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სწავლა გავაგრძელე კავკასიის სამართლის სკოლაში, მიმართულება – საერთაშორისო საჯარო სამართლი. მივიღე მაგისტრის კვალიფიკაცია. ანუ, ბოლომდე გავყევი, ყველა ეტაპი გავიარე: ერთი ბაკალავრის და ორი მაგისტრის დიპლომი მაქვს. კერძო ადვოკატურა არასდროს მაინტერესებდა – მკაცრი პროფესიაა ქალისთვის. დიდი დრო და რესურსი მიაქვს. ვფიქრობ, ცხოვრება ბევრად ლამაზია, ბევრად საინტერესო რაღაცეებია გასაკეთებელი, ვიდრე მხოლოდ საქმე და კარიერაა. „კავკასიის უნივერსიტეტი" წარმატებით დავამთავრე და დამტოვეს ლექტორად. 22 წლიდან ვკითხულობდი ლექციებს: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიმართულებით. ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა ეს კურსი.



**ყველა ეტაპი გავიარე: ერთი ბაკალავრის და ორი მაგისტრის დიპლომი მაქვს. კერძო ადვოკატურა არასდროს მაინტერესებდა – მკაცრი პროფესიაა ქალისთვის, დიდი დრო და რესურსი მიაქვს**

– **საინტერესოა, როგორ შეგხვდნენ პირველ ლექციაზე თითქმის შენი ასაკის სტუდენტები.**

– მახსოვს, ძალიან ვღელავდი. წინა დღეს მოვემზადე, პრეზენტაცია გავაკეთე, მასალები ამოვბეჭდე, მომზადებული მივედი. კავკასიის უნივერსიტეტში, განსხვავებით სახელმწიფო უნივერსიტეტისა, საკმაოდ ახალგაზრდა ლექტორები მასწავლიდნენ და ძალიან მეგობრული გარემო იყო. ჩემსა და ჩემს ლექტორებს შორის მცირე ასაკობრივი სხვობა იყო. ამიტომ, ეს გამოცდილება დამეხმარა. რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ჯგუფი დამხვდა. ისინიც მიჩვეულები იყვნენ ახალგაზრდა ლექტორებს. ჩემი სტუდენტების უმეტესობა ძალიან წარმატებული გახდა, ხშირად მწერენ: შენი დამსახურებაა, რომ ამას მივაღწიეთო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა. ყოველთვის ვცდილობ, მათ ხედვის ფართო სპექტრი ჩამოვუყალიბო, რომ არ იყვნენ კონვენციური იურისტები და უფრო ფართო ხედვა ჰქონდეთ. ჰქონდეთ კრიტიკული ანალიზის, ინტერპრეტაციის უნარი, მსჯელობა და ცოდნა ალტერნატიული საშუალებების შესახებ. ამიტომაც, მათთან ძალიან ბევრ რამეზე ვმსჯელობდი, პოლიტიკის გარდა. ამ თემაზე საუბარი საკუთარი თავისთვის აკრძალული მაქვს – სტუდენტებთან არ უნდა დააფიქსირო შენი აზრი, რადგან მათ მიბაძვის ელემენტი უჩნდებათ. იციკლებიან შენს აზრზე – ჰგონიათ, რომ ეს კარგია. შეიძლება, კარგიც არის, სწორიც, მაგრამ უმჯობესია, საკუთარი აზრი ჩამოუყალიბდეთ. კავკასიის სამართლის სკოლაში ორი წლის განმავლობაში ვიმუშავე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე. ასევე, ერთ-ერთ კომპანიაში კომერციული დირექტორიც ვიყავი.

– **ეს კიდევ სულ სხვა სფეროა.**

– მიყვარს გაყიდვები, მოლაპარაკებები. ამიტომაც, საკმაო წარმატება მქონდა ამ მიმართულებით. კომპანია „სარაჯიშვილშიც" ვმუშაობდი იურისტად – საერთაშორისო სამართლის მიმართულებით და ეს პერიოდი განსაკუთრებულად მიყვარს. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მუშაობა დავიწყე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მაშინ იქმნებოდა სამართლის ფაკულტეტი, სამართლის პროგრამა ყალიბდებოდა. მთელი ეს პერიოდი ვმუშაობ ამ მიმართულებით, ამიტომაც, შვილივით მიყვარს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, სამართლის პროგრამა. ჩემი დიდი რესურსი, ენთუზიაზმი წავიდა ამაში, ამიტომაც ჩემთვის ახლა ეს სამსახურია ძალიან ძვირფასი და ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ ეტაპზე ვხელმძღვანელობ საბაკალავრო პროგრამაზე საერთაშორისო საჯარო სამართლის მიმართულებას და ასევე, სამაგისტრო პროგრამას. გარდა ამისა, ვსწავლობ სადოქტორო პროგრამაზე – საბჭოთა და პოსტსაბჭოთა კვლევებზე. სადღაც შუა პერიოდში, ასევე, ვსწავლობდი სტრასბურგშიც რობერტ შუმანის უნივერსიტეტში – ადამიანის უფლებათა სამართალზე... პრინციპში, ეს არის ჩემი ბიოგრაფია.

– **როდის აპირებ სადოქტოროს დაცვას?**

– არ ვჩქარობ. ჯერ საკმაოდ ახალგაზრდა ვარ იმისთვის, რომ მაინცდამაინც დოქტორის ხარისხი მქონდეს. სტატუსი ადამიანის ცხოვრებაში განმსაზღვრელად არ მიმაჩნია. მთავარია, შენ მიიღო ის, რაც გჭირდება. გექნება თუ არა სტატუსი, ამას არ აქვს მნიშვნელობა.

– **ოჯახს ხელი არ შეუშლია შენი კარიერისთვის?**

– არა და საერთოდ, მიმაჩნია, რომ თუ ცხოვრებაში მიზანი გაქვს, ხელს ვერაფერი შეგიშლის. რა თქმა უნდა, დაბრკოლებები აუცილებლად შეგხვდება, მაგრამ ადამიანის სიძლიერე და ცხოვრების აზრიც ისაა, რომ ეს ეტაპები გაიარო. ნებისმიერი პრობლემა, ნეგატივი ისე უნდა დამალო, იქიდან პოზიტივი გამოიტანო და მერე ამ პოზიტივზე მოახდინო კონცენტრირება. ცუდიც მთავრდება, კარგიც – ცხოვრებაში ყველაფერი პროპორციული და მონაცვლეობითია. თუ ცხოვრებაში განსაცდელი არ გაქვს, მერე ეჩვევი კეთილდღეობას და მინიმალური პრობლემაც კი შენთვის დამანგრეველი ხდება. ოჯახის მხრიდან იყო ხელშეწყობა. ელემენტარულად, ვიღაცამ ხომ უნდა დაიტოვოს ბავშვი, როცა ლექციაზე მიდიხარ. ამ პრობლემის მოგვარებაც შეიძლება – აიყვან ძიძას და დაუტოვებ. თუმცა, პირველ შვილზე ძიძა არ მყოლია, ოჯახის წევრები მეხმარებოდნენ ბავშვის გაზრდაში. მეორე შვილი – ანასტასია, რვა წლის შემდეგ გავაჩინე. როგორი გაიზრდება შვილი, ეს შენზეა დამოკიდებული. ზოგადად, წინააღმდეგი ვარ იმის, რომ ბავშვი ვინმეს გააზრდევინო. თუმცა, მირჩევნია, ბავშვი ძიძამ გაზარდოს, ვიდრე ბებიამ. ბებია უფრო მეტის უფლებას აძლევს საკუთარ თავს და უფრო ათამამებს, გარდა ამისა, არიგებს ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად. ამიტომაც, შეიძლება, შვილი სულ არ გგავდეს შენ და დაემსგავსოს ბებიას. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი, მაგრამ მე მირჩევნია, ინდივიდი იყოს. თან, ჩემი შეხედულებები უფრო თანამედროვეა, ვიდრე ბებიასი. ამიტომ მირჩევნია, ცხოვრებაში მთავარი მიმართულებები მე მივცე. ასე რომ, მათ აღზრდას საკმაოდ დიდ დროს ვუთმობ. უფროსი უკვე დიდი და ძალიან კარგი გოგოა, სწორ ადამიანად ჩამოყალიბდა. მინდა, იცოდეს მეგობრობის ფასი, გაუფრთხილდეს სიყვარულს, მეგობრებს და უნდა იყოს ერთგული, თავმდაბალი.

## ვფიქრობ: ცხოვრება ბევრად ლამაზია, ბევრად საინტერესო რაღაცეებია გასაკეთებელი, ვიდრე მხოლოდ საქმე და კარიერაა

– **რას საქმიანობს შენი მეუღლე?**

– იურისტია, თუმცა, ჩემზე უფროსია და ერთმანეთს უნივერსიტეტში არ შევხვედრივართ. 15 წლის ვიყავი, როდესაც გავიცანი, 18 წლის ვხდებოდი, რომ დავქორწინდით. დიდი ხანია, იურისტად არ მუშაობს, ბიზნესმენია.

– **როგორ აღმოჩნდი ჟურნალისტიკაში?**

– ზოგადად, მიყვარს ცხოვრებაში სიახლეები, გამოწვევები. თუ ცხოვრება იმის საშუალებას გაძლევს, რომ განვითარდე, ამაზე უარი არ უნდა თქვა. ვფიქრობ, გარკვეულ ასაკამდე გაქვს იმის უფლება, ბევრი რამ აიღო საკუთარ თავზე, ბევრი მიმართულებით მოსინჯო თავი. თუმცა, არარეალური სურვილები არ მახასიათებს. რა სურვილებიც მქონდა, ზოგადად, ავიხდინე. მიმაჩნია, რომ ადამიანს შეუძლია, ყველაფერს მიაღწიოს, თუ არ დანებდება და სწორად წაიყვანს ცხოვრებას. რაც შეეხება ჟურნალისტიკას, მეგობარმა დამირეკა და მითხრა, „მაესტროში" ეძებენ დილის გადაცემის წამყვანსო და წავედი ქასთინგზე, გავიარე და ასე აღმოვჩნდი წამყვანად. ძალიან კარგი, მეგობრული გუნდია და ზოგადად, ამ კუთხით მიმართლებს. მომწონს მუშაობის პროცესი, ოღონდ, თავიდან ძალიან ვინერვიულე. მიუხედავად იმისა, რომ არაერთხელ მქონია პირდაპირი ეთერი, ინტერვიუ, ოღონდ საერთაშორისო სამართლის ექსპერტის რანგში. ალბათ, იმიტომ რომ, ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მაყურებლისა და იმ ხალხის წინაშე, რომელიც ამ გადაცემაზე მუშაობს. მე კი პასუხისმგებლობის გრძნობა ზეაღმატებულ ხარისხში მაქვს.

– **ცხოვრების რეჟიმიც შეგეცვალა.**

– კი და ვამბობ ხოლმე – დრომაც მოიმატა ჩემთვის. მაგრამ ძალიან დამღლელია, რადგან იქიდან მეორე სამსახურში მივდივარ, საიდანაც საკმაოდ გვიან ვბრუნდები სახლში. ცოტა ხანს ვეთამაშები ბავშვებს, ვაძინებ და შემდეგ მეგობრებს ვნახულობ.

– **როდის ნახულობ მეუღლეს?**

– გარკვეულ პერიოდს ბავშვებთან ერთად ვატარებთ, ან მეგობრების სანახავად დავდივართ ერთად. გარდა ამისა, შუადღეს მე და ჩემი მეუღლე გავდივართ ლანჩზე. არის იმის საშუალება, დილით ერთად დავლიოთ ყავა. რასაც „შენსას" დაარქმევ, შენს ცხოვრებაში შემოუშვებ, იმას გაფრთხილება, ყურადღება სჭირდება, თორემ დაკარგავ.

**ნათია უტიაშვილი**

# ვისთვის გამოჰქონდა სამედიცინო ექსპერტს, ალექსანდრე გეჯაძეს ქალიშვილობის „ვერდიქტი“ და რა აღმოაჩინა მან კანონიერი ქურდის კუჭში

(მე-12 გვერდიდან)

რის სახელმწიფო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მათი გარდაცვალების მიზეზი გახდა ელექტროსადენები. მთავარი პროკურატურის დადგენილების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით, ჩვენ ჩავატარეთ დამოუკიდებელი ექსპერტიზა. მოხდა გვამების ექსჰუმაცია და გამოიკვეთა ისეთი გარემოებები, რომელთაც ძალიან დიდი კითხვის ნიშნები გააჩინეს პირველად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნაში.

ჩვენი ცენტრი მუშაობდა სულხან მოლაშვილის საქმეზეც. ეს დაკვეთა მოდიოდა შალვა შავგულიძისგან, რომელიც სულხან მოლაშვილის ადვოკატი იყო. ჩვენ შევისწავლეთ პატიმრობაში მყოფი სულხან მოლაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ექსპერტთა კომისიამ დადო დასკვნა, რომ სულხანს ჰქონდა არაერთი დაავადება, მათ შორის ღვიძლის ვირუსული C ჰეპატიტი. ამაზე დიდი ამბავი ატყდა, წერილით მომმართა იმდროინდელი იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ეკა ტყეშელაშვილმა, რომელიც გვადანაშაულებდა არაობიექტურობაში და უამრავ პრეტენზიას გვიყენებდა. ამ წერილს დღემდე ვინახავ რელიკვიად. ამის შემდეგ სულხან მოლაშვილი გამოიკვლია ჯანდაცვის სამინისტროს კომისიამ, რომელმაც მხოლოდ ჩვენ მიერ გახმაურებული დიაგნოზის შემდეგ აღმოუჩინა მას C ჰეპატიტი. ჩვენი დასკვნა გაიგზავნა სტრასბურგში, საიდანაც სახელმწიფოს დაევალა სულხან მოლაშვილის განკურნება. მხოლოდ ამის შემდეგ გადაიყვანეს სულხანი ინფექციურ საავადმყოფოში მკურნალობის კურსის ჩასატარებლად.

ჩვენ რამდენჯერმე გვქონდა მცდელობა, ცენტრი ჩართულიყო იმ გახმაურებულ საქმეებში, რომლებიც საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა. როცა წარმოგვიდგინეს ლაფანყურის სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა ფოტომასალა, ჩვენ ვნახეთ გარკვეული დაზიანებები, რომლებიც ფეთქებადი ტრავმის კვალი იყო და გამოვთქვით მზადყოფნა, ჩავრთულიყავით ექსჰუმაციის პროცესში. სახალხო დამცველიც დაგვიკავშირდა ამ თხოვნით, მაგრამ ამისი უფლება არ მოგვცეს. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაში დაგვტოვეს მაშინ, როცა ხდებოდა ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცხედრის გადასვენება გროზნოდან როსტოვის ოლქის სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულებაში. ჩვენ მაშინაც გამოვხატეთ მზადყოფნა, ჩვენი ცენტრის წარმომადგენლები საქართველოში შექმნილი სახელმწიფო კომისიის საქმიანობის ფარგლებში, ჩავსულიყავით როსტოვში და ერთად გამოგვეკვლია ცხედარი. საგარეო საქმეთა სამინისტროში საბუთები მზად იყო, მაგრამ ჩვენი ვიზიტი არ შედგა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გამომწვევი მიზეზების დამდგენი კომისია რომ შეიკრიბა პარლამენტში, ჩვენ გამოვთქვით ინიციატივა, ჩაგვეტარებინა ექსპერიმენტი. არსებობდა ინფორმაცია, რომ პროკურატურის არქივში ინახებოდა საწოლის კიდე, რომელზედაც აღმოჩენილი იყო ნატყვიარი. მე განვაცხადე, იმის დასადგენად, იყო ეს მკვლელობა თუ თვითმკვლელობა, უნდა ჩატარებულიყო საგამოძიებო ექსპერიმენტი. იმ სიგრძის და კონსისტენციის საწოლზე, იმ ადგილზე, სადაც მოხდა გარდაცვალება მოგვეხდინა გასროლის იმიტირება, რაც უფრო მეტ ინფორმაციას მოგვცემდა. ეს წინადადება მოიწონეს, დაგვპირდნენ, რომ ყველა პირობას შეგვიქმნიდნენ ამ ექსპერიმენტის ჩასატარებლად, მაგრამ ინიციატივა დარჩა ინიციატივად და გაგრძელება აღარ მოჰყოლია.

**– პროფესიით ექიმი ხართ, რატომ აირჩიეთ სამუშაოდ ასეთი მძიმე სფერო – მუდმივად გვამებთან „ურთიერთობა“?**

– სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა გვამებთან ასოცირდება, თორემ აქ ძალიან საინტერესო მიმართულებებია ცოცხალ პირთა ექსპერტიზაშიც. ვასილ მჟავანაძის ქალიშვილი ტომა პირველი კურსის სტუდენტი იყო, როცა სამედიცინო ექსპერტი გახდა და გვამებზე დაიწყო მუშაობა. მე არ ვიცი, ამას როგორ შეხვდა ვასილ პავლოვიჩი, მაგრამ ტომა პროფესიონალი სამედიცინო ექსპერტი დადგა. მგონი, დღესაც მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროში მუშაობს გამსვლელ ექსპერტად. არ მოგატყუებთ და გეტყვით, რომ ჯერ კიდევ სტუდენტი მივხვდი, რომ ავადმყოფთან ურთიერთობას ეს საქმე მერჩია. მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა სასამართლო მედიცინით დავინტერესდი. როგორც კი ლექციები დამიმთავრდებოდა, მორგში მივდიოდი, სადაც არაოფიციალურად ვმუშაობდი – სანიტრის თანაშემწე ვიყავი. მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგი გივი კალანდაძე, მისი დამსახურებაა, რომ მე ამ სფეროში დავრჩი. მან მასწავლა და შემაყვარა ეს საქმე. თავიდან ძალიან გამიჭირდა – ფსიქოლოგიურად რთული იყო. ადამიანს ვუყურებდი, როგორც გარდაცვლილს და ეს იყო მძიმე. მერე და მერე, ეს ემოციები გაქრა, ყველა გვამს პროფესიონალურად, როგორც კვლევის ობიექტს, ისე ვუდგებოდი *(იცინის)*. 32 წელია, ამ საქმეში ვარ, სულ ცოტა, 15 წელი მომინია გვამებზე მუშაობამ. ეგრეთ წოდებულ „რამიანცის“ ცნობილ მორგში 20-25, ზოგჯერ 35 გვამს ვკვეთდით თითო ექსპერტი თვეში.

**– კომუნისტებს ამაშიც ჰქონდათ გეგმა?**

– არა, ამ მხრივ გეგმა არ არსებობდა. მაშინ, რა თქმა უნდა, არ იყო ამდენი კრიმინალური შემთხვევა. ექსპერტიზა ხდებოდა იმ გვამებზეც, სახლში უცაბედად რომ გარდაიცვლებოდა ადამიანი, რომელიც არ იყო სამედიცინო აღრიცხვაზე. ოფიციალურად უნდა დადგენილიყო გარდაცვალების მიზეზი, თუმცა თუ ჭირისუფალი არ ითხოვდა, გარეგანი დაზიანებებით ვდებდით დასკვნებს. ექსპერტად ვმუშაობდი იმ პერიოდში, როცა მოხდა თვითმფრინავის გატაცება. მე ვიყავი ჩართული გია ტაბიძის გვამის გაკვეთაში. ძალიან კარგად მახსოვს ერთი საქმე. ცნობილი კანონიერი ქურდი იყო ტატო ხუნდაძე. 20 წელი ციმბირში ჰქონდა მოხდილი, ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ერთხელ სოლოლაკში ერთ-ერთ ქუჩაზე იპოვეს მფრინავის ფორმაში გამოწყობილი პიროვნების გვამი. მოიყვანეს ჩვენთან მორგში, არც პირადობა ჰქონდა, არც არაფერი. ერთადერთი, რაც ჰქონდა ტანზე, იყო სპეციფიური სვირინგები, რაც მიუთითებდა მის კავშირებს შავ სამყაროსთან. სამი-ოთხი დღე იკვლევდა სისხლის სამართლის სამძებრო და ბოლოს, როგორც იქნა დაადგინეს, რომ კანონიერი ქურდის, ტატო ხუნდაძის ცხედარი იყო. გვამს გაკვეთის დროს კუჭიდან პატარა კონტეინერი ამოვუღე. გვერდით სანიტარი მედგა, ვეხუმრე: პეტია, ავშენდით, ამ კონტეინერში ან ბრილიანტებია, ან რაღაც სხვა მსგავსი-მეთქი, გავხსენით კონტეინერი და ნარკოტიკით იყო სავსე. ეტყობა, ვიღაც დაადგა კუდზე, ცხონებულმა ნარკოტიკი გადაყლაპა და ასფიქსიით გარდაიცვალა.

**– ამიტომაცაა, სულ რომ ამბობდნენ, ეს საქმე ყოველთვის სარფიანი იყოო.**

– ამაზე მე გავიჩუმდები. დასამალი არაფერია, მაგრამ მაშინ ხელფასზე არავინ ცხოვრობდა, მით უფრო, რომ ჩვენს სფეროში ძალიან დაბალი ხელფასი იყო. ეს საქმე მომხიბვლელი იყო იმ მხრივაც, რომ საჭირო ხალხი ვიყავით ძალოვანი სტრუქტურისთვის. გვქონდა გავლენიანი კავშირები, რაც იმ პერიოდისთვის მნიშვნელოვანი იყო.

**– სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ძალიან აქტუალური იყო „ქალწულობის ინსტიტუტის“ დაცვაშიც. ბევრი ასეთი ისტორიის მომსწრე და მკვლევარი ყოფილხართ?**

– უფ, ეს მართლაც ძალიან აქტუალური თემა იყო კომუნისტურ წყობაში. დროთა განმავლობაში ეს ტენდენცია შეიცვალა. „ქალიშვილობის ინსტიტუტი“ მაშინ იყო მყარი, როცა მე ახალგაზრდა ექსპერტი ვიყავი. მოაწყდნენ ბატონო ხელს, გადაიხდიდნენ დიდ ქორწილს და მერე ცოლ-ქმარი გუგულებივით მოდიოდნენ ჩვენთან ქალიშვილობის „ვადების დასადგენად“ *(იცინის)*. ეზოში ცალკე ჯგუფად იდგნენ ბიჭის გულშემატკივრები, ცალკე – პატარძლისა და ელოდნენ ჩვენს ვერდიქტს – იყო თუ არა პატარძალი ქალიშვილი. თუ დავდებდით დასკვნას, რომ საქალწულე აპკი შესაბამისი მორფოლოგიიდან ახალი დარღვეული იყო, ატყდებოდა ხოლმე ხალისიანი ხვევნა-კოცნა. თუ დასკვნა უარყოფითი იყო, გოგოს მხარე პირდაპირ გადადიოდა შეტევაზე მეორე მხარესთან ლანძღვა-გინებით. ასეთები ძალიან ბევრი იყო.

**თამუნა სამადაშვილი**

# რაზეა მიბმული ეკა კვესიტაძე და რას ვერ შეელია ის წარსულიდან

(მე-18 გვერდიდან)

ცარ რეჟიმს იყო მიჩვეული. მე მახსოვს, ერთხელ სპეციალურად ვთხოვე და ვნახეთ, რომ მის ტელეფონზე 300 ზარი იყო შემოსული. ჩვენ ერთად ხუთი დღე ძლივს ვახერხებდით სადმე გასვლას ქალაქიდან, ისიც მაშინ, როცა არაფერი ისეთი არ ხდებოდა. მე ახლა დღეებს ვატარებ კითხვაში, მუსიკის მოსმენასა და ფრანგულის სწავლაში. ფრანგული სხვა სამყაროს გიხსნის. ბევრ დროს ვუთმობ შვილებს, თუმცა, რაც არ უნდა ყოფილიყო, მათ ჩემთან ურთიერთობის დეფიციტი არც ჰქონიათ. რაც შვილები მყავს, მას მერე სულ ვცდილობდი, სახლში ვყოფილიყავი. თორემ, სანამ ისინი გაჩნდებოდნენ ჩემს ცხოვრებაში, სახლი სასტუმროსავით მქონდა. მერე სულ ვფიქრობდი, რომ ჩემს შვილებთან გატარებული დროის ფასად, არაფერი ღირდა. მე არ გამომდის ბავშვებთან თამაში, მაგრამ მათთან მუდმივ ურთიერთობაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. ახლა უკვე უმუშევრად ყოფნის გამო დეპრესიაც არ მაქვს, როგორიც მაშინ მქონდა, როცა „რუსთავი 2-დან“ წამოვედი. ახლა უკვე მეტი გამოცდილება მაქვს, უფრო გავიზარდე. არასდროს არ უნდა იყო მიბმული შენს პოზიციაზე. მიბმული უნდა იყო შენს სახელსა და გვარზე. არ უნდა დაგთრგუნოს არაფერმა, რადგან ყველაფერი დროებითია, როგორც წარმატება, ასევე წარუმატებლობა. ამიტომაც ძალიან მსუბუქად ვუყურებ ამ ყველაფერს. ცხოვრებაში ყველაფერი დინამიკურია და იცვლება. მთავარია, შენს თავთან იყო კომფორტულად თუნდაც მარტოობის, წარუმატებლობის დროს. ნამდვილად არ ვკარგავ იმედს, რომ ეთერში დავბრუნდები. როდის? არ ვიცი. მაგრამ, ეს დროც მოვა.

**თამუნა სამადაშვილი**

**17 წლის ანი მამულაშვილი ამჟამად აბიტურიენტია და მომავალში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე აპირებს ჩაბარებას. ანი უკვე რამდენიმე წელია, სამოდელო სააგენტო „ბესტ მოდელის“ მოდელია.**

# რატომ არ უყვარს შეზღუდვები და აკრძალვები ანი მამულაშვილს და რა ურთიერთობის შემდეგ მიიღო მან დიდი გამოცდილება

**ანი მამულაშვილი**: ძალიან მომწონს „ბესტ მოდელში“ სიარული. ბევრ კონკურსში მაქვს მონაწილეობა მიღებული. სააგენტოში, კახი ხაბეიშვილთან, ყველა ძალიან კარგად შემხვდა; რაც მთავარია, სიარული უფრო მეტად დავხვეწე, გავიზარდე, ბევრ ჩვენებაში მივიღე მონაწილეობა, ცნობილი ადამიანებიც გავიცანი. თავიდან ძალიან დაძაბული ვიყავი, მერე კი ნელ-ნელა კომპლექსები მომეხსნა, უფრო თავისუფალი, თამამი გავხდი. ადამიანებთან ურთიერთობას გია ჯაჯანიძე გვასწავლის და ბევრ რამეში დაგვეხმარა გოგონებს. დამოუკიდებელიც გავხდი. ახლა საკმაოდ დატვირთული გრაფიკი მაქვს, თან, სკოლაშიც დავდივარ. გადარბენებზე ვარ, ზოგჯერ ვაგვიანებ, მაგრამ, ვცდილობ, არ გავაცდინო. კახი მიწყობს ხელს, რომ არ გავაცდინო მასწავლებელთან გაკვეთილები. პროგრამა ძალიან გაართულეს და, მინდა, ჩავაბარო, მიზანს მივაღწიო.

**– რით ხარ დაკავებული, გარდა სწავლისა და მოდელობისა?**

– ყოველდღე თუ არა, კვირაში ორჯერ-სამჯერ მეგობრებთან ერთად ვარ – ისინი ძალიან მიყვარს, კარგი სამეგობრო წრე მაქვს. შარშან უფრო ვცდილობდი ბევრ ადგილზე წასვლას, წელს კი ველარ ვახერხებ, რადგან, დრო აღარ მრჩება. კლუბებში სიარული დიდად არ მიზიდავს, ლაუნჯი ბარები უფრო მომწონს.

**– როგორი ხარ ხასიათით?**

– რაც „ბესტ მოდელში“ დავიწყე სიარული, უფრო კომუნიკაბელური გავხდი, ადრე ჩაკეტილი ვიყავი. თუმცა, მეგობრებთან ძალიან თბილი, გახსნილი ადამიანი ვარ. ვინც იმსახურებს, იმასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ, თუ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს ჩემ მიმართ, მეც ვცდილობ, არ დავეკონტაქტო. უზომოდ თბილი ადამიანი ვარ, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია სხვისთვის და, შესაბამისად, მათგანაც იმავეს მოვითხოვ. ისეთი ინტუიცია მაქვს, ადამიანს რომ შევხედავ, მაშინვე ვხვდები, რა უნდა. ზოგადად, არ მიყვარს კონფლიქტი, არასდროს არ ვჩხუბობ.

**– ამ ბოლო დროს გოგონები ბიჭების გამოც ჩხუბობენ?**

– არასდროს მიჩხუბია ბიჭების გამო და არც ვიჩხუბებ – არ მიღირს.



**დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ ლაპარაკობს, რას ამბობს**

**– როგორი ინტუიცია გაქვს ბიჭებთან დაკავშირებით?**

– ორთან მქონდა ასეთი შემთხვევა. პირველი: მენეჯერს ვაწერინებდი ტელეფონის ნომერს. იქ ერთი ბიჭი იყო და, გავიფიქრე, ჩემი ნომერი არ ჩაიწეროს-მეთქი. განა იმიტომ, რომ ამით ჩემს გარეგნობას ვუსვამდი ხაზს, უბრალოდ, გავიფიქრე და, მართლაც, ჩაიწერა; მეორე: ანგარიშზე ფულს ვრიცხავდი და აშკარად ვგრძნობდი, ერთი ბიჭი როგორ მიყურებდა. მაშინაც ვიფიქრე, ნომერი არ ჩაიწეროს-მეთქი და, იმ დღესვე მომწერა, ოღონდ, ზრდილობიანად. ზოგადად, მიმაჩნია, რომ არ არის ნორმალური, როდესაც უცხო ადამიანს ემესიჯები. თუმცა, თუ ადამიანურად საუბრობს, არ არის ძველი ბიჭი, ნორმალური ადამიანია, შეიძლება, პასუხი გასცე. მაგრამ, ვცდილობ, ეს არ გავაკეთო.

**– როგორი ბიჭები მოგწონს?**

– შავგვრემანი, სქელი წარბებით, დიდი ტუჩებით, უცხო გარეგნობის. არ მიყვარს ლამაზი ბიჭები, მირჩევნია, კარგი ტიპი იყოს. შეიძლება, გარეგნობით სულ არ იყოს კარგი, მაგრამ, ისე მომეწონოს, სხვას არც შევხედო. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, როგორ ლაპარაკობს, რას ამბობს. საერთოდ, არ მიჭირს ადამიანებთან, მათ შორის – ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ, თუ მაინც ვერ გამოვნახავთ საერთო ენას, არ მომეწონება მისი საუბრის მანერა, მაშინვე დამეკარგება მის მიმართ ინტერესი. დახვეწილი შინაგანი ბუნება უნდა ჰქონდეს, ეს კი ქუჩაში დგომით არ მოდის. სამომავლო მიზნები უნდა ჰქონდეს და მოტივირებული უნდა იყოს. უნდა სწავლობდეს, მომავალზე ფიქრობდეს და არა სისულელეებზე. ცოტა ასაკით უფროსები მომწონს, რადგან, უფრო დამოუკიდებლები არიან. რამდენიმე უფროსსაც ვუყვარდი, მაგრამ, 12 წლით უფროსი მამაკაცისკენ გული არ მიმიწევს, 5-6 წლით უფროსი – შეიძლება. კიდევ, არ მომწონს მკაცრი ბიჭები. შეიძლება, რაღაც დოზით ქალს ბევრი არ გააბედვინოს, მაგრამ, არ უნდა შეზღუდოს. არ მიყვარს, როდესაც ადამიანებს ზღუდავენ, მით უმეტეს – ჩემნაირს, რადგან, ისეთი ვარ, თავისუფლად შემიძლია, გავუგო ადამიანს. მაგრამ, თუ მე არ მიგებენ, არც მე ვუგებ. საერთოდ, ყველაზე მეტად ყურადღებას ვაფასებ. რამდენჯერ ყოფილა, რომ ადამიანი არ მაინტერესებდა, მაგრამ, იმდენად ყურადღებიანი ყოფილა, რომ დავუინტერესებივარ. აკრძალვები არ მიყვარს, ადამიანი უნდა გენდობოდეს. არასდროს ვიცვამ ისე გამომწვევად, რომ ვინმემ შენიშვნა მომცეს, არ მენდოს, ამიკრძალოს. როცა რაღაც გიყვარს, გინდა, წარმატებას მიაღწიო, ხელი უნდა შეგიწყოს, გაგახალისოს. ეს თუ არ იქნება, მერე, მომავალში, ბევრ რამეში შეგზღუდავს, ეს კი ურთიერთობას გაამწვავებს და, საბოლოო ჯამში, დაიშლება. ამიტომ, ჯობია, თავიდანვე მიხვდე ყველაფერს. შეიძლება განიცადო, მაგრამ, უნდა დაამთავრო ყველაფერი. ეჭვიანი ბიჭებიც არ მომწონს, თან, უაზრობაზე რომ ეჭვიანობენ. მაგრამ, რაღაცნაირად რომ იციან ეჭვიანობა, ეს მსიამოვნებს – ესე იგი, შენზე ფიქრობს. მეც თუ მაქვს მიზეზი, ძალიან ეჭვიანი ვხდები, ისეთ რამეს ვეტყვი, რომ ამით ყველაფერი დამთავრდება. თუ ადამიანი შენთან არის, ბოლომდე შენთან უნდა იყოს. თუკი მე ვარ მასთან ბოლომდე, ისიც ბოლომდე უნდა იყოს ჩემთან.

**– შეყვარებული გყოლია?**

– ახლა არ მყავს, მხოლოდ უნივერსიტეტში ჩაბარებაზე ვფიქრობ, გრანტიც მინდა რომ ავიღო. როცა შეყვარებული ვიყავი, რაღაც შეზღუდვები მქონდა და ამის გამო მეგობრებს დიდად ვერ ვაქცევდი ყურადღებას. არადა, მსიამოვნებს, რომ ჩემს შეყვარებულს გავაცნო მეგობრები, ყველანი ერთად ვიყოთ ხოლმე. ოღონდ არ გვეჩხუბა და, ერთი პერიოდი თავს ვიკავებდი ბევრ რამეზე, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ არ ღირდა. ახლა ურთიერთობის მხრივ იმდენად გავიზარდე, რომ მიკვირს: 17 წლის ვარ და ისე ვაზროვნებ, თითქოს დიდი გამოცდილება მქონდეს. ისე, ახლა სულ სხვა ადამიანი ვარ, გავიზარდე. მიხარია, რომ ყველაფერი ასე მოხდა, რადგან, მერე, ასაკში, იგივე შეცდომა დამემართებოდა და, ჯობდა, ახლა დამმართნოდა.

**ტატა დევდარიანი**

## დაიკარგა
## რიმა ლომიძე-ლაბაძე

დაბადებული 1930 წლის 15 დეკემბერს, ხაშურის რაიონის სოფელ ქემფერში. სახლიდან (სოფ. ქემფერი) გავიდა 2014 წლის 9 იანვარს. ტანზე აცვია შინდისფერი ვილვეტის ქურთუკი და შავი ფერის კაბა. მაღალი, სუსტი, წელში მოხრილი, ხელჯოხით. დაავადებულია სკლეროზით. ბოლოს ნახეს ქალაქ ხაშურში 10 იანვარს. სხვა ინფორმაციას ვერ მივაკვლიეთ. ვეძებთ ოჯახი და გაცხადებულია პოლიციაში. თუ ფლობთ რაიმე სახის ინფორმაციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდით მითითებულ ნომრებზე:

**577 95 49 68, 599 56 12 01, 591 97 42 70, 2966157 (თბილისი) 244257 (ხაშური), ან დარეკეთ პოლიციაში: 112-ზე.**



# ტიციანის საღამო გივი ანდრიაძის ორგანიზებით გაიმართა

*თბილისში, გრიბოედოვის ქუჩაზე, დგას პოეტის სახლი, სადაც დრო იმ დღეს გაჩერდა, როდესაც პოეტის სიცოცხლე დასრულდა. ვიქნები სუბიექტური და ვიტყვი, რომ ტიციანი იყო ყველაზე პროგრესული, განუმეორებელი და დიდი პოეტი ქართველ პოეტებს შორის, ვისი ლექსებიც კი წამიკითხავს. 1937 წლის ავბედით დღეებში, ტიციანის განუყრელი მეგობარი, ასევე ცისფერყანწელი პაოლო იაშვილი, კომუნისტურმა წნეხმა თვითმკვლელობამდე მიიყვანა. გავიდა რამდენიმე თვე. ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლავრენტი ბერიამ ამჯერად ტიციან ტაბიძე დაიბარა და უბრძანა, მეგობრისთვის ჯაშუშობა დაებრალებინა, მაგრამ, უარი მიიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, ღამის 3 საათზე, პოეტი სახლიდან წაიყვანეს და უკან აღარ დაბრუნებულა. საბჭოთა ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ ის ათი წლით გადაასახლეს ოჯახთან მიმოწერის უფლების გარეშე, მაგრამ, ოჯახმა მალევე შეიტყო, რომ პოეტი იმავე დღეს დახვრიტეს რუსთავის გზატკეცილზე.*

*ტიციანსა და მის მეუღლეს, ნინა მაყაშვილს, ერთადერთი ქალიშვილი დარჩათ – ნიტა ტაბიძე, რომელიც 2007 წელს, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან მთელი ცხოვრება მამის შემოქმედებით მემკვიდრეობაზე ზრუნვაში გაატარა, ახლა კი მის საქმეს მისი ვაჟი, კარდიოლოგი და მოფარიკავე* ***გივი ანდრიაძე*** *განაგრძობს. 22 დეკემბერს, თბილისში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გამართული საღამო ტიციანისა და ნიტას ხსოვნას მიეძღვნა. ბატონმა გივიმ უამრავი ისტორია გაიხსენა, რომელიც მის გენიალურ წინაპრებს შეეხებოდა.*



**გივი ანდრიაძე**: დედაჩემის მეგობრების: ნატალია სოკოლოვსკაიას, ნატალია გუტმანისა და ანნა კანდინსკაიას ინიციატივა იყო, რომ თბილისში ჩამოსულიყვნენ და ხსოვნის კონცერტი გაემართათ. როდესაც ეს იდეა გამაცნეს, რა თქმა უნდა, გამიხარდა და, შეძლებისდაგვარად, გვერდში დავუდექი. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ თანხები გამოყო, ლიტერატურის მუზეუმმა კი დარბაზი დაგვითმო. ნიტას რუსი მეგობრების გარდა, საღამოზე ჩამობრძანდნენ ირინა ერისანოვა და ირინა კანდინსკაია, ელენა პასტერნაკმა (ბორის პასტერნაკის შვილიშვილი) კი ჩამოსვლა ვერ შეძლო. ტიციან და ნიტა ტაბიძეების ხსოვნის საღამო-გამოფენაში, ასევე, მონაწილეობდნენ: ლაშა თაბუკაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, მარია ფილინა, კოტე ყუბანეიშვილი, ზაზა აბზიანიძე, ნინო ხოფერია, მურმან ჯინორია, ეთერ კაკულია, სოფო გელოვანი და ზაალ ჩიქობავა.

ძალიან ბევრი წლის წინ, პასტერნაკების ოჯახში ათი წელი ვიცხოვრე. როდესაც მოსკოვში დისერტაციას ვიცავდი, მაშინაც მათთან დავბინავდი. სადოქტოროს დაცვაზე რომ ჩავედი, არც მაშინ გამიშვეს სხვაგან. ისინი ტრეტიაკოვის გალერეის პირდაპირ, მწერალთა კავშირის ბინაში ცხოვრობდნენ. ერთ სართულზე მე გახლდით დაბინავებული, მეორეზე კი თავად იყვნენ. ბაბუა და მისი განუყრელი მეგობარი, პაოლო იაშვილი, დიდი სიამოვნებით მასპინძლობდნენ რუსული ელიტის წარმომადგენლებს თბილისში. აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან ვინც კი ჩამოვიდოდა, ტიციანი და სხვა ცისფერყანწელები ხვდებოდნენ. როგორც ბებიასგან და დედასგან ვიცი, ტიციანს ძალიან უყვარდა თავისი მეგობრები და მათ ყველაზე წინ აყენებდა. გრიბოედოვის ქუჩაზე, ბაბუას სახლში, რომელიც დღეს მუზეუმად არის ქცეული, ერთი დიდი მრგვალი მაგიდა დგას. ამ მაგიდასთან ის და მისი მეგობრები დილამდე ისხდნენ და ერთმანეთს ლექსებს უკითხავდნენ, ქეიფობდნენ, სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

**– როგორც ვიცი, მის სახლში ყველაფერი ახლაც ისეა, როგორც მისი დაპატიმრების დღეს.**

– ნიტა 16 წლის იყო, როდესაც ტიციანი დააპატიმრეს. ეს მისთვის დიდი სტრესი იყო, რადგან, ერთ ჩვეულებრივ ღამეს მათ სახლში უცხო ადამიანები შეიჭრნენ, მამამისი წაიყვანეს და მას მერე ცოცხალი აღარც უნახავს. როდესაც ტიციანი სახლიდან გაჰყავდათ, ატირებულ ქალიშვილსა და მეუღლეს დაუბარა: „იცოდეთ ერთი რამ, რომ, ჩემი სახელის ხსენებისა და ხალხისთვის თვალებში შეხედვის არასდროს შეგრცხვებათ".

დედა მიყვებოდა, მამას ფეხსაცმლის თასმებს ყოველთვის მე ვუკრავდიო. თვითონ ცოტა მსუქანი გახლდათ და, თურმე, თასმების შეკვრა უძნელდებოდა. როდესაც ნიტაზე ნაწყენი ან გაბრაზებული იყო, თასმებს თავად იკრავდა. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა და მზე და მთვარე მასზე ამოსდიოდა.

ბებიამ მეგობრობის მუზეუმს ყველა ის ნივთი გადასცა, რაც სახლში გვქონდა. შემდეგ, როცა სახლი დავიბრუნეთ, ნივთებიც დაგვიბრუნეს. დედაჩემის გადაწყვეტილებით, გრიბოედოვის ქუჩაზე ყველა ის ნივთი, რაც მამას სიცოცხლეში სახლში ჰქონდათ, ხელუხლებლად დარჩა. სახლში დრო გაჩერდა – იქ დღემდე 1937 წელია; საათიც კი იმ დროზეა გაჩერებული, რა დროსაც ბაბუა დაიჭირეს – იქ ისევ ღამის 3 საათია. ჭაღიც ისეთივეა, როგორიც მაშინ იყო. თუ რამე აღვადგინეთ, ყველაფერი ისე გავაკეთეთ, რომ სიძველე შეგვენარჩუნებინა.

**– როგორც ვიცი, ტიციანი და ბორის პასტერნაკი უახლოესი მეგობრები იყვნენ.**

– ბორის პასტერნაკისა და ჩვენი ოჯახის მეგობრობა მაშინ დაიწყო, როცა ტიციანმა ქუთაისის გიმნაზია დაამთავრა და სასწავლებლად მოსკოვში წავიდა. სწორედ იქ დაუმეგობრდა ბორის პასტერნაკს, ნიკოლოზ ტიხონოვს, სერგეი ესენინს, პაველ ანტაკოვსკის, კონსტანტინ სიმონოვსა და სხვებს. სწავლის დამთავრების შემდეგ, თბილისში რომ დაბრუნდა, რუსი მეგობრები მასთან ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრად.

ცალკე გვაქვს მოწყობილი ბორის პასტერნაკის კუთხე, სადაც მისი და ტიციანის სურათებია. იქვე აწყვია მისი წიგნებიც. ერთხელ მან ჩვენს ოჯახს თავისი წიგნი – „ექიმი ჟივაგო" აჩუქა. ამ რომანს თავის დროზე არ უბეჭდავდნენ და ბებიაჩემს ჩუმად გამოუგზავნა. ფაქტობრივად, მხოლოდ ბებიას კი არა, მთელ საქართველოს აჩუქა. ეს წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ ოთხივე ტომში ავტორის ხელითაა ყველაფერი ჩასწორებული.

1959 წელს ბატონი ბორისი ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც „ექიმი ჟივაგო" უკვე გამოცემული ჰქონდა საზღვარგარეთ და ამაზე მთელი ამბავი იყო ატეხილი. ამის გამო ხრუშჩოვის მთავრობა პასტერნაკს ძალიან მკაცრად ექცეოდა. მწერლებს ხელისუფლების ეშინოდათ და ამ ოჯახს ახლოს ვერ ეკარებოდნენ, ბებია კი მათ ოჯახში თვეობით ჩადიოდა. პასტერნაკის ცოლთან, ზინაიდასთან ძალიან მეგობრობდა და მძიმე წუთებში გვერდში ედგა. ბორის პასტერნაკი ავად რომ იყო, ბებიაჩემი გვერდიდან არ მოშორებია.

ბატონი ბორისი ჩვენთან რომ იყო სტუმრად, იმ დროს გოგებაშვილის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის სახლში ვცხოვრობდით – ეს ბინა რეაბილიტაციის შემდეგ მოგვცეს 1957 წელს. მოკლედ, პასტერნაკმა ჩვენთან ერთი თვე იცხოვრა. დედა და ბებია მასთან ერთად ქუჩაში დასეირნობდნენ. ნიტა იხსენებდა, რომ, ერთხელ, მცხეთაში ყოფნისას, სვეტიცხოველში მივიდნენ, სადაც ბევრი ხალხი იყო. თურმე, რუსი ეროვნების ორი მამაკაცი მიუახლოვდა და მწერალს ჰკითხეს, თქვენ ბორის ლეონიდოვიჩი ხომ არ ხართო. პასტერნაკი იმდენად იყო შეშინებული, უპასუხა – არა, ბორისი არ ვარ, სხვაში შეგეშალეთო.

ბებია თავისი ქმრის გზას განაგრძობდა – მეგობრობდა ტიციანის მეგობრების ოჯახებთან. ამას დედაც აგრძელებდა და მეც, შეძლებისდაგვარად, ვცდილობ, გავაგრძელო.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

**თბილისის ქუჩების ცნობილ სახეს, წვერულვაშიან ლამარა გეწაძეს რუსთაველზე შევხვდით და მასთან საუბარს ყოველგვარი შესავლის გარეშე გთავაზობთ.**

# წვერულვაშიანი ქალის სიყვარულის გამო ღვიძლმა ძმებმა ერთმანეთი დახოცეს

– მე არც გიჟი ვარ, არც მათხოვარი და თქვენ წარმოიდგინეთ, არც მაწანწალა. მე ვარ მოხეტიალე მარტოსული და ესაა სასჯელი, რომელიც ღმერთმა მარგუნა ჩადენილი ცოდვებისთვის. ნაგვიდან მხოლოდ პურს და „ბიჩოკებს" ვიღებ, რადგან პურის მეტს, სხვას არაფერს ვჭამ და ბევრს ვეწევი. თუმცა, არც ესაა მთავარი. ბუნკერებს იმიტომ ვამოწმებ ხოლმე, რომ იქ ჩვილი ბავშვი არ იყოს ჩაგდებული და შემთხვევით სანაგვე მანქანამ არ გაიყოლოს. ზოგჯერ ნაგავში ცოცხალ ბავშვებსაც ყრიან. იქნებ გამიმართლოს და რომელიმე მათგანი გადავარჩინო. თავის დროზე ასე, ბუნკერ-ბუნკერ დავეძებდი ჩემს პირმშოს და ერთ-ერთი სახლის სარდაფში ცხვირპირმოჭმულს, ხელფეხმოკვნეტილს მივაგენი. ვირთხებს ის ნაგვიდან გამოეთრიათ და ჭამდნენ.

**– გეტყობათ, რომ ენაც გიჭრით და გონებაც და ასეთ მდგომარეობაში როგორ აღმოჩნდით?**



– განა ასეთი ბანჯგვლები და წვერ-ულვაში მქონდა ადრეც? იცი, რა გოგო ვიყავი? ქალაქში რომ გამოვიდოდი, ასობით მოშურნე და მოტრფიალე თვალი შემომცქეროდა ერთდროულად. არც ვინმეზე ნაკლები ჭკუა-გონება მქონდა. სკოლა რომ დავამთავრე, ქართული და რუსული ენების გარდა, ინგლისური და გერმანულიც ვიცოდი. მოგვიანებით, ფრანგული და იტალიურიც შევისწავლე და დღემდე არ დამვიწყებია არც ერთი. უმაღლესი განათლება რუსეთში მაქვს მიღებული. მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე და ექიმი-კარდიოლოგი ვარ. ისეთი ამაყი ვიყავი, რომ რწყილს არ დავისვამდი თავზე. თაყვანისმცემლები ბუზებივით მეხვეოდნენ, მაგრამ, ახლოს არავის ვიკარებდი – ფარულად ვტკბებოდი მათი ტანჯვით. ერთ ზაფხულს სოხუმში ჩავედი დასასვენებლად ჩემს ნათესავებთან. იქაც მრავალი თაყვანისმცემელი გამიჩნდა. იქვე ძმები მურად და დაურ თარბები ცხოვრობდნენ, რომლებსაც შევუყვარდი და ორივემ ცალ-ცალკე, ფარულად ამიხსნა სიყვარული. ძმების ვარიანტი „საკაიფოდ" მეჩვენა, მათ შორის „ჩორტი" ჩავაგდე და ერთმანეთს გადავკიდე. მურადი უფროსი იყო და დაურს ჩემთან ურთიერთობა აუკრძალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასჯით დაემუქრა. ძმების ურთიერთქიშპი დიდ სიამოვნებას მგვრიდა და მურადი რომ გამეხელებინა, დაურს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში შევთავაზე მალულად შეხვედრა. ვიცოდი, მურადი მითვალთვალებდა და დაურს რომ შევხვდი, სამიოდე წუთში მისი უფროსი ძმაც გამოჩნდა. ძმები ჯერ სიტყვიერად შელაპარაკდნენ, შემდეგ მუშტი-კრივი გააჩაღეს. ჩხუბის დროს მურადმა ხანჯალი იშიშვლა და დაურს მკერდში აძგერა. ამის დანახვაზე მე დაჭრილთან მივვარდი კივილით და დაურს მაჯებში ჩავავლე ხელები, რომ არ წაქცეულიყო. ამდროს მისი პირიდან სისხლის ნაკადმა იფეთქა და მკერდზე შემომესხა. მურადი ერთხანს უაზროდ იდგა და სისხლიანი ხანჯალი მარჯვენა ხელში ეჭირა. შემდეგ გამოერკვა, მიწაზე გაშხლართულ ძმას მიუახლოვდა, დაიჩოქა, ხანჯლის წვერი გულზე მიიდო, ყუა კი მკვდარი ძმის მკერდს დაადო და მთელი ძალით მიაწვა. რამდენიმე წუთში მურადმაც დაურის ბედი გაიზიარა და მის გვერდით განუტევა სული. მხოლოდ მაშინ გავაცნობიერე, რომ ორივე ძმის ცოდვა ჩემს კისერზე იყო და მეც იქვე ჩავიკეცე უგონოდ. სოხუმიდან ჯერ თბილისში გამოვემგზავრე, შემდეგ კი მოსკოვში დავბრუნდი. დიპლომი ავიღე და გავიგე, რომ სამუშაოდ ანგოლაში გამანაწილეს. თარბების თავს დატრიალებული უბედურება ჯერ კიდევ თვალწინ მედგა და სიახლის განცდამ გუნება გამიხალისა. თუმცა, რა ვიცოდი, რომ წინ ახალი საშინელება მელოდა.

**– ანგოლაშიც ვინმე მოკლეს თქვენ გამო?**

– ანგოლაში საბჭოთა სპეცნაწილებში დავიწყე მუშაობა – ექიმ-კარდიოლოგად. ჩვენ იქ არალეგალურად ვიმყოფებოდით კუბელებთან ერთად. ექიმობის გარდა, სამხედრო საქმემაც დამაინტერესა და შანსს არ ვუშვებდი ხელიდან, რომ სხვადასხვა სახეობის იარაღიდან არ გამესროლა. ჩვენ იქ პოლიგონი გვქონდა, სადაც თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს ვატარებდი. თაყვანისმცემლები არც ანგოლაში მომკლებია, მაგრამ გამოცდილებიდან გამომდინარე, ისე მეჭირა თავი, ვერავინ მიბედავდა გრძნობების გამჟღავნებას. სამხედრო პოლიგონის უფროსი, მაიორი ვიტალი მასლოვიც ჩემზე იყო შეყვარებული. ოღონდ მეთქვა და საბრძოლო მასალის მთელ მარაგს მასროლინებდა. ერთხელ ვიტალის პოლიგონზე მივადექი და ყუმბარმტყორცნიდან სროლა ვთხოვე. მან შესაბამისი მოწყობილობა გამოიტანა. ასეთი სროლისთვის სპეციალური სახლი-სამიზნეები იყო აგებული და სროლის დაწყებამდე, მათ ყოველთვის ათვალიერებდნენ, რომ იქ, შემთხვევით ვინმე არ ყოფილიყო. ახლო-მახლო ადგილობრივი მოსახლეობა ცხოვრობდა და ზანგის პატარა ბავშვები ხშირად შემოდიოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე. იმ დღეს ანგოლელების რელიგიური დღესასწაული იყო. ყველანი იქ იყვნენ წასულები და ვიტალის სამიზნეები არ დაუთვალიერებია. დავიწყე სროლა და ოთხი სამიზნე ოსტატურად დავაზიანე. შემდგომი სროლისთვის რომ მოვემზადე, სამიზნეების მხრიდან კნავილის მსგავსი ხმა შემომესმა და იქით გავემართეთ. ერთ-ერთ ნაგებობაში რომ შევედით, ჩვენ წინ საზარელი სურათი გადაიშალა. ბეტონის იატაკზე მუცელგაგლეჯილი ზანგის ქალი ეგდო, ხოლო მისგან ორიოდე მეტრში, ჭიპლარმოუჭრელი ბავშვი იკრუნჩხებოდა. ორივენი ცოცხლები იყვნენ. ბავშვი კნაოდა, ქალი კი მასთან მიხოხებას ცდილობდა. როგორც ეტყობა, ქალი აუტანელმა სიცხემ შეაწუხა და თავი გრილ ნაგებობას შეაფარა, სადაც ჩაეძინა. ჩემმა ნასროლმა ჭურვის ტალღამ ქალს მუცელი გაუგლიჯა. დედა-შვილმა ჩემ თვალწინ დალიეს სული. მე თვალებზე ბინდი გადამეფარა. ვიტალიმ კი დამაიმედა, თუმცა ამ მდგომარეობით ისარგებლა და მას შემდეგ, რაც დედა-შვილი მიწაში ღრმად ჩაფლა, ცოლობა მთხოვა. მეც დავთანხმდი. მე ოცდასამი წლის ვიყავი, ვიტალი მასლოვი კი – ოცდათვრამეტის. შოკიდან ვერ გამოვდიოდი, ყოველდღე დახოცილი დედა-შვილი მედგა თვალწინ და სიგიჟის ზღვარზე ვიმყოფებოდი. იქ გაჩერება აღარ შემეძლო, ამიტომ მოსკოვში დავბრუნდით, მაგრამ, ნეტავ, ანგოლაში დავრჩენილიყავით.

**ჩემი ქმარი ჯერ მაგრად მივაბი ლოგინზე, შემდეგ პირი ჩვრებით გამოვუტენე, ლანცეტით მკერდი გავუპე და იქიდან მფეთქავი გული ამოვუღე**

**– მოსკოვში რაღა შეგემთხვათ?**

– ვიტალი გენერალურ შტაბში მოეწყო, მე კი – კარდიოლოგიურ კლინიკაში და შოკიდან ნელ-ნელა გამოვედი. ძალიან მინდოდა შვილი, მაგრამ ვიტალი უშვილო აღმოჩნდა. სამი წელი უშედეგოდ მკურნალობდა. მაშინ გამოსავალი მე ვიპოვე და ხელოვნური განაყოფიერება ჩავიტარე, რაშიც 5 ათასი მანეთი გადავიხადე. მაშინ ეს ახალი ხილი იყო და ექსპერიმენტები მიმდინარეობდა. ვიტალის, რა თქმა უნდა, ეგონა, რომ მისგან დავფეხმძიმდი და სიხარულით მეცხრე ცაზე იყო. იმ პერიოდში ჩვენთან ჩემი ნახევარძმა ცხოვრობდა, რომელიც საავიაციო ინსტიტუტში სწავლობდა. მამით ერთნი ვიყავით, მაგრამ ერთმანეთს სრულიად არ ვგავდით. ის ნახშირივით შავი იყო, კეხიანი ცხვირი ჰქონდა და მარცხენა ლოყაზე – ჯვრის ფორმის ხალი. ბიჭი გავაჩინე და ისეთი ბედნიერი ვიყავი, რომ ძველი უბედურებები აღარ მახსოვდა. თავიდან ვიტალიც გახარებული იყო, მაგრამ რაც უფრო იზრდებოდა ჩვილი, მით უფრო ჩემს ნახევარძმას ემსგავსებოდა და ცხრა თვის ასაკში მას გაჭრილი ვაშლივით დაემსგავსა. ვიტალი ჩემს ნახევარძმაზე ეჭვიანობდა და ის ჩვენგან წავიდა, ბინა სხვაგან იქირავა. როცა ჩემი ქმრის ფანტაზიებმა პიკს მიაღწია, მე ვიტალის ყველაფერი მოვუყევი. თუმცა, მან არ დაიჯერა. ერთ დღეს ვიტალი და ჩემი ძმა ერთად დავსვი და ის გამომიტყდა, რომ თავისი სპერმა თბილისის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში 100 მანეთად ჩააბარა. სამწუხაროდ, ეს ტრაგიკული შემთხვევა აღმოჩნდა და ჩემი ძმის სპერმით გამანაყოფიერეს... მე და ვიტალი ორი კვირა უსკანდალოდ ვცხოვრობდით. ერთ დღეს, დილით სამსახურიდან დავბრუნდი და ჩემი შვილი სახლში ვერ აღმოვაჩინე. ვიტალი გალეშილი მთვრალი დამხვდა და მიპასუხა: შენი ნაბიჭვარი ნაგვის ბუნკერში ჩავაგდეო... მე ჯერ ეს ბოროტი ხუმრობა მეგონა და ვიფიქრე, ვიტალის დედამ ხომ არ წაიყვანა-მეთქი, რომელიც ასიოდე მეტრში ცხოვრობდა. როცა ვერც იქ აღმოვაჩინე ჩემი შვილი, მისი ძებნა ბუნკერ-ბუნკერ დავიწყე და ნახევრად შეჭმული ვიპოვე. ბავშვი ხელში ავიყვანე, ჩავიხუტე და თვალები დავხუჭე. თვალწინ ჩემ მიერ დახოცილი ზანგი დედა-შვილი წარმომიდგა. შეჭმული ბავშვი ჩემს ჟაკეტში გავახვიე და სახლში ავედი. გალეშილ ვიტალის ეძინა. მე ის საწოლზე მაგრად მივაბი, პირი ჩვრებით ამოვუვსე, რომ არ ეყვირა და ტანსაცმელი წელზემოთ გავაძრე. შემდეგ დიდი ლანცეტი ავიღე, ჩემს ქმარს მკერდი გავუპე და გული ამოვუღე... გული რომ ამომქონდა, ის ჯერ კიდევ ფეთქავდა. მილიციაში ჩემი ფეხით მივედი და მას მერე მეხსიერება დავკარგე. მხოლოდ თერთმეტი წლის შემდეგ აღმიდგა გონება და გავიგე, რომ 2 წელი ციხეში ვიჯექი, 9 წელი კი – ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. აზრზე რომ მოვედი, ყველაფერი თვალწინ წარმომიდგა. სიცოცხლე შემძულდა და ვენები კბილებით გადავიღრღენი. ოცი წლის წინ კი, სიზმარში უფალი გამომეცხადა და მითხრა, რომ საგიჟეთიდან გამწერდნენ. მართლაც, სამი კვირის მერე გამიშვეს და ჩემს ბინაში დავბრუნდი. ერთ ღამეს კვლავ უფალი გამომეცხადა და მითხრა, რომ მოხეტიალე უნდა გავმხდარიყავი, რათა ჩემი ცოდვები დამდაბლებით გამომესყიდა. ბინა გავყიდე, ფული უმწეო ბავშვთა ფონდს მივეცი და მას მერე ქვეყანაზე დავხეტიალობ. სად არ ვყოფილვარ, მაგრამ თხუთმეტი წლის წინ თბილისში დავბრუნდი. მას მერე ბუნკერ-ბუნკერ დავდივარ, ვათვალიერებ, ვეძებ გადაგდებულ ბავშვებს და ვფიქრობ, – იქნებ ბედმა გამიღიმოს, რომელიმე მათგანი გადავარჩინო, უფალმა ჩემი ცოდვები შემინდოს და თავისთან მიმიღოს...

**ნიკა ლაშაური**

# რატომ გაიმეტა სასიკვდილოდ ლაშა-გიორგის ობოლი ვაჟი მამიდამ – მეფე რუსუდანმა

ძალიან უდროოდ რომ არ გარდაცვლილიყო, შესაძლოა, საქართველოს ბედი სხვაგვარად განვითარებულიყო, ის კარგი მეომარი გახლდათ და უცბად ახერხებდა ჯარის ორგანიზებას...

1222 წელს, ლაშა-გიორგის გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მეფეთა მეფის ტახტი, ლაშას ანდერძისამებრ, მისმა დამ, რუსუდანმა დაიკავა. რუსუდანს, ანდერძის თანახმად, სამეფოდ უნდა აღეზარდა ლაშას ძე – დავითი და როცა სრულწლოვანებას მიაღწევდა, ტახტი მისთვის დაეთმო.

ლაშას დავითი ველისციხელი ქალისგან ჰყავდა, რომელიც ქმარს წაართვა და ცოლად უნდოდა მოეყვანა, მაგრამ ეკლესიამ არ მისცა მას ამის ნება. გიორგი-ლაშას ველისციხელი ქალი წაჰგვარეს და ქმარს დაუბრუნეს. ჩვილი დავითი უდედოდ იზრდებოდა მამიდის – რუსუდანის მეთვალყურეობით.

რუსუდან მეფეს ქალ-ვაჟი შეეძინა. მისი ასული თამარი 1236 წელს პოლიტიკური მოსაზრებით მიათხოვეს რუმის (იკონიის) სულთან ყიასედდინ ქეი ხოსროვ მეორეს.

ძის – დავითის გაჩენამ კი გადააწყვეტინა რუსუდანს, დავით ლაშას ძე თავიდან მოეშორებინა. მისთვის ტახტი არ დაეთმო და გვირგვინი საკუთარი ძისთვის გადაეცა.

ამ მიზნით რუსუდანმა ძმისწული დავითი იკონიაში გააგზავნა და წერილი მისწერა სიძეს – სულთან ყიასედდინს. წერილში სიდედრი ძმისშვილის მოკვლას სთხოვდა სულთანს და მის მეუღლე თამარს, რომელსაც გურჯი ხათუნს უწოდებდნენ. მათ შეეცოდათ დავითი და არ მოკლეს.

გურჯი ხათუნ თამარს დიდი პატივით ექცეოდნენ სასულთნოში. თამარს თან ახლდა ქრისტიანებისგან შემდგარი ამალა. ღიად ჰქონდა გამოჩენილი მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები და ქართული წესისამებრ ცხოვრობდა და ლოცულობდა.

რუსუდანმა ქუთათისში აფხაზეთის კათალიკოსს თანამეფედ აკურთხებინა თავისი ძე დავითი. ამ დროს ის მხოლოდ დასავლეთ საქართველოს – აფხაზეთს აკონტროლებდა. მან ვერ გაუწია წინააღმდეგობა ვერც ჯალალედინს და ვერც მონღოლებს. რუსუდანის ძის თანამეფედ გამოცხადებას ვერ დაესწრნენ (ალბათ, არც დაუდასტურებიათ) მცხეთელი კათალიკოს-პატრიარქი და სრულიად საქართველოს დიდებულები. რუსუდანს აღარდებდა თავისი ძის არალეგიტიმურობა, ლაშას ანდერძის მნიშვნელობა, დიდებულების აზრი ამიტომ, არ მოიშალა ბოროტი საქმის კეთება. კვლავ არაერთხელ მისწერა სიძეს და ქალიშვილს დავით ლაშას ძის მოკვლის თხოვნა. ყიასედდინი და თამარი მისი უგულო ზრახვის აღსრულებას არ აპირებდნენ.

ტახტის შენარჩუნების მიზნით, რუსუდანი იძულებული იყო, მონღოლების ბატონობა ეღიარებინა. ის აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისში გადმოვიდა მონღოლთა ნოინებთან. სამაგიეროდ, მონღოლებს მისი შვილი მეფედ უნდა დაემტკიცებინათ.

მონღოლმა ნოინებმა დავით რუსუდანის ძე ჩინგიზ ყაენის შვილიშვილთან, ბათო ყაენთან წარგზავნეს, რომელიც ფლობდა ოსეთს (ჩრდილო კავკასიის ველები), ყივჩაღეთს, ხაზარეთსა და რუსეთს.

ბათო ყაენმა მონღოლეთის უმთავრესთან და ჩინგიზის მთავარ მემკვიდრესთან – მანგუ ყაენთან გააგზავნა ყარაყუმში.

რუსუდანი კვლავ ცდილობდა ძმისწულის მოშორებას. მონღოლთა დროინდელი უცნობი ქართველი ჟამთააღმწერელი აღშფოთებას ვერ ფარავს, მიუხედავად იმისა, რომ მეფის კრიტიკა ეძნელება: „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალაბმა ვისთვისმე“. ამიტომ მემატიანე ასე აფასებს რუსუდან მეფის საქციელს: „ჰოი, გონება, მხეცთაუმძვინვარესი, ვაიმკვლელობა, ოდესმე სმენილთა და გარდასრულთა მკვლელობათა უბოროტესი, რომელი აღასრულა შვილისა და ძმასა ზედა დამავიწყებელმან დედობრივთა და ძმაებრივთა ლმობათამან“.



სოსანამ მოთხარა ჯურღმულის თავი და იქიდან აწვდიდა უფლისწულს წყალსა და პურს

რა გააკეთა ასეთი რუსუდანმა? მემატიანის თქმით, მან მისწერა სიძეს: ჩემი ძმისწულის მოკვდინება ჩემს ასულს იმიტომ არ სურს, რომ მისი საყვარელიაო. თუ ეს მართალია... ასეთი საქციელი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. გააფთრებული სულთანი ყიასედდინი წერილის წაკითხვისთანავე შეიჭრა მეუღლის, თამარ ხათუნის სამყოფელში, დაულეწა ხატები, სასტიკად სცემა, მოუკლა ქართველი მსახურები და მრავალი ტანჯვის შემდეგ ისლამი მიაღებინა.

დავითი შეიპყრეს და მრავალჯერ აწამეს. ის თავს იმართლებდა. მისი თქმით, საქართველოს დამღუპველმა მამიდამ იმთავითვე გააძევა ის სამშობლოდან, რათა პასუხი არ ეგო არაფერზე და მას და მის ძეს ტახტი შეენარჩუნებინათ.

სულთანი ოდნავ მოლბა, არ მოაკვლევინა დავითი. თუმცა, მისი ზღვაში ჩაგდება ბრძანა. მეზღვაურებმა შუა ზღვაში შეაცურეს დავითი დასახრჩობად. დავითმა სთხოვა მენავეებს, უკანასკნელი ლოცვის უფლება მიეცათ. ამოიღო უბიდან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი და შესთხოვა: „ყოვლადწმიდაო დედაო, შენ ხარ ნუგეშისმცემელი სიობლისა ჩემისა და უსამართლო სიკვდილისა. აღარ მეღირსება სამარე და მიწა, შემჭამენ თევზები. მოწყალედ გევედრები, მიხსენ მე ცოდვილი ცოდვათაგან ჩემთა და ჯოჯოხეთისგან“.

მენავეებს შეებრალათ დავითი, ხატი არ წაართვეს, ერთი ფიცარი მისცეს და ისე გადააგდეს წყალში. ყრმა ბაგრატიონი ღვთისმშობელმა შეიწყალა – ის ფიცარს ჩაეჭიდა და არ ჩაიძირა. რამდენიმე დღის შემდეგ ნაპირთან მიახლოებული გონწასული დავით ლაშას ძე ერთმა ვაჭარმა დაინახა და გადაარჩინა. ვაჭარი შვილივით დაჰფოფინებდა თავს მეფის ძეს. ექვსი თვის შემდეგ ეს ამბავი გაცხადდა და ყიასედდინის ყურამდე მიაღწია. სულთანმა შეაპყრობინა დავითი, ვაჭარი და მეზღვაურები. მეზღვაურები მხოლოდ ვაჭრის ნათქვამმა გადაარჩინა, რომ დავითი ნაპირთან იპოვა. ყიასედდინის ბრძანებით, დავითი ახლა ღრმა ჯურღმულში ჩააგდეს. მემატიანის თქმით, ამ ჯურღმულში შხამიანი გველები ბუდობდნენ. მემატიანის გადმოცემით, გველებს შეუყვარდათ ლაშას ძე, ზოგი ყელზე ეხვეოდა, ზოგი – ფეხებზე, ზოგი უბეში უძვრებოდა, სხვები გვერდით უწვებოდნენ ალერსით. ერთხელ დავითი ძილში გადაბრუნდა, მხარით დააწვა ერთ გველს და ატკინა. გველმა სიმწრით უკბინა დავითს. ამის მნახველმა სხვა გველებმა დაკბინეს და მოკლეს ის გველი. შემდეგ ენით აულოკეს წყლული ყრმა ბაგრატიონს და განკურნეს... უფლისწულს ისევ თან ჰქონდა ღვთისმშობლის ხატი. როგორც ისტორიკოსი წერს: იგი „დაცულ იქმნა, ვითარცა დანიელ პირისაგან ლომისა“.

დავითს მამისგან მიჩენილი ჰყავდა მსახური, სახელად სოსანა. სოსანამ მოთხარა ჯურღმულის თავი და იქიდან აწვდიდა წყალსა და პურს უფლისწულს. ხუთი წელი დაჰყო ლაშას ძემ ხაროში გველებთან.

შეიძლება, ეს ზღაპრული სიუჟეტია, მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ ტახტის მემკვიდრე ტყვედ იყო სულთანთან და მაინც ცოცხალი გადარჩა.

1245 წელს რუსუდან მეფე გარდაიცვალა. უკანასკნელი წლები მან მწუხარებასა და გლოვაში გაატარა. არაფერი იცოდა თავისი ძის, დავითის შესახებ, რომელიც დიდი ხნით დაიტოვეს ურდოში. საქართველო უმეფოდ დარჩა.

ქართველებს აწუხებდათ მონღოლთა ბატონობა, საჭირო იყო მეფე, წინამძღოლი. ამ დროს გაიგეს, რომ ლაშა-გიორგის ძე დავითი შეიძლება, ცოცხალი ყოფილიყო. ეს ამბავი, ალბათ, სოსანამ შემოუთვალა დიდებულებს. ასე იყო თუ ისე, მათ მონღოლებს იკონიის სულთნისგან მისი გამოხსნა მოსთხოვეს, რომლებმაც ამ დროისთვის უკვე დაამარცხეს ყიასედდინი. გურაგმოციქული – ელჩი, ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი რუმში გაემართნენ

სულთანს არ ეჯერა ლაშას ძე თუ ცოცხალი იქნებოდა. სოსანამ აუწყა მათ უფლისწულის ამბავი. ვარამ გაგელი და სარგის თმოგველი გულამოსკვნით ატირდნენ, როცა იხილეს სიკვდილის პირას მყოფი, გაყინული, გაყვითლებული, უგრძელესი თმით მოსილი და ფრჩხილებგრძელი საქართველოს ტახტის მემკვიდრე.

მთელი საქართველო სიხარულით მიეგება ლაშას ძეს. მეფედ დასამტკიცებლად მონღოლთა ნოინებმა ოქროს ურდოში, ბათო ყაენთან გაგზავნეს. ბათომ ისიც ყარაყორუმს მიავლინა. ლაშას ძეს ურდოში რუსუდანის ძე დახვდა. ქართველ დიდებულთა შორის კამათი გაიმართა – ვის უფრო ეკუთვნოდა ტახტი. მონღოლთა ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა საქართველოს მეფედ. ლაშას ძეს უწოდეს ულუ – უფროსი, რუსუდანის ძეს – ნარინი, ანუ უმცროსი.

**გიორგი მახოზიშვილი**

**14 იანვარს „იმედის" ეთერში „ახალი ხმის" გამარჯვებული გამოვლინდა – 18 წლის მარიამ ჩაჩხიანი. მარიამი დათო ფორჩხიძის გუნდის წევრი იყო და შესაბამისად, დათო უკვე მესამედ გახდა ამ პროექტის გამარჯვებული.**

# როგორ უმკლავდებოდა სერიოზულ სირთულეებს მარიამ ჩაჩხიანი დათო ფორჩხიძის დახმარებით და გაყიდა თუ არა მან კონკურსში მოსაგებად სახლი

**მარიამ ჩაჩხიანი**: ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გავიაზრე, რა მოხდა, ემოციებში ვარ *(ინტერვიუ ჩაწერილია 15 იანვარს – ავტორი)*. ერთი რამ ნამდვილად ვიცი: საოცარი გრძნობა დამეუფლა, ისეთი როგორიც თითქმის არც ერთ კონკურსში გამარჯვების დროს არ განმიცდია.

**– როდესაც ასეთ კონკურსში მონაწილეობ, რა თქმა უნდა, გამარჯვების სურვილი, იმედი და ამბიციაც გაქვს.**

– როცა ამ პროექტში შევედი, გამარჯვებაზე 5 პროცენტით ვფიქრობდი, ნაკლებად მქონდა იმედი. დათოს გუნდში ისეთი ძლიერი ბავშვები ვიყავით, ვერ გამოარჩევდი: ვინ ვის სჯობდა. გარდა ამისა, სხვა მწვრთნელების ბავშვებიც არანაკლებ ძლიერები იყვნენ. პირველ ლაივზე, როდესაც დათომ გადამარჩინა, მივხვდი, რომ მან ჩემში ის პოტენციალი დაინახა, რომელიც ფინალისტს გამოადგებოდა. სწორედ მაშინ დავფიქრდი ჩემს შესაძლებლობებზე და უფრო შემართებით ვიბრძოდი და ვიბრძოლებ კიდეც. ძალიან მინდოდა გამარჯვება. ეს წუთები დაუვიწყარია, თუმცა მძიმე მომენტებიც იყო. ამ დროს გამარჯვების ფაქტს აღარ განიხილავ, უფრო მეტს ფიქრობ: რომ არ გავიმარჯო, მერე რა იქნება, ხომ არ დავყრი ფარ-ხმალს – ანუ, ასეთ წვრილმანებზე იწყებ ფიქრს.



**დამძაბველები ბევრნი იყვნენ კონკურსში და ჩემი ქცევებიდან გამომდინარე, „ზომბს" მეძახდნენ. ზოგადად, ძალიან მხიარული ვარ, მიყვარს ხუმრობა, მაგრამ კონკურსში ბევრი რამისგან ვიკავებდი თავს**

**– რომ არ გაგემარჯვა, შეიძლებოდა, სიმღერაზე უარი გეთქვა?**

– დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ბოლომდე გავყვები სიმღერას. ბოლოს და ბოლოს, 3 წლიდან ვმღერი. ბავშვობიდან დღემდე ერთი პედაგოგი მყავს, ნანა ჟღერია, რომელიც ძალიან კარგი ადამიანია. მან მირჩია „ვოისში" გამოსვლა. მეც დავუჯერე. 6 წლის ასაკში ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის დიდ სცენაზე დავდექი. მქონდა ბევრი კონცერტი, ფესტივალებზე გამოვდიოდი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ უცხოეთშიც და იქიდან საკმაოდ კარგი ადგილები ჩამომქონდა. თუმცა, ასეთ პროექტში არასდროს მიმიღია მონაწილეობა და ყოველთვის მაინტერესებდა, რა ხდებოდა კულუარებში, კონკურსანტებს შორის. შესაბამისად, ამ ყველაფრის დახმარებით, საკუთარი თავი გამოვცადე. მიხარია, რომ ჩემს მწვრთნელს იმედები გავუმართლე. მინდა აღვნიშნო, რომ თავიდან „ვოისში" მე და ჩემმა მეგობარმა, ნინი გველესიანმა გავაგზავნეთ ჩვენი დუეტი. როდესაც ქასთინგზე მივედით, გვითხრეს: შარშან კი იყო დუეტი, მაგრამ გამარჯვების მეტი შანსი გექნებათ, თუ ცალ-ცალკე გამოხვალთო. არცერთს არ გვინდოდა მარტოს გამოსვლა, მაგრამ დაგვაძალეს, ცალ-ცალკე გავსულიყავით. ვეუბნებოდით: თუ დუეტს არ მიგვიღებთ, არც ერთი არ გამოვალთო. ბოლოს გადავწყვიტე, ნინისთვის დამეთმო, რადგან ის 20 წლისაა და უფრო მეტი გამოცდილება აქვს. მაგრამ ნინიმ უარი მითხრა, მასაც დუეტად უნდოდა გასვლა. საბოლოოდ, გვითხრეს: „იმედში" ან ცალ-ცალკე გამოხვალთ, ან საერთოდ არაო. მოკლედ, დიდი დაძალებისა და ერთი ამბის შემდეგ, ორივე გამოვედით და დათოს გუნდში წავედით. ზოგ-ზოგიერთს ეგონა, ერთმანეთს დაგვაპირისპირებდნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. დღესაც ძალიან კარგი მეგობრები ვართ და ჩემი გუშინდელი გამარჯვება, სწორედ ჩემს უმაგრეს მეგობარს, ნინი გველესიანს ეძღვნება. მის მაგივრადაც ვიბრძოდი შოუში.

**– რატომ წახვედი დათოსთან?**

– დათოსთან მოხვედრა თავიდანვე მინდოდა. წინა შოუებს თვალს ვადევნებდი, ვაკვირდებოდი მის ყველა გადაწყვეტილებას: როგორ საზღვრავდა თითოეული კონკურსანტის სიძლიერეს, ყველაფერს ვაკვირდებოდი და ამან განაპირობა ჩემი დათოსთან წასვლა. თან, მასაც ისეთივე მუსიკალური ხედვა აქვს, როგორიც – მე, ის სტილი მოსწონს, რაც – მე. რაც პროექტი დაიწყო, თითქმის ყოველდღე ერთად ვიყავით, სამუშაო პროცესი თავიდან ძალიან რთული იყო. ნელ-ნელა შევეჩივეთ ყველაფერს. დათოსთან მუშაობას კიდევ ის პლუსი აქვს, რომ არასდროს ზოგავს ენერგიას, დროს. ყველაფერი გვერდზე გადადო და ბოლომდე შეწირა თავი შოუს, რომ ყოფილიყო რეიტინგული, გამოსულიყო კარგი ნომრები.

**– რა იყო შენთვის ყველაზე დიდი სირთულე? ზოგადად, ასეთი ტიპის კონკურსებში მონაწილეობა სერიოზული სტრესია...**

– ყველაზე დიდი სირთულე ის იყო, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციებში, მანამდე არ მოვხვედრილვარ. თავიდან ვამბობდი: რა მინდოდა ამ პროექტში, რას მოვდიოდი... ხალხი ვერ ხედავს, მაგრამ სცენის მიღმა საკმაოდ ბევრი დაძაბულობა, სტრესია. მაყურებელი ყველაფერს უკვე შეფუთულს უყურებს, არ იციან, რა ხდება შიგნით. ძალიან ბევრი დაძაბულობა იყო, მაგრამ ვცდილობდით, არ შეგვემჩნია, გაგვეტარებინა. „ფეისბუქზეც" ჩვენი მისამართით ცუდი რაღაცეები იწერებოდა, მაგრამ არ ვაქცევდით ყურადღებას. ამის შესახებ დათო რამდენიმესაათიან ლექციებს გვიკითხავდა, მიგვაჩვია და აღარ გვაინტერესებდა ცუდი გამოხმაურებები.

**საბოლოოდ გვითხრეს, „იმედში" ან ცალ-ცალკე გამოხვალთ, ან საერთოდ არაო. მოკლედ, დიდი დაძალებისა და ერთი ამბის შემდეგ, ორივე გამოვედით და დათოს გუნდში წავედით**

**– შენი გამარჯვების შემდეგაც დაიწყეს სოციალურ ქსელებში უარყოფითი რაღაცეების დაწერა. ზოგი იმასაც წერდა, რომ შენ თითქოს ამ პროექტის მოსაგებად სახლი გაყიდე.**

– არ არის მართალი. ჩემი საკუთარი სახლი არც გამაჩნია, რომ გამეყიდა. რომც მქონოდა არც ერთი პროექტის მოსაგებად არ ვიფიქრებდი სახლის გაყიდვას ან დაგირავებას. წერონ, რამდენიც უნდათ, მე არ მივაქცევ ყურადღებას, თუმცა ჯობია, არ დაწერონ ის, რაც არ არის მართალი.

**– რას საქმიანობ მუსიკის გარდა?**

– ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობ, პირველ კურსზე ვარ. თუმცა დიდად არ მაინტერესებს – ბებიას უნდოდა დიპლომიანი შვილიშვილი და ამიტომ ჩავაბარე. სიმღერამ ისე ჩამითრია თავიდანვე, რომ სხვა პროფესია, უბრალოდ, არ მიზიდავს. დედისგან ხატვის ნიჭი გამომყვა, ძალიან მიყვარს. თუმცა, ისე კარგად არ გამომდის, რომ პროფესიონალურ ნამუშევართან მიახლოებული იყოს. მაგრამ, თავისუფალ დროს ჩემს ემოციებს ხატვაში ვაქსოვ.

**– ავტომობილი გაჩუქეს. იცი ტარება, გაქვს მართვის მოწმობა?**

– ავტომობილი მაჩუქეს და კიდევ ჰოლანდიაში „ვოისის" ჩამწერ სტუდიაში უნდა ჩავწერო ერთი სიმღერა. მართვის მოწმობა არ მაქვს, მაგრამ ახლო მომავალში აუცილებლად ავიღებ, სტიმული მომეცა.

**– რა გეგმები გაქვთ შენ და დათოს?**

– ახლო მომავალში ვაპირებ ერთ-ერთ კონკურსზე წასვლას უცხოეთში. ოღონდ მე და ნინი გველესიანი წარვდგებით დუეტის სახით. იმედია, იქ მაინც მოგვცემენ ამის უფლებას, არ დაგვიწუნებენ.

**– როგორ ცხოვრობდი პროექტამდე?**

– ძალიან მეგობრული ვარ, თუმცა, პროექტიდან გამომდინარე, ვერ ვახერხებდით მეგობრებთან ერთად ყოფნას. კლუბებში სიარული დიდად არ მიყვარს. ვინც მიყვარს როდესაც ჩემთან ერთად არიან, ძალიან კარგად ვატარებთ დროს. არ ვარ კონფლიქტური, არასდროს გამიკეთებია ისეთი რამ, რომ მე გამომეწვიოს უარყოფითი ემოციები. როცა ცუდი სიტუაციაა, ვცდილობ, გავანეიტრალო, რომ აღარ დაიძაბოს. რამდენად გამომდის ეს, არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ ხოლმე. დამძაბველები ბევრნი იყვნენ კონკურსში და ჩემი ქცევებიდან გამომდინარე, „ზომბს" მეძახდნენ. ზოგადად, ძალიან მხიარული ვარ, მიყვარს ხუმრობა, მაგრამ კონკურსში ბევრი რამისგან თავს ვიკავებდი. თუნდაც, როდესაც ჩემ მიმართ რაღაც ცუდი ხდებოდა, თავს ვიკავებდი, არ ვყვებოდი არავის და ამიტომაც მეძახდნენ „ზომბს". კონკურსში ავიტანე ეს სახელი და კონკურსის გარეთ არა მგონია, ვინმემ მითხრას, „ზომბი" ხარო.

**– „კამიკაძეც" შეგარქვეს.**

– ზოგიერთი ადამიანის გადმოსახედიდან, ისეთ ნაბიჯებს ვდგამდი კონკურსში, ისეთი არჩევანს ვაკეთებდი, რაც მათთვის მიუღებელი იყო. დათომ ისიც თქვა: ერთადერთი „კამიკაძე" ხარ, რომელმაც საქმე ისე გააკეთა, პროექტი ცოცხალმა დატოვაო.

**– ახლა მითხარი, შეყვარებული თუ გყავს, ან როგორი ბიჭები მოგწონს?**

– ეს თემა ჯერ ჩემგან შორს არის. ჩემი ასაკის გოგონები ორკვირიან ურთიერთობაზე ამყარებენ იმედებს. არ ვიცი, ეს მათთვის გართობაა თუ უბრალოდ, დროის გატარება. ჩემთვის პირადად, შეყვარებული უნდა ნიშნავდეს თითქმის ყველაფერს. ჯერ ასეთი ადამიანი არ გამოჩენილა ჩემს ცხოვრებაში და არც მინდა, რომ გამოჩნდეს, რადგან ამისთვის პატარა ვარ. ისე კი, უნდა იყოს ჩემი ხასიათის: ზოგჯერ ცანცარა, ხანდახან „კამიკაძე". ისეთი ადამიანი, რომელიც გამიგებს, გვერდში დამიდგება. არ უნდა ამიკრძალოს ის, რაც მე მიყვარს. თუ ამიკრძალავს, ასეთ ადამიანს არც შევხვდები.

**ნათია უტიაშვილი**

**უკვე მეოთხე წელია, მომღერალი ჯაბა ქარსელაძე ცოდნას უცხოეთში იმაღლებს. ამჟამად ის საქართველოშია ორიოდე კვირით, შემდეგ კი გეზს საფრანგეთისკენ აიღებს. გამგზავრებამდე, რა თქმა უნდა, მას შევხვდით და შევიტყვეთ იმ სასიამოვნო სიახლეების შესახებ, რაც მის კარიერას უკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს ნაწილს უცხოეთში ატარებს, როგორც თავად აღნიშნა, თავს ყველაზე კარგად და კომფორტულად საქართველოში გრძნობს და როგორც გაირკვა, ცოდნას, რომელსაც წლების განმავლობაში უცხოეთში იღებს, აუცილებლად გამოიყენებს იმ ქვეყანაში, სადაც დაიბადა და გაიზარდა.**

# რომელმა ქვეყანამ მიანიჭა ჯაბა ქარსელაძეს მუდმივი რეზიდენტობა და რატომ არიან უცხოეთში მუდმივად გაკვირვებული 27 წლის ქართველის სივით

**– ზაფხულში ჩეხეთში გნახვედი, მაგრამ საფრანგეთიდან ჩამოხვედი. როგორც გავიგე, სწავლას განაგრძობ. ამჯერად რა მოვლენები განვითარდა შენს ცხოვრებაში იმ პერიოდში, რაც საქართველოში არ ყოფილხარ?**

– იმის საფუძველზე, რომ განათლება ევროპაში მაქვს მიღებული და შესაბამისი გამოცდილებაც მაქვს, არის პროგრამა, რომლითაც მოთხოვნებს აკმაყოფილებ და ლურჯი ბარათის მფლობელი ხდები. ეს კი ნიშნავს, რომ შეგიძლია, იმუშაო და შენი წვლილი შეიტანო იმ ქვეყნის განვითარებაში, რომელმაც ეს უფლება მოგანიჭა. ანუ, როგორც მაღალპროფესიონალი კადრი მოთხოვნადი ხარ. შრომა და ჩემი გამოცდილება დამიფასეს და დღეს უკვე ჩეხეთის მუდმივი რეზიდენტი ვარ. რეალურად ვცხოვრობ ჩეხეთში. თუმცა, ორწლინახევრის წლის წინ საფრანგეთში შევიტანე თხოვნა დაფინანსებაზე, რათა დოქტორანტურაში სწავლა გამეგრძელებინა კონკრეტულ უმაღლესში. რადგან ჯერ მხოლოდ 25 წლის ვიყავი, უარი მითხრეს, რადგან მათი აზრით, ასაკის გამო შესაბამისი გამოცდილება არ მექნებოდა. სიმართლე გითხრათ, გული არც დამწყვეტია, მე ჩემი ვცადე და სამართლიანი პასუხიც მივიღე მათგან. გავიდა დრო და მეილზე მათგან წერილი მივიღე, ერთი თავისუფალი ადგილი გვაქვს, 50-პროცენტიან დაფინანსებას გაძლევთ და ჩამობრძანდით, სწავლა ორ კვირაში იწყებაო. ძალიან გამიხარდა, მაგრამ ამავე დროს ვიცოდი, რა რთული იქნებოდა პარიზში თავის თავიდან დამკვიდრება. სასწრაფოდ ჩავედი პარიზში და მაშინვე ერთი კურიოზი შემემთხვა. პარიზში შანზელიზეზე ვცხოვრობდი და აღმოვაჩინე, რომ ბინაში გაზი ჩაჭრილი მქონდა. გათბობისთვის არ მჭირდებოდა, რადგან შემოდგომის თბილი ამინდები იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ორი კვირა არ მქონდა ცხელი წყალი. საბედნიეროდ, ჩემი სახლის წინ ერთ-ერთი ცნობილი ქსელის სატრენაჟორო დარბაზის ფილიალი იყო. ავიღე აბონემენტი და დღეში ორჯერ დავიწყე იქ სიარული. თან, ვვარჯიშობდი, თან ვბანაობდი. მერე დავლაგდი და სწავლაც დამეწყო. პირველ დღეს იქაც კურიოზი შემემთხვა. რომ მივედი, ყველას თანამშრომელი ვეგონე, ვერ წარმოიდგინეს, რომ ჩემი ასაკის ადამიანი ამ პროგრამით ისწავლიდა. ვიცოდი, რომ საშუალო ასაკი 37 წელი იყო, თუმცა სემინარზე რომ შევედი, გაცილებით უფროსი ასაკის ადამიანები დამხვდნენ. იქ ვინც სწავლობს, ყველას დიდი გამოცდილება აქვს და ძირითადად, ნახევარ განაკვეთზე სწავლობენ. ანუ, შეუძლიათ, წელიწადში სამჯერ ჩამოვიდნენ და სემინარი გაიარონ. თუმცა, დოქტორანტურის დამთავრებას ამის გამო, 5 წელი მაინც ანდომებენ. მე კი, მათგან განსხვავებით, გადავწყვიტე, 2 წელიწადში დავასრულო დოქტორანტურა და მერე უკვე დისერტაციაზე დავიწყო მუშაობა. მართლა ძალიან რთულია ამ ყველაფრის 2 წელიწადში გავლა, რადგან ძალიან ბევრი სამუშაოა. როგორც აღმოჩნდა, მე პირველი ქართველი ვარ, ვინც ამ უნივერსიტეტში დოქტორანტურაში ჩააბარა. პირველ დღეს, პრეზენტაციის დროს, რომ ვთქვი, საქართველოდან ვარ-მეთქი, ამერიკიდან ვეგონე, მაგრამ მერე ავუხსენი, რომ კავკასიელი ვიყავი. რომ გაგეს 27 წლის ვიყავი, გაკვირვებული მიყურებდნენ. მერე ლექტორმა გვკითხა: ვის რატომ გვინდოდა იქ სწავლა. ძირითადად, ზოგს პოლიტიკაში უნდა წასვლა, ზოგს სტატუსის ამაღლება, ზოგს კი, საკუთარი ბიზნესის გასაკეთებლად.

**– შენ რა უპასუხე?**

– ვუპასუხე, რომ უპირველესად, მინდა, ჩემს ქვეყანას გამოვადგე. უკვე იმდენად ბევრი რამ მაქვს გამოვლილი, რომ გითხრათ, ამის დამთა-



**ძალიან მინდოდა, ამერიკაში მე-100 სართულზე მემუშავა და იქიდან მემართა კომპანია, მაგრამ ამერიკა იმდენად ვერ მივიღე, რომ ოცნება ოცნებად დარჩა**

ვრების მერე სამსახურში სტატუსს ავიმაღლებ-მეთქი, არა. იმაზე ხომ საერთოდ გაოგნდნენ, რომ ვუთხარი, ამჟამად უმუშევარი ვარ-მეთქი.

**– ყველაზე უფროსი რამდენი წლისაა?**

– ჯერჯერობით ყველაზე უფროსი, ვინც შემხვდა უნივერსიტეტში, 63 წლის არის, რომელიც მეორე დოქტორანტურას აკეთებს.

**– შენ რა განხრით სწავლობ?**

– ბიზნესის ადმინისტრირება.

**– უმუშევარი ვარო, აღნიშნე, და სად გაქვს ამ ეტაპზე მუშაობის სურვილი?**

– ძალიან დიდი სურვილი მაქვს, კომპანია „ორენჯში" ვიმუშაო, რომელიც ერთ-ერთი ძალიან სერიოზული საერთაშორისო მობილური კავშირია. ასევე, ძალიან მინდა, „დისნეი ლენდის" კორპორაციაში მუშაობა, სადაც ძალიან კარგი კორპორატიული კულტურაა და გაზრდის ძალიან კარგი საშუალებაა. მესამე, სადაც ვისურვებდი მუშაობას, ეს არის დიდი ფრანგული კომპანია, რომელსაც მთელს საფრანგეთში სასტუმროებიც აქვს, კაფეებიც და ასე შემდეგ. აი, ამ კომპანიებში თუ შეყავი თავი, მერე უკვე დიდი პერსპექტივა გაქვს ცხოვრებაში. ამ ეტაპზე მე მაღალ ხელფასზე მეტად გამოცდილება მჭირდება. პირდაპირ მენეჯერის პოზიციაზე სერიოზულ კომპანიაში არავინ დაგსვამს. 3-თვიან გამოსაცდელ პერიოდს გაძლევენ და თუ გაამართლე, მერე უკვე მიიწევ წინ და წინ. ადრე ძალიან მინდოდა, ამერიკაში, მე-100 სართულზე მემუშავა და იქიდან მემართა კომპანია, მაგრამ ამერიკა იმდენად ვერ მივიღე, რომ ოცნება ოცნებად დარჩა. აი, საფრანგეთი სულ სხვა შემთხვევაა. იქ თავს როგორც სახლში, ისე ვგრძნობ. თუმცა, არა ისე კარგად და კომფორტულად, როგორც საქართველოში, მაგრამ მაინც. მე ყველგან და ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვუსვამ ხაზს, რომ ქართველი ვარ. ვცდილობ, ყველას დავანახვო, რომ საქართველო ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ქვეყანაა. ხშირად ვეპატიჟები უცხოელ მეგობრებს, მით უმეტეს, რომ მაქვს იმის საშუალება, სტუმრები მივიღო და გავუმასპინძლდე. მაქსიმალურად ვცდილობ, ხალხს საქართველო რეალური თვალით დავანახვო. ბევრს ჰქონია, რომ ჩვენს ქვეყანაში ხალხს იტაცებენ, არეულობაა და ასე შემდეგ. რომ მეკითხებიან, საშიში არ არის, რომ ჩამოვიდეთო, მეცინება. ჩვენ რომ პატრული გვყავს, არც დაგესიზმრებათ. ისეთი გამართულია ეს სისტემა, რომ ყველა დაცულად გრძნობს თავს-მეთქი. პარიზში საერთოდ ვერ ვხედავ პოლიციელს, ჩუმად დადიან, ვინმემ თუ რამე დაარღვია, უცებ დაადებენ მანქანას თავზე ციმციმას.

**– გარდა სწავლისა, როგორ ერთობი პარიზში მეგობრებთან ერთად?**

– მართალია, გასართობად თითქმის დრო არ მრჩება, მაგრამ როცა კი მაქვს თავისუფალი დრო, მეგობრებთან ერთად ჩემი მანქანით ქალაქგარეთ გავდივართ.

**– რამდენი წელია, რაც წასული ხარ საქართველოდან?**

– რაც სტაბილურად წავედი – მეოთხე წელი სრულდება. წასული ვარ, მაგრამ ყველაფრის საქმის კურსში ვარ, რა ხდება ჩემს ქვეყანაში. ყოველ საღამოს ვუყურებ ქართულ საინფორმაციო გამოშვებას და ვიგებ – რა ხდება საქართველოში. ისე კარგად, როგორც აქ ვარ, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ვიქნები. ევროპამ ძალიან შემცვალა, ბევრი მასწავლა. რაღაცეები მომწონს მათი, რაღაცეები არა. ამიტომ, მათგან მხოლოდ კარგს ვიღებ, ისევე როგორც ჩვენს კარგს ვინარჩუნებ.

**– ჯაბა, როცა შენს სწავლა-განათლებაზე საუბრობ, ზოგს ეჭვი ეპარება, რეალურად თუ ისწავლე ამდენი და ამდენი დიპლომი და სერტიფიკატი დააგროვე. მათ საყურადღებოდ, მოდი, გააკეთე რეზიუმე 27 წლის ასაკში სად მიიღე ამდენი ცოდნა და გამოცდილება.**

– რაც მთავარია, ყველაფრის ორიგინალი მაქვს და ყველას შეუძლია, უპრობლემოდ გადაამოწმოს. გაგეცინებათ და როცა რომელიმე კომპანიაში, სივის ვაგზავნიდი, სულ ერთნაირი პასუხი მომდიოდა: თქვენი გამოცდილება აღემატება ჩვენს პოსტს. ამის მერე სივიდან ბევრი რამ ამოვიღე, სამაგიეროდ, როცა ინტერვიუზე, ანუ გასაუბრებაზე მიბარებენ, ყველაფერს ვყვები. სხვათა შორის, გაჭრა ამ ხერხმა. რაც შეეხება ჩემს სწავლას: 2003-2007 წლებში თბილისში დავამთავრე „კავკასიის ბიზნესსკოლა" (ბაკალავრი ბიზნესის ადმინისტრირებაში ფინანსების განხრით); 2008 წელი - **ISCID** ბიზნესსკოლა საფრანგეთში (სამაგისტრო ხარისხი საერთაშორისო მენეჯმენტში); 2009 წელი – **LSPR** ლონდონის პიარსკოლა (პროფესიული დიპლომი საზოგადოებრივ ურთიერთობაში); 2009 წელი – **IEDC / Bled School of Management** საერთაშორისო ლექტორთა მენეჯმენტის აკადემია (პროფესიული დიპლომი სწავლების მეთოდიკასა და ფინანსური კურსების ორგანიზებაში); 2010 წელი – მონაკოს სამეფო უნივერსიტეტი (საერთაშორისო სიმდიდრის მართვის კურსი); 2011-2012 წლები – European Business School of Grenoble გრენობლის უმაღლესი ბიზნესის მართვის სკოლა (მაგისტრი ბიზნესის მართვაში); 2013 წელი – ISM Paris საერთაშორისო უმაღლესი მენეჯმენტის ბიზნესსკოლა პარიზში (მეცნიერებათა დოქტორის კანდიდატი საერთაშორისო ბიზნესის მართვის საკითხებში).

საპატიო წევრობა: APM – პროექტების მართვის ასოციაცია ევროპაში (ინგლისი); IMTA – საერთაშორისო ლექტორთა ასოციაცია (სლოვენია); AAPM – ამერიკული აკადემიის პროექტის მენეჯმენტის მართვის მენეჯერის წოდება.

***P.S. და ეს ყველაფერი არ არის...***

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**ლიბრანი**: მე ვისწავლე დუმილი ბევრის მეტყველისაგან, მოთმინება მოუთმენლისაგან და სიკეთე არაკეთილისგან, მაგრამ, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მე არ განვიცდი, არანაირ პატივისცემას არც ერთი ამ მასწავლებლის მიმართ.

**მანდელა**: მე მივხვდი, რომ სიმამაცე ნიშნავს არა შიშის არქონას, არამედ შიშზე გამარჯვებას. მამაცი ის ადამიანი კი არ არის, რომელსაც არაფრის ეშინია. მამაცია ადამიანი, რომელიც საკუთარ შიშს გადაალახავს.

**კლინტონი**: თუ თქვენ გეუბნებიან, რომ საქმე ფულში არ არის, ესე იგი სხვის ფულზე გესაუბრებიან.

**ეზოპე**: მოტირალი და მოცინარი ადამიანი ზურგიდან ერთნაირად გვეჩვენება.

**ჰეგელი**: ხალხი არის სახელმწიფოს ნაწილი, რომელმაც არ იცის, რა უნდა.

**პიტერი**: დემოკრატიის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ ხელისუფლებას მოკლებულმა პარტიამ იცის, თუ როგორ უნდა მართოს ქვეყანა.

**ბისმარკი**: ცხოვრებამ ბევრის პატიება მასწავლა, მაგრამ უფრო მეტიც – თვითონ მეძებნა პატიება.

**განდი**: უნდა იცოდე, როდის იმოქმედო და როდისაა საჭირო მოქმედებებისგან თავის შეკავება, მოქმედება და უმოქმედობა ამ გარემოებებში მსგავსნი არიან და ერთმანეთს არ ეწინააღდეგებიან.

**ავსონიუსი**: სიმდიდრე არ არის სულისთვის, არამედ სულთა სიმდიდრის საზომია.

**უილკოქსი**: სიყვარული უფრო დიდ ცეცხლს ჩაღებს, ვიდრე შურს შეუძლია ჩააქროს.

**იოანე დამასკელი**: ის, ვინც სიკეთის კეთებისკენ მიისწრაფვის, მოვალეა, მოთმინებით აიტანოს ბოროტება.

**ლაროშფუკო**: უფრო ხშირად ადამიანების სამართლიანობისადმი იმ შიშისგან სიყვარული გამომდინარეობს, რომ უსამართლობას არ გადაეყარონ.

**ჰიუგო**: გსურთ, აღმოფხვრათ დანაშაულებანი? გაავრცელეთ ხალხში განათლება.

**ემერსონი**: თანამედროვე მეცნიერების სასწაულები ბევრით აღემატებიან ძველი მითოლოგიის სასწაულებს.

**სოფოკლე**: გონება ძალზე საშიში შეიძლება აღმოჩნდეს, თუ ის ადამიანს არ ემსახურება.

**არისტოტელე**: გონიერი სასიამოვნოს კი არ დასდევს, არამედ უსიამოვნების აცდენას ცდილობს.

**შექსპირი**: რაც ნაკლებია სიტყვები, მით მეტია გრძნობა.

**სტენდალი**: ადამიანი თავის გულს იშველიებს, როცა რაიმე სისულელეს სჩადის.

**კლიუჩევსკი**: ცოლი მოჰყავთ იმედზე, თხოვდებიან დაპირებებზე.

**ამინადო**: მამაკაცები იტყუებიან უბრალოდ, ქალები – თვალებზე ცრემლებით.

# თუ გაიმოიცნობთ

1. არც ისე ცნობილი ეგვიპტის დედოფლის, ეუბტენის პირამიდა სხვებისგან გამოირჩეოდა იმით, რომ მოოქრული წვერი ჰქონდა. **რისთვის იყო ეს განკუთვნილი?**

2. **რა სასჯელი იყო** დაწესებული გერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში თვითმკვლელობის მცდელობისთვის?

3. იაპონურ ხომალდ „კონოკავა მარუზე“ დაყენებულია სისტემა – ხომალდი იმართება ხმით. მითითებებს ელექტრომართული აპარატურა ინგლისურ ენაზეც იღებს, მაგრამ, არც ინგლისელებს, არც ამერიკელებს და არც ავსტრიელებს ხომალდი არ ემორჩილება. **რატომ?**

4. 1977 წელს ამერიკულმა მუსიკალურმა კონფერენციამ ის ასე დაახასიათა: „ცუდი ხის სასულე ინსტრუმენტი, რომელზე კარგად დაკვრაც შეუძლებელია“. არადა, ერთ-ერთი ქართული საოპერო შედევრი რომ მოესმინათ, ალბათ, სულ სხვა დასკვნას დაწერდნენ. **დაასახელეთ ინსტრუმენტი.**

5. უკუმოქმედი, სინათლის მომტანი, ბუზების თავადი... – **გამოთქვით ერთი სიტყვით.**

6. ადრე ეს ქალაქი ქსოვილებით იყო ცნობილი და მისი სახელი ქსოვილის ერთ-ერთ სახეობასაც კი ჰქვია. დღეს მისი ერთ-ერთი გეომეტრიული ნაწილი ორი ქვეყნისთვის განხეთქილების ვაშლია. **რა?**

7. პირველად ის სქელ მაუდს ერქვა, რომელსაც სუფრების დასამზადებლად იყენებდნენ; შემდეგ – მაგიდას, რომელიც ამ მაუდით იყო დაფარული, ბოლოს კი – ოთახს, სადაც ეს მაგიდა იდგა. **რა?**

8. ამერიკელმა პალეონტოლოგმა ვაისმანმა წარმოადგინა ანტიკვარული ნივთების დამზადების თითქმის ზუსტი ადგილი და თარიღი, ოღონდ, არა ყველასი, არამედ მათი, რომლებიც ლაკით არიან დაფარული. **როგორ?**

9. შუა საუკუნეების ღვთისმეტყველებს შეეძლოთ, დისპუტი გაემართათ ნებისმიერ თემაზე, გარდა ერთისა. სწორედ აქედან წამოვიდა ცნობილი გამონათქვამი. **რაზე იკრძალებოდა კამათი?**

10. **დაასახელეთ სიტყვა,** რომელიც ტიბეტურ ენაზე „ყველაზე მაღალს“ ნიშნავს.

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* ამ სიაში პირველი ადგილი ძაღლებს უჭირავთ, მეორე – ცხენებს, მესამე – გედებს, მეოთხე – ღორებს, კატები კი – მეთორმეტე ადგილზე არიან... მკვლევრებმა ეს სია „საყვარელი ცხოველების“ შერჩევის პრინციპით შეადგინეს.

* ერთ-ერთ ნაშრომში ლენინმა ხალხი სამ კატეგორიად დაყო: დამნაშავეებად, სასარგებლო იდიოტებად და კომუნისტებად.

* პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ ვალენსას კანცელარიის უფროსად 1992 წლის ბოლოს დაინიშნა მიჩესლავ ვახოვსკი – მისი ყოფილი პირადი მძღოლი.

* კანადელმა ფიზიკოსმა შემენჩაუერმა წამოაყენა წინადადება, ჩილეს სანაპირო მთებზე გაებათ თევზსაჭერი ბადე, რომელზეც ნისლი ჩამოწვებოდა, კონდიცირდებოდა და სარწყავ წყალს წარმოქმნიდა.

* ძველი ბერძნები და რომაელები კერძში დაფნის ფოთოლს არომატისთვის არ აგდებდნენ – ეს მათი ტრადიციული რიტუალი იყო.

* ინგლისის ელექტრომრეწველობის დიდი ნაწილი შოტლანდიაშია თავმოყრილი იმის გამო, რომ იქ ძალიან ცოტა მტვერი და ბევრი სუფთა ჰაერია.

* ამ ქვეყანას როდეზია მის ტერიტორიაზე ალმასების მოპოვებისა და დამუშავების პირველი კომპანიის დამაარსებლის – სესილ როდსის პატივსაცემად ეწოდა.

* ფინეთში, ზამთარში, დიდთოვლობის დროს მანქანების მსხვერპლი ხშირად ხდებიან ირმები, რომლებიც ტრასაზე დაყრილი მარილის ასალოკად გამოდიან.

* 1911-1913 წლებში, მას შემდეგ, რაც „მონა ლიზა“ მოიპარეს, ლუვრი უფრო მეტმა ადამიანმა დაათვალიერა, ვიდრე მანამდე, 12 წლის განმავლობაში. დამთვალიერებელთა რაოდენობის ასეთი ზრდა საყუნის ძარცვის ადგილის ნახვის სურვილმა გამოიწვია.

* გრავიტაციის მუდმივას, პლანკის მუდმივასა და ავოგადროს პირველი რიცხვები 666-ს ქმნის; ამიტომ ამბობენ, რომ მათში ეშმაკეული აზრია ჩადებული.

* ესპანეთის ჩრდილოეთში, ქალაქ ბალონში, უჩვეულო ძეგლი დგას – ღვიძლის.

* იტალიის ქალაქ ტოსკანაში ბოლო დროს ყოველწლიურად იმართება „პინოქიოს კონკურსი“, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან... ტყუილში

* 1560 წელს, დანიელებთან ომის დროს, შვედების არმიის შემადგენლობაში შედიოდა „ალქაჯების ქვედანაყოფი“.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლa8-d5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



რა ქვეყანაა, თოვლის ბაბუა უფრო ძვირი ღირს ერთი საათით, ვიდრე ფიფქია – მთელი ღამით.

***

ცოლ-ქმარი ბარში.

– ხედავ, ბართან რომ კაცი ზის? შვიდი წლის წინ დავშორდი და მას შემდეგ სულ სვამს...

– კარგი რა, ვინ ზეიმობს ამდენ ხანს?!

***

სვანი დაქორწინდა. მოინდომა ცოლმა და კარგი ვახშამი მოუმზადა – მრავალფეროვანი და გემრიელი. სვანი ჩუმად მიირთმევს.

– საყვარელო, შეგექო მაინც, ხომ გემრიელია...

სვანმა ყურადღებით შეხედა ცოლს, შემდეგ თეფშს დახედა და:





– ვახშამო, ძალიან გემრიელი ხარ.

***

მანქანაზე წარწერაა ამოკაწრული:

„საბა, შემოდი „ფეისბუქზე" – თათია".

„თათია, ასეთი რამ აღარ გააკეთო – საბა"

„თათია და საბა – ჩათვალეთ, მკვდრები ხართ – მანქანის პატრონი".

***

სამარშრუტო ტაქსში ნასვამი ტიპი ამოდის.

– იქნებ გამიყოლოთ, ფული არ მაქვს.

– სასმელისთვის ხომ გქონდა?

– მეგობარმა დამპატიჟა.

– გზისთვის რატომ არ მოგცა.

– როგორ არა, გამომატანა... – და ჯიბიდან ბოთლი ამოიღო.

***

ტიპი პარაშუტით ხტება. ჩამოუქროლა კონდორმა და გადასძახა.





– მოცეკვავეს გაუმარჯოს!

– მე მოცეკვავე არ ვარ, პარაშუტისტი ვარ...

– ქვემოთ ისეთი კაქტუსებია, შესაძლებლობები მაშინვე გამოგივლინდება.

***

გურული გორელს გაჰყვა.

– რა გინდა, ამისრულა შეპირებული – სამოთხეში გაცხოვრებო: არც ფეხსაცმელი მაქვს, არც ტანსაცმელი... ვაშლი კი – რამდენიც გინდა.

***

„დავკარგე ბიუსტჰალტერი. მპოვნელს დავაჯილდოებ. ჯილდოს სიდიდეს ბიუსტჰალტერის ზომით განვსაზღვრავ".

***

შეკითხვა ექიმს:

„ვსვამ სამედიცინო სპირტს, ვაყოლებ საექიმო ძეხვს, ჯანმრთელობა კი მიუარესდება...."

***

– როგორ ვასწავლოთ ბავშვებს წესიერი მოქცევა, როცა კონკია სახლში 12 საათის შემდეგ ბრუნდება, ტარზანი შიშველი დარბის, ბეტმენი საათში 450 კილომეტრი სიჩქარით დაფრინავს, ფიფქია კი, საერთოდ, 7 ჯუჯასთან წევს...

***

დირექტორმა შეამჩნია, რომ ძალიან აზიატ თანამშრომელს საყურე უკეთია...

– ეს შენ ხარ? როდიდან?

– მას შემდეგ, რაც ჩემმა ცოლმა საწოლში „უცხო" საყურე იპოვა...

***

უცნაური სასმელია ეს ყავა – მამაკაცს მიიპატიჟებ, სექსით მთავრდება, მეგობარს მიიპატიჟებ – ალკოჰოლით.

***

– დედა, კატა ვიპოვე!

– გოგო, შენს ასაკში რა დროს კატაა, ქმარი ეძებე, ქმარი.

***

ძალიან მდიდარი ადამიანი შეიძლება, ჰავაის კუნძულებზე ერთდროულად იყოს – დასასვენებლადაც და ძებნაშიც.

***

უბედური შემთხვევების 49 პროცენტი შეიძლება მოხდეს სიტყვების შემდეგ: „ნახე, რა შემიძლია!" დანარჩენი 51 კი, სიტყვების – „ეგ რაა, ნახე, მე რა შემიძლია!"

***

ორი მილიონერი პროვინციის სასტუმროში.

– პიცას შეჭამდა კაცი, მაგრამ აქ ახლა არც ერთი რესტორანი არ იმუშავებს...

მეორემ ტელეფონის ყურმილი აილო და ნომერი აკრიფა.

– ალო, პიცის შეკვეთა მიიღეთ, მისამართი...

ყურმილიდან ისმის ყვირილი:

– ვინ ხარ, ამ შუაღამისას რომ მაღვიძებ, დილით სამსახურში ვარ წასასვლელი...

მილიონერი კი თავისას აგრძელებს:

– ძალიან არ დააგვიანოთ, ორი ათას დოლარს პიცის მომტანს გადავუხდი, – და ყურმილი დაკიდა.

– და შენ გჯერა, რომ მოიტანენ?

– ჯერ არ მომხდარა, რომ არ მოეტანოთ...

## ცნობილი ადამიანთა ინამახვილური გამონათქვამები

ძველს დროში გურიელს დაემარცხებინა ოსმალო და განედევნა საზღვართაგან; ამის გამგონეს ერთს გლეხს, დაუნახავს რა გურიელი, ატაცებულს სიხარულით შეუძახნია:

– ბატონო, წახდნენ ოსმალნი, შინისაკენ პირი იბრუნესო!

– წახდნენ კი არა, აწ გაკეთდა მათი საქმე: ჭკუაზე მოვიდნენ, თავიანთ სახლში მიდიანო, – მიუგო მთავარმა.

***

ერთმა მეგობარმა შესჩივლა აკაკის, ცუდი ყოფაქცევის ცოლი შემხვდაო.

– ფიქრი ნუ გაქვს, – ანუგეშა პოეტმა, – შენ ნურას ამბობ და ისიც თავისით მოიშლის. დედამისიც მასეთი იყო, მაგრამ, გახდა თუ არა ოთხმოცი წლის, მაშინვე მოიშალაო.

***

გალაკტიონს საყვარელი გამონათქვამი ჰქონდა: „შევიდეთ საწყალი კაცის აფთიაქში – სამიკიტნოშიო".

***

ერთმა ზედმეტად თავდაჯერებულმა ნაცნობმა შალვა ნუცუბიძეს ჰკითხა:

– ჩემი შემოქმედებიდან რა უფრო მოგწონთო?

– თქვენი უფროსი ქალიშვილი, – უპასუხია მეცნიერს.

***

აკაკის დროს ერთი პედაგოგი ყოფილა, რომელიც ხანდახან მუზებსაც „ეარშიყებოდა". ზოგიერთი მისი ლექსი „დროებაშიც" იყო დაბეჭდილი, უფრო ბევრი კი თვითონ ავტორს ჰქონდა რვეულად შეკრული და მეგობრებს აკითხებდა, როცა ესენი ესტუმრებოდნენ ხოლმე.

ერთხელ აკაკი მისულა მასთან და მახლობელ სოფელში წასასვლელად პოეტ-პედაგოგისთვის ცხენი უთხოვნია. რასაკვირველია, პედაგოგმა პოეტს მაშინვე შეუკაზმა ცხენი – თუმცა, არა ბედაური და მორათვა. გზაზე რომ არ მოსწყენოდა აკაკის, მან თავისი რვეულიც გაატანა ღამე წასაკითხავად.





მეორე დღეს სტუმართმოყვარე პედაგოგმა ჰკითხა უკან დაბრუნებულ პოეტს:

– როგორ იმოგზაურე, აკაკი? ღამე როგორ გაატარეო?

– რა გითხრა, ძმაო, დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე – შენმა ლექსებმაო.

# რატომ გაატარა შუახანს გადაცილებულმა მსახიობმა დაბადების დღე ტუალეტში

ყველა თეატრში „მოსულა“ მსახიობებს შორის „გალადავება“ და მით უმეტეს – მუსკომედიის თეატრი რა გამონაკლისი იქნებოდა?!

ერთ-ერთი მსახიობის დაბადების დღეა და აღნიშნული თეატრის რამდენიმე თანამშრომელი, ანუ მსახიობი მიიპატიჟა პურისჭამაზე იუბილარმა.

... შუახანს გადაცილებული მსახიობი იყო ნოე რ-ძე. საოცრად ძუნწის სახელი ჰქონდა გავარდნილი. აი, ისეთი, შვილიშვილს კანფეტებს რომ უყიდის, მერე თითო ცალს აცინცლავს, ბალიშის ქვეშ ინახავს და შუაღამეზე, ყველა რომ დაიძინებს – ამ მოპარული კანფეტების „რეალიზაციას“ ეწევა თავზე საბანწაფარებული.

თვისება-ჩვევაც ჰქონდა ამ ინდივიდს – „მეც მინდა!“ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ვინმეს ხელში რაიმე სასუსნავს დაუნახავდა – „მომე რა მეც, ერთი მაკბეჩიე რა?!“

მაგარ „ლადო“ მსახიობს იური ვასაძეს ამოუვიდა ყელში. დამუქრებული იყო, ერთხელაც იქნება, გადავაჩვევ მე მაგასო და აი, მომენტიც დადგა.

შეკრებილები რომ არიან და მივიდნენ კიდევაც მასპინძლის სახლში, სალამ-ქალამ მილოცვის მერე, ხელები გადაიბანეს სტუმრებმა.

იურამ ჯიბიდან ერთი საშუალო სიდიდის აბი ამოიღო. ნელა, ისე, რომ ნოეს დაენახა, წაიღო პირისკენ და ეს ნოეც დაეძგერა:

– რაია მაი, რო გადაყლაპე ახლა შენ, იურა?

– არაფერი ისეთი.

ნოე სულ გადაირია.

– მითხარი, თვარა, აგერ მოვკვდები ახლავე, შენ თვალწინ.

– აგი რაია ჩემო ნოე და „ანტი მთვრალნია“, იტალიიდან გამომგიზავნეს.

– ესე იგი?

– ესე იგი, დალევ და... სვი, რამდენიც გინდა... არც დათვრები და მეორე დღესაც ქე ხარ ჩიტივით.

– ძმა ხარ ჩემი, შეძენილი... ე ბიჭო, მომეცი მეც, რა იქნება...

– ა, ბატონო, მაგრამ არავის უთხრა, თუ არა, სადაა ამდენი...

– სამარე ვარ! – გამოგლიჯა აბი ხელიდან და უწყლოდ გადასანსლა, მაგრამ ვერ ისვენებს:

– მეორეც მომე, რა... შენ მაინც ბევრი გექნება. გამოართვა და ხია მეორეც.




მეორეზე არა და მესამე სადღეგრძელოზე, იურას ნოეს მხრიდან რაღაც ჭყრიალ-ბუყბუყის ხმა მოესმა დაახლოებით, გულმკერდის ქვემო პარამეტრებიდან. თუმცა, ნოეს არაფერი ეტყობოდა... არ ეტყობოდა, მაგრამ მალე შეეტყო, ანუ აცმუკდა და ახვანცალდა სკამზე. მერე ფერიც შეეცვალა და მეორეკლასელივით ასწია ორი თითი:

– ბატონო თამადა... თუ შეიძლება, ცოტა ხნით დაგტოვებთ...

– მიბრძანდით, ბატონო... ჩვენთან დემოკრატიაა, – გაუღიმა სუფრის უფროსმა. სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ნოე კარაბინიდან გამოვარდნილი ტყვიის სისწრაფით გაენთო ტუალეტისკენ.

დაწყნარებული ნოე 5 წუთის შემდეგ ისევ ყინჩად იჯდა თავის სკამზე. მაგრამ ქათმის ბარკალს ზიზღიანად უყურებდა. მონდომებულად და დაუფარ-დაუმალავად ხშირად ზომავდა მანძილს თავისი სკამიდან ტუალეტამდე.

მეხუთე სადღეგრძელოზე ისევ ასწია ორი თითი – გავივლი, ბატონო თამადავ, თუ შეიძლებაო, – და ნებართვა რომ დაითრია, კისრისტეხით შევარდა ისევ იქ, წეღან რომ მოგახსენეთ.

– ამ კაცს ელვადეპეშა ხო არ დააქვს იმ ტუალეტში? – დაინტერესდა ახმახი მსახიობი.

– ხა, ხა ხა... რა ხარ შენ! რასაა, შენ რომ არ იტყვი! – ახორხოცდნენ მოქეიფეები. ამასობაში ნოეც გამოვიდა, სიჩუმე რომ იგრძნო, ბოდიში მოიხადა, ხმადაბლა დააბოყინა, მაგრამ ამისთვის აღარ მოუბოდიშებია და დაჯდა.

– ბიჭო, იურა... თრობა არ მეკიდება, ხო იცი შენ... მაგარი ყოფილა მაი წამალი, – გადაულაპარაკა ვასაძეს.

– შე კაცო, ჩვენ რო ვსვამთ, შენ ტუალეტში ხარ და უბორნიაში დამთვრალი კაცი მე, მაგალითად, არ მინახავს... ისე, წამალი მართლა მაგარია, რო იცოდე, და მერე და მერე უფრო იგრძნობ მაგის ეფექტს.

– ბიჭო, – ისევ აჩურჩულდა ნოე...

– გამიცვალე რაია ადგილი.

– რატომ ვითომ?

– ტუალეტთანაა ახლოს შენი სკამი და იმიზა... შენ საიდან გეცოდინება, მარა, მე, ბავშვობიდან მიყვარს ტყუალეტი და უბორნია... კი არ დამიჯერებ, მარა, პატარა რომ ვყოფილვარ, სულ უბორნიაში ვთამაშობდი „უბორნიობანას“. აბა! – თამაშია ასეთი, ქალაქში არ იციან, რაიონებში ძაან იყო გავრცელებული ეგ თამაში, აბა!

სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, ერთი გვარიანად დაიწმაწნა, სახეზე წამოჭარხლდა, ორი თითი აღარ აუწევია, არც ბოდიში მოუხდია და ისეთი სიჩქარით დაგაზა ტუალეტისკენ, რომ ფეხები თავს უსწრებდა... შევარდა და ხმაურით შეიხურა კარი.

– მართლა რა ჭირს, იურა, მაგ კაცს? – ახლა მელოტი მსახიობი დაინტერესდა.

– მაგას რო ჭირს, მტერს და ავს... ეტირა ყოფა!

– მითხარი, გაფიცებ ყველაფერს... – ყელი გამოიბდღვნა თითებით მელოტმა.

– ხო იცი, ეგ ძუნწი ყველას რომ ყველაფერს გლეჯს ხელიდან.

– მაგი ვინ არ იცის.

– ხო და, ორი ტაბლეტი გაბარბალებული „სენადე“ (საფაღარათო საშუალება) გამომტყუა აქ მოსვლამდე... ჯერ სადაა, სულ დააყრევინებს წელებს აქედან წასვლამდე.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა“ 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი“ 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის“ საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის“ ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღელამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის“ დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სიღნაღში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი“ 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის“ სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი“ 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11


რატომ იყვნენ ვალდებულნი სასტუმროს მეპატრონეები, მიეწოდებინათ ინფორმაცია „კუდისთვის“ უცხოელი ვიზიტორების შესახებ, პასპორტის ნომრების ჩათვლით
გვ. 7


გვ. 6
რატომ მოქმედებს საქართველოს რეგიონებში ბუნებრივი აირის განსხვავებული ტარიფები და რატომ არის ტარიფში მუდმივად ასახული ინვესტორების მიერ განეული ინვესტიცია


ვისთვის გამოჰქონდა სამედიცინო ექსპერტ ალექსანდრე გეჯაძეს ქალიშვილობის „ვერდიქტი“ და რა აღმოაჩინა მან კანონიერი ქურდის კუჭში
გვ. 12


HAIRLINE INTERNATIONAL
პროფესიონალები ზრუნავენ თქვენს გარეგნობაზე...
სამედიცინო ცენტრი "ჰეალაინი"
www.hairline.ge
გთავაზობთ:
- სახის და ტუჩის კონტურული პლასტიკა
- ბოტოქსი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზონიდლინგი
- პლაზმოლიფტინგი
- მეზოთერაპია
- აპარატურული კოსმეტოლოგია
- ქიმიური პილინგი
დეა პაპასკირი
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის დოქტორი
2 30 00 30
ქავთარაძის ქ. 16 ( DKC - სამკურნალო კომბინატი )



გვ. 18

რაზეა მიბმული ეკა კვესიტაძე და რას ვერ შეელია ის წარსულიდან



გვ. 13

როგორია 2014 წელს ქართული საზოგადოების ფსიქოემოციური მატრიცა და რა პროგნოზს აკეთებს მალხაზ გველუკაშვილი

რატომ არ უყვარს შეზღუდვები და აკრძალვები ანი მამულაშვილს და რა ურთიერთობის შემდეგ მიიღო მან დიდი გამოცდილება

გვ. 70



ISSN 1987-569X

# თბილისელები®

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

www.tbilisebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №3 (682) • 20-26 იანვარი • ფასი 1,50 ლარი

CMYK